



6

ქართული

მასწავლებლის წიგნი

ნინო გორდელაძე,
გვანცა ჩხენკელი
თინათინ კუხიანიძე
ნათია ნაფეცვარიძე
თეა გაბისონია



გაერ სულაკაურის
გამომცემლობა

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაქართველო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივი გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოიყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შექმნის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

6

ქართული

მასწავლებლის წიგნი

**ნინო გორდეჯაძე
გვანცა ჩხენკელი
თინათინ კუხიანიძე
ნათია ნაფეცვარიძე
თეა გაბისონია**



სულაკაურის
გამომცემლობა

გრიფინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტროს მიერ
2018 წელს.

ქართული 6
მასწავლებლის წიგნი

თბილისი, 2018

ავტორები: **ნინო გორდელაძე, გვანცა ჩხენკელი,**
თინათინ კუხიანიძე, ნათია ნაფეტვარიძე, თეა გაბისონია
რედაქტორი **რუსუდან გორგაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-022-6

Georgian 6
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2018
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

<u>1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ</u>	5
<u>2. შესავალი</u>	
<u>საგნის სწავლების მიზანი</u>	6
<u>3. ეროვნული სასწავლო გეგმა</u>	11
<u>VI კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები</u>	12
<u>4. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან</u>	20
<u>5. სახელმძღვანელოს კომპონენტები და სტრუქტურა</u>	25
<u>6. რეკომენდაციები შეფასებაში</u>	30
<u>ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან</u>	30
<u>განმავითარებელი შეფასება</u>	36
<u>7. მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა</u>	40
<u>8. მოსწავლეთა თვითშეფასება</u>	44
<u>9. მოსწავლეთა შეფასება და თვითშეფასება დაწყებით საფეხურზე – V-VI კლასები</u>	48
<u>10. პრაქტიკული ნაწილი – გაკვეთილების გეგმები და სცენარები, მოსასმენი ტექსტები</u>	51
<u>10.1. შემაჯამებელი სავარჯიშოები</u>	132
<u>10.2. „თარგმნის ხელოვნებაში“ შესული ტექსტების მოკლე შინაარსი</u>	134
<u>11. დამატებითი რეკომენდაციები</u>	137
<u>წერის სტრატეგია</u>	139
<u>11.1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი</u>	142
<u>11.2. მკვლევარ ბლუმის ტექსტონომია და კრიტიკული აზროვნება</u>	154
<u>11.3. შეფასების რუბრიკების ნიმუშები</u>	158
<u>11.3. ინკლუზიური განათლება</u>	165

1. ზოგადი ინფორმაცია სახელმძღვანელოს შესახებ

თქვენ წინაშეა დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების კარგად გააზრებული კურსი, რომელიც წლების განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა ავტორთა მიერ. მუშაობის პროცესში შესაძლებლობა გეკონდა, შეგვემონებინა ჩვენ მიერ შედგენილი გაკვეთილები საკლასო გარემოში, განსხვავებული უნარ-ჩვევების მქონე მოსწავლეებთან. შესაბამისად, აქტივობები შედგენილია საშუალო მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელს ადვილად შეუძლია მოარგოს ისინი საკუთარ გარემოებებს, მოსწავლეთა შესაძლებლობებსა თუ სკოლის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

შევეცადეთ, მრავალფეროვანი თემებითა და აქტივობებით დაგვეკმაყოფილებინა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სწავლების სტანდარტის ყველა მოთხოვნა. მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია, შევაცვაროთ ბავშვებს მშობლიური ენა, გავუღვივოთ ინტერესი გრამატიკისა და ლიტერატურისადმი, გავხადოთ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეები და ინიციატორები. ამიტომ შევეცადეთ, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სამყარო წარმოგვეჩინა მოსწავლეებისთვის საინტერესო კუთხით, მიგვეწოდებინა მათთვის არა მხოლოდ კლასიკური, არამედ თანამედროვე ტექსტები და მნიშვნელოვანი თეორიული მასალა, რომელიც გაუზრდიდა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს საგნისადმი.

მასწავლებლისთვის გაკვეთილების სცენარები განერილია დეტალურად (ზოგ შემთხვევაში მოცემულია მხოლოდ გაკვეთილის გეგმა) და შეიცავს სრულ ინფორმაციას გაკვეთილზე მოსწავლეებისთვის მისაწოდებელი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სამუშაოს შესახებ. მასწავლებელს შეუძლია სიტყვასიტყვით მისდოს სცენარში აღწერილ გაკვეთილის მსვლელობას, ან სცენარი გამოიყენოს, როგორც საბაზო რესურსი ან იდეა და საკუთარი თვალთახედვით შეარჩიოს სასაუბრო თუ საილუსტრაციო მასალა. წიგნში ასევე მოცემულია ცოდნის გასამყარებელი, სააზროვნო უნარების განმავითარებელი აქტივობები.

მოსწავლეთა აქტივობები შედგენილია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მიწოდებულია გასაგები ფორმით, ხშირად თამაშებისა და შემოქმედებითი ექსპერიმენტების სახით. დამოუკიდებლად გაკეთებული აღმოჩენა (მაგალითად, გრამატიკის კურსში, რომელიც ამ სერიის მნიშვნელოვანი ნაწილია) განსაკუთრებით დასამახსოვრებელს გახდის თითოეულ გაკვეთილს. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელო თავებზე დაყოფილია არა მისაღწევი შედეგების, არამედ თემების მიხედვით, რაც მუშაობას გაუადვილებს როგორც პედაგოგებს, ასევე მოსწავლეებს. ბავშვები შეძლებენ, ერთი თემის ფარგლებში გაეცნონ სხვადასხვა ტიპის ტექსტს. გარდა ამისა, კურსის მასალა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ორგანიზებულობის, ანალიზის, ინტერპრეტაციის, შეფასებისა და რეფლექსიის უნარების ფორმირებას.

დღევანდელი საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც ორიენტირებული იქნება იზრუნოს არა მხოლოდ ეკონომიკურ წინსვლაზე, არამედ დემოკრატიული საზოგადოების შექმნასა თუ ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრაზე. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებას ვერც ეროვნული სასწავლო გეგმა აუვლის გვერდს. ამიტომ დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო მასალაში (ნებისმიერი საგნობრივი მიმართულებით) ამ საკითხებზე კონცენტრირებას. მდგრადი განვითარების მიზნები მოიცავს მდგრადი განვითარების სამ განზომილებას: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა. სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტები და დავალებები შესანიშნავ საშუალებას იძლევა, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს განუვითაროს აზროვნება თითოეული მიმართულებით; მაგალითად, თავების, „ამეტიყველებული ბუნება“ და „ვაჟა-ფშაველას სამყარო“ და სხვ. სწავლების დროს მასწავლებელი ყურადღებას გაუმახვილებს ტოლერანტობაზე, კაცთმოყვარეობაზე, საკუთარი მოვალეობების შეგნებაზე, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებაზე და ა.შ.

დანვრილებითი ინფორმაცია მდგრად განვითარებასა და მის პრინციპებზე მასწავლებელს შეუძლია მიიღოს შესაბამისი ლიტერატურიდან; მაგ.: tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.WuRY-DNRXMw და სხვ.

საგნის სწავლების მიზანი

ასაკობრივ თავისებურებებზე საუბრისას გამოყენებულია მანანა მელიქიშვილის „შუა ბავშვობა“ (უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები)

ბავშვის განვითარების

თავისებურებები

სხვადასხვა სფეროს მიხედვით

სწავლა ცოდნის აგების პროცესია, ამიტომაც მნიშვნელოვანია მასში მოსწავლე აქტიურად იყოს ჩართული. მან საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებაზე დაფუძნებით უნდა აღმოაჩინოს და დაამუშავოს ახალი საკითხები. ასე უკეთ გაიაზრებს ახალშექმნილ ცოდნას. მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს მხოლოდ აუცილებელი მასალა, დასვას მიმანიშნებელი კითხვები და მისცეს საშუალება დააკვირდნენ, გამოთქვან მოსაზრებები. მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი ფორმები: დისკუსია, ლიტერატურასთან მუშაობა, ემპირიული ინფორმაციის შეგროვება და სხვ. მყარდება კავშირი ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მუშაობის სხვადასხვა ფორმისა თუ სტრატეგიის გამოყენება ხელს უწყობს სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარებას.

შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დავამახსოვრებინოთ მოსწავლეს მიღებული ინფორმაცია, არამედ დავეხმაროთ ამ ინფორმაციის მყარ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნაში. ამგვარი ცოდნის მიღება კი შესაძლებელია მხოლოდ გაღრმავებული სწავლებით, რაც გულისხმობს სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად დამუშავებას, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვას, ათვისებული ცოდნის განმტკიცებას, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენასა და საერთო ასპექტების დამუშავებას.

სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარსამართავად აუცილებელია გავითვალისწინოთ მოტივაციის როლი. ამიტომ, სასწავლო გეგ-

მის შედგენისას, მასწავლებელი უნდა დაფიქრდეს მოტივებზე და გაიაზროს, რისი გაკეთებაა საჭირო, რომ მოსწავლეებს სწავლის სურვილი გაუღვიძოს; როგორ განუვითაროს და აუმაღლოს მათ მოტივაცია სასწავლო გეგმის ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ბავშვებს უნდა გაუჩნდეთ წინსვლის შეგრძნება. ამისათვის თითოეულ მოსწავლეს, მიუხედავად მათი აკადემიური მიღწევებისა, უნდა მივცეთ ეტაპობრივი პროგრესირების საშუალება საკუთარ შესაძლებლობებსა და ცოდნაზე დაყრდნობით. ამდენად, აუცილებელია, თითოეული მოსწავლისათვის სწორად შეირჩეს დავალებათა სირთულის დონე. თუ მოსწავლეს მივცემთ ზედმეტად რთულ, მისთვის დაუძლეველ დავალებებს, ის წინსვლის იმედს დაკარგავს.

სასურველი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. სახელმძღვანელოს შედგენისას სწორედ ეს იყო ჩვენთვის ამოსავალი. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ფიზიკურად აქტიურია. აქვს ჭარბი ენერჯია, რომელიც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიში. ამ ასაკის ბავშვი ძალიანაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით. ამიტომ აუცილებელია მისთვის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება, რათა სასწავლო პროცესი უინტერესო არ გახდეს.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეების აღქმა არასაკმარისად არის დანაწევრებული და განისაზღვრება ობიექტის მახასიათებლებით. ბავშვები საგანში ხშირად ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ საგნის თვალშისაცემ, მკვეთრ თვისებებს. ამიტომ მნიშვნელოვანია გამოვიყენოთ ისეთი აქტივობები, რომლებიც განუვითარებთ მათ დაკვირვების უნარს. ხატვა, ილუსტრაციების შექმნა, სურათების დათვალიერება-თანმიმდევრულად დალაგება, აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა, ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა, გამოცანების გამოცნობა და სხვ. ეხმარება მოსწავლეს ობიექტური მასალის გარდაქმნასა და საგნის ობიექტური თვისებების აღქმაში.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებში სუსტად არის განვითარებული ნებისმიერი ყურადღება,

სამაგიეროდ, კარგად არის განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო, ნათელი აინტერესებს. შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალაში არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე, იმიტომ, რომ მათ მიიზიდონ.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე. მნიშვნელოვანია ყოველი გაკვეთილი მოსწავლეთა მომზადების დონის შესაბამისად წარიმართოს. ჩვენს სახელმძღვანელოში თემატიკა ისეა შერჩეული და დალაგებული, რომ ახალი მასალა მოსწავლის ცოდნასა და გამოცდილებას ეყრდნობა და მის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. უფრო მეტიც, ყოველი ახალი თემა ეფუძნება წინა კლასში ნასწავლს. მოსწავლეები არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებებს ეცნობიან, არამედ მათ ხშირად გასულ წლებში განვლილი მასალის თემატიკურ ჭრილშიც განიხილავენ და ამით ერთგვარად ამთლიანებენ ცოდნას.

6-8 წლის ასაკის ბავშვი **დამკვირვებელია.**

9-11 წლის ბავშვი **მკვლევარია.**

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად აზროვნებს. სვამს ბევრ კითხვას და შეუძლია თვითონ იპოვოს მათზე პასუხი.

უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებს უჩნდებათ ლოგიკური აზროვნების ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კონკრეტულია. ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ, ახსნისას უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგად გაიგოს თეორიული ცოდნა, რომელიც მას ეძლევა გამზადებული სახით. ნამდვილ გაგებას ადგილი ექნება მხოლოდ ობიექტებზე აქტივობის განხორციელების შედეგად – ტრანსფორმაცია, გადაადგილება, დაკავშირება, კომბინაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ აზროვნების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი არ აღმოცენდება ერთდროულად („ერთ მშვენიერ დღეს“). ბავშვს სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რათა შეძლოს აზროვნების აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

მასწავლებელმა უნდა განავითაროს ბავშვებში ცნებითი და ლოგიკური აზროვნება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთების უნარი.

დავალებებისა და საგაკვეთილო სცენარების შედგენისას ჩვენ ეს პრინციპები მაქსიმალურად გავითვალისწინეთ, დანარჩენი კი მასწავლებლის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ჩვენს ყოველ რეკომენდაციას მასწავლებელი შემოქმედებითად უნდა მიუდგეს. წიგნში მოცემულ მასალაში ჩვენ განვსაზღვრავთ მუშაობის მიმართულებას, მიზნის მიღწევის შესაძლო გზებს. საუკეთესო ვარიანტი კი მასწავლებელმა თვითონ უნდა შეარჩიოს. რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეეძლება გადაადგილოს გაკვეთილში მოცემული დავალებები, საჭიროების მიხედვით, და ამისთვის შეუძლია სარეზერვო საათები გამოიყენოს.

დანყებით საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის მიმართულებით. ამავე დროს, ეს პროცესი გულისხმობს იმ მინიმალური ლინგვისტური კომპეტენციის ფორმირებას, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით არის აქტუალური და შეესაბამება მოსწავლის ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლება დანყებით საფეხურზე ეფუძნება მდიდარ ტექსტურ კორპუსს - სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ, ასევე მულტიმედიურ ტექსტებს.

ტექსტების ნაირსახეობა ქმნის იმ აუცილებელ თემატურ გარემოს, რომლის გაცნობაც მოსწავლეს შესძენს ცხოვრებისეული ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას. მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, საინფორმაციო-შემეცნებითი და პრაგმატული ტექსტების აღქმის, გაგების, გამოყენებისა და შექმნის, ასევე ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საბაზისო უნარ-ჩვევებს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მიღებული ცოდნისა თუ ენობრივი გამოცდილების საფუძველზე ახალი ტექსტების შექმნა და თვითგამოხატვა.

მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, I-IV კლასების სტანდარტის

მოთხოვნების შესრულებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლეთა ბუნებრივი ენობრივი უნარების კორექციასა და შემდგომ განვითარებაზე, ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე; ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის კულტურის გამომუშავებაზე (საწყის დონეზე). მუშაობა უნდა წარიმართოს იმ მიმართულებითაც, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება კითხვისა და, ზოგადად, სწავლის მიმართ, განუვითარდეთ მეტაკოგნიტური უნარები საწყის დონეზე (საკუთარ სწავლის პროცესზე დაკვირვება, დამოუკიდებლად მუშაობა, სასწავლო საქმიანობის ორგანიზება და სხვ.).

სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას სისტემური და თანამიმდევრული ხასიათი უნდა მიეცეს. მოსმენილის ზეპირად გადმოცემა/თხრობა, მასზე აზრის გამოთქმა, პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და სხვა ხელს უწყობს გაგება-გააზრების პროცესებს. სწავლების პროცესში მოსმენილი ტექსტობრივი მასალის ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებებისა და შესწავლილი სიტყვების აქტიურად გამოყენებით კი თანდათანობით მდიდრდება მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი, იხვეწება მათი მეტყველება.

კითხვის სწავლების საბოლოო მიზანია წაკითხულის გააზრება, რაც გულისხმობს მკითხველის აქტიურ მონაწილეობას კითხვის პროცესის სამივე ეტაპზე: კითხვის დაწყებამდე, კითხვის დროსა და კითხვის შემდეგ. კითხვის ტექნიკის თანდათანობით სრულყოფა საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გახდნენ განაფული მკითხველები, გაიგონ და გაიაზრონ წაკითხული.

წაკითხულის გაგება-გააზრება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ლექსიკურ მარაგზე - რაც უფრო მდიდარია მოსწავლის ლექსიკური მარაგი, მით უფრო წარმატებულია იგი, როგორც მკითხველი. ამდენად, ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაზე ზრუნვას სწავლების საწყის ეტაპზევე საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს. ზეპირი და ბეჭდური ვერბალური ტექსტების გარდა, მუშაობა უნდა წარიმართოს ასევე მულტიმედია ტექსტების კითხვა-გაგების მიმართულებითაც, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ზოგადი ნიგნიერების უნარ-ჩვევების განვითარებას.

სხვადასხვა სახისა და ტიპის ტექსტების შედგენაზე მუშაობა თავდაპირველად უნდა წარიმართოს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, საყრდენების/მინიშნებების გამოყენებით თუ მოდელის

მიხედვით. მკაფიო და გასაგები ინსტრუქციების თანხლებით, მრავალფეროვანი და შინაარსიანი კონტექსტის მქონე წერიტი და ვალებების შესრულების გზით მოსწავლეები თანდათან დახვეწენ კალიგრაფიას, გაინაფებიან წერაში და შეიქმნიან გარკვეულ წარმოდგენას წერის პროცესზე, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას წერის სამივე ეტაპზე: წერის დაწყებამდე, წერის პროცესში, წერის შემდეგ.

სახელმძღვანელოს აგების მთავარი პრინციპი სწორედ ამ სამი მიმართულების (წერის, კითხვის, ზეპირმეტყველების) ინტეგრირებულად სწავლებაა.

მნიშვნელოვანია საგნის სწავლებისას ყურადღება გამახვილდეს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზეც: საოცრად სწრაფად ცვალებად მსოფლიოში წარმატების მისაღწევად მოსწავლეებს უნდა შესწევდეთ ინფორმაციის მიკვლევისა და იმის გადაწყვეტის უნარი, თუ რა არის მნიშვნელოვანი ამ ინფორმაციიდან და რა - არა. მათ უნდა შეეძლოთ ინფორმაციის დახარისხება, დამუშავება და გამოყენება. ამდენად, დღევანდელი ხედვით, ცოდნას მარტო მაშინ აქვს ფასი, როდესაც მას სარგებლობა მოაქვს. დღეს სარგებლობა მხოლოდ იმ ცოდნას მოაქვს, რომელიც კონცეპტუალურად არის გააზრებული და შესაძლებელია მისი პრაქტიკული, შემოქმედებითი და კრიტიკული გამოყენება.

ამიტომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, მოვამზადოთ მოსწავლე შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნებისთვის, რათა მან შეძლოს ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება, კრიტიკული განსჯა, შეფასება და გამოყენება თავისი ამოცანების განსახორციელებლად.

ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს მოსწავლეებში როგორც საგნობრივი ცოდნის შექმნასა და გაღრმავებას, ისე სხვადასხვა სასწავლო-სოციალური უნარ-ჩვევის განვითარებას. ნიგში მოცემულია არა მარტო მრავალფეროვანი ლიტერატურული ტექსტები, არამედ აღწერითი და საინფორმაციო ხასიათის მასალაც, რაც დაეხმარება მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეებს კითხვის უნარ-ჩვევები და ჩამოუყალიბოს ლიტერატურული გემოვნება. სახელმძღვანელო გათვლილია ყველა ტიპის მოსწავლეზე და ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ტექსტებს დართული აქვს სავარჯიშოები, რომ-

ლებიც განსაზღვრავს მუშაობის ძირითად სპეციფიკას.

სახელმძღვანელოში მოცემული შეკითხვები გადის ყველა სააზროვნო დონეზე. მაღალი სააზროვნო დონის შეკითხვებზე წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხები ხშირად არ არსებობს, მათი დანიშნულებაა მოსწავლეებში ღრმა და კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება. კითხვებს შორის ზოგჯერ გვხვდება დაბალი სააზროვნო დონის, ანუ მეხსიერებაზე ორიენტირებული კითხვებიც. მათი პასუხები ადვილი მოსაძებნია თვით ტექსტში. კითხვის დასმისა და მასზე რეაგირების ხერხების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია ეფექტური სწავლებისთვის.

სასწავლო პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გარემოს მოწყობას, განსაკუთრებით კი დაწყებით კლასებში, მათი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე. სასწავლო გარემო ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ხელს უწყობდეს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ამაღლებას, მოსწავლეთა დამოუკიდებელ და შემოქმედებით მუშაობას, სწავლების ორგანიზაციას და საგნისადმი ინტერესის გაღვივებას.

ეს საკმაოდ რთული, კომპლექსური სისტემაა და მოიცავს, როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს (მაგ; განათება, ტემპერატურა, სასწავლო ავეჯი და სხვ.), ისე სწავლებისათვის საჭირო სხვადასხვა სახის რესურსებს (მაგ; საპრეზენტაციო და საექსპოზიციო მასალებს, მოწყობილობებს, სასწავლო-მეთოდურ კომპლექტებს და სხვ.).

სასწავლო გარემოსა და სწორედ შერჩეული რესურსების საშუალებით მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეში აღძრას საგნისადმი ინტერესი, გააღვივოს კვლევის სურვილი და შეუქმნას მას ისეთი მიმზიდველი და პრაქტიკული გარემო, სადაც ის შეძლებს მუშაობასა და სწავლას. კლასში უნდა არსებობდეს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის, კვლევისათვის, დასვენებისა და თამაშისათვის საჭირო პირობები.

სასწავლო რესურსები სასწავლო პროცესში უნდა იძლეოდეს სტიმულს, აადვილებდეს კლასში მუშაობას და სასწავლო პროცესს უფრო დინამიურსა და ინტერაქტიულს ხდიდეს. რესურსების გულისყურით შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენას და მათ მიზნობრივ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესში.

სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელმაც მოსწავლეებში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიკური გემოვნება და სხვ. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურად მიღებასა და გაგებას, სწავლის, ანალიზის, კვლევის და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

დამხმარე საშუალებების, მასალებისა და რესურსების საჭიროებისამებრ გამოყენება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროს პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის რესურსები სჭირდება და როგორ გამოიყენოს ისინი მიზნობრივად და ეფექტიანად.

საგანმანათლებლო რესურსების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინება, როგორებიცაა: საჭიროება (რა რესურსებია საჭირო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად?), ხელმისაწვდომობა (რა რესურსებია ხელმისაწვდომი საკლასო ოთახში, სკოლაში, საზოგადოებაში?), შენახვის უზრუნველყოფა (როგორ ინახება რესურსები და რამდენადაა ისინი დაცული საკლასო ოთახში, სკოლაში?), მათი უსაფრთხო მოხმარება (უსაფრთხოების რა ზომების დაცვაა საჭირო) და დახმარება (რა სახის დახმარებაა საჭირო?).

ინფორმაციის მოძიების დროს მნიშვნელოვანია მასწავლებელმა მიუთითოს კონკრეტული ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსები, რათა მოსწავლემ შეძლოს სწორი და ღირებული მასალის მოპოვება.

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ რამდენად შესაძლებელია მათი დახმარებით:

1. გავუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციას, ინტერესს?);
2. მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა კეთებით (რა არის რესურსებში ისეთი, რაც ხელს შეუწყობს სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);
3. მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება (როგორი იქნება ამ რესურსების გამოყენებისას

უკუგება ანუ გააცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი კლასში, რა ისწავლეს ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან?);

4. მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (შეუწყობს თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას?).

სასწავლო გარემოსა და რესურსების შექმნის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია თავად მოსწავლეების ჩართვა.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გაკვეთილების გეგმები/სცენარები უპირატესად სამფაზიანი გაკვეთილის მოდელზეა აწყობილი. მასწავლებლებს ვთავაზობთ, ერთი მხრივ, კონკრეტულ გაკვეთილზე მორგებულ, ზედმინევენით, ნაბიჯ-ნაბიჯ განერილ სცენარებს, მეორე მხრივ, გეგმებს, რომლებიც, მართალია, აღწერს ამ თუ იმ მეთოდის მიმდინარეობას სახელმძღვანელოში მოცემული ნაწარმოებების საფუძველზე, თუმცა მასწავლებელს შეუძლია მათი მოდიფიცირება და სხვა თემისთვის გამოყენება მიზნის შესაბამისად. ამ ტიპის გაკვეთილების აღწერისას ჩვენ შეგნებულად მივეცით მასწავლებლებს მეტი თავისუფლება, არ მივუთითეთ დრო და ხშირად ალტერნატიული აქტივობები შევთავაზეთ.

როგორც უკვე გითხარით, ჩვენ მასწავლებელს ვთავაზობთ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების დამუშავებისა და კრიტიკულად გააზრების რამდენიმე ეფექტურ მეთოდს, ხოლო პედაგოგმა თავისით უნდა გადანყვიტოს, რომელ შემთხვევაში გაკვეთილის რომელი მეთოდით ჩატარება იქნება უმჯობესი. ეს მეთოდები, სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს ერთმანეთის მონაცვლეობით, რათა ბავშვებისთვის სწავლა მოსაბეზრებელი არ გახდეს. ბუნებრივია, პედაგოგს შეუძლია ზოგჯერ ტექსტის დამუშავების ტრადიციული ხერხებიც გამოიყენოს ან შემოქმედებითად გაამდიდროს.

რაც შეეხება მოსწავლეთა შეფასებას, ჩვენ გეგმების ბოლოს მითითებული გვაქვს კრიტერიუმები, თუმცა მასწავლებელს აქაც შეუძლია, საჭიროებიდან გამომდინარე, შეაფასოს ყველა კრიტერიუმის მიხედვით, ან მოცემულიდან შეარ-

ჩიოს. მასწავლებლის წიგნში მოცემულია ჩაშლილი შეფასების რუბრიკებიც.

მასწავლებელს სახელმძღვანელოს შინაარსიდან გამომდინარე რჩება სარეზერვო დრო, რომელსაც სხვადასხვა აქტივობისა და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოიყენებს.

საგაკვეთილო პროცესის გასამრავალფეროვნებლად, მასწავლებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ელექტრონული თუ ბეჭდური დამხმარე რესურსით. ელექტრონული რესურსების წყაროდ შესაძლებელია გამოიყენოს შემდეგი ვებგვერდები:

tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/747850.pdf

<http://mastsavlebeli.ge/?p=12760>

<http://mastsavlebeli.ge/?p=12743>

<http://mastsavlebeli.ge/?p=12733>

<http://ena.ge/>

ასევე, მასწავლებელს შეუძლია შესწავლილ მასალასთან დაკავშირებით არსებული ვიდეო რესურსების/ფილმებისა/ნახატების გამოყენება, რომელთა მოძიებაც საკმაოდ მარტივია საძიებო სისტემების მეშვეობით. თუმცა, ზოგიერთი გაკვეთილის აღწერაში ჩვენ თავად ვთავაზობთ მასწავლებელს ისტ-ის გამოყენების ნიმუშებს.

რაც შეეხება ბეჭდურ რესურსებს, შეგიძლიათ მოსწავლეებს შესთავაზოთ ასაკის შესაბამისი საკითხავი ლიტერატურა, მაგალითად: ქართული ხალხური და/ან მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, ქართველ საბავშვო მწერალთა (იაკობ გოგებაშვილის, რევაზ ინანიშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, ნოდარ დუმბაძის, გოდერძი ჩოხელის, არჩილ სულაკაურის, ვაჟა-ფშაველას, თედო რაზიკაშვილის...) ნაწარმოებები, შარლ პეროს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ძმები გრიმების ზღაპართა კრებულები, ანე-კატერინე ვესტლის თხზულებები, ასტრიდ ლინდგრენის ტექსტები, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალა“, ჯეიმს მეთიუ ბარის „პიტერ პენი“, ჩარლზ დიკენსის „ოლივერ ტვისტი“, ლუის კეროლის „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი“ და ა.შ.

სახელმძღვანელოს შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებსა და ინდიკატორებს.

3. ეროვნული სასწავლო გეგმა

ქართული ენა და ლიტერატურა (სტანდარტი)

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები

მიმართულება:		
ზეპირმეტყველება	კითხვა	წერა
<p>ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.</p> <p>ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.</p> <p>ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).</p> <p>ქართ.დანყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება. მოსწავლემ</p> <p>ქართ.დანყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.</p> <p>ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.</p> <p>ქართ.დანყ. I(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.</p> <p>ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>	<p>ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.</p> <p>ქართ.დანყ.(II).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.</p> <p>ქართ.დანყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.</p>

VI კლასი – საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმოთქმა

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას;
- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- ინდივიდუალურად ან თანამოაზრეებთან ერთად მონაწილეობს დისკუსიაში;
- ჯგუფთან წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას;
- წინასწარ შედგენილი მოკლე გეგმის მიხედვით მოამზადებს და წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პრეზენტაციას სხვადასხვა ნაცნობ თემაზე, მოჰყავს სათანადო ინფორმაცია ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით, გამოკვეთს არსებით საკითხს/საკითხებს;
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნა-ქვამს;
- ამოიცნობს მოცემულ კულტურულ გარემოში მოქმედ წესებს, ეტიკეტურ ნორმებს, ცდილობს მათ გათვალისწინებას კომუნიკაციის დამყარებისას.

ქართ.დანყ.(II).2 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გაზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირზე;
- უკავშირებს ერთმანეთს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს, ამოიცნობს ლოგიკურ კავშირებს მათ შორის;
- ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ დეტალებზე, გაიზრებს მათ ნაწარმოების საერთო კონტექსტში;
- აკავშირებს ტექსტის ინფორმაციას პირად და/ან ლიტერატურულ გამოცდილებასთან, გამოაქვს სათანადო დასკვნა.

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი;
- მხატვრულ ტექსტში მოცემული ამბის გააზრება/შეფასება;
- ტექსტში მოთხრობილი ამბის გადმოცემა სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამონათქვამებს და ახდენს მათს ინტერპრეტირებას;
- აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში;
- ირჩევს ტექსტში ასახული კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის შეთავაზებულ

- ალტერნატიულ ვარიანტებს შორის მისი თვალსაზრისით საუკეთესოს;
- სთავაზობს აუდიტორიას ნაწარმოებში გამოკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის საკუთარ ვერსიას.

ქართ.დანყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;
- ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად უთანხმებს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნას დროისა და პირის გათვალისწინებით (მაგ., აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);
- განარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს;
- ამოიცნობს ადრეული პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნებისას, მრავლობითის ფორმების წარმოებისას);
- ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრისა და სტილისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს..

ქართ.დანყ.(II).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს დისკუსიის, დებატების წესების შემუშავებაში, მოსამზადებელი სამუშაოს განაწილებაში, საერთო ჯგუფური დავალების შესრულებაში;
- სხვადასხვა საშუალებით (ბიბლიოთეკის, ინტერნეტის და ა.შ. მეშვეობით) აგროვებს მასალას, გააცნობს მას ჯგუფის წევრებს და ითვალისწინებს მათს აზრს;
- წინასწარ ამზადებს საჭირო რესურსს/თვალსაჩინოებებს;
- აუდიტორიის წინაშე გამოსვლამდე გადის რეპეტიციას;
- შემოიფარგლება კონკრეტული თემით და თავს არიდებს ზოგად საკითხებზე მსჯელობას;
- აზრის გამოთქმისას იცავს მიღებულ ფორმალობებს (დგება აუდიტორიის წინ და ამყარებს მსმენელებთან მხედველობით კონტაქტს; იყენებს მეტყველების ეტიკეტურ ფორმებს, სხვ.);
- აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყო წარმატების მიღწევაში ან გამოიწვია წარუმატებლობა ზეპირი გამოსვლის დროს და მასწავლებელთან ერთად ისახავს გამოსწორების გეგმას.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- სხვის მიერ მოთხრობილი ამბის/გამოთქმული მოსაზრების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით;
- მოკლე გეგმის მიხედვით ზეპირი მოხსენების მომზადება სხვადასხვა თემაზე;
- მხატვრულ ტექსტებში არქაული ფორმების ამოცნობა და მათი თანამედროვე ფორმებით ჩანაცვლება;
- ნაცნობი ტექსტის პერსონაჟის წარმოსახვითი აღწერა (იმ შემთხვევებში, როდესაც ტექსტში არ გვხვდება პერსონაჟის პორტრეტი);
- არაოფიციალური კამათი/არაოფიციალური დებატები მოსწავლეთა ორ ჯგუფს შორის (მათთვის საინტერესო პრობლემურ თემაზე/საკითხზე);
- მოსმენილი/წაკითხული ფრაგმენტის საფუძველზე მთლიანი ტექსტის რეკონსტრუირება;
- ზეპირი მოხსენება ნაცნობ თემაზე/საკითხზე (მაგ., შესწავლილი ნაწარმოების მოქმედების დროსა თუ ადგილთან დაკავშირებული დამატებით მოძიებული ინფორმაციის წარდგენა);
- შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე;
- მინისპექტაკლების დადგმა;
- ლიტერატურული სამსჯავრო;

- ლიტერატურული საღამოების/შეხვედრების ორგანიზება (შეხვედრები მწერლებთან, მეცნიერებთან, სპორტსმენებთან)
- და სხვა.

მიმართულება: კითხვა

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- განაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს;
- ხმამაღლა კითხვისას ინტონაციით გამოხატავს ტექსტში ასახულ ემოციებს; ცდილობს მხედველობითი კონტაქტის დამყარებას აუდიტორიასთან;
- ამოიცნობს მხატვრული და არამხატვრული (პრაგმატული) ტექსტის საკომუნიკაციო სიტუაციას (მიზანს, ავტორს, ადრესატს...);
- ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან;
- ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას;
- განარჩევს ვარაუდს ფაქტისაგან, ფაქტს – თვალსაზრისისაგან;
- ამოიცნობს მოვლენებს, ფაქტებს, მოქმედებებს შორის არსებულ ლოგიკურ და ქრონოლოგიურ კავშირებს;
- განსაზღვრავს ცალკეული პერსონაჟის ხედვის კუთხეს;
- გამოკვეთს მთავარ ინფორმაციას და გადმოსცემს მას საკუთარი სიტყვებით;
- ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას), ხატოვან გამონათქვამებს და გაიაზრებს მათს ფუნქციას;
- თხრობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, მოქმედების განვითარებას და დასასრულს) და ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს ტექსტში მოძიებული კონკრეტული არგუმენტებით;
- სწორად „ამოიკითხავს“ ტექსტის ინტონაციას, პაუზებს, აზ-რობრივ აქცენტებს.
- მართებულად იყენებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივ ტექსტებს (სხვადასხვა ინსტრუქციას, ამა თუ იმ დანესებულებაში მოქმედ წესებს, ფორმულარებს)..

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამომწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
- განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას;
- მსჯელობს ნაწარმოებში დრამატულად განვითარებული მოვლენების შესახებ;
- საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ლიტერატურულ ტექსტებს, რეალურ ფაქტებს, მაგალითებს პირადი ცხოვრებიდან;
- ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას;
- გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხების შესახებ;
- ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;
- მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოხატულ განწყობილებაზე;

- ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული ნაცნობი მხატვრული ხერხების დანიშნულებას;
- გამოაქვს დასკვნა მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
- უდარებს ნაკითხულ ნაწარმოებს მის ეკრანიზებულ და თეატრალიზებულ ვერსიებს..

ქართ.დანყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივი ტექსტების ფორმალურ ნიშნებს, როგორებიცაა, მაგ., მკაცრად ლაკონიური სტილი, ტექსტის პირობითი ფორმა (ბლანკის ტიპისა); სპეციალური/ დარგობრივი ტერმინოლოგია და ა. შ.;
- იცნობს ბეჭდური და ელექტრონული პრესის სტრუქტურას და სწორად მოიძიებს საჭირო ინფორმაციას (ხვდება, მისთვის სასურველი ინფორმაცია თუ სტატია რომელ ნაწილში უნდა იყოს განთავსებული);
- ამოიცნობს სხვადასხვა მოდალობის (სურვილის, შესაძლებლობის) გამომხატველ სიტყვებს;
- ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ;
- ამოიცნობს და განარჩევს არსებით, ზედსართავ, რიცხვით სახე-ლებს და მათ ფუნქციას; გაიზრებს ზმნიზედის ფუნქციას ზმნური შინაარსის გამოხატვაში;
- ამოიცნობს და განარჩევს სხვათა სიტყვის აღმნიშვნელ ნაწილაკებს (-მეთქი; -თქო; -ო);
- ამოიცნობს ზმნისწინის ფუნქციას, განარჩევს ზმნისწინით გამო-ხატულ ძირითად მნიშვნელობებს;
- ამოიცნობს წინადადების ძირითად წევრებსა და ძირითად შე-სიტყვებებს;
- განასხვავებს სხვადასხვა ფუნქციურ სტილს: სასაუბროს (ეტიკეტური დიალოგები), სასწავლო-სამეცნიეროს (რალაცის ახსნის ან დამტკიცებისათვის აუცილებელი მსჯელობა) და მხატვრულს (შთაბეჭდილების გადმოცემა).

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სვამს კითხვებს ნაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით;
- კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;
- სხვადასხვა ელემენტის (სათაურის, აბზაცების დასაწყისის, საკვანძო სიტყვების, ერთ-ერთი აბზაცის, გამოყოფილი სიტყვების) გამოყენებით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის/ტექსტების მონაკვეთის შინაარსის შესახებ;
- აანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებულ საკითხავ დავალებებს - განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ.;
- ტექსტის სახისა და საკითხავი ამოცანის გათვალისწინებით, ირჩევს კონკრეტულ სტრატეგიას/ მიდგომას და ხსნის თავის არჩევანს;
- ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და ინტერნეტის საშუალებით აზუსტებს ტექსტში მოთხრობილ უცნობ ან გაუგებარ ამბავს;
- მიზნობრივად იყენებს ბეჭდურ და ელექტრონულ ორთოგრაფიულ, განმარტებით და სხვა ლექსიკონებს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- არეულად მოცემული ეპიზოდების/ნაწყვეტების დალაგება ლოგიკური თანამიმდევრობით;
- ტექსტში „გამოტოვებული“ (ავტორის მიერ ნაგულისხმევი) ეპიზოდების აღდგენა;
- მოვლენათა ჯაჭვის შექმნა მიზეზშედეგობრიობის პრინციპით, გრაფიკული სქემის გამოყენებით;
- დისკუსიისთვის ტექსტში არგუმენტების მოძიება;
- ტექსტში (ბეჭდური თუ ელექტრონული) მოძიებული ინფორმაციის გამოყენებით რადიო ან სატელევიზიო ახალი ამბების რეპორტაჟის მომზადება;
- სემანტიკური რუკების შედგენა;
- მხატვრული და არამხატვრული ტექსტების შედარება ლექსიკური თვალსაზრისით;
- მასწავლებლის მითითებით ტექსტში რომელიმე მეტყველების ნაწილის გამოყოფა და ფორმაცვალება (დროის, რიცხვის, კილოს და ა.შ. შეცვლა), დაკვირვება მიღებულ შედეგზე;
- უცნობი სიტყვებისა და ფრაზების სინონიმური განმარტებებით ჩანაცვლება;
- ვარაუდების სქემის შევსება კითხვის დაწყებამდე;
- ფრაზეოლოგიზმების შინაარსის ამოცნობა კონტექსტზე დაყრდნობით;
- ინფორმაციის მისაღებად წყაროს შერჩევა;
- კრიტერიუმების კითხვარის შემუშავება ინფორმაციის წყაროს საიმედოობის შესაფასებლად;
- იმის შესახებ მსჯელობა, თუ რომელ საგნებში და/ან რა სახის ტექსტების ნაკითხვისას შეიძლება აღნიშნული სტრატეგიების გამოყენება;
- ნაკითხული წიგნების კატალოგის შედგენა (მოკლე ანოტაციით);
- გაბმული სახით (აბზაცების გარეშე) წარმოდგენილი ტექსტის დაყოფა აბზაცებად და სხვა.

მიმართულება: წერა

ქართ.დანყ.(II). 10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- თანამიმდევრულად და ლოგიკური ხაზის დაცვით გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, იდეას/თემას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს;
- კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას;
- ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას, ახერხებს მის ემოციურ შეფასებას;
- მიზნის, თემისა და რესპონდენტის გათვალისწინებით ადგენს სხვადასხვა სახის პრაგმატულ ტექსტებს;
- გამოთქვამს მოსაზრებას და ასაბუთებს მას ადეკვატური მტკიცებულებებით (ფაქტებით, მაგალითებით, სხვ.);
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას და ხსნის მას.

ქართ.დანყ.(II). 11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- სათანადოდ იყენებს სტრუქტურულ-კომპოზიციურ ელემენტებს (სათაურს, აბზაცს, სხვ.) წერილობითი ტექსტის შედგენისას;
- მხატვრული ტექსტის/ეპიზოდის შინაარსის გადმოცემისას იყენებს ავტორისეულ ლექსიკას;

- მხატვრული ტექსტის შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, მეტაფორის) გამოყენებას;
- ინფორმაციული ტექსტების შედგენისას იყენებს სპეციალურ/ დარგობრივ ტერმინოლოგიას;
- მიზნის შესაბამისად იყენებს სათანადო ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;
- სწორად იყენებს ირიბ ნათქვამსა და ციტირებას;
- განარჩევს ნაცვალსახელთა ჯგუფებს და შესაფერის კონტექსტ-ში სწორად უნაცვლებს მათ სათანადო სახელთა ფორმებს;
- მართებულად იყენებს მისათითებელ სიტყვებსა და კავშირებს (წევრ-კავშირებს) მიზეზშედეგობრიობისა თუ სხვა მიმართებების გადმოსაცემად;
- მართლწერის შესამოწმებლად იყენებს დამხმარე საშუალებებს;
- იყენებს სხვადასხვა სტილისტურ თუ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებას ფუნქციური ტექსტების შესადგენად;
- სწორად იყენებს სასვენ ნიშნებს;
- კონტექსტის მიხედვით მართებულად იყენებს ენობრივად სწორ, დასაშვებ და შესაძლებელ ფორმებს.

ქართ.დანყ.(II). 12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- წერის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობს იდეების გენერირებაში, ნაწერის თემის განსაზღვრაში;
- წერის დაწყებამდე განსაზღვრავს წერიტი ნამუშევრის მიზანსა და აუდიტორიას; შეარჩევს სათანადო სტილს და ენობრივ საშუალებებს;
- წერის დაწყებამდე ადგენს გეგმას; ადგენს და/ან იყენებს გრაფიკულ მარგანიზებლებს ინფორმაციის დახარისხების, შეჯამების და სხვ. მიზნით;
- საჭირო ენობრივი მასალის მოსაძიებლად იყენებს ბეჭდურ ან ციფრულ რესურსებს, სხვადასხვა დამხმარე საშუალებას (სინონი-მურ განმარტებებს, სიტყვათშეხამებებს, მყარ შესიტყვებებს, ფრაზეოლოგიზმებს; მუშაობს ლექსიკონზე...);
- საკუთარი განცდის, შთაბეჭდილების გადმოსაცემად ირჩევს მისთვის სასურველ მხატვრულ ფორმას;
- ტექსტის შედგენისას იყენებს მოდელს/მინიშნებებს, საყრდენებს, ითვალისწინებს მის შინაარსობრივ, კომპოზიციურ და სტრუქტურულ მახასიათებლებს სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენისას;
- გადაიკითხავს ნაწერს და ჩაასწორებს მას აზრობრივი, ენობრივ-სტილური და პუნქტუაციის თვალსაზრისით;
- აზრობრივი სრულყოფის მიზნით, დამატებით სვამს ტექსტში საჭირო სიტყვებსა და გამონათქვამებს;
- ამონებს ტექსტში გამოყენებულ ფორმებს და სიტყვათშეხამებებს ენის მოქმედი ნორმების მიხედვით; ტექსტის კორექტირებისას იყენებს ორთოგრაფიულ და უცხო სიტყვათა ლექსიკონს.

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ტექსტის/ტექსტის მონაკვეთის შინაარსის გადმოცემა მოკლედ და/ან ვრცლად;
- ნაცნობ თემაზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება;
- მარტივი კვლევითი პროექტის (მაგ., გამოკითხვის) ჩატარება და შედეგების ამსახველი ანგარიშის დაწერა სათანადოდ ორგანიზებული სახით;
- მოსწავლისთვის აზრობრივად საინტერესო ეპიზოდის გაგრძელებისა და დასასრულის საკუთარი ვარიანტის შედგენა;

- მოკლე წერილობითი კომენტარის შედგენა საინტერესო მონაკვეთების შესახებ;
- აზრის გამოთქმა/მსჯელობა ტექსტის და/ან ტექსტში დასმული პრობლემის/საკითხის, მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის შესახებ;
- მარტივი სახის ორიგინალური თხზულების დანერგვა ნაცნობ თემატიკაზე;
- განხორციელებული პროექტის (მაგ., მარტივი სოციოლოგიური გამოკითხვის) წერილობითი ანგარიშის შედგენა (საყრდენების/მოდელების გამოყენებით);
- ერთი ტიპის ტექსტის შეცვლა სხვა ტიპის ტექსტით (მაგ., მოსმენილი ბიოგრაფიული ტექსტის ინფორმაციის გადმოცემა ტექსტის მთავარ გმირთან ინტერვიუს სახით, ინტერვიუსი – ბიოგრაფიული ტექსტის სახით)
- და სხვა.

პროგრამის შინაარსი

შედეგების მიღწევა შესაძლებელია მოცემული შინაარსის საფუძველზე:

1. ინფორმაციის გაგება, ანალიზი და შეფასება

ძირითადი თემატიკა:

ლექსიკოლოგიური ასპექტი: სიტყვათა მარაგის შევსება სხვადასხვა დარგობრივი ლექსიკით; მოსწავლისთვის უკვე ცნობილი მოდელების მიხედვით ახალი სიტყვებისა და ფრაზების გააზრებულად წარმოება; სათქმელის (როგორც ზეპირად, ასევე წერილობით) ხატოვნად და ამომწურავად გამოხატვა.

გრამატიკული ასპექტი: სახელის ბრუნვისა და რიცხვის ფორმების გამოყენება ზმნურ კონსტრუქციებში; დროის, კილოსა და ასპექტური სახესხვაობების მიხედვით ზმნის გარჩევა; წინადადების მოდალობათა მაკონსტრუირებელი ენობრივ-გრამატიკული საშუალებები; მოდალობათა გადმოსაცემი არავერბალური საშუალებები; სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიების სინტაქსური ფუნქციების განსაზღვრა წინადადებაში. ენობრივი გრძნობისა და მეტყველების კულტურის დახვეწა-განვითარება: ორთოეპიული ჩვევების განვითარება; რიტმის, ტემპის როლი და მნიშვნელობა მეტყველებაში; სიტყვათა შერჩევა შინაარსობრივი და ექსპრესიული თვალსაზრისით.

2. ენის კომუნიკაციური ასპექტები

ძირითადი თემატიკა: ინდივიდუალური, ჯგუფური და წყვილური საკომუნიკაციო ამოცანების დაგეგმვა და მომზადება. ტექსტის მიზანი და მისი მიღწევის გამომხატველობითი საშუალებები (ვთქვათ, რეკლამის მაგალითზე); საბავშვო და შემეცნებით-გასართობი პროგრამები, მათი სტრუქტურა და აგების ძირითადი პრინციპები; დისკუსიაში მონაწილეობის ჯგუფური და ინდივიდუალური სტრატეგიები (პასუხისმგებლობა ჯგუფის სახელით გამოთქმულ მოსაზრებაზე). პრესა, პრესის სახეები და სტრუქტურა; ტექსტის ტიპები და მათი განმსაზღვრელი ენობრივ-სტილური ნიშნები (ამ ნიშნების ამოცნობა, განმარტება, შეფასება და წერისას მართებულად გამოყენება). ტექსტის ჩასწორების, კორექტირებისა და რედაქტირების წესები. ტექსტის დამუშავების ელექტრონული პროგრამები.

მხატვრული ტექსტის გაგება და თვითგამოხატვა

ძირითადი თემატიკა: მოთხრობები ბავშვთა ოცნებებსა და ფანტაზიებზე, მათს ცხოვრებაზე, ზნეობრივ პრობლემებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაზე;

სათავგადასავლო ლიტერატურა და ფანტასტიკა; პატრიოტული და სამოქალაქო ჟღერადობის, ისტორიულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებები.

საკითხავი მასალა: ფოლკლორული ჟანრები: ზღაპარი, ბალადა, ლექსები, თქმულებები, ლეგენდები, მითები (ქართული და უცხოური); ბიბლიური მოთხრობები, სახარებისეული იგავები; სხვადასხვა ეპოქის ქართველ და უცხოელ კლასიკოსთა ნაწარმოებები (შესაძლებელია ადაპტირებული ტექსტები); ქართული ლირიკის ნიმუშები; თანამედროვე ქართული პროზის ნიმუშები; საინტერესო ეპიზოდები გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, მათი მოგონებები და მოგონებები მათზე.

4. სახელმძღვანელო შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ნერა	II.12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II.11. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.							
	II.10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.							
კითხვა	II.9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II.8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.							
	II.7. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.							
	II.6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.							
ზავირამეტყველება	II.5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.							
	II.4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.							
	II.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).							
	II.2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.							
	II.1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.							
სასწავლო დროის ხანგრძლივობა (სთ)		8					12	
გაავალიანთებისა და თემების დასახელება	თავი 1. ამეტყველებული გუნება	თუთა	ქუჩი (მოთხრობა)	თეორია. მხატვრული ხერხები	ნეკერჩხლის წითელი ფოთლი (მოთხრობა)	თავი 2. და მივი-გონებ...	ნამყე ზეთონისაკენ	

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
საზარულა												
თეორია. მოთხრობა												
ჩვენი ჭერამი												
ალექსანდრე ყაზბეგი მოკლე ბიოგრაფია												
ნამწყვეთის მოგონებანი												
თავი 3. სიბრძნე სიცრუისა	12											
სულხან-საბა ორბელიანი ბიოგრაფია												
მთიული და კაკლის ხე												
აქლემი და ვირი												
უსამართლო შირვანშაჰი												
მუსაგინი: მეფე და ავსიტყვა												
თეორია. იგავ-არაკი												
თავი 4. ლეგენდები უმცირესი ნაწილი წარსული	12											
სპარსი ისტორიკოსის ჩანაწერი												
ბახტრონის აღება												
ბახტრონის აღება - ფრაგმენტი პომედიან, რომელიც ეძღვნება 1659 წლის აჯანყებას.												
ბახტრონის აღება												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ლეგენდა ბაზალეთის ტბის შესახებ												
ბაზალეთის ტბა												
თეორია. ფაქტი, გარაუდი, თვალსაზრისი												
მოდელი და ნიშნით												
12 თავი 5. სიცილი გადამდებიანი!												
ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი												
მოსამუშაო: მოწაფე და მოძღვარი												
ობოლი და ქოსტყუილა												
უწინდელი ცხენები რაღა იქნენო												
თეორია. ანოტაცია												
თეორია. რეკლამა												
14 თავი 6. ხალხური სიტყვიერება												
ეთერი (ზღაპარი)												
ოპერა „აბესალომ და ეთერი“												
თეორია. ზღაპარი												
12 თავი 7. ვაჟ-ფშვკელის სამსახური												
შელის ნუკრის ნაამბობი												
თეორია. პერსონაჟი												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
12	12											
თავი 8. დიდი წიგნები												
ვეფხისტყაოსანი												
ამბავი როსტევან არაბთა მეფისა												
როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა, ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა												
„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები												
მოსასაშენი: ჰომეროსის ოდისეა												
თეორია. ფუნქციური ტექსტები												
7												
თავი 9. ძართული სალიტიერატურო ენის ისტორიიდან												
ქართული სალიტიერატურო ენა და ილია ჭავჭავაძე												
მეოცე საუკუნეში შექმნილი ქართული ტერმინები და გიორგი ნიკოლაძე												
თეორია. არქაიზმები და ნეოლოგიზმები												
8												
თავი 10. ჩემი თბილისი												
თბილისის ისტორია												
*** (რუსთაველის პროსპექტზე)												

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სადღევრქელო იყოს მისი												
გაზაფხულის დღესასწაული												
ლურჯი სუფრა												
მუშთაიდი												
"ზეპირი გაზეთები" ქველ თბილისში												
პანსიონები და გიმნაზიები												
ტრანსპორტი												
თეორია. ტექსტის გასწორება												
თხვი 11. თარგმანის ხელშეწყობა	7											
ტომის დასჯა												
მოსასმენი: ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი												
თეორია. თარგმანი												
ჩემი პირველი თავი												
ბართოლომე ქათლის საეჭვო გაუჩინარება												
თხვი 12. ერთი კაცის თავგადასავალი	5											
იოთამ ზედგინიძის თავდადება												
ქართული ენის გრამატიკა												

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელოები თვისობრივად შეესაბამება და აგრძელებს ამავე გამომცემლობის მიერ მეხუთეკლასელთათვის შედგენილ წიგნებს „ქართული ლიტერატურა 5“ და „ქართული ენა 5“. ის შექმნილია ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით და მოიცავს 180 საგაკვეთილო საათის (36 სასწავლო კვირის) სასწავლო კურსს.

სახელმძღვანელო ოთხი კომპონენტისგან შედგება:

მოსწავლის წიგნი – ქართული ლიტერატურა (ორ ნაწილად)
მოსწავლის წიგნი – ქართული ენა
მოსწავლის რვეული
მასწავლებლის წიგნი

მოსწავლის წიგნი – ქართული ლიტერატურა

მოსწავლის წიგნი მეექვსე კლასის სახელმძღვანელოს ძირითადი კომპონენტია. სახელმძღვანელოს აგების საფუძველი, ისევე როგორც წინა კლასებში, ამჯერადაც მასალის თემატურად მოწესრიგებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ყოველი თავი ერთი კონკრეტული თემისა და ამ თემაზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებების (მხატვრული და შემეცნებითი ტექსტების) შესწავლას მოიცავს. სულ 12 თემაა.

თემების განაწილება თავებისა და კვირების მიხედვით ასეთია:

თავი 1	ამეტყველებული ბუნება	8 საათი
თავი 2	და მე ვიგონებ	18 საათი
თავი 3	სიბრძნე სიცრუისა	12 საათი
თავი 4	ლეგენდებში შემონახული წარსული	12 საათი
თავი 5	სიცილი გადამდებიაო	12 საათი
თავი 6	ხალხური სიტყვიერება	14 საათი
თავი 7	ვაჟა-ფშაველას სამყარო	12 საათი
თავი 8	დიდი წიგნები	12 საათი
თავი 9	ქართული სალიტ. ენის ისტორიიდან	7 საათი
თავი 10	ჩემი თბილისი	8 საათი
თავი 11	თარგმნის ხელოვნება	7 საათი
თავი 12	ერთი კაცის თავგადასავალი	5 საათი

კურსის მიხედვით, დაგეგმილია, გრამატიკის გაკვეთილები ჩატარდეს კვირაში ერთხელ ან ორჯერ. ამას ხელს შეუწყობს ენობრივი მასალის თანმიმდევრობა გრამატიკის სახელმძღვანელოში. თუმცა, მასწავლებელს შეუძლია ზოგიერთი გრამატიკული საკითხის ასახსნელად გამოიყენოს ლიტერატურის გაკვეთილიც, რადგან გრამატიკის წიგნისა და რვეულის მასალა კოორდინირებულია ლიტერატურის სახელმძღვანელოსთან. მაგალითად, წარ-თან-იანი მრავლობითის ფორმების სწავლება შეუძლია დაუკავშიროს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტების შესწავლის პროცესს.

სახელმძღვანელოს მიხედვით, პირველ თავში მოცემული გაკვეთილების რაოდენობა არ ემთხვევა პირველი თავისთვის ცხრილში მოცემული საათების ოდენობას, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელს წიგნით მუშაობის დაწყებამდე ჩასატარებელი აქვს

შესავალი მეცადინეობა, და, გარდა ამისა, მას სჭირდება დრო მოსწავლის რვეულზე სამუშაოდ. იგივე შეიძლება ითქვას დანარჩენი თავების შესახებაც.

შენიშვნა: მოსწავლის წიგნი გაყოფილია ორ ნაწილად. მეორე ნაწილი დანომრილია ორგვარად. სარჩევში გვერდები მითითებულია პირველი, მსხვილი შრიფტით მოცემული ნუმერაციის მიხედვით. მეორე, მკრთალი და პატარა შრიფტით დაბეჭდილი ნუმერაცია გულისხმობს პირველი წიგნის გაგრძელებას, რაც დატოვებულია სპეციალურად. ეს მასწავლებელს გაუადვილებს, იოლად იპოვოს ის გვერდი, რომლის ნომერიც ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებლის წიგნშია მითითებული (სავარჯიშოების პასუხები, კონკრეტული სავარჯიშოს ან დავალების მითითება და ა.შ.).

ყოველი თავის დასაწყისში ცალკე გვერდზე მოთავსებულია თავის ნომერი, მითითებულია თემის სათაური, გვერდი გაფორმებულია სათანადო ნახატი და ერთვის ეპიგრაფები, რომლებიც ამ თემას შეესაბამება. ეს გვერდი გამიზნულია ერთგვარი შესავალი საუბრისათვის. აქვე განთავსებულია თავის სარჩევი.

ყოველი თავი მოიცავს ტექსტებს, სათანადო სავარჯიშოებს, თეორიულ საკითხებს. წიგნში ჩართულია მასალა „ქართული იდიომების ლექსიკონიდან“, წიგნის ბოლოს კი მოცემულია უშუალოდ სახელმძღვანელოს ლექსიკონი, რომელშიც განმარტებულია ამა თუ იმ თავში შეტანილი ტექსტებში ვარსკვლავით მონიშნული სიტყვები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ლექსიკონში თავმოყრილი სიტყვები კარგი მასალაა დამატებითი დავალებებისათვის. თუ მასწავლებელს დრო მორჩება, მას შესაძლებლობა აქვს, დაავალოს მოსწავლეებს წინადადებების შედგენა ამ სიტყვების გამოყენებით.

ტექსტები

სახელმძღვანელოში შეტანილია მოთხრობები, ზღაპრები, ლეგენდები, იგავ-არაკები, ლექსები, შემეცნებითი ხასიათის ტექსტები.

სახელმძღვანელოს ტექსტები შერჩეულია რამდენიმე ნიშნით:

- 1) შეესაბამებოდეს თემას;
- 2) ჰქონდეს მხატვრული ან შემეცნებითი ღირებულება;
- 3) შეესაბამებოდეს და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს;
- 4) აისახოს ის ენობრივ-გრამატიკული მომენტები, რომლებიც ქართული ენის სახელმძღვანელოში შეისწავლება.

წიგნში შეტანილია როგორც ქართული კლასიკური ლიტერატურა, ასევე თარგმანები.

ყველა ტექსტი ილუსტრირებულია ფერადად, ბავშვისათვის გასაგები, თემის შესაბამისი სურათებით. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია უნიკალური ფოტომასალა, საგანგებოდ მოპოვებული ლიტერატურის მუზეუმიდან, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან და ფოტოფიქსაციის ლაბორატორიიდან. ტექსტები სპეციალურად შერჩეული, ადვილად აღსაქმელი, კარგად საკითხავი შრიფტით არის აწყობილი.

ისევე, როგორც წინა კლასების სახელმძღვანელოებში, აქაც უზარმაზარი როლი ენიჭება ლექსიკაზე მუშაობას. ლექსიკური სავარჯიშოები უზვადაა დავალებათა ბლოკებში, ასევე, მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას ისახავს მიზნად უხვი მასალა „ქართული იდიომების ლექსიკონიდან“.

წიგნის ყოველ ტექსტს მოსდევს **სავარჯიშოების ბლოკი**. ამ ბლოკში სხვადასხვა ტიპის დავალებები გვხვდება. განვიხილოთ ეს დავალებები რუბრიკების მიხედვით:

ტექსტის შინაარსი – ამ რუბრიკაში ძირითადად მოცემულია ტექსტების შინაარსთან უშუალოდ დაკავშირებული შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლემ მოკლე პასუხი უნდა გასცეს. ზოგიერთი სავარჯიშო კი მოსწავლისაგან ტექსტის რომელიმე ეპიზოდის შინაარსის გააზრებასა და გადმოცემას მოითხოვს.

იმსჯელე – როგორც რუბრიკის სახელიდან ჩანს, აქ გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლეებისაგან, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას მოითხოვს. შესაბამისად, მითითებაში გამოყენებული ზმნები მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში დგას.

გაიხსენე – ამ რუბრიკის სავარჯიშოები მოსწავლისაგან მოითხოვს, გაიხსენოს ესა თუ ის შესწავლილი ნაწარმოები ან ამა თუ იმ ნაწარმოების პერსონაჟები და დაუკავშიროს პერსონაჟების მოქმედება ახლად შესწავლილ მასალას თუ პირად ცხოვრებისეულ გამოცდილებას. გარდა ამისა, მოსწავლემ უნდა გაიხსენოს რომელიმე საკვანძო სიტყვის მნიშვნელობა.

მოძებნე – ამ რუბრიკაში მოცემული სავარჯიშოები მოსწავლეს ტექსტში ორიენტირებაში ეხმარება.

მოიპოვე ინფორმაცია – ამ რუბრიკაში გაერთიანებული სავარჯიშოები მოსწავლეს სთხოვს, ამა თუ იმ საკითხზე მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია საბავშვო ენციკლოპედიიდან, მოიძიოს სასურველი წიგნი ბიბლიოთეკაში (ეს უკანასკნელი კი თავისთავად გულისხმობს, რომ მოსწავლეს უნდა შეეძლოს საბავშვო ბიბლიოთეკის ანბანური და თემატური კატალოგებით სარგებლობა და ბიბლიოთეკის კატალოგებსა და ბარათებზე განთავსებული ინფორმაციის სწორად ამოკითხვა. გარდა ამისა, თუ ხელი მიუწვდება, მოიძიოს ინფორმაცია ინტერნეტიდან.

დანერე – ამ რუბრიკაში თავმოყრილია წერიტი სავარჯიშოები.

ეს საინტერესოა – ამ რუბრიკაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია შემეცნებით ტექსტებთან დაკავშირებით, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეთა განწყობის შექმნას და ინტერესის გაღრმავებას.

ზოგიერთი სავარჯიშო მოითხოვს, მოსწავლემ თავად მოიფიქროს შეკითხვა ამა თუ იმ ტექსტთან დაკავშირებით და დაუსვას თანაკლასელს.

ერთი ტექსტის ბოლოს სამი, ოთხი, ხუთი ან მეტი რუბრიკის სავარჯიშოები შეიძლება იყოს მოცემული. სავარჯიშოების ერთი ბლოკის ფარგლებში შესაძლებელია რუბრიკა მეორედებოდეს. მაგ.:

- ტექსტის შინაარსი
- დანერე
- იმსჯელე
- ტექსტის შინაარსი

ეს იმას ნიშნავს, რომ, ჩვენი რეკომენდაციით, მასწავლებელმა ამ თანამიმდევრობით უნდა შეასრულებინოს კლასს სავარჯიშოები.

მოსწავლის წიგნის სავარჯიშოებში ასევე მითითებულია, რომელია ჯგუფებში ან წყვილებში სამუშაო, რაც მასწავლებელს დაეხმარება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში (ამგვარი სავარჯიშოების მითითებაში ზმნები მრავლობით რიცხვში დგას).

თეორიული საკითხები

ყოველ თავში შეტანილია გარკვეული თეორიული მასალა. ოღონდ მიზანი ის კი არ არის, რომ ბავშვებს ეს თეორიული ტექსტები გავაზიარებინოთ, არამედ ის, რომ მოსწავლეს შეეძლოს, შექმნილი ცოდნა პრაქტიკულად გამოიყენოს.

მოსასმენი ტექსტები



წიგნის ზოგიერთ თავში **სპეციალური ნიშნით** გამოყოფილია ტექსტის სათაური. ეს ტექსტები მასწავლებლის წიგნს ერთვის ბოლოს. ისინი სასწავლო პროცესში რამდენიმე დანიშნულებით შეგვიძლია ჩავართოთ:

ა. **როგორც მოსასმენი ტექსტი:** მასწავლებელი უკითხავს ტექსტს, რომელიც მოსწავლის წიგნში არ წერია. შემდეგ უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას.

ბ. **როგორც უცხო ტექსტი:** მასწავლებელი აკეთებს ტექსტის ასლს და შეაქვს კლასში როგორც უცხო ტექსტი. მოსწავლეები კითხულობენ მას. შემდეგ კი პედაგოგი უსვამს შინაარსთან დაკავშირებულ შეკითხვებს, აძლევს დასახატს ან წერით დავალებას (ზოგჯერ ასეთი დავალებები თავად ტექსტებსაც ახლავს).

გ. **კარნახით წერა** სწორედ ამ ტექსტებით ივარჯიშებენ მოსწავლეები კარნახით წერაში.



ეკრანის ლოგოთი აღნიშნულია ნაწარმოებები, რომელზეც გადაღებულია ასაკისთვის შესაბამისი ფილმი ან მულტფილმი, ან საერთოა (ემთხვევა) პერსონაჟი და თემა (მაგალითად, „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და „ბემბი“) ან ფილმი ეხება თემას, რომელიც გაშლილია შესასწავლ თავში და ა.შ.

თუ მოსწავლის წიგნში ნაწარმოების სათაურთან მოცემულია მითითებული ნიშანი, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ავტორების რეკომენდაციით, მასწავლებელმა, სასურველია, მოიძიოს მითითებული ვიდეომასალა, მოკლე ინფორმაცია ფილმის გამოშვების წლის, რეჟისორის თუ სხვა მნიშვნელოვანი ამბებისა და პიროვნებების შესახებ და ამ ნაწარმოების შესწავლის შემდეგ აჩვენოს მოსწავლეებს კლასში. ჩვენება შეიძლება 2 საგაკვეთილო საათსაც გაგრძელდეს. ქვემოთ მოცემულია ვიდეომასალის დამუშავებისას საგაკვეთილო პროცესში დასმული შეკითხვებისა და განსახორციელებელი აქტივობების ნიმუშები:

- სად გაწყდა ფილმის ჩვენება? რა იყო პირველ ნაწყვეტში? იგულისხმება შინაარსი;
- ემთხვევა თუ არა ნაწარმოებისა და ეკრანიზაციის სათაური? და თუ არის განსხვავება, იმსჯელონ, რომელი ვერსია მოსწონთ და რატომ;
- ვიდეომასალაში (ფილმში, მულტფილმში...) რა არის მოცემული განსხვავებულად? დამატებულია ან აკლია პერსონაჟი თუ ამბავი; შეცვლილია ფინალი... აქვე გაიმართება მსჯელობა რეჟისორის ფანტაზიით შექმნილ მასალაზე;
- შესაძლებელია შეფასდეს კოსტიუმები და დაისვას კითხვები, რომელ პერსონაჟს რა ტიპის ტანსაცმელი უფრო მოუხდებოდა და რატომ;
- შეიქმნას ფილმის აფიშა;
- შეიქმნას ფილმის რეკლამა: მოსწავლეების ჩართულობით დაინეროს სცენარი რომელშიც ჩაერთვება ბავშვების მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული მუსიკა. მასწავლებელმა საბოლოო პროდუქტი ვიდეოზე აღბეჭდოს. ან: გაკეთდეს სარეკლამო პლაკატი ჩანახატებითა და სლოგანებით.
- დაიდგას კოსტიუმირებული სპექტაკლი ამ ნაწარმოების მიხედვით. სასურველია, ამ კოსტიუმების მხატვრები თავად მოსწავლეები იყვნენ. მაგალითად, ჩვეულებრივი ტანსაცმელი ქალაქის ელემენტებით იყოს შეფუთული.

მოსწავლის წიგნი – ქართული ენა

გრამატიკის სწავლება დავგეგმეთ სტანდარტის გათვალისწინებით.

მეექვსეკლასელთა სახელმძღვანელოს კურსი ენის სწავლების ნაწილში ეყრდნობა და აღრმავებს ამავე ავტორთა მიერ მე-5 კლასის სახელმძღვანელოში შეტანილ მასალას. როგორც წინა წლებში, ისე ამჯერადაც, დავგეგმილია ენისა და ლიტერატურის საკითხების კოორდინირებულად სწავლება; კერძოდ, ენის სწავლებისას თვალსაჩინო მაგალითებად გამოყენებულია ლიტერატურის საგაკვეთილო მასალა, ამავე ბაზის გამოყენებით არის შედგენილი სავარჯიშოდ გამიზნული დავალებებიც.

საკითხების ჩამონათვალი:

- | | |
|--|---|
| 1. სამეტყველო ბგერა (რას შეისწავლის ფონეტიკა); | 10. ზედსართავი სახელის წარმოქმნა; |
| 2. ფონეტიკური მოვლენები; | 11. რიცხვითი სახელები; |
| 3. რას შეისწავლის გრამატიკა (დარგები: მორფოლოგია და სინტაქსი); | 12. ნაცვალსახელი; |
| 4. სიტყვის შინაარსის შესწავლა (ლექსიკოლოგია); | 13. ზმნა; |
| 5. მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა; | 14. ზმნა და გრამატიკული პირები; |
| 6. სინონიმები; | 15. ზმნისწინი და სრული ან უსრული მოქმედება; |
| 7. მორფოლოგიის კურსი: არსებითი სახელი; | 16. შორისდებული; |
| 8. არსებითი სახელი და თანდებული; | 17. კავშირი; |
| 9. თანდებულების მართლწერა; | 18. ნაწილაკი. |

ქართული ენის სახელმძღვანელოში, ასევე, შეტანილია მოკლე ცნობები ქართველ ენათმეცნიერთა შესახებ; ესენი არიან: აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, გივი მაჭავარიანი, გურამ რამიშვილი.

ზოგადი რეკომენდაცია:

1. გაკვეთილის მსვლელობისას, დრო რომ დაზოგოთ, წინასწარ დაფაზე დაწერეთ სახელმძღვანელოს ლექსიკონის იმ გვერდების ნომრები, რომელზედაც მოცემულია სავარაუდოდ უცნობი (ვარსკვლავიანი) სიტყვების განმარტებები.

2. წინასწარ შეაფასეთ თქვენი კლასის მოსწავლეთა შესაძლებლობა და შესაბამისად გაანაწილეთ ერთიანად მოცემული გრამატიკული მასალისათვის დასათმობი დრო ერთსა თუ ორ გაკვეთილზე.

3. სახელმძღვანელოში გათვალისწინებულია ხოლმე წინა კლასებში შესწავლილი მასალის ცოდნა, მათი შეხსენება. თუ თქვენ არ ასწავლიდით ჩვენი წიგნებით, თქვენი საუბრით გააცანით მოსწავლეებს აღნიშნული ნაწარმოებები.

4. წინასწარ სთხოვეთ მშობლებს, შეძლებისდაგვარად მოუმარაგონ მოსწავლეებს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, ასევე – **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი** (ერთტომეული) და **ორთოგრაფიული ლექსიკონი**.

5. ამა თუ იმ საკითხზე (მაგალითად, თბილისზე, საბერძნეთზე ან რომელიმე მწერალსა თუ ისტორიულ პირზე) დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად ინტერნეტ-საძიებო სისტემაში ჩანერეთ შესაბამისი სიტყვა და აჩვენეთ მოსწავლეებს, როგორ უნდა მოიძიონ ინფორმაცია.

6. ტექსტზე მუშაობის დროს, წაკითხულის უკეთ გასააზრებლად, შეახსენეთ მოსწავლეებს, მეხსიერების ხარჯზე კი არ გასცენ მოცემულ შეკითხვებს პასუხი, არამედ ტექსტს მიუბრუნდნენ, იპოვონ ადგილი, რომლის შეხსენებაც მნიშვნელოვანია სწორი პასუხის გასაცემად.

როგორც მე-5, ისე მე-6 კლასში გრამატიკის კურსის თეორიული ნაწილი შედგენილია გასააზრებლად, შესამეცნებლად. უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ ე.წ. პრაქტიკული გრამატიკის ნაწილს და მოსწავლეთა შესაფასებლად სწორედ მას დავეყრდნოთ.

თითოეული რუბრიკის წინ მოცემულია მარტივი ლოგო (ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი ან ლუპა), რომელიც ვიზუალურად აფორმებს რუბრიკის სათაურს (გაიხსენე, დაიმახსოვრე, დააკვირდი, უპასუხე შეკითხვებს...).

მოსწავლის რეჟიმი

მოსწავლის რეჟიმში თავმოყრილია სავარჯიშოები, რომლებიც მოსწავლეებმა კონკრეტული გრამატიკული მასალის შესწავლის შემდეგ უნდა შეასრულონ. ეს სავარჯიშოები მასწავლებელს მათი ცოდნის შემოწმებაში დაეხმარება. ამ მიზნით საგანგებოდ მომზადდა სავარჯიშოები რუბრიკით – „რედაქტორის გვერდი“.

რეჟიმის მეორე ნაწილში მოცემულია რამდენიმე ტესტი შესწავლილი გრამატიკული მასალის განსამტკიცებლად.

მასწავლებლის ნიშნი

მასწავლებლის ნიშნი წარმოდგენილია სანიმუშო გაკვეთილები სამივე სფეროს მიხედვით: ენა, ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია. გარდა ამისა, თავმოყრილია ფასეული რეკომენდაციები სწავლების მეთოდოლოგიაში:

- წერის სტრატეგია – სქემა პერსონაჟის დახასიათებისათვის;
- რედაქტირება;
- თხზულების შეფასება;
- ბლუმის ტაქსონომია და კრიტიკული აზროვნება;
- მოსწავლეთა თვითშეფასება.

მასწავლებლის ნიშნი მოცემულია ასევე მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა და VI კლასის სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ამონარიდი „ეროვნული სასწავლო გეგმიდან“

მოსწავლის შეფასების სისტემა

მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და ამოცანები

1. მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.
2. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.
3. მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
 - ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
 - გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად;
 - დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
 - ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.
4. ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უზიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება

1. შეფასება შეიძლება იყოს: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.
2. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
3. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა

	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
მიზნები	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა.	მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონის დადგენა საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში.
ამოცანები	ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასება; წინარე ცოდნის/ნარმოდგენების დადგენა; მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარის შეფასება; მოსწავლის მიერ საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.	ცოდნათა ურთიერთდაკავშირების უნარის შეფასება; ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარის შეფასება; ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარის შეფასება.
წარმატების კრიტერიუმი	განხორციელებული წინსვლა წინარე შედეგებთან/წინარე დონესთან შედარებით.	მიღწევის დონე საგნობრივი სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შედარებით
შემფასებელი და შეფასების ფორმები	მასწავლებელი: ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი, წამახალისებელი მითითებები, სიმბოლური ნიშნები და ა.შ. მოსწავლეები: თვითშეფასებით; ურთიერთშეფასებით.	მასწავლებელი: ქულა (შეიძლება ახლდეს კომენტარი ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერით, ხარვეზების გამოსასწორებელი მითითებებით).

აკადემიური მიღწევის დონეები და შეფასების სისტემა

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით:

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე დაბალი
3	
2	დაბალი
1	

შეფასება დანყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე

1. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. ამ კლასებში წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

2. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

3. V-XII კლასებში სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა.

მოსწავლის შეფასების კომპონენტები

1. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი სამი კომპონენტის მიხედვით:

- ა) მიმდინარე საშინაო დავალება;
 - ბ) მიმდინარე საკლასო დავალება;
 - გ) შემაჯამებელი დავალება.
2. მასწავლებელს შეუძლია სემესტრის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში.
3. სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში:
- ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),
 - ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),
 - გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს ერთნაირი წონა აქვს.
5. I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
6. I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.
7. V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო და საშუალო საფეხურები
მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

8. შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დანერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დანერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშაოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

9. ეროვნული სასწავლო გეგმა V კლასის მეორე სემესტრის, VI კლასის და საბაზო-საშუალო საფეხურების თითოეული საგნისათვის განსაზღვრავს სემესტრის განმავლობაში ჩასატარებელი შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო მინიმალურ რაოდენობას.

10. მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება (ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი სავალდებულო მინიმუმი და სკოლის მიერ დამატებით დადგენილი, ამ უკანასკნელის არსებობის შემთხვევაში).

11. თუ მოსწავლე არ შეასრულებს რომელიმე შემაჯამებელ დავალებას გაცდენის გამო, სკოლა ვალდებულია, მისცეს მას გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის საშუალება. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და მისი ჩატარების ფორმა განისაზღვრება სასკოლო სასწავლო გეგმით.

12. თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, კათედრას წარუდგინოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი უნდა იყოს: შემაჯამებელი დავალების ნომერი, შემაჯამებელი დავალების პირობა, საგნის სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურება კონკრეტული შემაჯამებელი დავალება; კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდება ეს დავალებები; ასევე, მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული შემაჯამებელი დავალების რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული შემაჯამებელი დავალების ამსახველი ვიზუალური მასალა.

განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გამოიყენება განმსაზღვრელი შეფასების შემდეგი სახეობები:

- ა) საგნის მიმდინარე საკლასო, მიმდინარე საშინაო და შემაჯამებელი დავალებების ქულები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- ბ) საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში;
- გ) საგნის წლიური ქულა – სემესტრული ქულებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია. წლიურ ქულაში შეიძლება წლიური გამოცდის ქულაც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ქულაზე.

ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობაზე;
- ბ) მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
- გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სხვადასხვა კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ქულების რაოდენობისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე;

დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;

ე) 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.

2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი უნდა გაიყოს ორზე;

ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 7.25 მრგვალდება 7-მდე, 4.49 მრგვალდება 4-მდე, 9.5 მრგვალდება 10-მდე);

გ) თუ სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს წლიური გამოცდის ჩატარებას და განსაზღვრულია, რომ ამ გამოცდის ქულაც აისახება საგნის წლიურ ქულაზე, მაშინ საგნის წლიური ქულა სამი (ორი - საგნის სემესტრული და ერთი - გამოცდის) ქულის საშუალო არითმეტიკულია (დამრგვალებული მთელის სიზუსტით);

დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადასვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს 32-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი ქულა, ეს ქულა დაუფიქსირდება ნასწავლი საგნის წლიურ ქულად. ამასთან, მიმღებმა სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადასვლის გამო, მიმღებ სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ., თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

3. საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა წლიური ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე, 9.75 მრგვალდება 9.8-მდე).

განმავითარებელი შეფასება

ყველა მასწავლებელი აცნობიერებს კავშირს სწავლებასა და შემაჯამებელ ტესტირებას შორის. როგორც წესი, ეფექტურ სწავლებას მოსწავლეთა კარგი შედეგები მოსდევს შემაჯამებელ ტესტებში. თუმცა არ უნდა გამოვტოვოთ მნიშვნელოვანი ელემენტი – როგორ ამონხმებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოსწრებას არა მხოლოდ სასწავლო პროცესის ბოლოს, არამედ უშუალოდ სწავლის პროცესში. რაც უფრო ხშირად ამონხმებს მასწავლებელი სწავლას, მით უფრო ეფექტურია სწავლება.

განმავითარებელი შეფასების დანიშნულებაა მოსწავლის სწავლის მონიტორინგი და მუდმივი უკუკავშირი, რაც ეხმარება მასწავლებლებს სწავლების, ხოლო მოსწავლეებს – სწავლის გაუმჯობესებაში. განმავითარებელი შეფასება არის მოსწავლეების სწავლაზე მუდმივი დაკვირვების, აღრიცხვისა და ანალიზის პროცესი. მაგალითად, თუ მასწავლებელი შეამჩნევს, რომ რამდენიმე მოსწავლეს უჭირს გრძელი სიტყვების წაკითხვა ან პერსონაჟის ქცევების დახასიათება, მას შეუძლია შეცვალოს აქტივობები, დავალებები, სასწავლო რესურსები და ამგვარად დაეხმაროს მოსწავლეებს.

მოცემულ შემთხვევებში მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს სიტყვების სკივრი ან მოიტანოს

ცხოვრებისეული მაგალითები პერსონაჟის თვისებების გამოსაკვეთად. განმავითარებელი შეფასების შედეგები მასწავლებელს აჩვენებს, რამდენად ეფექტურად წარმართავს იგი სწავლების პროცესს და საჭიროა თუ არა მისი მხრიდან მიდგომების, სტრატეგიების, რესურსების შეცვლა.

განმავითარებელი შეფასება მოიცავს მიმდინარე შემონხმებას, დაკვირვებას, შეჯამებებსა და განხილვებს, რომლებიც მასწავლებელს საჭირო ინფორმაციას აწვდის სწავლების პროცესში და რომელთა საფუძველზეც მოსწავლეები რეგულარულად იღებენ კონსტრუქციულ უკუკავშირს.

განმავითარებელი შეფასება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს დიფერენცირებულ საკლასო ოთახშიც, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ სხედან განსხვავებული მზაობისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. რეგულარული განმავითარებელი შეფასების, ანუ ათვისების შემონხმების გარეშე მასწავლებელი ვერ გაიგებს, თუ რა საჭიროება თითოეულ მოსწავლეს სტანდარტებით გათვალისწინებული წარმატების მისაღწევად.

როგორც წესი, მასწავლებლები უფრო აქტიურად იყენებენ საკონტროლო და შემაჯამებელ შეფასებას იმის დასადგენად, თუ რა ოდენობის მასალა აითვისეს მოსწავლეებმა დროის გარკვეულ მომენტამდე. ნასწავლის შეფასების ასეთი ფორმის გამოყენებით ვრწმუნდებით, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ სასწავლო მიზნებს სახელმძღვანელოს ერთი თავის გავლის ან დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ. ნასწავლის განმსაზღვრელი შეფასება მნიშვნელოვანია ანგარიშების მიზნით, ოღონდ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს განმავითარებელ შეფასებაზეც, რომელიც აუმჯობესებს მოსწავლეთა სწავლას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მიუხედავად განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვანი როლისა, სულაც არაა საჭირო მისთვის ზედმეტი დროის დათმობა. მნიშვნელოვანია, რომ პროექტებისა და თხზულებების გარდა არსებობს განმავითარებელი შეფასების ბევრი ინსტრუმენტი, რომლებიც სწრაფად და იოლად გამოიყენება ყოველდღიურ პრაქტიკაში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება?

1. განმავითარებელი შეფასება აძლიერებს მოსწავლის რეფლექსიას სწავლის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. ამით ის ხელს უწყობს მოსწავლეთა გააქტიურებასა და თვითმონიტორინგს.

2. განმავითარებელი შეფასებისას მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების პროცესები უფრო თვალსაჩინო ხდება როგორც თვით მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლისათვის. ეს ეხმარება მასწავლებელს ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში.

3. განმავითარებელი შეფასება მოსწავლეებს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რას სწავლობენ და რამდენად კარგად ეუფლებიან ცოდნას.

4. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება იმის განსაზღვრაში, თუ რამდენად მზადაა ბავშვი, რომ ცოდნა და უნარები ახალ სიტუაციებში გამოიყენოს.

5. განმავითარებელი შეფასება გვეხმარება სწავლების დიფერენცირებაში, ჯგუფების სწორად დაკომპლექტებაში და მოსწავლეებისთვის ადეკვატური დავალებების შერჩევაში.

6. მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს ჩატარებული გაკვეთილის ეფექტურობა.

7. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას.

8. განმავითარებელი შეფასება ეხმარება სასწავლო პროცესის მონაწილეებს კონსტრუქციული უკუკავშირის გაცემასა და გამოყენებაში (მასწავლებელი-მოსწავლე, მოსწავლე-მოსწავლე, მოსწავლე-მასწავლებელი).

9. განმავითარებელი შეფასების მეშვეობით მასწავლებელი ლეზულობს ინფორმაციას და გა-

11. განმავითარებელი შეფასება კომფორტს უქმნის და თავდაჯერებას მატებს მოსწავლეს მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისას.

კვირის განმავლობაში მრავალფეროვანი განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელი მიიღებს რეალურ სურათს იმის შესახებ, თუ რა აქვთ ათვისებული და კიდევ რის ათვისება სჭირდებათ მოსწავლეებს საბოლოო მიზნის მისაღწევად. ყოველდღიურად, სულ მცირე, თითო ტიპის განმავითარებელი შეფასების გამოყენებით მასწავლებელს ეძლევა საშუალება, შეაფასოს სწავლის პროცესი და მიიღოს პასუხი საკვანძო კითხვებზე: როგორ ვითარდება თითოეული მოსწავლის ცოდნა და უნარები? რით შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს ამა თუ იმ დავალების შესრულებასა თუ უნარის განაფვაში?

ეფექტურ საკლასო ოთახში განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. კარგი მასწავლებლები:

- მუდმივად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, როგორც ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს;
- შეაქვთ ადეკვატური ცვლილება-დამატებები სწავლების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;

- სწრაფად რეაგირებენ ცალკეულ მოსწავლეთა შეფერხებებზე და სთავაზობენ მათ ადეკვატურ დახმარებას (სკაფოლდინგი); აძლევენ ამ მოსწავლეებს ხელახლა მოინჯვისა და წარმატების მიღწევის შანსს;

- ადეკვატურ აქტივობებში ჩართვითა და სათანადო სირთულის დავალებების მიცემით შემდგომი განვითარების შესაძლებლობას აძლევენ წარმატებულ მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მიერ საკითხის/უნარის ათვისების გადამოწმების შემდეგ მასწავლებელი სვამს ისეთ შეკითხვებს, როგორებიცაა:

- ვის სჭირდება ახლა ჩემი ყურადღება?
- რომელი მოსწავლეები საჭიროებენ სწავლების სხვაგვარ მიდგომებს?
- რომელი მოსწავლეები ვერ ახერხებენ ახალი ცოდნის დაუფლებას?
- რა შემიძლია გავაკეთო იმისთვის, რომ თითოეულმა მოსწავლემ გადადგას ნაბიჯი ახალი უნარების გამოყენების მიმართულებით?

სწავლისა და ათვისების შემოწმება მოითხოვს მასწავლებლის დიდ ძალისხმევასა და ერთგულებას. მასწავლებელმა უნდა გაისივრდებოდეს, რომ მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული საჭიროებები, რომლებსაც უნდა მოვარგოთ სწავლების მეთოდები და ტემპი. ზოგიერთი მოსწავლე მყისიერად იგებს ახალ საკითხს და ამიტომ შედარებით რთული დავალებები სჭირდება განვითარებისთვის. ზოგიერთი მოსწავლისთვის კი განმეორებითი სწავლება და ნაბიჯ-ნაბიჯ დახმარებაა აუცილებელი.

ეფექტური აქტივობები და ინსტრუმენტები განმავითარებელი შეფასებისთვის არსებობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტთა ვრცელი ნაირსახეობა. ეს ინსტრუმენტები (შემაჯამებელი შეკითხვები – დროგამოშვებით მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს წერილობით დავალებას და სთხოვს, ფურცლის/ბარათის ერთ მხარეს დაწერონ დამუშავებული ტექსტის მთავარი აზრი მაქსიმუმ სამი წინადადებით;

ფურცლის მეორე მხარეს კი დასვან შეკითხვა ტექსტის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც კარგად ვერ გაიგეს; 12-სიტყვიანი რეზიუმე (შეჯამება) – გაკვეთილის დასრულებისას მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაწერონ რეზიუმე (შეჯამება), რომლისთვისაც მხოლოდ 12 სიტყვას გამოიყენებენ. ეს ეხმარება მასწავლებელს იმის დადგენაში, თუ რამდენად აითვისეს მოსწავლეებმა გაკვეთილის მასალა და მისი ძირითადი კომპონენტები. სიტყვების რაოდენობის შეზღუდვა აიძულებს მოსწავლეებს, ყველაზე მნიშვნელოვან აზრებს მოუყარონ თავი. შესაძლებელია სიტყვების ნაცვლად წინადადებების რაოდენობის შეზღუდვაც (მაგალითად, დაწერონ რეზიუმე ორი ან სამი წინადადებით); ერთნუთიანი ესეი – სწრაფი წერილობითი რეაგირება კონკრეტულ შეკითხვაზე; ცნების/გონებრივი რუკა – მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შეავსონ სხვადასხვა ვიზუალური სქემა/გრაფიკული ორგანიზატორი. შევსებული სქემების/ფორმების გადამონმებით მასწავლებელი დაადგენს, თუ როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა კავშირები და მიმართებები ცნებებს, მოვლენებს, იდეებს შორის. და ა.შ.) გვეხმარება, სწრაფად გადავამოწმოთ მიმდინარე სასწავლო სიტუაციის ეფექტურობა. მათი გამოყენებით შეგვიძლია სწრაფად გავიგოთ, თუ როგორ მოგვეყვებიან მოსწავლეები, რას ითვისებენ და რაში სჭირდებათ დამატებითი დახმარება.

კონსტრუქციული უკუკავშირი

უკუკავშირი არის რეაგირება იმაზე, თუ როგორ ასრულებს მოსწავლე ამა თუ იმ დავალებას და როგორ იყენებს ცოდნას/უნარებს მისი შესრულების დროს. როგორც წესი, უკუკავშირს ზეპირი ან წერილობითი კომენტარის სახე აქვს და მოიცავს შეფასებას, ნახალისებას და რჩევებს. უკუკავშირი სწავლის შეფასების არსებითი ნაწილია. სწავლის შეფასება განსხვავდება ნასწავლის შეფასებისგან. მისი საშუალებით შეგროვებული ინფორმაცია კონკრეტული მიზნით გამოიყენება – დავეხმაროთ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში უშუალოდ სწავლის პროცესში, ანუ მანამდე, სანამ შემაჯამებელ შეფასებამდე მივალთ. როგორ ზემოქმედებს უკუკავშირი მოსწავლეთა სწავლის მოტივაციასა და შედეგებზე? მრავალი კვლევა ადასტურებს უკუკავშირის დიდ გავლენას მოსწრებაზე. აღმოჩნდა, რომ გავლენა შეიძლება იყოს დადებითიც იყოს და უარყოფითიც. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: უკუკავშირის ტიპზე, მიწოდების დროსა და ფორმაზე. ამას გარდა, უკუკავშირის სტრუქტურა, ფოკუსი და მოცულობაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის ეფექტურობას. უკუკავშირის ზოგიერთი ტიპი, მაგალითად, უხეში ნეგატიური შეფასება, სხვა მოსწავლეებთან შედარება, საჯაროდ გაკრიტიკება კლასის წინაშე, გამოკვეთილად უარყოფით ზეგავლენას ახდენს სწავლასა და მოტივაციაზე. ასეთი უკუკავშირი შთააგონებს მოსწავლეებს, რომ ისინი არასაკმარისად უნარიანები არიან, რაც ამცირებს მათ სწრაფვას წარმატებისკენ. ეფექტური უკუკავშირი აუცილებლად შეიცავს პასუხს სამ შეკითხვაზე:

1. რა გაკეთდა კარგად?

კომპლიმენტი და შექება აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლემ: • უმტკივნეულოდ მიიღოს კრიტიკული შენიშვნები და დაინყოს ფიქრი გასაუმჯობესებელ მხარეებზე; • გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და აქტიურად გამოყენოს ისინი მომავალში; • თავდაჯერებულად და მოტივირებულად გააგრძელოს სწავლა. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი შეიცავდეს ერთზე მეტ კომპლიმენტს სამუშაოს შესრულების სრულიად კონკრეტული ასპექტების შესახებ. უნდა მოვერიდოთ დაუმსახურებელ ქებას.

2. რა საჭიროებს გაუმჯობესებას?

ზოგჯერ აუცილებელია სამუშაოს შესრულების ნეგატიურ ასპექტებზე კონცენტრირება, რათა მოსწავლემ: • ყურადღება გაამახვილოს გასაუმჯობესებელ მხარეებზე და გააანალიზოს ისინი; • შეგნებულად აარიდოს თავი ხარვეზების გამეორებას მომავალში. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულად აღწერდეს იმას, თუ რის გაუმჯობესებას მოელიან მოსწავლისგან. ზოგჯერ მეტად სასარგებლოა რეფლექსიური შეკითხვის დასმა, რათა მოსწავლემ თავად გამოთქვას გასაუმჯობესებელი მხარეები. უნდა მოვერიდოთ პიროვნების გაკრიტიკებას, მკაცრ ტონს და ისეთ ასპექტებზე საუბარს, რომელთა ფაქტობრივი დასაბუთებაც გაგვიძნელებდა.

3. როგორ უნდა გაუმჯობესდეს ?

ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეს აწვდის დეტალურ და კონკრეტულ ინფორმაციას სწავლის გაუმჯობესების გზების შესახებ. მოსწავლემ აუცილებლად უნდა მიიღოს მკაფიო მითითებები და რჩევები გაუმჯობესებისთვის საჭირო შემდგომი მოქმედებების შესახებ, რათა მან: • აიღოს პასუხისმგებლობა გაუმჯობესებაზე; • გადადგას პრაქტიკული, თანმიმდევრული ნაბიჯები სამუშაოს უკეთ შესასრულებლად და სასწავლო მიზნის მისაღწევად; • გაუძლიერდეს თვითრწმენა და სამუშაოს უკეთ შესრულების მოლოდინი. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონკრეტულ (არაბუნდოვან და არააბსტრაქტულ) ინფორმაციას იძლეოდეს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს მოსწავლემ უკუკავშირის მიღების შემდეგ. კვლევა და პრაქტიკა გვეუბნება, რომ უკუკავშირს კონსტრუქციული ეფექტი აქვს, როდესაც ის: – მიზმი და ფოკუსირებულია დასახულ სასწავლო მიზნებზე/ამოცანებზე. მოსწავლისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რის ცოდნას და რომელ უნარს ეხება უკუკავშირი; - არის კონკრეტული. არ არის ზოგადი და ფრაგმენტული. ფოკუსირებულია სწავლის ერთ ან ორ პრაქტიკულ ასპექტზე. შეიცავს დეტალებსა და ინფორმაციას კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შესახებ; - იძლევა სასარგებლო, პრაქტიკულ ინფორმაციას ამა თუ იმ უნარის განაფვისათვის ან სტრატეგიის გამოყენებისათვის, ასევე, რჩევებს კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. რეკომენდაციების განხორციელება შესაძლებელია დროის განსაზღვრულ პერიოდში; – არის ობიექტური, ეყრდნობა ფაქტობრივ ინფორმაციას და გამყარებულია კონკრეტული მაგალითებით. აღწერილი ტიპისაა და არ ეხება მოსწავლის პიროვნულ მახასიათებლებს; – ფორმულირებულია მკაფიოდ, გასაგებად და მეგობრული ტონით. არ შეიცავს უხეშ კრიტიკას და ბუნდოვან, ზოგად მითითებებს. არ არის ზედმეტად ვრცელი; – არის დროული. მიენოდება სამუშაოს/დავალების შესრულების პროცესში, სამუშაოს დასრულებისთანავე ან დასრულებიდან არცთუ დიდი დროის გასვლის შემდეგ. მომდევნო შანსი მოსწავლეს ნუთებისა და საათების შემდეგ მიეცემა და არა – კვირებისა და თვეების შემდეგ; - არის მიმდინარე და უწყვეტი. მიენოდება ხშირად და რეგულარულად. მნიშვნელოვანია, რომ უკუკავშირი კონსტრუქციულად დაიწყოს. ქვემოთ მოყვანილია უკუკავშირის ტექსტის გახსნითი ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ მოსწავლის საჭიროებებსა და კონკრეტულ სასწავლო მიზნებზე ორიენტირებული უკუკავშირის ჩამოსაყალიბებლად: • ეს კარგი ნაშრომია, რადგან • შენი ნააზრევებიდან გამოჩნდა, რომ • შენ მართლაც კარგად გააკეთე ორი რამ: და • სასურველია, რომ ამის შემდეგი ნაბიჯი იყოს • იქნებ გეცადა • საკითხის ახსნისას შენ • კიდევ ერთი რამ, რაც უნდა გააუმჯობესო, არის • შენ გჭირდება უფრო მეტი ძალისხმევა, რათა • შენ ნაკლებად გჭირდება • შეეცადე, მეტი ყურადღება დაუთმო • გაიხსენე, როგორ ვაკეთებთ • შემდეგ ჯერზე გამოიყენე სასწავლო მიზნების მისაღწევად მოსწავლეებს სჭირდებათ უწყვეტი უკუკავშირი. უკუკავშირი ეხმარება მოსწავლეებს, რომ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალებები აღიქვან, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობა და არა მათი გაკრიტიკების საშუალება. ხშირი, ეფექტური უკუკავშირი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა წარმატებას მიაღწიეს და, ამასთანავე, როგორ მიაღწიონ უკეთეს შედეგს მომავალში. მთავარია, რომ უკუკავშირის მიღების შედეგად მოსწავლემ გააცნობიეროს არსებული მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგას სასწავლო მიზნის მისაღწევად.

გამოყენებული წყარო:

<http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-resurswignebi-maswavleblebistvis.php>

7. მოსწავლეთა შეფასების (ნიშნების წერის) სისტემა

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეფასების სისტემა არის ოთხდონიანი და ათქულიანი. 10 საუკეთესო ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს საკუთარი პროგრესი თუ რეგრესი.

ქულა	მიღწევის დონე
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე
7	მაღალი
6	საშუალო
5	
4	საშუალოზე
3	დაბალი
2	დაბალი
1	

I-IV კლასებში და V კლასის I სემესტრში მოსწავლეთა შეფასება ნიშნებით არ ხდება. ამ კლასებში სემესტრის ბოლოსა და წლის ბოლოს კლასის დამრიგებელმა საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დანეროს მოკლე შემაჯამებელი წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება გავარჯიშება მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად.

V კლასის II სემესტრსა და VI-XII კლასებში ნიშნები იწერება 10-ქულიანი სისტემით.

ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- **საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ნიშნები** – საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- **საგნის სემესტრული ნიშანი** – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ. ქვემოთ);
- **საგნის წლიური ნიშანი** – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. წლიურ ნიშანში შეიძლება წლიური გამოცდის ნიშანიც აისახოს, თუ ასეთი გამოცდა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით და სკოლის მიერ განსაზღვრულია, რომ მას გავლენა ექნება საგნის წლიურ ნიშანზე;
- **საერთო წლიური ნიშანი** – საგნების წლიური ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება;
- **საფეხურის საერთო ნიშანი** – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დანწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

საბნის სამესტრული ნიშნის შემაჯანებელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან ორი კომპონენტის მიხედვით – საკლასო სამუშაო და შემაჯამებელი დავალება. ორივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს.

საშინაო და საკლასო დავალებათა კომპონენტები

საკლასო დავალებების კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება. საშინაო დავალების კომპონენტებში დაწყებით საფეხურზე გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ნიშანი.

განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინაა მიზანშეწონილი, როდესაც მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შექმნის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ განმავითარებელი შეფასების შემთხვევაში, მოსწავლე ფასდება საკუთარ თავთან, საკუთარ მიღწევებთან და არა – ყველასათვის საერთო ნორმასთან მიმართებით, რათა მან დაინახოს საკუთარი წინსვლა და ირწმუნოს, რომ შეუძლია სიძნელეთა ეტაპობრივად გადალახვა.

განმავითარებელი შეფასებისას, უპირატესად, გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცლები, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემები, ცოდნის ათვისების ან უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები, (სასურველია, სამი ან ოთხი; მაგალითად: 3 დონე – ათვისებულია, ათვისებულია ნაწილობრივ, აუთვისებელია; 4 დონე – ფლობს სრულყოფილად, ფლობს უმეტესწილად, ფლობს ნაწილობრივ, ვერ ფლობს); ათვისების თუ ფლობის დონეებით შედგენილი შეფასების ან თვითშეფასების სქემები მასწავლებელსა და მოსწავლესაც საშუალებას აძლევს, დინამიკაში დაინახოს კონკრეტული ცოდნის და უნარის ათვისების პროცესი.

შეფასება	განმავითარებელი	განმსაზღვრელი
რა მიზანს ემსახურება?	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის ხარისხის გაუმჯობესება • მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის ხარისხის გაკონტროლება • მოსწავლის მიღწევის დონის დადგენა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით
რა ფასდება?	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის პროცესი 	<ul style="list-style-type: none"> • სწავლის შედეგი
შედეგად რა ტიპის განწყვეტილებას ვიღებთ?	<ul style="list-style-type: none"> • წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ. 	<ul style="list-style-type: none"> • აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრა • მომდევნო ეტაპზე (კლასში/საფეხურზე) დაშვება/არდაშვება
როგორ განისაზღვრება წარმატების კრიტერიუმი?	<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს) 	<ul style="list-style-type: none"> • იმის საფუძველზე, რამდენად მიაღწია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს (ყველასთვის საერთო სტანდარტით დადგენილ ნორმასთან მიმართებით)
როგორი საშუალებები გამოიყენება?	<ul style="list-style-type: none"> • თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა • კითხვარი • სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი • უნარის განვითარების ეტაპების გამომხატველი დონეები 	<ul style="list-style-type: none"> • ნიშანი

გამავითარებელი შეფასების პროცესში მასწავლებელთან ერთად ჩართულები არიან მოსწავლეებიც. ისინიც ცდილობენ, მასწავლებლის დახმარებით დაადგინონ საკუთარი მოთხოვნილებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, შემაფერხებელი ფაქტორები. ამ პროცესებში ჩართვა აყალიბებს მათში თვითშეფასებისა და თვითგანვითარების უნარ-ჩვევებს, ზრდის მათ ქმედუნარიანობასაც და პასუხის-მგებლობასაც.

ქვემოთ შემოთავაზებულია თვითშეფასების კონკრეტული ინსტრუმენტის ნიმუში, რომელიც, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს პროექტის განხორციელებისას. მოსწავლეს შეუძლია იმდენჯერ შეავსოს ასეთი ტიპის ბარათი, რამდენი აქტივობაც ექნება მას შესასრულებელი პროექტის მსვლელობისას.

ამ ბარათების ნაკრები წარმოადგენს ე.წ. „პროექტის დღიურს“.

<p>სასწავლო წელი -----</p> <p>თვითშეფასების ბარათი N</p> <p>მოსწავლის სახელი: _____ კლასი _____</p> <p>პროექტის დასახელება: _____</p> <p>დავალების/აქტივობის ხელმძღვანელ(ებ)ი: _____</p> <p>დავალება შევასრულე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინდივიდუალურად • ჯგუფთან ერთად • ჯგუფის წევრები: _____ <p>აღვწერ აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისთვის უნდა მიმეღწია:</p> <p>აქტივობა/დასახელება: _____</p> <p>მიზანი: _____</p> <p>ჩემი აზრით, მიზანს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მივაღწიე • ნაწილობრივ მივაღწიე • ვერ მივაღწიე <p>• თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა</p> <p>• ნავაწყდი სიძნელებს: _____</p> <p>• სიძნელები ვერ გადავლახე.</p> <p>• გადავლახე შემდეგნაირად:</p> <p>_____</p> <p>_____</p> <p>_____</p>

ნიშნების გამოანგარიშების წესი

საგნის სემესტრული ნიშნის გამოანგარიშების წესი:

მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში ორივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნების რაოდენობაზე. მიღებული ქულა უნდა დამრგვალდეს მთელის სიზუსტით (მაგალითად, 6.4 მრგვალდება 6 მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე).

იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ნიშნის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს მიღებული ნიშნებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.

მაგალითი:

1. კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარდა 4 შემაჯამებელი დავალება;
2. ერთ-ერთმა მოსწავლემ მხოლოდ 2 შემაჯამებელი დავალება შეასრულა;
3. მოსწავლემ სემესტრის განმავლობაში მიიღო 7 ნიშანი (8, 10, 8, 9, 8, 10, 7), აქედან ორი შემაჯამებელ, დანარჩენი კი – საკლასო დავალებებში;
4. რამდენადაც მოსწავლემ არ შეასრულა 2 შემაჯამებელი დავალება, მისი ნიშნების ჯამი უნდა გაიყოს არა 7-ზე (ანუ, არა მის მიერ მიღებული ნიშნების რაოდენობაზე), არამედ 9-ზე, (ანუ მიღებული ნიშნების რაოდენობას დამატებული შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა);
5. მოსწავლის სემესტრული ნიშანი იქნება: $8 + 10 + 8 + 9 + 8 + 10 + 7 = 60 : 9 = 6, 7 = 7$

	კომპონენტები	მიღებული ნიშნები	ნიშნების რაოდენობა
სემესტრული ნიშანი	საკლასო	8, 10, 8, 9, 8	5
	4 შემაჯამებელი	10	2 შესრულებული +2 შეუსრულებელი შემაჯამებელი; სულ 4
		–	
		–	
		7	
	ჯამი	60 ქულა	9 ნიშანი
	სემესტრული ნიშნის გამოთვლა	$60 : 9 = 6$ $7=7$	

შეფასებისა და სასწავლო გეგმების ცენტრის მასალებიდან

ძირითადი საკითხები:

- მოსწავლეთა თვითშეფასების გაუმჯობესება;
- მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე;
- თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები.

შესავალი

საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენა სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენით ბავშვს ადრეულ ასაკშივე უჩნდება, თუმცა მისი ჩამოყალიბების პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად სკოლის ასაკში მიმდინარეობს. სკოლაში სწავლის პერიოდში საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას თანატოლები და მასწავლებლები ახდენენ; ამიტომ მათ მიერ გაკეთებულ კომენტარებს მოსწავლეები, ჩვეულებრივ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მოსწავლის თვითშეფასება არსებით გავლენას ახდენს საკუთარი თავის მიმართ რწმენის ჩამოყალიბებაზე და, ხშირ შემთხვევაში, სასწავლო შედეგების გაუმჯობესებაზეც მოქმედებს. მოსწავლის მიერ საკუთარი თავის აღქმა და თვითშეფასება არა მხოლოდ სასკოლო კონტექსტში, არამედ იმ პრობლემების გადაჭრის თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ, რომლებიც ბავშვებს ყოველდღიურად შეიძლება შეექმნათ. დაბალ თვითშეფასებას არასასურველი გავლენა აქვს მოსწავლის აკადემიურ მიღწევებსა და, ზოგადად, მის წარმატებაზე ცხოვრებაში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლისა და სკოლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ თავში ჩვენ ვისაუბრებთ თვითშეფასების მნიშვნელობაზე მოსწავლის ცხოვრებაში; განვიხილავთ, რა გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასება და საკუთარი თავის აღქმა მის აკადემიურ მოსწრებაზე და როგორ შეუძლიათ სკოლასა და მასწავლებელს, რომ მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაში დაეხმარონ.

მკვლევრები განასხვავებენ **თვითშეფასებას**, **თვითპატივისცემას** და **საკუთარი თავის აღქმას**. **თვითშეფასების ცნება**, ძირითადად, გამოიყენება ადამიანის საკუთარი თავის შეფასებაზე საუბრისას და, შეიძლება განიმარტოს, როგორც ადამიანის წარმოდგენა საკუთარი მნიშვნელობის შესახებ, რომელიც საკუთარ თავთან დამოკიდებულებაში გამოიხატება (კუპერსმიტი, 1967). ჩვენ ვაფასებთ, რამდენად კარგად ვაკეთებთ რაიმეს იმით, რომ საკუთარ შესრულებულ სამუშაოს სხვისას ვადარებთ. ამ შედარების საფუძველზე ყალიბდება **თვითპატივისცემა** (ნოზიკი, 1974). საკუთარი თავის აღქმა ნიშნავს ადამიანის შეხედულებას საკუთარ თავზე, რომელიც მას უყალიბდება გარემოსთან და მეგობრებთან ურთიერთობის პროცესში. მაგალითად, პროფესიონალი ფეხბურთელისათვის საკუთარი თავის აღქმა ფიზიკური უნარიანობის კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა საკუთარი თავის აღქმა, შესაძლოა, აკადემიური კუთხით მისთვის ნაკლებად არსებითი იყოს. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, **საკუთარი თავის შეფასება მრავალგანზომილებიანია** (მარში და სხვები, 1983). მრავალგანზომილებიანობა ნიშნავს, რომ ადამიანი, შესაძლოა, განსხვავებულად აღიქვამდეს თავს თავისი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. მაგალითად: მოსწავლე ხვდება, რომ კარგად სწავლობს ქართულ ენას ან რომელიმე უცხო ენას, მაგრამ იმავე წარმატებით არ გამოსდის მათემატიკა; ასევე, შეიძლება, მას კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი გააჩნდეს, მაგრამ არცთუ ისე წარმატებული იყოს სპორტში.

გამოცდილება აჩვენებს, რომ ადამიანები თვითშეფასების ფორმირებისას, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი თავის აღქმის იმ ასპექტს, რომელშიც მათ საკუთარ თავთან დადებითი დამოკიდებულება აქვთ. ხშირად მოსწავლეები, რომელთა აკადემიური მიღწევები არცთუ ისე კარგია, ამცირებენ კარგად სწავლის მნიშვნელობას თვითშეფასებისას და საკომპენსაციოდ ცდილობენ სხვადასხვა სტრატეგიის ამუშავებას (მაგალითად, ისინი იწყებენ მუსიკის სფეროში გარკვევას, ან ამბობენ, რომ „ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორ სწავლობ სკოლაში“).

არის თუ არა თვითშეფასება დამოკიდებული მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე?

კვლევებით დასტურდება, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი. თუმცა ეს კავშირი ყოველთვის მიზეზ-შედეგობრივი არ არის. ცნობილია, რომ წარუმატებელ მოსწავლეს მის წარმატებულ თანაკლასელთან შედარებით ბევრად დაბალი თვითშეფასება გააჩნია.

აღსანიშნავია, რომ თვითშეფასებასა და აკადემიურ მიღწევებს შორის კავშირი მოსწავლის ასაკთან ერთად იცვლება. ეს კავშირი ყველაზე სუსტია დაწყებით კლასებში და იზრდება ასაკის მატებათან ერთად. თუმცა სტუდენტების შემთხვევაში კვლავ იკლებს. ზოგადად, მოსწავლეების თვითშეფასება საგრძნობლად მაღალია დაწყებით კლასებში. დროთა განმავლობაში ეს შეხედულება იცვლება, ვინაიდან მოსწავლეებს უვითარდებათ უნარი, კრიტიკულად შეხედონ საკუთარ თავს, მიიღონ უკუკავშირი და მოახდინონ მისი ინტეგრირება თვითშეფასებაში.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ხარისხი განსხვავებულია გოგონებისა და ბიჭების შემთხვევაში. კვლევები ცხადყოფს, რომ გოგონებს უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ თანატოლებთან ურთიერთობის კუთხით, ბიჭებს კი გოგონებთან შედარებით გაცილებით მაღალი თვითშეფასება აქვთ ფიზიკური უნარების თვალსაზრისით (მარში და სხვები, 1983). დაწყებითი კლასების შემდგომ ეტაპზე ბიჭებს უფრო მაღალი თვითშეფასება უყალიბდებათ მათემატიკაში, ხოლო გოგონებს – ჰუმანიტარულ საგნებში. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სიტუაციაა მრავალ ქვეყანაში და, მიუხედავად იმისა, სჯობნიან თუ არა ბიჭები გოგონებს მათემატიკაში, მათ მაინც უყალიბდებათ შედარებით მაღალი თვითშეფასება ამ საგანში (ქლოერი და დალტონი, 2001). აღმოჩნდა, რომ ბიჭებს, გოგონებთან შედარებით, უფრო მაღალი თვითშეფასება ჰქონდათ მათემატიკაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი ნიშნები ამ საგანში პრაქტიკულად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან (მუისი, 1997). ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ თვითშეფასებაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში არსებული მყარი შეხედულებები იმის შესახებ, თუ რომელი სქესის წარმომადგენელს რომელი საგნის შესწავლა შეუძლია უკეთ.

საინტერესოა, ასევე, ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა თვითშეფასება ფარდობითია, რაც ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ აკადემიურ მიღწევებს რაიმე აბსოლუტურ სტანდარტს კი არ ადარებენ, არამედ იმ მოსწავლეებისას, რომლებთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვთ სკოლაში. სწორედ ამის მიხედვით უყალიბდებათ მათ თვითშეფასება. ეს ნიშნავს, რომ შედარებით დაბალი მოსწავლების მქონე მოსწავლეს, რომელიც გარშემორტყმულია უფრო დაბალი მოსწავლების მქონე მოსწავლეებით, უფრო მაღალი თვითშეფასება ექნება, ვიდრე საშუალო მოსწავლების მქონე მოსწავლეს, რომელიც მასზე მაღალი მოსწავლების მქონე მოსწავლეებთან ერთად სწავლობს.

მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესება

ცნობილია, რომ მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესებამ, შეიძლება, დადებითი გავლენა იქონიოს მათ აკადემიურ მიღწევებზე. არ არის გამორიცხული, დაბალი თვითშეფასება, ასევე, ფსიქოლოგიურ პრობლემებთანაც იყოს დაკავშირებული; შესაბამისად, თვითშეფასების გაუმჯობესებას ბევრი დადებითი შედეგი მოჰყვება.

სასკოლო გარემოში მოსწავლეების თვითშეფასების გაუმჯობესების სხვადასხვა გზა არსებობს. ძირითადი საშუალებაა თბილი, მეგობრული და ამავდროულად, დისციპლინირებული გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები ნათლად იქნება გამიჯნული ერთმანეთისაგან და ყველასათვის მისაღები ქცევის წესები იარსებებს.

თვითშეფასების გაუმჯობესებისათვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მიმართ არსებობდეს პოზიტიური მოლოდინი. თუ მოსწავლე გრძნობს, რომ მასწავლებელი მისგან ბევრს არაფერს ელის, მისი აკადემიური თვითშეფასება კონკრეტულ საგანში მცირდება, რაც, თავის მხრივ, აკადემიური მიღწევების გაუარესებას იწვევს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომელთა გათვალისწინება მასწავლებელს დაეხმარება, ხელი შეუწყოს მოსწავლეებს ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებაში:


- მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ საჯაროდ ნუ ისაუბრებთ;
- საშუალება მიეცით მოსწავლეებს, გამოასწორონ ნიშნები და ხელახლა შეასრულონ დავ-

- ალბა, თუ ამის სურვილი აქვთ (და თუ ამის შესაძლებლობას სასწავლო გეგმა იძლევა);
- ნუ დააჯგუფებთ მოსწავლეებს უნარების მიხედვით და მათ განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ნუ გაუსვამთ ხაზს;
- დავალებების შერჩევას მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები;
- ხაზი გაუსვით მოსწავლეთა შორის თანამშრომლობისა და არა კონკურენციის მნიშვნელობას.

მასწავლებლის უკუკავშირის გავლენა თვითშეფასებაზე

საჭიროა, მასწავლებელი ყურადღებით აკონტროლებდეს ყველა გზავნილს, რომლებსაც მოსწავლეები მისგან იღებენ. ვერბალური და არავერბალური მინიშნებების საფუძველზე მოსწავლემ, შესაძლოა, დაასკვნას, რომ მასწავლებელი არ აფასებს მის მოსაზრებას. მასწავლებელმა, ასევე, კარგად უნდა იცოდეს, რომ ხშირ შემთხვევაში უარყოფითი უკუკავშირის მიწოდება შედარებით დადებითი ფორმითაც არის შესაძლებელი. მასწავლებლის მხრიდან ადეკვატური შექება, აღიარება და ნახალისება მოსწავლეს დადებითი თვითშეფასების ფორმირებაში ეხმარება.

უარყოფითი უკუკავშირი განსაკუთრებით ამახსოვრდება მოსწავლეს, რაც იწვევს საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური წარმოდგენების ფორმირებას. როდესაც მასწავლებელი დიდი ხნის განმავლობაში უარყოფით უკუკავშირს აძლევს მოსწავლეს, ეს მოსწავლეზე მტკივნეულად მოქმედებს. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს ისედაც დაბალი თვითშეფასება აქვს.



კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის აკადემიურ თვითშეფასებაზე, არის **უდისციპლინო ქცევა**. მასწავლებელი მოსწავლის უდისციპლინობას ისე უნდა გაუმკლავდეს, რომ მოსწავლის თვითშეფასებას ზიანი არ მიაყენოს. მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უდისციპლინო საქციელზე და განმარტოს, თუ რატომ არის ეს საქციელი მიუღებელი. **საჭიროა საქციელისა და არა მოსწავლის გაკრიტიკება.** მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს თანაკლასელების წინაშე მოსწავლის დამცირებისაგან.

მოსწავლეებისათვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს უწყობს საკუთარ ძალებში დარწმუნებას, რაც, ასევე, დადებით გავლენას ახდენს თვითშეფასებაზე. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ არჩევნის გაკეთებისა და გაკვეთილის მიმდინარეობისას მონაწილეობის შესაძლებლობა. პატარა ასაკის მოსწავლეებს უნდა მიეცეთ მარტივი დავალებები, მაგალითად, საკლასო ოთახის დასუფთავება, დაფის განმენდა და ა.შ. ხოლო უფროსი ასაკის მოსწავლეები ჩართულნი უნდა იყვნენ ქცევის წესების დადგენაში. მასწავლებელმა საკლასო ოთახში უნდა შექმნას თბილი გარემო, რომელშიც მოსწავლის წვლილი დაფასებული იქნება. შექება მნიშვნელოვანია, თუმცა, ძალიან ხშირად მიზანშეწონილი არ არის, რადგან მოსწავლე ჩათვლის, რომ მასწავლებელი არაგულწრფელია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ შექება იყოს რეალისტური. არასწორი და უდროო შექება არ იქნება სერიოზულად აღქმული და გამოიწვევს შექების გაუფასურებას მომავალში.

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს უფრო მეტად მოსწავლის წარმატებაზე და ნაკლებად – მის შეცდომებზე. მან მეტი უნდა ისაუბროს საქმის იმ ნაწილზე, რომელიც სწორად იყო შესრულებული და არა იმ მხარეზე, რომელშიც შეცდომები სჭარბობდა. მასწავლებელმა,

აგრეთვე, ხაზი უნდა გაუსვას, რომ სწავლა შეცდომის გზითაც შესაძლებელია, და რომ შეცდომაში სასირცხვილო არაფერია. მასწავლებელმა ნათლად უნდა მიუთითოს მოსწავლეს სწორად შესრულებულ სამუშაოზეც და იმაზეც, თუ რა გააკეთა არასწორად. მნიშვნელოვანია, მოსწავლე ორიენტირებული იყოს საკუთარი დავალების, თავისი საქმის კარგად შესრულებაზე და მუდმივად თანაკლასელს არ ეჯიბრებოდეს.

თვითშეფასების გასაუმჯობესებელი აქტივობები

არსებობს მოსწავლის თვითშეფასების გასაუმჯობესებელი რამდენიმე აქტივობა. ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა „მაგიური წრე“. კლასში რომელიმე მოსწავლეს ეძლევა სამკერდე, რომელსაც აწერია „მე კარგი ვარ“, იგი დროებით ტოვებს ოთახს და მისმა თანაკლასელებმა უნდა გაიხსენონ ყველა ის დადებითი თვისება, რომელიც ოთახიდან გასულს გააჩნია. შემდეგ მოსწავლე ბრუნდება საკლასო ოთახში და თანაკლასელები მას ეუბნებიან ყველაფერს, რაც მის შესახებ გაახსენდათ. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თავიანთი წინადადებები დაიწყონ ფრაზით „მე ვფიქრობ“ ან „ჩემი აზრით“, რათა მოსწავლემ აღიქვას, როგორც სხვისი მოსაზრება და არა მტკიცებულება, რომელსაც, შესაძლოა, განსხვავებული მოსაზრება დაუპირისპირო. ბოლოს, მოსწავლეს ეძლევა საშუალება, თავადაც დაასახელოს ერთი რამ, რაც მოსწონს თავის თვისებებში და რითაც ამაყობს.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ თვითშეფასებაზე აკადემიური მიღწევების გავლენა მნიშვნელოვანია, თუმცა მხოლოდ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებამ, შესაძლოა, ყველა მოსწავლის თვითშეფასებაზე ერთნაირი გავლენა არ მოახდინოს. შესაბამისად, მაღალი მიღწევების მქონე მოსწავლესაც კი შეიძლება, არ ჰქონდეს მაღალი თვითშეფასება, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ სხვა მოსწავლეები სკოლაში მასზე უკეთ სწავლობდნენ.

მოსწავლეების თვითშეფასებაზე დადებითი გავლენის მოსახდენად საუკეთესო საშუალებაა, მოსწავლეს შევუქმნათ რაც შეიძლება დიდი ასპარეზი, მიაღწიოს წარმატებას. ამის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, რთული და კომპლექსური დავალების მცირე ამოცანებად დაყოფით და მათი საფუძვლიანად შესწავლით. სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობაში მონაწილეობაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაეხმაროს მოსწავლეებს წარმატების მიღწევასა და ამ გრძნობის განცდაში.

თვითშეფასების ასამაღლებელ აქტივობად შეიძლება განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს შესაფასებლად ერთმანეთის ნაშრომებს აძლევს. ამ გზით მოსწავლეები იგებენ, როგორ შეასრულა იგივე დავალება მისმა კლასელმა და მსჯელობს, თუ რა შეფასება ეკუთვნის მას. თანატოლების მიერ ერთმანეთის ნაშრომების შეფასება, სასურველია, იყოს ანონიმური, რათა გამოირიცხოს სუბიექტურობა. ამგვარი შეფასება რომ მაქსიმალურად ეფექტური გამოვიდეს, ამისთვის მასწავლებელმა დადებითი და მხარდამჭერი გარემო უნდა შექმნას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხრიდან გულწრფელსა და კონსტრუქციულ უკუკავშირს.

მასალა ამოკრებილია გამოცდების ცენტრის კვლევის დეპარტამენტის კრებულიდან – „ეფექტიანი სწავლება“; ავტორი ნუცა კობახიძე (რედაქტორი ია კუტალაძე).

9.

მოსწავლეთა შეფასება და თვითშეფასება დანახვით საფესურზე – V-VI კლასები

სასწავლო პროცესში მოსწავლეების შესაფასებლად და მათში თვითშეფასების უნარის გასავითარებლად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ჰქონდეს შეფასების კრიტერიუმები. კრიტერიუმების ჩამოსაყალიბებლად მასწავლებელს დაეხმარება საგნობრივი სტანდარტი, რომელშიც მოცემულია წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები. თითოეულ შედეგს ახლავს ინდიკატორები, რომლებიც გვიჩვენებს, რა უნდა იცოდეს და შეეძლოს მოსწავლეს კონკრეტული შედეგის მისაღწევად.

გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმების ნიმუშს, რომელიც შეგიძლიათ თქვენი შეხედულები-სამებრ (სტანდარტის ფარგლებში) შეცვალოთ. ყველა საგანი სამი კომპონენტის მიხედვით ფასდება. კომპონენტები რუბრიკებად იყოფა. რუბრიკებს კი შეფასების კრიტერიუმები უნდა შეუფარდოთ.

შეფასების კომპონენტები და რუბრიკები V-VI კლასებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში

საშინაო დავალება	
ზეპირი	წერა
თხრობა;	სისტემატურობა;
საზეპირო (ლექსი, ციტატა)	ხარისხი.

საკლასო დავალება
ტექსტზე მუშაობა
მსჯელობა
დისკუსია
წერა (კითხვებზე პასუხი, გრამატიკული სავარჯიშოები, პერსონაჟის დახასიათება, ნაწარმოების ან ეპიზოდის მოკლე შინაარსი, ციტატის პერიფრაზი)

შემაჯამებელი
გრამატიკული ტესტი
ლიტერატურული ტესტი
დახასიათება (წერილობით)
მოკლე შინაარსი (წერილობით)
კითხვებზე პასუხი (წერილობით)
საკუთარი ნაშრომის წარდგენა კლასის წინაშე (პრეზენტაცია)

ბთავაზოთ რამდენიმე რუბრიკის შეფასების კრიტერიუმებს

საშინაო დავალების ხარისხი

- წერიტი საშინაო დავალება პასუხობს თემას;
- წერიტი საშინაო დავალება სრულად არის შესრულებული.

კითხვებზე პასუხი

- შეკითხვებს უპასუხებს ადეკვატურად;
- პასუხებში დაცულია გრამატიკული, ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები.

თხრობა

- ჰყვება თანმიმდევრულად (მოკლედ, ვრცლად);
- თხრობისას იცავს სალიტერატურო ენის ნორმებს;
- ადეკვატურად იყენებს სათანადო ლექსიკურ ერთეულებს.

დახასიათება

- ნაშრომი ორგანიზებულია (იცავს აბზაცებს, მათ შორის არის ლოგიკური კავშირი);
- ნაწერში დაცულია ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები;
- პერსონაჟის თვისებები დასაბუთებულია და გამყარებულია ტექსტური მასალით;
- ასაბუთებს საკუთარ დამოკიდებულებას პერსონაჟის ან მისი საქციელის მიმართ (ეს კრიტიკური იმ შემთხვევაშია საჭირო, თუ დავალების პირობა ითვალისწინებს მოსწავლის დამოკიდებულების დაფიქსირებას პერსონაჟის ან მოვლენის მიმართ).

მოკლე შინაარსი

- ტექსტი ორგანიზებულია (დაცულია აბზაცი, აზრთა თანმიმდევრობა ლოგიკურად უკავშირდება ერთმანეთს);
- ნაწერი შესრულებულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით;
- ნაწერში გამოყენებული ლექსიკა ადეკვატურია;
- ნაწერში დაცულია ორთოგრაფიული ნორმები და პუნქტუაციის წესები.

დისკუსია

- მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;
- მსჯელობს არგუმენტირებულად;
- გამოაქვს დასკვნა;
- მსჯელობს თანმიმდევრულად, კონკრეტულ თემაზე;
- კორექტულია ოპონენტის (განსხვავებული აზრის) მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს.

ტექსტზე მუშაობა – გააზრებული კითხვა

- ამოინერს უცხო სიტყვებს და განმარტავს;
- მოიძიებს მნიშვნელოვან ფრაზებს, საკვანძო სიტყვებს და ასაბუთებს არჩევანს;
- განარჩევს მთავარ და მეორეხარისხოვან ინფორმაციას ერთმანეთისგან;
- ამოიცნობს ლიტერატურულ – გამომსახველობით საშუალებებს;
- აკავშირებს წაკითხულს საკუთარ გამოცდილებასთან;
- გამოთქვამს აზრს, აფასებს და აყალიბებს არგუმენტებს წაკითხულთან დაკავშირებით.

პრეზენტაცია

- პასუხობს თემას;
- საუბრობს გამართული სალიტერატურო ენით და იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას;
- იყენებს განსხვავებულ წყაროებს (აზრებს), ადარებს მოვლენებს, ფაქტებს, საგნებს;
- იყენებს თვალსაჩინოებას;

- იცავს დროის ლიმიტს;
- ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას).

მასწავლებელმა უნდა გააცნოს მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები; განუმარტოს მათ თითოეული კრიტერიუმის მნიშვნელობა და საჭიროება. ეს ცოდნა დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ნაშრომის შეფასებაში, რაც თვითშეფასების საწინდარია.

შეფასების კრიტერიუმები მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეების შეფასებისას კომენტარებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებაში, მოსწავლისთვის კი გასაგები იქნება, რატომ მიიღო მან ესა თუ ის ქულა. განმავითარებელი კომენტარის შემთხვევაში მას ზუსტად ეცოდინება, რა უნდა გააუმჯობესოს. ამ ტიპის სიტყვიერი შეფასება მოსწავლისთვის სამაგალითო ნიმუში იქნება თვითშეფასების ან თანაკლასელის დამოუკიდებლად შეფასების შემთხვევაში.

გთავაზობთ განმავითარებელი კომენტარისა და რეკომენდაციის ნიმუშს:

წერიტი დავალება – მოკლე შინაარსი.

ნინო, შენს ნაშრომში დაცულია აბზაცები, შინაარსი გასაგებადაა გადმოცემული, აბზაცები აზრობრივად ებმის ერთმანეთს, გრამატიკული შეცდომებიც არ გაქვს. რამდენიმე ადგილას გამორჩენილი გაქვს მძიმე. ვფიქრობ, სიჩქარის გამო გამოგრჩა სასვენი ნიშნები. შეგახსენებ, საგნების ჩამოთვლისას მძიმე იწერება!

10

პრაქტიკული ნაწილი –

გაკვეთილების გეგმები და სცენარები, მოსასმენი ტექსტები

თავი 1 – ამეცხველბული გუნება

თუთა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ლექსში გამოსატულ განწყობაზე მსჯელობა, საკუთარი დამოკიდებულების ემოციის გადმოცემა, მხატვრული ხერხების ამოცნობა და მსჯელობა მათ ფუნქციაზე.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოსატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- მსჯელობს პოეტურ ნაწარმოებში გამოსატულ განწყობილებაზე;
- ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული ნაცნობი მხატვრული ხერხების დანიშნულებას.

წინარე ცოდნა

ნასწავლი აქვთ ვაჟა-ფშაველას „ია“, შეუძლიათ მხატვრული ხერხების ამოცნობა ტექსტში.

რესურსები

სახელმძღვანელო, პროექტორი, დაფა, ცარცი, ცხრილი ფორმატზე.

ორგანიზების ფორმები

ინდივიდუალური, საერთო-საკლასო, წყვილური

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. მოტივაცია

გაკვეთილის თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს მგლის, ჩიტის, იის, ფუტკრის, ქვის სურათებს (ან წერს დაფაზე) და სთხოვს თქვან ერთი წინადადებით, რას იტყოდნენ ეს არსებები, ლაპარაკი რომ შეეძლოთ. პრეზენტაციების შემდეგ ეკითხება: როცა ვკითხულობთ თავის თემას, „ამეცხველბული ბუნება“, რომელი მწერალი ან ნაწარმოები გახსენდებათ? თქვენი აზრით, რა მიზნით ალაპარაკებენ ბუნებას მწერლები? მოსწავლეთა პასუხების შეჯამების შემდეგ მასწავლებელი გადადის გაკვეთილის თემაზე.

აქტივობა 2. წინარე ცოდნის გააქტიურება

ტექსტის წაკითხვამდე მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ რა იციან ლექსის შესახებ. მოსწავლეები ასახელებენ, რომ ლექსი გამოხატავს განწყობას, არის მუსიკალური, აქვს რიტმი და რითმა.....

აქტივობა 3. ლექსის ანალიზი

მასწავლებელი კითხულობს ანა კალანდაძის ლექსს „თუთა“, ეკითხება, მოეწონათ თუ არა, რა მოეწონათ, შემდეგ სთხოვს, თავად წაიკითხონ ტექსტი და უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: რას ვხედავ? რა მესმის? რას ვგრძნობ?

მაგალითად, ვხედავ აყვავებულ, მწვანედ შეფოთილ, ტოტებგაშლილ თუთას...

მესმის ხის ფოთლების შრიალი...

ვგრძნობ სიმშვიდეს, სიხარულს...

აქტივობა 4. პრეზენტაცია

აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ, ვინ რაზე გაამახვილა ყურადღება.

მოსწავლეთა პასუხებით მასწავლებელი შეაფასებს დაფაზე გამოკრულ ცხრილს:

რას ვხედავ?	რა მესმის?	რას ვგრძნობ

აქტივობა 5. მხატვრული ხერხები

მასწავლებელი აწყვილებს მოსწავლეებს და სთხოვს, დააკვირდნენ ცხრილს და უპასუხონ, რის მეშვეობით მოახერხა პოეტმა ამ ემოციების გამოწვევა, და ასევე სთხოვს, გაიხსენონ მხატვრული ხერხები. თუ ვერ შეძლებენ, მასწავლებელი თავად შეახსენებს.

მასწავლებელი სთხოვს ამოწერონ მხატვრული ხერხები და განმარტონ, როგორ ესმით მხატვრული ხერხებით გადმოცემული ესა თუ ის სტრიქონი.

აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს.

საშინაო დავალება

შეასრულონ სახელმძღვანელოდან მე-11 სავარჯიშო (მოსწ. ნიგნი, გვ. 8).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად მოახერხეს ლექსის განწყობისა და მხატვრული ხერხების ამოცნობა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა.

მისალწვევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება-გააზრება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, გრაფიკული მათემატიკის შექმნა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ამოიცნობს და ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ მხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი.

ორგანიზების ფორმები

ინდივიდუალური, საერთო-საკლასო, წყვილური

რესურსები

ფოტოები (ან სლაიდები) მცენარეების გამოსახულებით, ცხრილი ბარათებზე

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მოსწავლეებს უჩვენებს სამ ფოტოს (ან სლაიდს), რომლებზეც სამი სხვადასხვა მცენარეა გამოსახული. მათ შორის ერთ-ერთი ქუჩია. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჯერ ყურადღებით მოუსმინონ მას და უკითხავს ვაჟა-ფშაველას „ქუჩის“ პირველ აბზაცს, შემდეგ კი სთხოვს, ტექსტიდან გამომდინარე, უპასუხონ, რომელ სურათზეა გამოსახული მცენარე ქუჩი. თავიანთი მოსაზრება დაასაბუთონ. შემდეგ კი სთხოვს გამოთქვან თავიანთი მოსაზრება, რას ფიქრობენ, როგორი ბალახია ქუჩი და მის რა მახასიათებელზე შეიძლება გაამახვილოს ყურადღება მწერალმა. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ სთხოვს გადაშალონ სახელმძღვანელოები და დააკვირდნენ, როგორია ქუჩი ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში.

აქტივობა 2. ტექსტის წაკითხვა და ანალიზი (ინდივიდუალურად და წყვილებში)

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებზე გამზადებულ ცხრილს, აწყვილებს მათ და სთხოვს ჯერ ინდივიდუალურად წაკითხონ ტექსტი, აბზაც-აბზაც, და პარალელურად შეავსონ ცხრილი, შემდეგ გაუზიარონ მოსაზრება გვერდით მჯდომს.

აბზაცი	ქუჩის დამოკიდებულება სხვებისადმი	სხვების დამოკიდებულება ქუჩისადმი
1.	ქუჩს კლდე საკუთარ მშობლად მიაჩნია.	კლდე თანაუგრძნობს და ზრუნავს მასზე.
2.	მაგ. ქუჩს ებრალება კლდე, რადგანაც კლდე დასტირის თავის შვილებს (ლოდებს).	
3.		
4.		
5.		

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა მოსაზრებებს. აფასებენ მათ, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.

შენიშვნა:

- ა) მასწავლებელი მოსწავლეთა ნაშრომებს გამოიკითხავს ყოველი აბზაცის დასრულების შემდეგ.
- ბ) მასწავლებელს შეუძლია საორიენტაციოდ თავად ჩაუნეროს ცხრილში პერსონაჟთა სახელები.

აქტივობა 3. შეჯამება

მასწავლებელი დაფაზე წერს კითხვას: რა იყო ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?

მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს ჩამოწერენ ბარათებზე და ტოვებენ მასწავლებლის მაგიდაზე. ამ ბარათებს მასწავლებელი განიხილავს მეორე გაკვეთილზე.

შეფასება

შეუძლიათ თუ არა ტექსტის დამოუკიდებლად გაგება-გააზრება, საკუთარი თვალსაზრისის ნათლად ჩამოყალიბება, გრაფიკული მაორგანიზებლების შევსება.

საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ამ თავის მიხედვით და ცხრილის გამოყენებით წერილობით დაახასიათონ ქუჩი. შეახსენებს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებს (თხზულებაში დაცული უნდა იყოს ლოგიკური თანმიმდევრულობა, მსჯელობა იყოს არგუმენტირებული, ენა – გამართული). მასწავლებელს, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, შეუძლია ყურადღება გაამახვილოს წერითი დავალების შეფასების სხვა კრიტერიუმებზეც.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება-გააზრება, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა. არგუმენტირებული მსჯელობა მთავარი სათქმელის ირგვლივ, პარაფრაზების მოხმობა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
- საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ლიტერატურულ ტექსტებს, რეალურ ფაქტებს, მაგალითებს პირადი ცხოვრებიდან;
- გამოხატავს უშუალო, ცოცხალ განცდასა და დაკვირვებაზე დაფუძნებულ შეხედულებებს მისთვის მნიშვნელოვანი, პრობლემური საკითხების შესახებ.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ მხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, საერთო-საკლასო, წყვილური.

აქტივობა 1. საშინაო დავალების გამოკითხვა

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ შეახსენებს საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმებს (თხზულებაში დაცული უნდა იყოს ლოგიკური თანმიმდევრულობა, მსჯელობა იყოს არგუმენტირებული, ენა – გამართული) და გამოიკითხავს საშინაო დავალებას: მათ პირველი თავის მიხედვით და ცხრილის გამოყენებით წერილობით უნდა დაეხასიათებინათ ქური.

მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს, სურვილის მიხედვით, წააკითხებს დავალებას.

აქტივობა 2. წინა გაკვეთილის ერთი აქტივობის შეჯამება

მასწავლებელი ამორჩევით კითხულობს წინა გაკვეთილზე მოსწავლეთა მიერ ბარათებზე დაწერილ ტექსტის პირველი თავის მთავარ სათქმელს და თეზისებად ჩამოწერს დაფაზე. მცდარად გაგებულ ეპიზოდებს კი თავად განუმარტავს და, რა თქმა უნდა, არ ასახელებს მათ ავტორებს.

აქტივობა 3. ტექსტის ნაკითხვა და ანალიზი (ინდივიდუალურად და წყვილებში)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აბზაცებად წაიკითხონ „ქურის“ მეორე თავი და დააკვირდნენ, რა ახალი საკითხები წამოჭრა მწერალმა.

მოსწავლეები ჯერ ინდივიდუალურად კითხულობენ ტექსტს, შემდეგ კი წამოჭრიან საკითხებს, რომლებიც მეორდება ან ემატება ტექსტს: პირიმზისადმი დამოკიდებულება, სიკვდილ-სიცოცხლისადმი დამოკიდებულება, ადამიანების გულგრილობა/დაუნდობლობა, ომის საშინელება და ა.შ. მოსწავლეები წყვილებში შეაჯერებენ ნაშრომებს.

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა მოსაზრებებს. აფასებენ მათ, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.

აქტივობა 3. შეჯამება

მასწავლებელი რამდენიმე მთავარ საკითხს ჩამოწერს დაფაზე და სთხოვს იმსჯელონ მოცემულ თემებზე შემდეგი მითითებების მიხედვით:

ტექსტი და მე (ჩემი დამოკიდებულება სათქმელის მიმართ);

ტექსტი და ტექსტი (გავიხსენოთ მსგავს პრობლემებზე შექმნილი ნაწარმოებები და დავასაბუთოთ, რით ჰგავს ან რით განსხვავდება ის ვაჟას ამ მოთხრობისგან).

შეფასება

შეუძლიათ თუ არა ტექსტის დამოუკიდებლად გაგება-გააზრება, საკუთარი თვალსაზრისის ნათლად არგუმენტირებულად ჩამოყალიბება.შესაბამისი პარალელების მოხმობა.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაწერონ სახელმძღვანელოდან მე-15 დავალება (მოსწ. წიგნი, გვ. 12).

თეორია – მხატვრული ხერხები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე გაიაზრებს მხატვრული ხერხების რაობასა და ფუნქციას, განსხვავებას მათ შორის, და გამოიყენებს მათ პრაქტიკულად, განუვითარდებათ შემოქმედებითი და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას), ხატოვან გამონათქვამებს და გაიაზრებს მათს ფუნქციას;

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამონვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული ნაცნობი მხატვრული ხერხების დანიშნულებას;

ქართ.დანყ.(II).11.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების მიზნობრივად შერჩევა და სათანადოდ გამოყენება; ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ნორმების დაცვა.

- მხატვრული ტექსტის შედგენისას ცდილობს ნაცნობი მხატვრული ხერხების (ეპითეტის, შედარების, მეტაფორის) გამოყენებას;

რესურსები

სახელმძღვანელო, წინასწარ ბარათებზე ამონერილი ნიმუშები, თაბახის ფურცლები, ფანქრები.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან კითხვის სტრატეგიები, მხატვრული ენის რაობა, აქვთ თანამშრომლობისა და შემოქმედებითი აზროვნების უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. მოტივაცია, წინა კლასებში განვლილი მასალის შეხსენება

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ, საშინაო დავალების გამოკითხვამდე მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, რის მეშვეობით ახერხებს მწერალი მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებას და სათქმელის უკეთ გამოხატვას. მოსწავლეები იტყვიან, რომ ამას ავტორი ახერხებს მხატვრული ხერხების მეშვეობით. მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ, რომელი მხატვრული ხერხები იციან და თითოეულ მათგანს რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ტექსტში. რასაც ვერ გაიხსენებენ, მასწავლებელი თავად დაუკონკრეტებს. საუბრობენ შედარებაზე, ეპითეტსა და ბოლოს - გაპიროვნებაზე (რადგან გაპიროვნების ხერხის გამოყენებით მათ თხზულებები ჰქონდათ შესადგენი სახლში). მასწავლებელი აუცილებლად განუმარტავს მათ იმ საკითხებს, რომლებზეც წინა კლასებში ყურადღება არ გაუმახვილებიათ (მაგალითად, ეპითეტის შესახებ საუბრისას აუცილებლად ახსენებს მუდმივ ეპითეტებს).

აქტივობა 2. საშინაო დავალების გამოკითხვა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ რვეულები და სურვილის მიხედვით, რამდენიმე მოსწავლეს აკითხებს საშინაო დავალებას (მათ უნდა შეექმნათ ჩანახატი გაპიროვნების ხერხის გამოყენებით).

აქტივობა 3. პრაქტიკული სავარჯიშო

მასწავლებელი ან პროექტორის საშუალებით უჩვენებს მოსწავლეებს მაგალითებს, ან მოზრდილ ბარათებზე ამონერს წინასწარ და მონაცვლეობით, სწრაფ-სწრაფად კითხულობს მათ და სთხოვს გამოიცნონ, რომელი მხატვრული ხერხის ნიმუში წაიკითხა. მორიგეობით ასახელებს ეპითეტის, შედარების, გაპიროვნების რამდენიმე ნიმუშს, ბოლოს კი წარმოუდგენს სახელმძღვანელოში მოცემულ იდიომების მაგალითებს („კოვზი ნაცარში ჩაუვარდა“, „კუდით ქვა ასროლინა“...) და სთხოვს მოსწავლეებს მათ გამოცნობას. მოსწავლეები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ვერსიას ასახელებენ, მაგრამ, სავარაუდოდ, ვერ გამოიცნობენ. მასწავლებელი უხსნის მათ, რომ ესენია მყარი სიტყვათშეთანხმებები, რომლებსაც დაკარგული აქვს თავდაპირველი გაგება და გადატანითი მნიშვნელობით იხმარება.

აქტივობა 4. მხატვრული ხერხების ფუნქციის გააზრება

მასწავლებელი მოკლედ შეახსენებს მოსწავლეებს, რომ მხატვრული ხერხის ფუნქცია არის ემოციის გამოხატვა და სათქმელის უკეთ გადმოცემა. დაყოფს კლასს 4 ჯგუფად და სთხოვს დაასაბუთონ, არის თუ არ ეს მართლაც ასე. ერთ ჯგუფს ავალებს იმუშაოს ეპითეტებზე, მეორეს - გაპიროვნებაზე, მესამეს - შედარებაზე, მეოთხეს - იდიომებზე.

სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეები იყენებენ განვილი მასალას. მოსწავლეებს ევალებათ ამონერონ თავიანთი მხატვრული ხერხის ნიმუშები „თუთადან“ და „ქუჩიდან“, და იმსჯელონ მათს ფუნქციაზე. შეუძლიათ „გაძარცვონ“ მხატვრული ხერხებისგან ეს მონაკვეთები, ან „შემოსონ“ სხვა სიტყვებით და ასე უფრო ცხადად გამოკვეთონ მათი ფუნქცია.

აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას.

აქტივობა 5. სახალისო სავარჯიშო იდიომებზე

მასწავლებელი იმავე ჯგუფებს ურიგებს რამდენიმე იდიომს თავისი განმარტებით (მაგალითად, აქილევსის ქუსლი - ძველბერძენი მეომრის აქილევსის ერთადერთი სუსტი ადგილი, რაც ზოგადად „სუსტი ადგილის“ აღმნიშვნელ ხატოვან გამოთქმად იქცა; „ბევრმა წყალმა ჩაიარა“ - დიდი დრო გავიდა; ყური დამიგდე - მომისმინე; „შეაყარე კედელს ცერცივი“ - არაფერი გამოვა; „ყურებზე ხახვი არ დამაჭრა“ - ვერაფერს ვერ დამაკლებ...) და სთხოვს, დახატონ პირდაპირი მნიშვნელობით რას აღწერს ესა თუ ის გამოთქმა. აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციას, დანარჩენებს კი ევალებათ გამოიცნონ, რომელი იდიომა არის გამოსახული ნახატზე. მოსწავლეები აფასებენ, რამდენად ცხადად და გასაგებად იყო შესრულებული ნაშრომი და როგორ მოახერხა წარდგენა თითოეულმა ჯგუფმა.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად შეუძლიათ ამოიცნონ და განსაზღვრონ მხატვრული ხერხის ფუნქცია ტექსტში, ახსნილი მასალის გაგება-გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება, ჯგუფებში შემოქმედებითად მუშაობა.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშო (გვ. 15).

ნაკერძის წითელი ფოთოლი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის გაგება-გააზრება, მხატვრული ხერხების ამოცნობა, მის ფუნქციაზე მსჯელობა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ამოიცნობს ზოგიერთ მხატვრულ ხერხს (ეპითეტს, შედარებას, გაპიროვნებას, ჰიპერბოლას), ხატოვან გამონათქვამებს და გააზრებს მათს ფუნქციას;

ქართ.დანყ.(II).7.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ასახელებს მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით მიმზიდველ ადგილებს და ხსნის აღნიშნულ ეპიზოდში გამოყენებული ნაცნობი მხატვრული ხერხების დანიშნულებას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს აქვთ მხატვრული ტექსტების გაანალიზების უნარი.

ბაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური, საერთო-საკლასო, წყვილური, ჯგუფური.

აქტივობა 1. გამოწვევა

მოსწავლეებელი აცნობს მოსწავლეებს თემასა და მიზანს, უჩვენებს ცხრილს, რომელზეც ჩამონერ-ილია ნაწარმოების (რ. ინანიშვილის „ნეკერძის წითელი ფოთოლი“) პერსონაჟები (ცხრილი ივსება მომდევნო აქტივობისას):

პერსონაჟები/ ეპიზოდები (კომენტარი)	მუხა	ნეკერძის წითელი ფოთოლი	მარჯი	წყალი	ირემი
I					
II					
III					
IV					
V					

და სთხოვს მოსწავლეებს ისაუბრონ მათზე, რა იციან მათ შესახებ. შემდეგ თავად აწვდის ინფორმა-ციას და უჩვენებს სურათებსაც.

შემდეგ კი ეკითხება, რა მოსდით ხეებს ზამთარში და თავად თუ უნახავთ ხე, რომელსაც ფოთოლი შერჩენია ზამთარში, და რა არის მიზეზი (მიყვინა, მიახმა...).

აქტივობა 2. ტექსტის ნაკითხვა და ცხრილის შევსება

მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებზე გამზადებულ ცხრილს (ან სთხოვს გადაიხაზონ რვეულში, ან უგზავნის ბუკით), აწყვილებს მათ, უყოფს ტექსტს ეპიზოდებად და სთხოვს ჯერ ინდივიდუალურად ნაკითხონ ტექსტი, ეპიზოდებად, მონიშნონ გაუგებარი სიტყვები და პარალელურად შეავსონ ცხრილი, შემდეგ გაუზიარონ მოსაზრება გვერდით მჯდომს. თითოეული მონაკვეთის მიხედვით ისინი წერენ კომენტარს პერსონაჟზე (თვისება ან მნიშვნელოვანი რამ პერსონაჟზე ან ნებისმიერი სხვა სახის კომენტარი).

ნაწარმოები შეიძლება დაიყოს შემდეგ შინაარსობრივ მონაკვეთებად:

1. „ბებერი მუხა... - ...რაღაცას ელოდა“ (პირველი აბზაცი);
2. „- ვის ელი... - ...ელუნებოდა მხრები“.
3. „ერთ დღეს ცა... - ...თავდაჭერილი დუმდა“.
4. „შუადღისას მზე გამოვიდა... - ...გაკვირვებული შეაჩერდა“.
5. „მაშინ ფოთოლი მოწყდა...“ - ბოლომდე.

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი ადარებს მოსწავლეთა მოსაზრებებს. აფასებენ მათ, რამდენად ლოგიკური იყო პასუხები.

შენიშვნა: მასწავლებელი მოსწავლეთა ნაშრომებს გამოიკითხავს ყოველი მონაკვეთის დასრულების შემდეგ.

აქტივობა 3. მხატვრულ ხერხებზე მუშაობა

მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს და უნანილებს თემებს. სთხოვს იმუშაონ ტექსტზე შემდეგი მითითებების მიხედვით: რა მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი და რა მიზნით: ა) ნეკერჩხლის ფოთლის მკითხველისთვის წარსადგენად (გარეგნობა და ემოცია); ბ) ტყის ბინადრების აღსაწერად; გ) ბუნების აღსაწერად.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია ერთი საკითხი მისცეს 2 ჯგუფს.

აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას.

აქტივობა 4. მხატვრული ტექსტი და ბუნება

მასწავლებელი სთხოვს, დაუბრუნდნენ მეორე აქტივობაზე შევსებულ ცხრილს და შეადარონ ცხოველებისა და მცენარეების რეალური მახასიათებლები გაითვალისწინა ნაწარმოებში ავტორმა (მოსწავლეები იტყვიან, მაგალითად, რომ მუხა დიდხანს ცოცხლობს, ამიტომ უნოდებს მას რევაზ ინანიშვილი ბებერს...).

აქტივობა 5. შეჯამება

ბოლოს კი მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ერთი სიტყვით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ახსნილი ტექსტის მიმართ.

შეფასდებიან

შეუძლიათ თუ არა ტექსტის დამოუკიდებლად გაგება-გააზრება, მხატვრული ხერხების ამოცნობა, მის ფუნქციაზე მსჯელობა.

საშინაო დავალება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დანერონ ტექსტის მოკლე შინაარსი.

თავი 2 – და მე ვიგონებ...

თეორია – მოთხრობა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე გაიაზრებს მოთხრობის რაობას, მის სტრუქტურას და არსებით მახასიათებლებს.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- თხრობითი ხასიათის ტექსტებში გამოყოფს სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (დასაწყისს, მოქმედების განვითარებას და დასასრულს) და ასაბუთებს საკუთარ თვალსაზრისს ტექსტში მოძიებული კონკრეტული არგუმენტებით.

რესურსები

სახელმძღვანელო. ჯგუფებში დასარიგებელი მცირე ტექსტები

წინარე ცოდნა

მოსწავლეები იცნობენ სხვადასხვა ტიპის მოთხრობას, აქვთ თანამშრომლობის უნარი.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური, ჯგუფური.

აქტივობა 1. თემისა და მიზნის გაცნობა

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გააცნობს თემასა და მიზანს, შეახსენებს, რომ მათ არაერთხელ წაუკითხავთ და განუხილავთ სხვადასხვა მწერლის მოთხრობები, დღეს კი ისინი დააკვირდებიან ამ ტექსტებს და იმსჯელებენ იმაზე, თუ რა არის მოთხრობა და რა თავისებურებები ახასიათებს მას.

აქტივობა 2. მსჯელობა მოთხრობის რაობაზე (წყვილებში)

მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს მოთხრობის რაობას: მოთხრობა პროზაული ნაწარმოებია, რომელშიც მოთხრობილია ამბავი და ამ ამბავს აუცილებლად აქვს დასასრული. შემდეგ კი აწყვილებს, უსახელებს სამ მოთხრობას, რომელთაგან ერთი არის აგებული ავტორის ბიოგრაფიაზე („ჩემი თავგადასავალი“), მეორე - ისტორიულ ეპოქაზე („ერეკლე მფე და ინგილო ქალი“), მესამე - მთლიანად მწერლის ფანტაზიის ნაყოფია („ხაზარულა“). და სთხოვს ამ სამი მოთხრობიდან გამომდინარე, იმსჯელონ რა თემაზე შეიძლება აიგოს მოთხრობა და ვინ შეიძლება იყოს პერსონაჟი.

რამდენიმე წყვილი აკეთებს პრეზენტაციას, მასწავლებელი ავსებს მათ ნათქვამს, შეუძლია გამოიყენოს სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული მასალა.

აქტივობა 3. მასალის განმტკიცება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს სხვადასხვა თემაზე შექმნილი ნაწარმოებების მაგალითების დასახელებას. შემდეგ თავადაც უსახელებს რამდენიმეს.

აქტივობა 4. პრაქტიკული სავარჯიშოები

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ თითოეულ მოთხრობას აქვს თავისი სტრუქტურული თანმიმდევრობა: დასაწყისი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია (მოქმედების განვითარების უმაღლესი წერტილი) და დასასრული (ფინალი). თვალსაჩინოებისთვის მოჰყავს მაგალითი „ხაზარულადან“.

დასაწყისი – ავტორი იწყებს ამბავს და გვაცნობს პერსონაჟებს.

მოქმედების განვითარება – ბეზიას უნდა ხის დაშინება; ხე დააშინეს. ხემ მხოლოდ ერთხელ მოისხა და შემდეგ შეწყვიტა ყვავილობა; ბეზიას ხის მოჭრა სურს, შვილიშვილს – არა; ბეზია მეზობელს სთხოვს ხაზარულას მოჭრას.

კულმინაცია – დილით ბეზია შვილიშვილს ხის მოჭრის ამბავს ეუბნება და ტოტების გასასხეპად გზავნის. ბიჭი წითელ სითხეს აღმოაჩენს.

დასასრული – გადმოგვცემს ბეზიას ლოცვას და ხაზარულას განცდებს. ეს ფინალია.

აქტივობა 5.

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად, ასახელებს მათთვის ნაცნობ რამდენიმე მოთხრობას ან თვითონ ურიგებს ჯგუფებში მცირე ტექსტებს (შეუძლია ბავშვებს დაასახელებინოს მათთვის საყვარელი რომელიმე ნაწარმოები) და გამოაყოფინოს მოქმედების განვითარების ეტაპები.

აქტივობა 6.

აქტივობის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს. მასწავლებელი სხვა ჯგუფის წევრებს სთხოვს, შეაფასონ სწორად ჰქონდათ თუ არა გამოყოფილი მოქმედების განვითარების ეტაპები.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-2 სავარჯიშო (მოსწ. ნიგნი, გვ. 33).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად შეუძლიათ ახსნილი მასალის გაგება-გააზრება და პრაქტიკულად გამოყენება – მოთხრობის თავისებურებებისა და განვითარების ეტაპების გამოყოფა.

დამატებითი მასალა:

ლიტერატურის თეორიის ერთ-ერთ გაკვეთილში „მოთხრობა“ (მოსწავლის წიგნი, გვ. 33); სავარჯიშო-ების ბლოკის რუბრიკა „იმსჯელები“ – 3-4) მოსწავლეებს ევალებათ, მოიძიონ და შინ წაიკითხონ რევაზ ინანიშვილის მოთხრობა „მირანდუხტ“. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ვერ მოიპოვებენ ამ მოთხრობას სკოლის ბიბლიოთეკაში, მასწავლებელს ვაძლევთ რეკომენდაციას, გააკეთოს ქვემოთ მოცემული ტექსტის ასლები და დაურიგოს მოსწავლეებს, რათა მათ შეძლონ ტექსტზე შინ მუშაობა.

მირანდუხტ (რევაზ ინანიშვილი)

მალაზიაში სამი განყოფილება იყო, სამი გამყიდველი მუშაობდა, ორი ქალი – მარო და მარგალიტა, ერთიც კიდევ კაცი – გერონტი.

შემოვიდა პატარა გოგონა. იქნებოდა ათი თუ თერთმეტი წლისა, გერონტის განყოფილებასთან მივიდა, მოხუც ქალს ჰკითხა:

– ბოლო თქვენ ბრძანდებით?

– მე ვარ, შვილო.

გოგონა მორჩილად გაჩერდა მის უკან.

რიგი დიდი არ იყო, ხუთი თუ ექვსი კაცი. არც ბევრ-ბევრს ყიდულობდნენ. სწრაფად მიინევდნენ წინ.

მოხუცმა ქალმა აანონინა ნახევარი კილო ძეხვი „მოყვარულთა“, ორასი გრამი ყველი „რუსული“ გამომართვა, ერთიც ორმოცდაორ კაპიკად ღირებული მდოგვი. გერონტიმ მარჯვედ ჩამოყარა კოჭები საანგარიშოზე და მოხუც ქალს უთხრა:

– ორი და ოთხმოცი!

მოხუცმა ქალმა სამმანეთიანი მიაწოდა.

– ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, – თქვა გოგონამ.

– როგორა? – წინ წამოინია გერონტი.

– ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, – მშვიდად გაიმეორა გოგონამ.

გერონტი შეშფოთდა.

– შენა, გოგო, რას გეტყვი, იცი?

– ვიცი.

– რა იცი, რა?!

– რა და... ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკია და არა ოთხმოცი.

გერონტი საანგარიშოს ეცა.

– მანეთი და ორმოცდახუთი – ძეხვი, ორჯერ ოცდაჩვიდმეტი – ყველი, ორმოცდაორი – მდოგვი.

– ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, – თქვა ისევ გოგონამ.

ანთლებულმა გერონტიმ საანგარიშოს კოჭები უკან გაყარა და ხელახლა დაიწყო ანგარიში. ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი გამოუვიდა.

– ცოტა სწრაფად, სწრაფად! – დაიძახა ბოლოდან სათვალთანმა კაცმა.

გერონტიმ ხნიერ ქალს ხურდები მოუკრიფა და გოგონას მიაჩერდა.

– შენ რა გინდა, ისა თქვი!

– ნუ მინყრებით, – უთხრა გოგონამ.

გერონტი აიმართა, გოგონას დააკვირდა. ერთი სიფრიფანა გოგო იყო, მქრქალ ცისფერთვალეზიანი და ცოტა ცხვირაპრეხილი. მარცხენა ხელში ბადურა ეკავა, მარჯვენაში – ხუთმანეთიანი და კარაქის ტალონი. ძალიან მშვიდად იდგა.

– მიბრძანე, რა მოგართვა! – მორჩილება გაითამაშა გერონტიმ.

– მომეცით ორას ორმოცდაათი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი „შვეიცარიული“, ერთი ტალონისაც კარაქი.

გერონტიმ ინვალა და ძლივს შეასრულა ზუსტად ორას ორმოცდაათ გრამად ძეხვი, მერე – ორასად

ყველი. კარაქს ანონა არ უნდოდა, დაფასოებული იყო ორას-ორას გრამად. სამი ცალი მიაწოდა გოგონას. საანგარიშოს მისწვდა, ფრთხილად ჩამოყარა და გაყარა კოჭები. გაუბედავად თქვა:

– სამი და სამოცდაათი.

– სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

– ვაახ, კაცო! – წამოიძახა გერონტიმ. ისევ დააპირა ანგარიში. გადაიფიქრა, მომეცი, შვილო, რამდენიც გინდა, და წადი, სამუშაო მაქვს მე.

– აიღეთ სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

გერონტიმ ზუსტად დაუბრუნა ხურდა. გოგონა წავიდა. ყველანი უყურებდნენ. ხომ პატარა იყო და სიფრიფანა, რალაც ქალბატონურად მიდიოდა, წელში გამართული, სწორი, ქერა თმა „ცხენის კუდად“ ჰქონდა შეკრული უკან.

– დედა ეყოლება მაგას... ჩემს მტერს, – თქვა კამოდივით განიერმა ქალმა.

– მშვენიერი გოგონაა, – ჩაილაპარაკა ვილაცამ.

– როგორ?

არავინ ამოიღო ხმა.

– მე შვილიშვილი მყავს მაგაზე დიდი, თავს მაღლა ვერ ააღებინებ უფროსებთან, – გვერდზე მდგომს ეუბნებოდა თითქოს რალაც ტვირთით მხრებდამძიმებული ჭალარა ქალი.

– ჩემს გოგონასაც.

– აღზრდაა ყველაფერი.

გერონტისთვის ჯერაც არ გაეგლო სიბრაზეს. ხელები უკანკალებდა.

– კარგი მაშინ ვიქნებოდი, სულაც რომ არ მიმეცა არაფერი. რატომ გზავნიან მაღაზიაში მაგოდენებს? დედა არ ჰყავთ, მამა არ ჰყავთ?

– არა სცალიათ.

– კარგი რა, რა არ სცალიათ!

– თან საქმე, ამხანაგებო, თან საქმე! – დაიბოხა ვილაცამ ხმა.

და, აი, იმ დღიდან დაიწყო: გამოჩნდებოდა გოგონა და გამყიდველი ქალები, მარო და მარგალიტა, სიცილით აცნობებდნენ გერონტის:

– მოდის, გერონტი, მოდის.

გერონტი იხტიბარს არ იტყებდა.

– მოვიდეს და მოვიდეს.

– მაგრად დადექი.

– მაგისტანები მინახავს, – მაგრობდა გერონტი, მაგრამ მაინც ეტყობოდა, ძალიან ლელავდა..

გოგონას პლასტმასის წითელი ბადურა ყოველთვის მარცხენა მკლავზე ეკიდა. გრძელი, ფარფაცა ქვედატანი სანახევროდ უფარავდა წვივებს. კი არ მოდიოდა, მობრძანდებოდა. სულ არ ატოკებდა მხრებს. შემოვიდოდა მაღაზიაში, შემოანათებდა თითქოსდა არაფრისმეტყველ თვალებს. გამყიდველი ქალები გაცქაფულები იყვნენ – აინტერესებდათ, ახლა რა მოხდებოდა. გოგონა გერონტისთან მივიდოდა, გაჩერდებოდა მშვიდად.

– მომეცით... სამას სამოცი გრამი ძეხვი.

– დაიწყო ახლა... – ხელებს უმწეოდ ჩაუშვებდა გერონტი. მარო და მარგალიტა უკვე სიცილით იგუდებოდნენ.

– თქვენს სასწორს ათგრამიანი დანაყოფებიც აქვს. სამას სამოცი გრამი ძეხვი, ორას ოცდაათი გრამი ყველი.

– კარგი რა, გოგო, კარგი. ან ორასი თქვი, ან სამასი. სადისტი ხარ, რა ხარ?

– სადისტი რას ნიშნავს?

– მწვალბებელს, მტარვალს, – ხმას უწევდა გერონტი.

– გმადლობთ. დავიხსომებ ამ სიტყვას.

მარო და მარგალიტა ცხვირსახოცებს ეძებდნენ ცრემლების მოსაწმენდად. გერონტი წვალობდა, ანონაზეც წვალობდა, ანგარიშითაც ველარ ანგარიშობდა. რას რამდენი უნდოდა, გოგონა ჰკარნახობდა. გერონტი უსინათლოსავით ართმევდა ფულს, კანკალით უბრუნებდა ხურდას და, გოგონა რომ წავიდოდა, ნიათგამოცლილი ჯდებოდა.

– ვახ, კაცო, ზოგი რა მრუდე ვარსკვლავზე დაებადება დედას, – წინსაფრის კალთას იდებდა დაც-ვარულ შუბლზე.

მარო და მარგალიტა ურჩევდნენ:

– სხვაგან უნდა გადახვიდე, გერონტი, თორემ აქ რაღაცა დაგემართება.

– დამემართა და ეგ არის. ველარაფერს ვანგარიშობ. მეჩვენება, რომ სულ მეშლება. ეგ მოფსრიტული კი თვალს არ დაახამხამებს. ნამდვილი ჯადო აქვს თვალეში.

გავიდოდა ორიოდ დღე, დამშვიდდებოდა გერონტი და ისევ გამოჩნდებოდა გოგონა, ისევ მშვიდი ქალბატონივით შემოდებოდა მალაზიაში. გერონტი საბრძოლო პოზაში დგებოდა, მარო და მარგალიტა სერიის საყურებლად ემზადებოდნენ. გოგონა იწყებდა: – სამას ოცდაათი – ეს, ორას ოთხმოცი – ის, ას ოცდაათი...

გერონტი მთლად მოსაწყლდა.

– მოდი, რა, მუქთად ნაილე ყველაფერი.

– მუქთად რატომ?

– დედა არა გყავს? დედა მოვიდეს შენ მაგივრად.

– დედას სხვა საქმეები აქვს.

– მაშინ გავიგებ, რომელ სკოლაში სწავლობ და ჩემი ფეხით მივალ დირექტორთან.

– როგორც გენებოთ.

მაგრამ გერონტის აღარ დასჭირდა სკოლაში წასვლა. ის კი აშკარად ეტყობოდა, დამშვიდდა. სახეც დაუმშვიდდა. თითქოს უფრო სუფთადაც იპარსებოდა, სუფთადაც იცვამდა. „გალსტუკის“ გაკეთებაც კი დაიწყო. ლამაზად ივარცხნიდა ჭალარა თმას. მყიდველებთანაც უფრო თავაზიანი გახდა.

ერთი-ორჯერ მოატყუეს მარომ და მარგალიტამ, მოდის, მოდისო. გერონტი წითლდებოდა. მერე, რომ ნახავდა, ატყუებდნენ, წელში სწორდებოდა – მოვიდესო.

შემოდგომის თბილი დღეები ზამთრისპირის ცივმა დღეებმა შეცვალა. დაუბერა ქარმაც. ქუჩები ჩამოცვენილი ფოთლებით აივსო. მეზოვეები ლანძლავდნენ ქარს. ერთ დილას კი, ქარი რომ ჩადგა, თოვლიც წამოვიდა. მოფარფატებდნენ ბრტყელ-ბრტყელი ფიფქები, მაგრამ ძირს ეცემოდნენ თუ არა, დნებოდნენ. და, აი, ამ თოვაში გამოჩნდა გოგონა. თბილი, გრძელი პალტო ეცვა, თბილი, ნაქსოვი ქუდი ეხურა, თითქმის წარბებამდე ჩამონეული. თბილი, მაღალყელიანი ფეხსაცმელებით ისევ მშვიდად მოაბი-ჯებდა, მხრებს არ მოატოკებდა. გერონტიმ რომ გოგონა დაინახა, მაშინვე განითლდა, მაგრამ მაინც გაიღიმა. მარომ და მარგალიტამ დაიძახეს:

– ძვირფასი სტუმარი გვენვია!

გოგონამ ქალებს მქრქალი ღიმილით გახედა და გერონტის მიუახლოვდა. გერონტი რაღაცას წონიდა, მაგრამ სასწორს კი არა, გოგონას უყურებდა და უღიმოდა.

– როგორა ბრძანდებით? – მოიკითხა გოგონა დიდვით.

გოგონაც უღიმოდა გასაოცარი ლამაზი ღიმილით. გასაოცარი ლამაზი ტუჩ-კბილი ჰქონდა, გასაოცარი ლამაზი, კეთილი თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე.

– თქვენ ხომ კარგად? მე ავად გახლდით, ქუნთრუშა მქონდა. ახლა კარგად ვარ.

– ვაახ! – წამოიძახა გერონტიმ, – აკი არ მიკვირდა?!

– რა გიკვირდათ?

– რომ აღარ ჩანდი.

– აღარ განვალებდით?

– არა, ეს რა ნვალეზაა. შენ კარგად იყავი და ეგეთი ნვალეზა რა ნვალეზაა.

– დღეიდან სულ კარგად მოვიქცევი.

– ადრეც რა, რით იქცეოდი ცუდად!

გოგონას ეცინებოდა.

მარო და მარგალიტა სახტად დარჩენილები იყურებოდნენ.

– დღეს მომეცით: ორასი გრამი „შევიცარიული“ ყველი, ორასი გრამი ძეხვი.

– სერვილადი? სერვილადი მაქვს, – გერონტიმ დახლ-ქვეშიდან სერვილადი გამოიღო, თან იცინოდა,

– ორას სამოცი გრამი აღარ გინდა ან ას ოთხმოცდაჩვიდმეტი?

– არა, აღარ არის საჭირო, – იცინოდა გოგონაც.

– ვახ, ეგრე ცოტას რომ ჭამ, იმიტომა ხარ გამხდარი.

– ჩემი გასუქება არ შეიძლება. ისედაც... – გოგონამ ლოყები დაბერა.

– რატომ? რატომ?

– ბალერინა უნდა გავხდე.

– ვახ, ოპერაში?

– თუკი შევძლებ, ოპერაში.

– შენ რას არ შეძლებ, შენ რას არ შეძლებ, – გერონტი წელში გაიშალა, – თუ რამე ისეთი იყოს, მე ნუ მომერიდება. მე აქა ვარ.

– გმადლობთ, გმადლობთ, – გოგონა ქვემოდან შეჰყურებდა და უცინოდა, – აი, რა კარგი ბრძანდებით ახლა. აღარ მიმართოთ აღარავის წყრომით. მით უფრო – ქალებს.

– მეე? წყრომით?

გოგონამ ლამაზად გახვეული ყველი და ძეხვი ჩანთაში ჩაიწყო, ხელი მაღლა ასწია და ღიმილით წავიდა კარისკენ. კართან მისულს, გერონტიმ დაუძახა:

– სახელი რა გქვია, სახელი.

– მირანდუხტ.

– ესე იგი, მირა.

– მირანდა?

– არა, მირანდუხტ.

– ვახ.

გოგონამ ისევ ასწია ლამაზი ხელი და თითების ქნევით გავიდა თოვანში.

მარო და მარგალიტა ცხვირჩამოშვებულები იდგნენ. შესვენებაზე მცირე ტაბლას მიუსხდნენ ქალები და გერონტი. გერონტიმ თქვა:

– რა არის ადამიანი! ხომ მაბრაზებდა ეგ გოგო. მაბრაზებდა, მაგრამ თანაც მაფხიზლებდა. რაც ეგ გამოჩნდა, აშკარად დავინახე ჩემი გოგოების ნაკლოვანებები. ცეცხლის კალოში ვაყენებ, – ან სიარული ისწავლონ, ან თავდაჭერა. მეცა... მეცა ვზივარ და სულ ვანგარიშობ.

მარომ და მარგალიტამაც აღიარეს:

– გენიალური გოგოა, – და ერთად ჩაანეს პურები ქონიან ტაფაში.

– ნამდვილი გენიოსი. როგორ ანგარიშობს, ხომ იცით, მანქანასავით. რა-ტა-ტა-ტა-ტა – ზუსტად!

იმ დღიდან დიდი მეგობრები არიან მირანდუხტ და გერონტი. გერონტის რალაც-რალაცები აქვს ხოლმე გადანახული მირანდუხტისთვის.

ერთი ეგ არის, ჯერჯერობით ველარაფერი მოაწონა. მირანდუხტი ისევ იმას ყიდულობს, რაც დახლებშია გამოწყობილი... და კიდევ ერთიც – გერონტის უნდა, თავის გოგოებთან მიიპატიჟოს მირანდუხტი, ნახალოვკაში, ვერ კი გაუბედავს. გერონტის ხის სამსაფეხურიანი პატარა სახლი უდგას პატარა ბაღში. მირანდუხტი კი – ასე ეჩვენება – სულ მარმარილოს კიბეებზე დაბრძანდება აღმა-დაღმა და მომხიბვლელად უქნევს შემხვედრებს პატარა, ლამაზ ხელს. როგორია ასეთი გოგონას ნახალოვკაში სტუმრობა?! ო ო ო!..

თავი 3 – სიბრძნე სიცრუისა

თეორია – იგავ-არაკი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

შეძლებენ იგავის მხატვრული მახასიათებლების გათვალისწინებას თხზულების შექმნისას, განუვითარდებთ შემოქმედებითი უნარები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).10.მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

- კონკრეტული ლიტერატურული ჟანრის ტექსტის დასაწყისის მიხედვით ქმნის შესაბამისი მხატვრული ფორმის მცირე ზომის თხზულებას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ იგავეები, იცნობენ იგავის სტრუქტურას, მის მხატვრულ თავისებურებებს, შეუძლიათ მსჯელობა, მხატვრული ტექსტების შექმნა.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, წყვილური/ინდივიდუალური

აქტივობა 1. თემისა და მიზნის გაცნობა

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს გააცნობს თემასა და მიზანს, შეახსენებს, რომ მათ დაასრულეს თავი „სიბრძნე-სიცრუისა“ და სთხოვს ჩამოწერონ სიბრძნე, რომელიც ამ თავშია მოცემული. მოსწავლეები ასახელებენ. ყურადღებას ამახვილებენ მორალზე (მაგალითად, „მთიელი და კაკლის ხე“ - სამყაროში ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც საჭიროა; „აქლემი და ვირი“ - ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს; „უსამართლო შირვან-შაჰი“ - ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა და ა.შ.).

აქტივობა 2. მსჯელობა იგავურ სიბრძნეზე

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება: როგორ გამოიხატება სიბრძნე იგავში: ა) ალეგორიულად; ბ) მანკიერების გაკიცხვით; გ) ზნეობრივი მაგალითების ჩვენებით; დ) ჭკუის დარიგებით; ე) დასკვნით წინადადებაში იგავის მორალის ხსენებით; ე) მორალით, რომელიც გამოხატულია ანდაზით; ვ) ნებისმიერი მათგანით. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასაბუთონ თავიანთი პასუხები.

აქტივობა 3. მზადება იგავის შესაქმნელად

მასწავლებელი მოსწავლეებს უსახელებს რამდენიმე ცნობილ ანდაზას, მაგალითად „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“; „თავგმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“; „მოყვრულად მოსული მტერი მტერ-

ზედაც უარესიაო“; „მოყვარეს პირში უზრახე, მტერს – პირს უკანაო“.

შენიშვნა: კლასის მზაობის დონის გათვალისწინებით, მასწავლებელს შეუძლია მსგავსი ანდაზები თვითონ მოაფიქრებინოს მოსწავლეებს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იმსჯელონ თითოეულ ანდაზაზე, და იმაზე, რომელი მათგანი უფრო აქტუალურია მათთვის და რატომ.

აქტივობა 4. იგავის შექმნა (წყვილებში ან ინდივიდუალურად)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეარჩიონ მათთვის სასურველი და აქტუალური ბრძნული გამონათქვამი, მოიფიქრონ მოქმედების ადგილი, პერსონაჟები, განსაზღვრონ მათი ხასიათი (ვის ან რას უნდა განასახიერებდეს თითოეული) და იგავის მხატვრული თავისებურებების გათვალისწინებით შექმნან იგავი, რომელშიც თანამედროვე პრობლემები გამოჩნდება.

პრეზენტაციამდე მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩაასწორონ საკუთარი ნაწერი.

აქტივობა 5. პრეზენტაცია

აქტივობის შემდეგ მოსწავლეები აკეთებენ პრეზენტაციებს. აფასებენ ერთმანეთს, რამდენად შეძლეს იგავის მხატვრული მახასიათებლების გათვალისწინება თხზულების შექმნისას, რამდენად პასუხობს მათი იგავი მორალს, რამდენად საინტერესოდ, შემოქმედებითად ჰყვება ამბავს.

შეფასება

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად შეძლო იგავის მხატვრული მახასიათებლების გათვალისწინება თხზულების შექმნისას, რამდენად პასუხობს მისი იგავი მორალს, რამდენად საინტერესოდ, შემოქმედებითად ჰყვება ამბავს.

მეფე და ავსიტყვა

მეფეს ერთი დაახლოებული კაცი ჰყავდა, ისეთი ავსიტყვა, რომ მისი პირიდან კარგი სიტყვა არ ამოვიდოდა. ერთხელ მეფე ხუთწლიან ლაშქრობაში წასასვლელად ემზადებოდა და ავსიტყვას უთხრა:

– ერთი კარგი სიტყვა თქვი და რომ დავბრუნდები, კაბას მოგცემო! ავსიტყვამ უპასუხა:

– რომ ვერ მოხვიდე, ვინღა მომცემს და კარგი სიტყვაც დავკარგო? ნავიდა მეფე. ორი წელი გამობდა. ავსიტყვამ მეფის უნახავად ვერ გაძლო და მასთან ნავიდა. მეფემ თვალი მოჰკრა თუ არა, ვეზირს უბრძანა:

– აბა, ყიამყრალი მოდის და ნურავის ამბავს ჰკითხავ, ავს იტყვის, მხოლოდ ჩემი გოშის ამბავი ჰკითხო!

მოვიდა ავსიტყვა და მეფის წინ მიწას აკოცა. ვეზირმა ჰკითხა:

– კაცთმანყინარო, მეფის გოშია რასა იქმსო?

მან უთხრა:

– მოკვდაო.

ვეზირმა ჰკითხა:

– რა სჭირდაო?

მან უთხრა:

– მეფის თეთრი აქლემი მოკვდა, მისი მძორი ჭამა და იმით მოკვდაო.

– აქლემი რამ მოკლაო?

მან უთხრა:

– მეფის დედა გარდაიცვალა, იგი ავკიდეთ საფლავამდის და იმან მოკლაო.

მეფეს გულზე ცეცხლი მოედო და ჰკითხა:

– იგი რამ მოკლა, რა დაესენაო?

მან ტირილით მოახსენა:

– პირიმზე დედოფალმა სანუთრო და-

ცალა და მისმა ნაღველმა მოკლაო.

მეფემ წვერგლეჯით ჰკითხა:

– მას რა დაესენაო?

ავსიტყვამ მოახსენა:

– თქვენი ძენი და ასულნი ყვავილმა

განყვიტა და სიმნარეს ვერ გაუძლოო.

მეფემ თავში ცემით ჰკითხა:

– მაშ, შენობა აღარ დარჩებოდა რაო?



კაბა

(ძვ.) გრძელი ტანსაცმელი ქალისაც და კაცისაც

გამობდა

გავიდა

ყიამყრალი

იგივეა, რაც ავსიტყვა; ცუდი, ავი ენის პატრონი

დაესენა

სენი შეეყარა, დაავადდა

მოახსენა:

– ჩემს იქ ყოფნაში სასახლეში ბზესა ყრიდნენ და მერე აღარაფერი ვიციო.

თურმე ყველა მისი ნათქვამი ტყუილი იყო და კაცთა სანყენად მოგონილი.

სულხან-საბა ორბელიანი

ტექსტის შინაარსი

1. დანომრე, რა თანამიმდევრობით მოახსენა ავსიტყვამ მეფეს ეს საშინელი ამბები:

- გოშიამ მეფის თეთრი აქლემის მძორი ჭამა და მოკვდა.
- სასახლეში აღარავინ დარჩა, ბზესა ყრიდნენ შესანახად.
- მეფის ძენი და ასულნი ყვავილმა იმსხვერპლა და დედოფალმა სიმნარეს ვერ გაუძლო.
- მეფის დედა პირიმზე დედოფლის სიკვდილს გადაჰყვა.
- მეფის დედა გარდაიცვალა, აქლემს აჰკიდეს, სამარემდე ატარებინეს და მოკვდა.

იმსჯელე

2. ავ ადამიანებზე რამდენიმე ანდაზა თუ აფორიზმი არსებობს:

- ავი კაცი აქე და ერიდო;
- ავი კაცი აღდგომასაც ავიაო;
- ავ კაცს შორიდან შემოუარეო;
- ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა;
- ენამუნჯი სჯობია ავმეტყველ მოსაუბრესა;
- ენისა დანაკოდარი ხმლისაგან უარესიაო;
- ავს თუ ავი არ ვუნოდო, კარგს სახელად რა დავარქვა?!

ანდაზებისა და აფორიზმების პერიფრაზი ჩანერე რვეულში. იმსჯელე თითოეულ ანდაზაზე და, რომელიც ყველაზე მეტად მოგნონს, დაიზეპირე.

დანერე

3. დანერე მოკლე თხზულება:

„ავს ნუ იქ, ავისა ნუ გეშინია“.

თავი 4 – ლეგენდებში შემონახული წარსული

„სპარსი ისტორიკოსის ჩანაწერი“ – ნაწყვეტი ისტორიის სახელმძღვანელოდან; (მოსწავლის წიგნი, გვ. 57)

„ბახტრიონის აღება“ – ხალხური; (მოსწავლის წიგნი, გვ. 7859)

„ბახტრიონის აღება“ – ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ბახტრიონი“; (მოსწავლის წიგნი, გვ. 62)

„ბახტრიონის აღება“ – ნაწყვეტი აკაკი წერეთლის მოთხრობიდან „ბაში-აჩუკი“. (მოსწავლის წიგნი, გვ.63)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის – მხატვრული და არამხატვრული – ტექსტების წაკითხვა, გაგება-გაანალიზება; ტექსტში სხვადასხვა სახის ინფორმაციის ამოცნობა და ერთმანეთთან დაკავშირება; ვარაუდის ფაქტისაგან და ფაქტის თვალსაზრისისაგან გარჩევა; პერსონაჟთა ქცევისა და მოვლენების კავშირებით დასკვნის გამოტანა; ტექსტის ლექსიკურად დამუშავება.

ოთხივე ტექსტში ერთი ეპოქაა ასახული (XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო), კერძოდ, 1659 წლის კახეთის აჯანყება. წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ტექსტი: ისტორიული; ლეგენდა; ნაწყვეტები მხატვრული ტექსტებიდან [პოეზია, პროზა] „ბახტრიონი“ და „ბაში-აჩუკი“. სასურველია, მოსწავლემ შეძლოს ერთი თემის სხვადასხვა კუთხით დანახვა. დააკვირდეს, შეადაროს და გააანალიზოს, თუ როგორ შეიძლება ისტორიული ფაქტის ლეგენდად ქცევა და მხატვრულ ლიტერატურაში ასახვა.

ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენეთ შემდეგი აქტივობები და მეთოდები:

- ასოციაციური რუკა;
- პერიფრაზი;
- კითხვა-პასუხი;
- ვარაუდების გამოთქმა;
- ისტორიაში ნაწინააღმდეგობის დაკავშირება ახალთან;
- ჩუმი კითხვა;
- ხმამაღალი კითხვა;
- ნიშანთა სისტემა;
- თხრობა;
- მსჯელობა;
- პრეზენტაცია;
- რუკაზე მუშაობა;
- ლექსიკური ერთეულების მოძიება, ახსნა, შეცვლა; იდიომატური გამოთქმების მისადაგება სხვა-დასხვა ეპიზოდთან;
- შედარება;
- სწავლა წერით.
- წერა (მოკლე შინაარსი, დახასიათება, კითხვებზე პასუხი).

ბაკვეთილი I. „სპარსი ისტორიკოსის ჩანაწერი“

ამ კონკრეტული გაკვეთილის მიზანია ტექსტზე მუშაობა (შინაარსის გაგება). ამისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი აქტივობები: ასოციაციური რუკა – მოტივაციისთვის; ჩუმი კითხვა – ტექსტის გასაცნობად და გაუგებარი სიტყვებისა და ადგილების დასადგენად; კითხვა-პასუხი და პერიფრაზი ტექსტის შინაარსის უფრო ღრმად და ზუსტად გასაგებად.

მისალწვი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს ტექსტის ნაკითხვასა და გააზრებას, შინაარსის წერილობით გადმოცემას, ლექსიკაზე მუშაობას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).6.მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან;

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- კითხვისას ნამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;

ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

- თანამიმდევრულად და ლოგიკური ხაზის დაცვით გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, იდეას/თემას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს.

ბაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება, ასოციაციური რუკა

გაკვეთილის დაწყებისთანავე წერთ დაფაზე – 1659 წელი – და ეკითხებით (სავარაუდო პასუხებს მოკლედ წერთ დაფაზე):

- გაიხსენეთ ისტორიიდან, რა მოხდა ამ წელს საქართველოში? რომელი საუკუნეა? (მეჩვიდმეტე საუკუნეა; მოხდა ბრძოლა;)
- გაიხსენეთ იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა (შაჰ-აბასი შემოესია საქართველოს)

საჭიროებისამებრ, მასწავლებელი დააზუსტებს მოსწავლეთა პასუხებს, ესაუბრება მათ ბახტრიონის აჯანყებაზე.

აქტივობა 2. ჩუმი კითხვა

სთხოვეთ მოსწავლეებს, დამოუკიდებლად წაიკითხონ ტექსტი. დაავალეთ, გამოიყენონ მეთოდი „ნიშანთა სისტემა“ და ფანქრით მონიშნონ:

- გაუგებარი ადგილები და სიტყვები – ?
- ისტორიული ფაქტები, რაც იციან – +

კითხვის დამთავრების შემდეგ შეამოწმეთ, მათთვის გაუგებარი რა ლექსიკური ერთეულები მონიშნეს. შესაძლებელია, მონიშნონ: „იქ უტყვე და მეტყველ არსებათა კვალიც არ არსებობდა“; „უსაფრთხოება აღეთქვა“; „მორჩილებაზე წახალისებინა“; „კულტურული მეურნეობა“; „სტრატეგიული პუნქტი“. მიმართეთ კლასს, იქნებ რომელიმე შეძლოს ახსნა აბზაცის საერთო შინაარსის გათვალისწინებით, შემდეგ თავად განუმარტეთ. ჩამოთვალონ, რა იყო მათთვის უკვე ნაცნობი, ნასწავლი... რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩართეთ აქტივობებში. სასურველია, ნებისმიერი აქტივობის დროს სწორედ ის მოსწავლეები გამოკითხოთ, რომლებიც არ აქტიურობენ, ხელს არ იწვევენ.

აქტივობა 3. კითხვა-პასუხი

დასვით შეკითხვები ტექსტის გასააზრებლად (განსაკუთრებით სპარსი ისტორიკოსის მონაკვეთთან დაკავშირებით):

- ვინ შემოესია საქართველოს?
- საქართველოს რომელ მხარეს ესაზღვრება დაღესტანი? გაიხსენეთ, რომელ ნაწარმოებში შეგხვდათ ეს გეოგრაფიული სახელი?
- რისთვის ჩამოდიოდნენ დაღესტნელები კახეთში?
- რატომ ვერ იცავდნენ კახელები თავს?
- რომელი ფრაზა ასახავს მეორე აბზაცში კახეთის გავერანებას?
- რატომ დაასახლა შაჰმა კახეთში მომთაბარეები?
- რას აფარებდა თავს გადარჩენილი ხალხი?
- რა ხერხს მიმართა შაჰმა ხალხის დასამორჩილებლად?
- წაიკითხეთ ის აბზაცი, რომელშიც წერია, თუ რა საფრთხე დაემუქრა კახეთისა და მთიანეთის მოსახლეობას?
- რით დაგვირგვინდა ხალხის გაუსაძლისი მდგომარეობა?
- რატომ დაეცნენ ქართველები თავს ბახტრიონის ციხეს?
- რას მიაღწიეს ქართველებმა ამ აჯანყებით?
- დაასახელე ისტორიული გმირები, რომლებიც შეეწირნენ ამ აჯანყებას.

მთელი კლასი ჩართეთ კითხვა-პასუხში. პასუხების გაცემისას შეუძლიათ, ჩახედონ ტექსტს და პასუხი წიგნიდან ამოიკითხოთ. ამ სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეები კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ ტექსტს და კარგად გაიგონ შინაარსი.

აქტივობა 4. პერიფრაზი

ტექსტის უკეთ გააზრებისთვის კიდევ ერთი აქტივობა ჩაატარეთ: წაიკითხეთ ხმამაღლა მეორე აბზაცი (შედარებით რთული მონაკვეთია ლექსიკურადაც და წერის სტილითაც), წაიკითხეთ ერთ-ორ მოსწავლესაც და შემდეგ სთხოვეთ კლასს, დაწერონ ამ აბზაცის პერიფრაზი. ამისთვის კი დაავალეთ, ხაზგასმული სიტყვები და ფრაზები შეცვალონ სინონიმებით. მიეცით 10 წუთი. შემონიშნის მიზნით, რაც შეიძლება ბევრს წააკითხეთ. კიდევ ერთხელ შეეკითხეთ, არის თუ არა რაიმე გაუგებარი და შემდეგ მიეცით დავალება.

აქტივობა 5. საშინაო დავალება

კითხვებზე პასუხი (2, 3, 4, 5, 6, 7 – მოსწ. წიგნი, გვ. 52).

ტექსტი თხრობით.

მოსწავლეებს სთხოვეთ, ტექსტში ნახსენებ სამ ისტორიულ პირზე მოიძიონ ინფორმაცია (ინტერნეტში,

ისტორიის სახელმძღვანელოში, ენციკლოპედიაში) და წარადგინონ მომდევნო გაკვეთილზე.

პასუხები უნდა იყოს სრული და ადეკვატური. თხრობის დროს უნდა დაიცვან თანამიმდევრობა, დაიმასხოვრონ ფაქტები და ისტორიკოსის ტექსტის გადმოცემისას გამოიყენონ რამდენიმე ფრაზა ზუსტად ტექსტის მიხედვით. ეს ფრაზები შეგიძლიათ თქვენ მიუთითოთ და სწორედ ის ამოარჩიოთ, რომლებიც ტექსტის დამუშავების დროს მათთვის გაუგებარი იყო და მათ ამაზე კლასში იმუშავეს.

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო ტექსტის ნაკითხვა და გააზრება, შინაარსის წერილობით გადმოცემა, ლექსიკაზე მუშაობა.

გაკვეთილი II. „გასტრიონის აღება“ – ლეგენდა (2 სთ.)

მისალწვევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს ნასწავლი და მოსმენილი ტექსტიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით დასკვნის დაწერას; ჩუმი კითხვის მეთოდის გამოყენებით ლეგენდის ლექსიკურად დამუშავებას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა..

- აკავშირებს ტექსტის ინფორმაციას პირად და/ან ლიტერატურულ გამოცდილებასთან, გამოაქვს სათანადო დასკვნა;

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- განაფულად კითხულობს ნაცნობ და უცნობ ტექსტებს;

ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

- თანამიმდევრულად და ლოგიკური ხაზის დაცვით გადმოსცემს სათანადო ინფორმაციას, იდეას/თემას, კონკრეტულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, განცდილ შთაბეჭდილებას, ფაქტებსა და მოვლენებს;
- ავლენს ფაქტისადმი (მოვლენისადმი) საკუთარ დამოკიდებულებას, ახერხებს მის ემოციურ შეფასებას;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. საშინაო დავალების გამოკითხვა

- წაკითხვით რამდენიმე მოსწავლეს პასუხები. გადაამონმეთ, რომელიმე მოსწავლეს განსხვავებული პასუხი ხომ არა აქვს კონკრეტულ კითხვაზე. **5 წთ.**
- გამოიძახეთ რამდენიმე მოსწავლე და მოაყოლეთ ტექსტი. შეგიძლიათ, წყვილებში მოაყოლოთ. თითო წყვილს გაუნაწილეთ ტექსტი: ერთ მოსწავლეს მოაყოლეთ ისტორიკოს ისქანდერ მუნშის მონათხრობი, მეორეს კი, დანარჩენი ინფორმაცია. **7 წთ.**
- შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს წაკითხვით გმირებზე მოძიებული ინფორმაცია. შესაძლოა, ზოგიერთს არ ჰქონდეს მოძიებული ინფორმაცია. გააფრთხილეთ, რომ მათ ყურადღებით უნდა მოუსმინონ თანაკლასელებს. მოსმენილი ინფორმაცია მათ შემდეგ აქტივობაში უნდა გამოიყენონ. **7 წთ.**

აქტივობა 2. წერა

მოსმენის შემდეგ მათ უნდა დაწერონ სახელმძღვანელოში მოცემული მე-8 სავარჯიშო. მითითებები მოსწავლეებისთვის:

- წერისას გამოიყენეთ მოსმენილი და წაკითხული ტექსტიდან მიღებული ინფორმაცია;
- წერა დაიწყეთ იმდროინდელი საქართველოს მდგომარეობის აღწერით (ერთი-ორი წინადადებით);
- თითოეული გმირის შესახებ დაწერილი ინფორმაცია გაამყარეთ არგუმენტებით;
- დაიცავით აბზაცები, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესები, დაიცავით თანამიმდევრობა;
- დასკვნა ერთი წინადადებით დაწერეთ: „ეს გმირები საქართველოს დამოუკიდებლობას შეენიერნენ“.

ნაწერი მთლიანობაში დაახლოებით ნახევარი გვერდი ან ცოტა მეტი უნდა გამოვიდეს.

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ მოძიებული ინფორმაციიდან და დამუშავებული ტექსტიდან დასკვნის გამოტანა და წერილობით ჩამოყალიბება. ნაწერები ჩამოართვით, შეამონმეთ და შემდეგ გაკვეთილზე გააცანით შედეგები. ტექსტი მითითებების (შეფასების კრიტერიუმების) მიხედვით უნდა გასწორდეს.

აქტივობა 3. კითხვა-პასუხი.

- დასვით კითხვები:

– იცით თუ არა რომელიმე ლეგენდა? თუ წაგიკითხავთ, გისწავლიათ ან გაგიგონიათ? (სავარაუდოდ, გაიხსენებენ ლეგენდას თბილისზე. ძალიან მოკლედ მოაყოლეთ.)

– როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ დასახელებულ ლეგენდაში რომელია ისტორიული ფაქტი? (სავარაუდოდ, უპასუხებენ: თბილისი ვახტანგ გორგასალმა დააარსა იმ ადგილას, სადაც თბილი წყლები ამოდის);

- სთხოვეთ, წაიკითხონ ლეგენდა „ბახტრიონის აღება“ და გაარკვიონ, მათთვის ცნობილი რომელი ისტორიული ფაქტებია გამოყენებული ამ ხალხურ ლეგენდაში.

2აქტივობა 4. ჩუმი კითხვა

წაკითხვამდე მიეცით მითითებები:

- ამონერონ გეოგრაფიული და საკუთარი სახელები (თვითონ შექმნან ცხრილი და ჩანერონ); შემდეგ წაიკითხონ.
- კითხვის დამთავრების შემდეგ დააკვირდნენ რუკას და მონიშნონ ის კუთხეები, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა.

აქტივობა 5. საშინაო დავალება

ლეგენდა თხრობით;

1, 2, 3, 4, 5, 7, 8, 9 სავარჯიშოებზე პასუხი დასაწერად (მოსწ. ნიგნი, გვ. 55).

გაკვეთილი III.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა..

- მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირზე;

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

- ახალ ინფორმაციას აკავშირებს არსებულ ცოდნასა და გამოცდილებასთან;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. დავალების შემონმება

1. გაკვეთილი დაიწყეთ წინა გაკვეთილზე წერიტი სამუშაოს შედეგების გაცნობით.

2. შემდეგ შეამონმეთ წერიტი საშინაო დავალება.

თქვენ მიერ ნაკითხული თითოეული კითხვის შემდეგ პასუხი რამდენიმე მოსწავლეს წააკითხეთ.

იკითხეთ, ხომ არ იყო რამე გაუგებარი.

აქტივობა 2. ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა და დასათაურება

სამუშაო წყვილებმა შეასრულონ.

ეს დავალება ტექსტის შინაარსის გაგებას კიდევ უფრო გაამყარებს.

- მოსწავლეებმა დაყონ ტექსტი რამდენიმე (4-5) ეპიზოდად შინაარსის მიხედვით და დაასათაურონ (ეპიზოდების რაოდენობაზე წინასწარ შეთანხმდნენ);
- სათაურები ჩაწერონ რვეულში;
- სამუშაოს დამთავრების შემდეგ ერთი მოსწავლე გამოვიდეს დაფასთან და ჩამონეროს თავისი ვარიანტი სიგრძეზე;
- შემდეგ მიმართეთ კლასს სხვა ვარიანტებისთვის და მიუწერეთ გვერდით;
- ბოლოს ხმათა უმრავლესობით ამოირჩიონ ეპიზოდების საუკეთესო ვარიანტი;
- „საუკეთესო ვარიანტი“ გადაინერონ რვეულში;
- შემდეგ თითოეული სათაურის მიხედვით მოსწავლეებს მოაყოლეთ ეპიზოდები.

აქტივობა 3. ტექსტის საბოლოო გააზრება

ამისათვის კიდევ ერთი აქტივობა შესთავაზეთ მოსწავლეებს.

- ჩამონერეთ დაფაზე სამი იდიომატური გამოთქმა: „ვინროში მოატანა“; „ზურგის გამაგრება“; „კვალში ჩადგომა“.
- იკითხეთ, თუ ესმით მნიშვნელობა; ახსნან და შემდეგ მიუთითეთ, ნაიკითხონ მე-80 გვერდზე ეს გამოთქმები.
- შეადგინონ წინადადებები ამ იდიომატური გამოთქმების გამოყენებით. დავალების დასრულების შემდეგ თითოეულ იდიომზე შექმნილი წინადადება რამდენიმე მოსწავლეს წააკითხეთ. დარწმუნდით, რომ ყველამ გაიგო და ადეკვატურად გამოიყენა გამოთქმა კონტექსტში.

აქტივობა 4. საშინაო დავალება

მოიფიქრონ და დასვან კითხვები, რომელთა პასუხებიც მათ მიერ შერჩეულ ეპიზოდებშია (ისტორიული ტექსტიც გამოიყენონ კითხვების დასმის დროს); ჩართონ იდიომატური გამოთქმები კითხვებში ან პასუხებში, რომლებსაც სახლში გასცემენ პასუხებს.

ნიმუში:

- ვინ უმაგრებდა ზურგს კახელებს აჯანყების დროს და ვინ აიღო ბახტრიონის ციხე? (ფშავ-ხევსურები)
- ბახტრიონის ასაღებად პანკისს წამოსულ ქართველებს ვინ ჩაუდგა კვალში? (თათრის დარაჯი, რომელიც პანკისს იდგა).
- რა ბედი ეწიათ ალავერდიდან და ბახტრიონიდან გაქცეულ თათრებს? (ქართველებმა ისინი ვინროში მოატანეს და დახოცეს).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად მოახერხა ტექსტის ეპიზოდებად დაყოფა და დასათაურება, იდიომების პრაქტიკულად გამოყენება.

გაკვეთილი IV. „ბასტიონის აღება“ (ნაწყვეტი პოემიდან „ბასტიონი“)(2 სთ.)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ამ გაკვეთილის მიზანია ისტორიული ფაქტის მხატვრულ ნაწარმოებში ამოკითხვა და თავად პოეტის განწყობის დანახვა.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მონოდებულ ზეპირ ინფორმაციას;

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;
- აანალიზებს თანატოლების მიერ შესრულებულ საკითხავ დავალებებს - განარჩევს სწორ და მცდარ პასუხებს; ხსნის, რატომ ვერ გასცა მოსწავლემ სწორად პასუხი, რა ვერ გაიგო, რატომ შეცდა იგი და სხვ.;
- ტექსტის სახისა და საკითხავი ამოცანის გათვალისწინებით, ირჩევს კონკრეტულ სტრატეგიას/ მიდგომას და ხსნის თავის არჩევანს;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. დავალების შემონმება

გაკვეთილი დაიწყეთ დავალების შემონმებით. საკმაოდ რთული დავალება ჰქონდათ და, ალბათ, საინტერესო იქნება, როგორ მოამზადეს. შეეცადეთ, მაქსიმალურად ბევრი მოსწავლე გამოკითხოთ (თუ კლასში ცოტა მოსწავლეა, წერილი საშინაო დავალება ყველას წააკითხეთ ხოლმე). საშინაო დავალების კლასში შემონმების დროს აუცილებლად კომენტარით უნდა შეაფასოთ თითოეული მოსწავლის ნამუშევარი. მათ ნაწერი იქვე უნდა შეასწორონ ან ჩაინიშნონ და სახლში ჩაასწორონ.

დავალების წაკითხვისას მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა დაასაბუთონ, რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ეპიზოდი კითხვა-პასუხის დასაწერად. ამ აქტივობას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ, ვფიქრობთ, მოსწავლეებს მნიშვნელოვან უნარებს განუვითარებს: პასუხისმგებლობა საკუთარი ნამუშევრის მიმართ; არგუმენტირებული მსჯელობა; საკუთარი არჩევანის დაცვა; შეცდომების აღმოჩენა და შესწორება, რაც, ასევე, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარს განუვითარებს მათ.

აქტივობა 2. მინილექცია

მოსწავლეებს ერთი-ორი სიტყვით გადაეცით ინფორმაცია ვაჟა-ფშაველას ამ პოემის შესახებ. საყურადღებოა, რომ თუშემა და ხევსურებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1659 წლის აჯანყებაში. პოეტმა ც სწორედ ამ ფაქტს მიუძღვნა ეს პოემა. სახელმძღვანელოში კი მოცემულია ის ნაწყვეტი პოემიდან, რომელიც გადმოსცემს პოეტის განწყობას ამ აჯანყების მიმართ.

აქტივობა 3. ხმამაღალი კითხვა

წაკითხეთ ხმამაღლა ნაწყვეტი და ჰკითხეთ, რა გაიგეს ერთი მოსმენით. სავარაუდო პასუხი, ალბათ, ერთგვაროვანი იქნება: თუშებმა აისხეს აბჯარი და აიღეს ბახტრიონის ციხე, დაამარცხეს თათრები. 5 წთ.

აქტივობა 4. ჩუმი კითხვა

- მიეცით მითითება:

– წაკითხეთ და მონიშნეთ ის სიტყვები ან ფრაზები, რომლებიც ვერ გაიგეთ (სავარაუდოდ, დასახელებენ შემდეგ სიტყვებსა და ფრაზებს: „ნაოხარი“; „დღე გაუთენდათ მწარია“; „პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის“. დანერეთ მათ მიერ დასახელებული ფრაზები დაფაზე და დაეხმარეთ მოსწავლეებს ამ ფრაზების ახსნაში).

- სთხოვეთ, მიუბრუნდნენ ლექსს და ამოწერონ გარითმული სიტყვები (ნაოხარია – საოცარია – საომარია; მწარია – მთვარეა; ბარია – გვარია);

აქტივობა 5. ხმამაღალი კითხვა

მოსწავლეებმა წაკითხონ ხმამაღლა ლექსი. მიაქციეთ ყურადღება ინტონაციას, ტემპს (მიუთითეთ, კითხვისას არ იჩქარონ).

აქტივობა 6. პერიფრაზი

დაავალეთ, დაწერონ ბოლო სტროფის პერიფრაზი და შემდეგ წაკითხეთ. თითოეული მოსწავლის გამოსვლის შემდეგ კომენტარები ჯერ თავად მოსწავლეებმა გააკეთონ, შემდეგ კი – თქვენ.

საშინაო დავალება

გაცენ სამ კითხვას პასუხი (გვ. 52); ლექსი მიეცით ზეპირად (ლექსის ზეპირად შესწავლის დროს, სასურველია, მოსწავლემ იცოდეს, რომ თუ ის მეორე დღისთვის ბოლომდე ვერ ისწავლის ლექსს, შეუძლია, შემდეგი დღისთვის დაიზეპიროს და ჩააბაროს მასწავლებელს).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო ისტორიული ფაქტის მხატვრულ ნაწარმოებში ამოკითხვა და თავად პოეტის განწყობის დანახვა.

გაკვეთილი V

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს ტექსტზე დაყრდნობით პერსონაჟის დახასიათება წერილობით, ლექსის პერიფრაზირება, ტექსტის ნაკითხვა მითითებებზე დაყრდნობით.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;

ქართ.დანყ.(II).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობ თემატიკაზე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის ტექსტების შექმნა.

- გამოთქვამს მოსაზრებას და ასაბუთებს მას ადეკვატური მტკიცებულებებით (ფაქტებით, მაგალითებით, სხვ.).

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. დავალების შემონახვა

შეამონხეთ წერიტი დავალება. გამოიკითხეთ ლექსი ზეპირად. წინასწარ დააზუსტეთ, და გამოიძახეთ ის მოსწავლეები, ვინც ბოლომდე იცის ლექსი ზეპირად.

აქტივობა 2. ჩუმი კითხვა

- ისევ ლექსს მიუბრუნდით. დაასახელონ ერთადერთი პერსონაჟი, რომელიც ამ ნაწყვეტშია და გაიხსენონ, სად შეხვდათ ეს სახელი; ვინ იყო იგი? შემდეგ ჩახედონ ლექსს და ამოიკითხონ ეპითეტი, რომლითაც ვაჟა-ფშაველა ახასიათებს ამ პერსონაჟს, ზეზვას; წაიკითხონ ფრაზა ლექსში, რომელიც ადასტურებს, ლეგენდის მიხედვით, ამ გმირის როლს აჯანყებაში. იმსჯელონ ზეზვა გაფრინდაულის საქციელზე, შეაფასონ.

აქტივობა 3. ხუთწუთიანი წერა

დაურიგეთ მოსწავლეებს წინასწარ მომზადებული ფურცლები (გვარები ეწეროს) და სთხოვეთ, დანერონ ზეზვა გაფრინდაულის დახასიათება.

მითითებები:

- უპირველეს ყოვლისა, აღნიშნონ, ვინ იყო ის;
- აღნიშნონ მისი ყველა ის თვისება, რომლებიც წინა აქტივობის დროს დაასახელეს და გაამყარონ არგუმენტებით ტექსტიდან.

ნიმუში:

ზეზვა გაფრინდაული თუშების წინამძღოლი იყო. იგი წინ მიუძღვოდა რაზმს ბრძოლაში; ზეზვა გაფრინდაული წინდახედული და მოხერხებული იყო. გზაში რამდენიმე პალო გამოთალა და კალთაში გამოიკრა. ციხესთან მისულმა, ჩაასო კედელში და აძვრა ციხეზე. გაბედულად ჩახტა ციხის შიგნით, ამოხოცა დარაჯები, გაალო კარი და ლაშქარი შეუშვა. ის მამაცი და თავდადებული მეომარი იყო.

- ნაწერი უნდა იყოს ძალიან მოკლე და, რაც მთავარია, მართლა 5 წუთში უნდა დაწერონ. ამ აქტივობაში ძალიან მნიშვნელოვანია რეგლამენტის დაცვა.

„ბაში-აჩუკი“

აქტივობა 5. ჩუმი კითხვა

- ამის შემდეგ გადადით ახალ გაკვეთილზე, რომელიც იმავე თემას ეხება, რაც ლექსსა და ლეგენდაშია. მოკლე ინფორმაციის შემდეგ სთხოვეთ, წააკითხონ ტექსტი და ამონერონ პერსონაჟები.
- გაიხსენონ ისტორიული ტექსტი, აღნიშნონ ლიტერატურულ ნაწყვეტში ისტორიული პირები და მიუწერონ, რა როლს ასრულებდნენ ისინი ამ აჯანყების დროს;
- წააკითხეთ შემონიშნების მიზნით.

საშინაო დავალება

მოსწავლეებმა საშინაო დავალებად უნდა გასცენ პასუხი სავარჯიშოში მოცემულ პირველ ორ კითხვას (მოსწ. წიგნი, 58).

შეფასება

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო ტექსტზე დაყრდნობით პერსონაჟის დახასიათება წერილობით, ლექსის პერიფრაზირება, ტექსტის წაკითხვა მითითებებზე დაყრდნობით.

გაკვეთილი VI

მისალწვენი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ეს გაკვეთილი შემაჯამებელ სამუშაოებს შეეხება. მოსწავლეები შეძლებენ საკუთარი მოსაზრების ნათლად გამოხატვას, გრაფიკული მაორგანიზების შევსებას და ტექსტებზე დაკვირვებას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეცნიერო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ასოციაციურად უკავშირებს ერთმანეთს მხატვრულ ამბავსა და რეალურ მოვლენას;
- უდარებს წაკითხულ ნაწარმოებს მის ეკრანიზებულ და თეატრალიზებულ ვერსიებს.

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. ლექსიკა

(ეს აქტივობა ხელს შეუწყობს ოთხივე ტექსტის უკეთ გააზრებასა და გახსენებას).

- მოსწავლეებს სთხოვთ, ამოწერონ ტექსტებიდან (ისტორიული ნაწყვეტის ბოლო აბზაცი – „ხელი აიღეს“; ლეგენდის II აბზაცი – „მოთმინების ფიალა აივსო“; IV აბზაცი – „ქვას ქვაზე აღარ დატოვებს“; „ბაში-აჩუკი“ – „გაავლეს მუსრი“) იდიომატური გამოთქმები და შეადგინონ წინადადებები;
- წაკითხეთ მოსწავლეებს მათ მიერ შედგენილი წინადადებები და ზეპირი კომენტარები დაურთეთ.

აქტივობა 2. ვარაუდის გამოთქმა

- წყვილებში გადანყვიტონ და შემდეგ გამოთქვან ვარაუდი და იმსჯელონ: რის საფუძველზე იქმნება ლეგენდა? რა ტიპისაა ეს ოთხი ტექსტი: მხატვრული თუ შემეცნებითი?

აქტივობა 3. ცხრილის შევსება

გადაიხაზონ ცხრილი რვეულში (გვ. 64, სავარჯიშო 10), შეავსონ ტექსტების მიხედვით და იმსჯელონ, რით განსხვავდება ინფორმაციული ტექსტი მხატვრულისგან;

მითითებები:

- გადაიხაზონ ცხრილი რვეულში. **2 წთ.**
 - განსაზღვრონ განსხვავება ისტორიულ პირსა და მხატვრულ პერსონაჟს შორის; ფაქტსა და გამოგონილ ამბავს შორის. **5 წთ.**
 - მიუბრუნდნენ ტექსტს და ამოწერონ, რაც აქვთ დავალებული. **10 წთ.**
- სასურველია, თქვენც გქონდეთ წინასწარ გამზადებული ცხრილი დაფაზე ან ფორმატზე.
- დროის ამონურვის შემდეგ წაკითხეთ რამდენიმე მოსწავლეს და ჩანერეთ თქვენს ცხრილში.

აქტივობა 4. მსჯელობა

მოსწავლეებმა ცხრილის დახმარებით უნდა დაახასიათონ ინფორმაციული და მხატვრული ტექსტები და დაასკვნან, რით განსხვავდება ეს ტექსტები ერთმანეთისგან.

საშინაო დავალება

მიეცით საშინაო დავალება: გვ. 64, დავალება 11; მიმოიხილეთ თითოეული პუნქტი, გაუგებარი რომ არ დარჩეს რამე.

თავი 5 – სიცილი გადამღებიაო

თეორია – ანოტაცია, რეკლამა

მისალწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალების (მარტივი ტექსტი, აპლიკაცია, ილუსტრირება...) გამოყენებით შეძლონ მარტივი ანოტაციისა და რეკლამის შედგენა წინასწარ მოცემული პირობების მიხედვით; გაიაზრონ უპირატესობები, რის აფიშირებაც სურთ რეკლამის საშუალებით.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას;

ქართ.დანყ.(II).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკური და სემანტიკური მახასიათებლების, სტრუქტურულ-კომპოზიციური ელემენტებისა და ენობრივ-გამომსახველობითი ფორმების ამოცნობა.

- ასახელებს ადმინისტრაციული ხასიათის მარტივი ტექსტების ფორმალურ ნიშნებს, როგორებიცაა, მაგ., მკაცრად ლაკონიური სტილი, ტექსტის პირობითი ფორმა (ბლანკის ტიპისა); სპეციალური/დარგობრივი ტერმინოლოგია და ა. შ.;

ქართ.დანყ.(II).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- წერის მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობს იდეების გენერირებაში, ნაწერის თემის განსაზღვრაში;

ბაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. მოსმენა და კითხვებზე პასუხი

სასურველია, მასწავლებელს წინასწარ მომარაგებული ჰქონდეს 2-3 საბავშვო წიგნი, აჩვენოს კლასს ეს წიგნები, წაუკითხოს ანოტაციები და გაკვეთილის სცენარი განავითაროს აქ მოცემული სცენარის მიხედვით. თუ არა და, მაშინ უკითხავს ქვემოთ მოცემულ ანოტაციებს. ჯერ უკითხავს „სალამურას“ ანოტაციას (საჭიროებისამებრ, 2-ჯერ):

არჩილ სულაკაური – „სალამურა“

ქონდარეთის ჯიუტმა და ძილისგუდა უფლისწულმა სიზმარში ნანახ ციციანათელების მზეთუნახავთან თამაში მოინდომა. ლამის შიკრიკებმა ციციანათელების მზეთუნახავი მწყემსი მოიტაცეს და უფლისწულს მიჰგვარეს. მეგობრის გადასარჩენად სალამურამ ქვეყნიერება მოიარა და რა არ გადახდა თავს – ჯამბაზობაც ისწავლა და მუშტი-კრივიც...

ნაიკითხე ყველა დროის საუკეთესო ქართული ლიტერატურული ზღაპარი – არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“ – და უფრო მეტს შეიტყობ სიკეთესა და მეგობრობაზე.

მეგობრისათვის თავდადებული სალამურას, ციციანათელების კეთილი და სევდიანი მწყემსი ბაიას,

ცრუმზეთუნახავი ფრინტასა და სასაცილო უფლისწულის, ქონდარუხის, გაცნობაში წიგნის მხიარული ილუსტრაციები დაგეხმარება.

პატარა ბიჭუნას დიდი თავგადასავალი შენი და შენი მეგობრების საყვარელი წიგნი გახდება – ის ხომ შენი მშობლების უსაყვარლესი წიგნი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი შენხელები იყვნენ.

მასწავლებელი სვამს კითხვებს წაკითხულის ირგვლივ:

- თქვენი აზრით, რა წავიკითხე მე? (სასურველი პასუხია: მოკლე ინფორმაცია წიგნის შესახებ)
- ამ მოკლე ინფორმაციით რა გავიგეთ წიგნის შესახებ?
- ვინ არის ავტორი? რა ტიპის ნაწარმოებია? (ზღაპარია)
- გავიგეთ თუ არა, ვინ არიან პერსონაჟები?
- ამ ინფორმაციაში ნახსენებია, რის შესახებაა წიგნი.

ამის შემდეგ მასწავლებელი აყალიბებს ანოტაციის განმარტებას:

– ყველა წიგნს ახლავს ანოტაცია. ანოტაცია განთავსებულია წიგნის უკანა ყდაზე ან საწყის ფურცლებზე. ანოტაციის მიხედვით შეგვიძლია გავიგოთ: (და მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს, რაზეა ესა თუ ის წიგნი და რა ღირებულება აქვს მას – ანოტაციაში ძალიან მოკლედაა გადმოცემული შემდეგი ინფორმაცია:

- წიგნის ძალიან მოკლე შინაარსი;
- რამდენად ცნობილი და მნიშვნელოვანია ავტორი;
- აქვს თუ არა მიღებული ესა თუ ის ლიტერატურული პრემია;
- რამდენ ენაზეა გამოცემული წიგნი;
- არის თუ არა ილუსტრირებული და ასე შემდეგ...)

– მოკლედ, ანოტაციის მიზანია, დაინტერესოს მკითხველი და წიგნის წაკითხვის სურვილი გაუჩინოს მას. წავიკითხოთ მეორე ანოტაცია:

ტუვე იანსონი – „მუმინების ბიბლიოთეკა“

ტუვე იანსონი, ანდერსენის პრემიის ლაურეატი, თანამედროვეობის უდიდესი საბავშვო მწერალი ქალი და ილუსტრატორი, ფინეთში ცხოვრობს, თუმცა თავის წიგნებს შვედურ ენაზე წერს. „მუმინების ბიბლიოთეკა“ – ტუვე იანსონის წიგნები მუმინების საოცარი ხეობისა და იქ მობინადრე ზღაპრული არსებების შესახებ. თითოეულ მათგანში ტექსტი და ავტორისეული ილუსტრაციები ერთ მომაჯადოებელ მთლიანობას ქმნის.

მუმინტროლი, სნუსმუმრიკი, ჰემული, სნიფი და უამრავი სხვა არსება, რომლებიც მუმინების ზღაპრულ ხეობაში ცხოვრობენ, უკვე რამდენიმე ათწლეულია ხიბლავენ მილიონობით ბავშვს მთელ მსოფლიოში. ამ სერიით გამოდის:

- კომეტა მუმინების ხეობაში;
- ჯადოქრის ქუდი;
- უჩინარი ბავშვი;
- სახიფათო ზაფხული;
- მამა მუმინის მემუარები;
- ჯადოსნური ზამთარი;
- მამა და ზღვა;
- ნოემბრის მინურულს.

მასწავლებელი სვამს კითხვებს წაკითხულის ირგვლივ:

- რა ჰქვია ამ წიგნს? ვინ არის ავტორი?

- თქვენი აზრით, ეს წიგნი ქართულია თუ თარგმნილი? საიდან გაიგეთ?
- ამ ანოტაციის მიხედვით, ახლავს თუ არა ილუსტრაციები წიგნს? ვისი?
- წიგნის პერსონაჟები რეალური არსებები არიან? საიდან მიხვდით?
- აქვს თუ არა წიგნს გაგრძელებები?
- დაინტერესდით ამ წიგნებით? ანოტაციის რომელი ნაწილი იყო თქვენთვის საინტერესო?

აქტივობა 2. მუშაობა მოსწავლის წიგნში

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნები 77-ე გვერდზე და ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვს, წაიკითხოს გაკვეთილში მოცემული ანოტაცია:

ჯერაღდ დარელი – „ჩემი ოჯახი და სხვა ცხოველები“

თავდაპირველი ჩანაფიქრით, ამ წიგნში კუნძულის ცხოველთა სამყარო უნდა აღწერილიყო, მაგრამ პირველსავე გვერდებზე შეცდომა დაუშვი – ეს გვერდები ჩემი ოჯახის წევრებს დაუთმე. რაკი თავი ქალაქის ფურცლებზე დაიგულეს, ისე მოიკიდეს ფეხი, რომ მეგობრებიც დაპატიჟეს და თითქმის მთელ წიგნში გაბატონდნენ. დიდი ვაი-ვაგლახი და სიმარჯვე დამჭირდა, თითო-ოროლა გვერდი გადამერჩინა და ცხოველებისთვის მიმეძღვნა“, – წერს ცნობილი ინგლისელი ზოოლოგი და მწერალი, ჯერაღდ დარელი, ავტობიოგრაფიული წიგნის ე.წ. „თავის გასამართლებელ“ წინასიტყვაობაში. სათაურიდანაც კარგად ჩანს, რა სასაცილო და თავშესაქცევი ამბების წაკითხვა ელის მკითხველს ამ წიგნში.

ზაფხულის ერთ დღეს დარელების ოჯახი წვიმიანი ინგლისიდან აიყარა და საბერძნეთის მზიან კუნძულს, კორფუს, მიაშურა; სწორედ ამ კუნძულზე შეიგრძნო გარესამყაროს სილამაზე ცხოველებით გატაცებულმა 10 წლის ჯერიმ. ჯერის ოჯახის ექსცენტრიკული წევრები კი მისი „ზოოლოგიური დღიურის“ განსაკუთრებულ „ეგზემპლარებად“ იქცნენ.

„ჩემი ოჯახი და სხვა ცხოველები“ ახალ, შესწორებულ გამოცემაში დარელების ოჯახის საბერძნეთის პატარა კუნძულზე ცხოვრების ხუთწლიანი ისტორიაა მოთხრობილი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ 87-ე გვერდზე პირველი სავარჯიშოს პირობა. ეს სავარჯიშო კლასში შესრულდება. კლასშივე განიხილება 87-ე გვერდზე მეორე სავარჯიშოს პირობა და ეს სავარჯიშო მოსწავლეებს მიეცემა დავალებად.

აქტივობა 3. მოსმენა, კითხვებზე პასუხი, მსჯელობა და მუშაობა დაფასთან ახალი თეორიული მასალის ირგვლივ

მასწავლებელი კლასს ასმენინებს ნებისმიერი პროდუქტის რადიორეკლამას ან აყურებინებს სატელევიზიო რეკლამას. ასევე, აჩვენებს საგაზეთო რეკლამასაც:

- რა მოვისმინეთ ჩვენ? რა ჰქვია ამას?
- სხვა რომელიმე პროდუქტის რეკლამის ტექსტი ხომ არ გახსენდებათ? (სავარაუდოდ, მოსწავლეები გაიხსენებენ რამდენიმე რეკლამის ტექსტს).
- რაზეა გამახვილებული ყურადღება თქვენ მიერ დასახელებულ რეკლამებში?
- რა ადგილი აქვს ტექსტს?
- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია რეკლამისთვის ფერადოვნება და მიმზიდველობა?
- თქვენი აზრით, რა როლი აქვს სატელევიზიო და რადიორეკლამებში მუსიკას?..

ასეთი კითხვების შემდეგ მასწავლებელი ამბობს:

- ეფექტური რეკლამისთვის საჭიროა... (თან დაფაზე ჩამოწერს)

- ძირითადი, წამყვანი ფრაზა – სლოგანი;
- მოკლე, ლაკონური ტექსტები (ინფორმაცია პროდუქტის შესახებ);
- მიმზიდველი ფერები და ეფექტური დიზაინი (ქალაქში დაბეჭდილი რეკლამა ან სატელევიზიო სარეკლამო რგოლი);
- ენეროს, ვისთვისაა განკუთვნილი ეს პროდუქტი;
- ხაზგასმული იყოს ამ პროდუქტის უპირატესობა და ღირსება (შეიძლება ეს იყოს ხარისხი ან ფასი);

აქტივობა 4. მუშაობა მოსწავლის წიგნში

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელო 78-ე გვერდზე და დააკვირდნენ პინოკიოს რეკლამას.

– რა წიგნის რეკლამაა მოცემული სახელმძღვანელოში?

– ვინაა ამ წიგნის ავტორი?

– დაფაზე ჩამოვწერთ, რა ინფორმაციაა მოცემული ამ საგაზეთო რეკლამაში წიგნის შესახებ.

ერთი მოსწავლე გამოვა დაფასთან და კლასის კარნახითა და მასწავლებლის დახმარებით დაფაზე ჩამოიწერება: წიგნის სათაური, ფასი, გვერდების რაოდენობა, ანოტაცია...

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წაიკითხონ 88-ე გვერდის პირველი სავარჯიშოს პირობა, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ გაკვეთილში მოცემული რეკლამა: განიხილონ, აქვს თუ არა ამ საგაზეთო რეკლამას სლოგანი; ეფექტურია თუ არა; აღნიშნულია თუ არა ამ წიგნის უპირატესობები და რამე ხომ არ აკლია საგაზეთო რეკლამას. ეს სავარჯიშო კლასშივე შესრულდება.

აქტივობა 5. საშინაო დავალების მიცემა

კლასში განიხილება 88-ე გვერდზე მოცემული მეორე სავარჯიშოს პირობა და ეს სავარჯიშო მოსწავლეებს მიეცემა დავალებად.

აქტივობა 6. რეკლამის მომზადება ანოტაციის მიხედვით

ეს აქტივობა იმავე გაკვეთილზე არ მოესწრება. მომდევნო გაკვეთილზე, საშინაო დავალების შემონების შემდეგ, მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და (20-25 წთ.) და ყველა ჯგუფს შესასრულებლად ასეთ დავალებას აძლევს:

ჯერაღდ დარელის „ჩემი ოჯახი და სხვა ცხოველების“ ანოტაციის გამოყენებით მოამზადონ სარეკლამო ფურცელი. ეს შეიძლება იყოს დიდი ზომის ფურცელი, რომელზეც დაწერენ მოკლე ანოტაციას, მოიფიქრებენ სლოგანს, გადახატავენ ყდას, თუ საჭიროა, შეასრულებენ აპლიკაციებს და ასე შემდეგ.

მასწავლებელი კლასს დაუმატებს ინფორმაციას, რომ ამ წიგნის მიხედვით საბავშვო ფილმიცაა გადაღებული (თუ შესაძლებელი იქნება, მოიპოვეთ ეს ფილმი ინტერნეტით).

ბოლოს გამოიფინება ყველა ჯგუფის ნამუშევარი, განიხილება თითოეული და დაისმება კითხვები:

– როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა მხოლოდ ყდა და ანოტაცია?

– კიდევ რა ინფორმაციაა საჭირო? (ფასი, გვერდების რაოდენობა, ფილმიდან კადრი...)

მისაღწევი

მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეძლო სხვადასხვა გამომხატველობითი საშუალების გამოყენებით მარტივი ანოტაციისა და რეკლამის შედგენა წინასწარ მოცემული პირობების მიხედვით; გაიაზრა უპირატესობები, რის აფიშირებაც სურდა რეკლამის საშუალებით.

მონაფე და მოძღვარი

უგნური დადის ბორკილით,
სახეზე აზის დაღია,
სწავლას წინ უძევს გზა ხსნილი,
კარები სრული და ღია.

ერთ მოხუცებულ ბრძენს მეფემ შვილი მიაბარა: როგორც ამის გვარიშვილობას შეჭფეროდეს, ისე გამომიზარდეს. მოძღვარი ბევრს ეცადა, მაგრამ უნიჭო მონაფეს ვერა შეასმინა რა. რომ დავაჟკაცდა ის უფლისწული, მამამ გამზრდელს შემოუთვალა: მოდი და ჩემი შვილი მომგვარეო.

გამზრდელმა გაზრდილს დაუძახა, გადასცა მამის სურვილი, გამოაწყო მგზავრად და წაიყვანა. გზაში ასე უთხრა: შვილო, ჩემს სახლში, რაც შემეძლო, წვრთნა შენთვის არ მომიკლია და სანამ მამასვე არ ჩაგაბარებ, არც გზაში მოგიშლიო. უკანასკნელად კიდევ მოგცემ დარიგებას, მერე შენ იციო: დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო, სადაც არ მისწვდეს, იქით ხელს ნუ გაიშვერო, გადასულ საქმეს ნუ ინანებო*, გზაზე რომ მიდიოდე, განზე ყურებას ნუ დაიწყებო, წინ დაიხედო, ბრიყვისაგან ნურა გენყინება რაო, ავზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ დაიგვიანებო!

დაარიგა და გაუდგინა გზას. გზაზე მონაფემ ჩიტი დაიჭირა და ჩაისვა უბეში. რათ გინდა ეგ ჩიტი, ცოდოა, გაუშვიო, – უთხრა მოძღვარმა. მონაფემაც დაუჯერა და გაუშვა. ოჰ, ეგ რა ჰქენ! როგორ გაბრიყვდი, რომ ბედი ხელიდან გაუშვიო! – მიაყვირა მოხუცმა ყმანვილს: – ეგ უბრალო ჩიტი კი ნუ გგონია, კუჭში ბატის კვერცხის ხელა მარგალიტი უძევსო!

შენუხდა უფლისწული, გამოუდგა ისევ დასაჭერად ჩიტს, პატარა ჩიტი ხეზე შეფრინდა, ერთი შტოდან მეორეზე გადადიოდა, ის კი ხელს უშვერდა და ვერ იჭერდა. ბოლოს სულ გაფრინდა ჩიტი. ყმანვილმა ტირილი დაიწყო. მოხუცმა უთხრა: აგრე იმახსოვრებ შენ ჩემ დარიგებასო?* აკი გითხარი, რომ დაუჯერებელს ნუ დაიჯერებო: ეგ ჩიტი რომ თვითონ არ იყო ქათმის კვერცხის ხელა, ბატის კვერცხის ოდენა მარგალიტი კუჭში როგორ დაეტეოდაო? რასაც ხელი არ მიგინვდებოდა, რილასთვის აშვერდი? განა გაფრინილი ჩიტის დაჭერა მოსახერხებელიაო? და მართალიც რომ ყოფილიყო, წარსულ საქმეს ტირილით როგორღა გამოაბრუნებდი? არ გითხარ, რომ წარსულ საქმეს ნუ ინანებო?

შერცხვა ყმანვილს და გაჰყვა მოხუცს თავჩალუნული. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, შევიდნენ ერთ სოფელში და გაჰყვნენ შუკას*. შუკის პირად

გაღმა-გამოღმა მოსახლეები იდგნენ. უფლისწულმა აქეთ-იქით თვალიერება დაუწყო, უცბად ფეხი ქვას წამოსდო და ძირს დაეცა. იქ შორიასლოს ჩრდილში ერთი ვიღაც საპყარი* ეგდო და სიცილი აიტეხა. უფლისწულს გული მოუვიდა და შეუტია გასალახად. ბრძენმა ხელი მოჰკიდა, შეაჩერა და უთხრა: რათ დაივიწყე ჩემი დარიგებაო! სიარულის დროს განზე რად იხედებოდი? ის კაცი საპყარია, ვერასოდეს ვერ წამოდგება, ძირსა გდია, შენ კი უცბათ წაიქეც, მაგრამ იმავე წამს ზეზე წამოდექი და ის კი სიცილს გაყრისო. ბრყვი თუ არ იყოს, ამას როგორ იზამდა და ბრყვისაგან რამე რად გენყინაო? საცემად რომ არ მიგეშურებია იმ საპყარისათვის, განა გაგექცეოდაო?

შერცხვა კიდევ უფლისწულს და გაჰყვა თან. სოფლის ბოლოში რომ მივიდნენ, იქაც კიდევ ერთი საპყარი დაუხვდათ, მოწყალეებას ითხოვდა. არიქა, გაიქეცი და მალე მიეცი სამონყალოო, – ურჩია მოძღვარმა. მონაფემ გაიცინა: ეს იმისთანა საპყარი არ არის, სად გამექცევაო. იქ სხვა იყო და აქ სხვა არისო! – მიუგო მოძღვარმა: – იქ ცუდ საქმეზე მიდიოდი და აქ კი კარგზე გაგზავნიო! აკი გირჩიე, რომ ცუდზე ნუ აჩქარდები და კარგზე ნუ დაიგვიანებო!

წავიდნენ კიდევ, მივიდნენ ერთი ტყის პირად. გადაუხვია ტყეში მოხუცმა, გამოსჭრა ჯოხი და დაიბჯინა. ყმანვილს უთხრა: თუ გინდა, რომ არ დაიღალლო, შედი ტყეში და მომხმარე იშოვეო. ისიც შევიდა ტყეში, ბევრი იარა, მაგრამ ვერვინ ნახა, გამოვიდა ისევ ხელცარიელი. სასახლის კარს რომ მიუახლოვდნენ, უფლისწულმა სთქვა: – მე ძლივს მოვათრევე ფეხებს და შენ კი დაღლა არ დაგტყობია! მე მომხმარე ვიშოვე ტყეში და შენ კი ვერაო! აბა, სად არისო? აი, ეს არისო, – უჩვენა მოხუცმა ჯოხი.

ამით გათავდა მათი საუბარი. მივიდნენ სასახლეში. მეფემ ნახა თავისი შვილი, აათვალიერ-დაათვალიერა, გამოჰკითხა ბევრი რამ და ჭკუა რომ ვერ შეატყო, გაჯავრდა მოხუცზე, არაფერი უსწავლებია ჩემი შვილისთვისო!

ბრძენმა მოახსენა მეფეს: ერთი სათქმელი მაქვს, ის მომისმინეთ და მერე შემრისხეთო: ერთი კაცი მომგვარეს სტუმრად სახლში. მე ვერ მივიღე, რომ უნდოდა ისე, რადგანაც ბინა არ მქონდა, მწყრალად დავუხვდი. სტუმარიც გაჯავრდა და წავიდა, აღარ დადგა ჩემს სახლშიო! და მომყვანს ბრალი რამ აქვს თუ არაო? მეფემ ბრძანა: მომყვანს რა ექნა, ეგ მასპინძლის ბრალია, რომ კარგად ვერ მიუღია და ბინა არ ჰქონიაო. მაშ, მე რაღად მიწყრებით, დიდებულო მეფეო! – მიუგო ბრძენმა: – სწავლა და მეცნიერება სტუმარია, ჭკუა კი მასპინძელიო და თუ თავში ჭკუა მწყრალად არის*, აღარც ისინი მოიცდიანო. მე ისინი მოვგვარე ამ თქვენს შვილს, მაგრამ მაგას რომ ბინა არ ჰქონდეს მათთვის და ვერ მიიღოს, განა ჩემი რა ბრალიაო.

აკაკი წერეთელი

თავი 6 – ხალხური სიტყვიერება

ათარი

შენიშვნა: ტექსტის შესასწავლად შემოთავაზებული აქტივობა გახლავთ „ცხელი სკამი“. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს კარგად ჰქონდეთ გააზრებული ნაწარმოების შინაარსი. ამ აქტივობის გამოყენება ეფექტურია, რადგან ტექსტში სახასიათო პერსონაჟები არიან და მათი საქციელი ხშირად ბევრ კითხვას აჩენს. მოსწავლეებს უნევთ თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების მოხმობა, რათა ახსნან თითოეული პერსონაჟის ქმედების მოტივი. „ცხელი სკამი“ გაუმარტივებს მათ, ჩასწვდნენ პერსონაჟის ხასიათს და ახსნან მათი ქცევა პირადი გადმოსახედიდან.

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლემ შეძლოს პერსონაჟის ქცევის მოტივის ახსნა, განუფიქრებს ინტერპრეტაციისა და შემოქმედებითი უნარები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება-გააზრება; ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- მსჯელობს ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებზე სხვადასხვა პერსონაჟის პოზიციიდან;
- მსჯელობს ტექსტში გამოკვეთილ ცალკეულ მოვლენებსა და ფაქტებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირზე;
- აკავშირებს ტექსტის ინფორმაციას პირად და/ან ლიტერატურულ გამოცდილებასთან, გამოაქვს სათანადო დასკვნა.

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ფაქტისადმი;
- აფასებს პერსონაჟების ქმედებას კონფლიქტურ, წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე ეპიზოდებში;

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ ზღაპარი „ეთერი“, შეუძლიათ დასვან კითხვები და იმსჯელონ პერსონაჟის პოზიციიდან.

ბაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. ზღაპრის შინაარსის გახსენება

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, თავების მიხედვით ძალიან მოკლედ, ერთი-ორი წინადადებით გადმოსცენ ზღაპრის თითოეული თავის შინაარსი.

აქტივობა 2. პერსონაჟები

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ პერსონაჟები. პერსონაჟთა სახელებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა 3. შეკითხვების მოფიქრება

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და სთხოვს მოიფიქრონ რამდენიმე შეკითხვა (მასწავლებელს შეუძლია განუსაზღვროს ჯგუფს პერსონაჟი, რომელსაც დაუსვამენ კითხვებს, ან განუსაზღვროს რაოდენობა კითხვებისა თითოეული პერსონაჟისთვის, რომლებსაც დაუსვამდნენ თითოეულ პერსონაჟს).

შენიშვნა: კითხვების წინასწარ ჯგუფებში შემუშავება კარგია იმ თვალსაზრისით, რომ კითხვები არ იქნება სპონტანური, არამედ კარგად გააზრებული.

აქტივობა 4. ცხელი სკამი

კენჭისყრის მიხედვით, ან მასწავლებლის ან მოსწავლეების გადანყვეტილებით არჩეული მოსწავლე დაჯდება „ცხელ სკამზე“ და უპასუხებს კითხვებს ერთ-ერთი პერსონაჟის ნაცვლად. უმჯობესია, თავად ჯგუფმა აირჩიოს კითხვებზე საპასუხოდ მონაწილე.

შენიშვნა: ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება ერთსა და იმავე კითხვაზე იყოს 2 მოპასუხე (ისინი დააზუსტებენ ერთმანეთის პასუხს ან დააფიქსირებენ განსხვავებულ პოზიციას, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს პერსონაჟთა ხასიათის გახსნას).

აქტივობა 5. შეჯამება

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი პასუხი დაამახსოვრდათ ყველაზე მეტად, რომელი კითხვა მოეწონათ, რამდენად შეძლეს უკეთ გაეაზრებინათ თითოეული პერსონაჟის ქმედება.

შეფასება

ყველა მოსწავლე შეფასდება იმის მიხედვით, რამდენად ლოგიკური და შემოქმედებითია მისი კითხვები და პასუხები.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებად, დანერონ რუბრიკიდან „ეს საინტერესოა“ (გვ. 105) 1-ლი სავარჯიშო.

თავი 7 – ვაჟა-ფშაველას სამყაროში

თეორია – პერსონაჟი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეებმა განარჩიონ მთავარი და არამთავარი პერსონაჟები და დაინახონ განსხვავებები ზღაპრისა და მოთხრობის პერსონაჟებს შორის.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1 . მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას;

ქართ.დანყ.(II).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება; ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; კითხვით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემა.

- ავლებს პარალელს ლიტერატურულ ნაწარმოებებს შორის ჟანრის, თემისა და პრობლემატიკის მიხედვით;

გაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. კითხვებზე პასუხი, მსჯელობა და მუშაობა დაფასთან ახალი თეორიული მასალის ირგვლივ საშინაო დავალების შემონების შემდეგ მასწავლებელი ამბობს:

– გავისხენოთ ამ თავში შესწავლილი ნაწარმოებები („შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ხმელი წიფელი“) და ჩამოვთვალოთ მათი პერსონაჟები, ანუ მოქმედი გმირები.

– თქვენ მიერ ჩამოთვლილი პერსონაჟებიდან ზოგი მთავარია და ზოგიც მეორეხარისხოვანი. თქვენი აზრით, რომელი პერსონაჟებია მთავარი „შვლის ნუკრის ნაამბობში“? არამთავარი, ანუ მეორეხარისხოვანი? (მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს)

მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და რომელიმე მოსწავლეს სთხოვს, სათაურის ქვეშ ცალ-ცალკე ჩამოწეროს კლასის მიერ ჩამოთვლილი მთავარი და არამთავარი პერსონაჟები.

– თქვენი აზრით, რომელი პერსონაჟებია მთავარი „ხმელ წიფელში“? მეორეხარისხოვანი? (მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს)

მასწავლებელი დაფაზე წერს სათაურს „ხმელი წიფელი“ და რომელიმე მოსწავლეს სთხოვს, სათაურის ქვეშ ცალ-ცალკე ჩამოწეროს კლასის მიერ ჩამოთვლილი მთავარი და არამთავარი პერსონაჟები. შემდეგ მიმართავს კლასს:

– გადაშალეთ ნიგნები 123-ე გვერდზე. გაკვეთილში „პერსონაჟი“ მოძებნეთ ადგილი, სადაც განმარტებულია მთავარი და არამთავარი პერსონაჟები.

- ვინ წაიკითხავს მთავარი პერსონაჟის განმარტებას? (მთავარია პერსონაჟი, რომელიც მნიშვნელოვან

როლს ასრულებს ნაწარმოებში და წარმართავს მასში მიმდინარე მოვლენებს.)

– ახლა წავიკითხოთ არამთავარი პერსონაჟის განმარტება. (მეორეხარისხოვანი პერსონაჟი ნაწარმოებში ასახულ მოვლენებზე ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას.)

– თქვენი სიტყვებით მითხარით, სახელმძღვანელოში როგორაა განმარტებული მთავარი პერსონაჟი? არამთავარი? (სხვადასხვა მოსწავლე ამბობს მთავარი და არამთავარი პერსონაჟის განმარტებას)

– წელან სწორად ჩამოვწერეთ დაფაზე მთავარი და არამთავარი პერსონაჟები?

თუ შეცდომაა, მასწავლებელი კითხვების დახმარებით შეეცდება ამ შეცდომების გასწორებას. შემდეგ გამოიძახებს რომელიმე მოსწავლეს და სთხოვს, დაფაზეც გაასწოროს დაშვებული შეცდომები.

აქტივობა 2. მოსმენა

– წავიკითხოთ უცნობი მოთხრობა და ვეცადოთ, გამოვარჩიოთ მთავარი და არამთავარი პერსონაჟები.

მასწავლებელი ნელა და გარკვევით კითხულობს წინასწარ შერჩეულ მოთხრობას უსათაუროდ (ასახელებს მხოლოდ ავტორს) და სთხოვს მოსწავლეებს, გზადაგზა რვეულებში ჩაინიშნონ პერსონაჟების სახელები და უცნობი სიტყვები.

მგელიკას პირველი გმირული საქმე (რევაზ ინანიშვილი)

თბილისში, ერთი დიდი სახლის მესამე სართულზე, ცხოვრობს პატარა ოჯახი: დედა, მამა და ორიც ბიჭი – ვეფხვია და მგელიკა. ვეფხვია დიდია, სადაცაა მეორე კლასში გადავა. მგელიკა კი სულ ახლახან გახდა სამი წლისა.

ვეფხვია რომ დაიბადა, მამა სიხარულისგან მთვრალივით დადიოდა. სიამაყით იცემდა გულზე ხელს და ნაცნობებს თუ უცნობებს სულ ამას ეტრაბახებოდა:

– ბიჭი მყავს და მერე რა ბიჭი, ეუხ! ნამდვილი გმირი! ჯერ მარტო ხმა როგორი აქვს, იცით? ეუხ, ლომივით, ლომივით!

და ცდილობდა მიეზადა კიდეც აკვანში მწოლიარე თავისი ბიჭისთვის. გაშლიდა ხელებს, დააღებდა პირს და, ვითომ პატარა ვარ, მაგრამ მაინც ბოხი ხმა მაქვსო, მოჰყვებოდა ჩხავილს:

– ვაა, ვაა! ვაა!..

აბა, ასეთ ბიჭს უბრალო სახელს ხომ არ დაარქმევდნენ! იფიქრეს, იფიქრეს და „ვეფხვია“ მოიგონეს. გავიდა ხუთი წელიწადი და ახლა მგელიკა გაჩნდა.

მეორე ბიჭიო და მამა თითქოს ისევ დათვრა. ისევ დაინყო სიამაყით გულზე ხელის ცემა, ისევ აჩერებდა ნაცნობებს თუ უცნობებს და ისევ ეტრაბახებოდა:

– მეორე ბიჭი მყავს და მერე რა ბიჭი, ეუხ! გმირი, გმირთა გმირი! ჯერ მარტო ხმა როგორი აქვს, რომ იცოდეთ, ეუხ! ლომივით!

და ცდილობდა მისთვისაც მიეზადა – გაშლიდა ხელებს, დააღებდა პირს და მოჰყვებოდა ბოხი, ვაჟ-კაცური ხმით ჩხავილს:

– ვაა! ვაა! ვაა!..

რალა თქმა უნდა, მეორე ბიჭსაც არ დაარქმევდნენ უბრალო სახელს. იფიქრეს, იფიქრეს და „მგელიკა“ მოიგონეს.

არავინ იცის, რა მოხდება შემდეგ, როცა ვეფხვია უფრო დიდი გახდება. ჯერჯერობით კი, აი, სადაცაა მეორე კლასში უნდა გადავიდეს და არაფერი ჩაუდენია ისეთი, რაც მის გმირულ სახელს გაამართლებდა. მგელიკამ კი, სამი წლის ამ ბამბურა ბიჭმა, ისეთი გმირული საქმე ჩაიდინა ამ რამდენიმე დღის წინ, რომ იმედი უნდა ვიქონიოთ, ის არა მარტო გაამართლებს თავის სახელს, როცა დიდი გაიზრდება, არამედ გადააჭარბებს კიდეც, და შეიძლება სინანულიც კი დაივიწყოთ, – რა შეუფერებელი სახელი ჰქვია ამ ბიჭს! რა არის მგელიკა! მგელიკა კი არა, ლომია, ანდა ლომთათა უნდა ექვასო.

ხომ გითხარით – ვეფხვია სკოლაში დადის-მეთქი, სადაცაა მეორე კლასშიც უნდა გადავიდეს. სკოლაში კი დადის, მაგრამ ქუჩაში მაინც მარტოს არ უშვებენ – ვაითუ მანქანა დაგეჯახოსო. ჩაჰკიდებს ხოლმე დედა ხელს და მიდიან ასე სკოლამდე; დაუმთავრდება გაკვეთილები და ახლა სკოლიდან მოდიან ხელიხელჩაკიდებულები.

სკოლაში მიმავალს ხანდახან მგელიკაც აედევნება: მიხტის, მიბაკუნებს პატარა კვიცივით ტროტუარზე; სკოლიდან მოსვლისას კი თითქმის ყოველთვის სძინავს. (ის ხომ ჯერ სამი წლისაა და აუცილებლად უნდა დაიძინოს დღისით!).

ეძინა იმ დღესაც, გმირული საქმე რომ ჩაიდინა. დედამ კი ჩაჰკიდა ხელი სკოლიდან გამოსულ ვეფხვიას და მოდიან არხეინად. აი, არხეინადვე გადმოვიდნენ მთავარ ქუჩაზე, სადაც უამრავი მანქანა ირევა. არხეინადვე დაიწყეს ასვლა თავიანთი სახლის კიბეებზე, არხეინადვე ჩაიყო ხელი დედამ ჯიბეში გასაღების ამოსაღებად და...

– ვაიმე! – დაიძახა შემკრთალმა.

– რა არის, რა მოხდა, დედა?! – გაუკვირდა ვეფხვიას.

– გასაღები მეორე პალტოს ჯიბეში თუ საფულეში ჩამრჩა.

– მერე?

– მერე ისა, რომ ის საფულე შინ, კარადაზე დევს. რალა ვენა ახლა?! რამ გადამაყრუა ასე?! ანკი რალა ჭკუა მაქვს თქვენს ხელში! თქვენ რომ ჭკვიანები იყოთ და არ მამბრაზებდეთ, მაშინ გასაღები შინ აღარ დამრჩებოდა.

მივიდნენ კართან, უცაცუნებენ ხელებს, თითქოს ეხვეწებიან – გაიღვიძეო; რამდენჯერმე მხრითაც მიანვინენ, მაგრამ რა უნდა დაეკლოთ ამით! კარი ინგლისური კლიტით იყო დაკეტილი; მისი დაკეტვა ადვილია, გამოხურავ და კაპ! დაიკეტება. მაგრამ უგასაღებოდ ეშმაკიც კი ვერ გააღებს.

– მოდი, მგელიკა გავავლიძოთ, დედა, ის გაგვიღებს, – წამოიძახა ვეფხვიამ.

– ის როგორ გაგვიღებს, შვილო, როგორ შესწვდება საკეტს. თუნდაც შესწვდეს, როგორ შესძლებს მის განეგას.

– გასაღები გადმოგვიგდოს აი აქედან, გაზეთებს რომ ყრის ხოლმე ფოსტალიონი.

ხედავთ, რა ეშმაკები არიან ეს ბიჭები?!

დედას იმედით გაუნათდა სახე და გაუბედავად დააჭირა ზარის ღილაკს თითი. ჯერ წყნარად რეკავდნენ ხან დედა, ხან ვეფხვია, იქნებ ამ წყნარმა ხმამაც გააღვიძოს მგელიკაო. მაგრამ პატარა მგელიკას ტკბილად ეძინა, ლამაზ სიზმრებს ხედავდა და სულაც არ უნდოდა გაღვიძება. მაშინ უფრო და უფრო უმატეს ზარის რეკვას. ახლა კი მგელიკაც შემშუმუნდა, წამოიწია, თვალები მოიფშვნიტა, მიიხედ-მოიხედა და რაკი ვერავინ დაინახა, ღნავილი ამოუშვა. ამ გმირული სახელის მქონე ბიჭმა უბრალო ბიჭივით ამოუშვა ღნავილი!

– აქა ვართ, მგელიკა! აქა ვართ, გენაცვალოს დედაო!

მაგრამ მგელიკას კარგა ხანი არაფერი ესმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ყური მოჰკრა ძახილს. სანოლიდან გადმობობდა და შიშველი ფეხების ტყაპატყუპზე მიხვდნენ, რომ კარს მიუახლოვდა.

დედა და ვეფხვია იმწამსვე გაზეთების ჩასაყრელ ჭრილთან ჩაცუცქედნენ, შეიხედეს შიგნით და დაინახეს, როგორ გაბრწყინდნენ ცისფერი ნამტირალევი თვალები და მერე როგორ მიუახლოვდა ორი პატარა ფუნთუშა ხელი ცრემლების მოსანმენდად.

– ჩვენო მგელიკაო, ჩვენო კარგო, ყოჩალო მგელიკაო. ასე და ასე დაგვემართაო და აბა თუ მართლა მგელიკა ხარო, თუ მართლა გმირი ხარო, მიიდგი კარადასთან სკამი, ადი ზედ, კარადაზე საფულე დევს, იმ საფულეში გასაღებია, ამოიღე და მოგვანოდეო.

და აი, ამ წუთიდან დაიწყო მგელიკას გმირული საქმე. ცრემლები მოიწმინდა, სკამი დაითრია; ახრიგინა, ახრიგინა, ბოლოს მაინც მიახრიგინა კარადასთან; აბობლდა იმ სკამზე, აყელყელავდა, დაინახა საფულე, სტაცა ხელი და სწრაფად ჩამოვიდა ძირს.

მოდის, მორბის და თან ცდილობს, გზაშივე გახსნას საფულე. ის კი არ იხსნება. სხვა დროს სულ ადვილად ხსნიდა ხოლმე, ახლა კი არ იხსნება.

– ველა ვქსნი, დედა!

– როგორ ვერა ხსნი, კაცო! ვაჟკაცი ხარ, გმირი ვაჟკაცი! აბა ნელ-ნელა შეეცადე!

ნელ-ნელა შეეცადა და ტკაც! – გახსნა. გახსნა, მაგრამ შიგ არაფერი არ აღმოჩნდა, გარდა სურნელოვანი ცხვირსახოცისა და ფულისა.

– ალ ალის გასაგები, დედა!

– როგორ არ არის, კარგად ნახე!

– კალგად ვნახე.

რალა უნდა ექნათ, დედაც დარწმუნდა, რომ მგელიკა მართალი იყო. ალბათ გასაღები მეორე პალტოს ჯიბეში ჩარჩა.

და ისევ დაუნყეს დარიგება:

– ჩვენი მგელიკაო, ჩვენი ყოჩალი მგელიკაო, აბა, თუ მართლა გმირი ხარო, სკამი ახლა ტანსაცმლის საკიდართან მიიდგი, იქ ლურჯი პალტო ჰკიდია, ჩაყავი ხელი ჯიბეში და იქ იქნება გასაღებიო.

ჩვენი მგელიკა ისევ დატრიალდა და – ტყაპ-ტყუპ, ტყაპ-ტყუპ – მიიღრინა შიშველი ფეხებით სკამთან; ხრიგ-ხრიგ-ხრიგ – ახრგინდა სკამი და აი, ის სკამი უკვე ტანსაცმლის საკიდართან დგას და მგელიკა ხვნეშით ადის ზედ. აი, ავიდა კიდევ. მოძებნა პალტო, მოუძებნა ჯიბე. ჩაყო ხელი, უბრწყინავს თვალები და მერე დაუნაღვლიანდა ისევ.

– ალ ალის ალც ჯიბეში.

– მეორე ჯიბეში, მეორე ჯიბეშიც ნახე!

არ გინდა, მონახო მეორე ჯიბე? აბა, აქ არის ნამდვილი გმირობა საჭირო, მაგრამ მგელიკა რის მგელიკა იქნებოდა, რომ მეორე ჯიბე ვერ ეპოვა. ბევრი ეძება და ბოლოს მაინც მიაგნო. ჩაყო ხელი შიგ, გაუბრწყინდა თვალები, გაუბრწყინდა ძალიან, ამოსწია და...

ვაშა!.. პატარა ფუნჩულა ხელში გასაღებმა დაიწყო ბრწყინვა.

– ვიპონე! ვიპონე! ვიპონე!

ახლა ძნელი აღარაფერი დარჩენოდა. სკამიდან ჩამობოზდა, კარის ქრილთან მიიღრინა და სულ მალე გასაღებმა ახლა დედიკოს ხელში დაიწყო ბრწყინვა.

– ყოჩაღ, მგელიკავ, ყოჩაღ!

დედამ სწრაფად გაალო კარი და ეს ჩვენი გამარჯვებული ვაჟკაცი, სამი წლის ფეხშიშველა, მუცელშიშველა გმირი, ალტაცებით ჩაიკრა გულში. ჰკოცნიდა, აგრეთვე, ვეფხვიაც. მგელიკა კი, თითქოს არაფერი არ გამიკეთებიაო, მარტო სიყვარულით უთათუნებდა სახეზე ხელებს, და ისე იცინოდა, როგორც სხვა დროს იცინოდა ხოლმე, როცა დედა და ვეფხვია უბრალოდ ბრუნდებოდნენ სკოლიდან.

რაც შეეხება მამას... მამამ რომ გაიგო, რა გმირული საქმე ჩაიდინა თავისმა მგელიკამ, კიდევ ერთხელ დაემსგავსა მთვრალს, კიდევ ერთხელ დაიწყო მკერდში სიამაყით ხელის ცემა და მთელ ქვეყანას მოსდო ეს ამბავი – ხედავთ, რა გმირი ბიჭი მყავსო, ეუზ! რა ვაჟკაცი მყავს პატარა მგელიკაო, ეუუზ!..

იმისი თქმა ხომ ზედმეტია, რა იმედიც აქვს მამას. მისი აზრით, გმირი ვეფხვიაც იქნება, ხოლო მგელიკა, მგელიკა იქნება ნამდვილი გმირთა გმირი. რა თქმა უნდა, როდესაც დიდი გაიზრდება.

აქტივობა 3. ტექსტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვები

– რამდენი პერსონაჟია ამ მოთხრობაში? ჩამოვთვალოთ, რომელი პერსონაჟები ჩავინიშნეთ (დაფაზე ერთი მოსწავლე კლასის დახმარებით ჩამოწერს ამ მოთხრობის პერსონაჟებს: ვეფხვია, მგელიკა, დედა, მამა).

მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის შინაარსთან დაკავშირებით:

- სად ცხოვრობს მოთხრობაში აღწერილი ოჯახი?
 - რომელ კლასშია ვეფხია?..
 - რამდენი წლისა იყო მგელიკა, როცა პირველი „გმირობა“ ჩაიდინა?
 - ერთად ვიმსჯელოთ და ჩამოვთვალოთ, დაფაზე დაწერილი პერსონაჟებიდან რომელია მეორეხარისხოვანი.
 - თქვენი აზრით, რამდენი მთავარი პერსონაჟი ჰყავს ამ მოთხრობას? (ერთი, მგელიკა)
 - რა შეიძლება იყოს ამ მოთხრობის სათაური?
- მოსწავლეები ჩამოთვლიან ვარიანტებს. ბოლოს მასწავლებელი უკითხავს სათაურს „მგელიკას პირველი გმირული საქმე“ და ამბობს: – ამ მოთხრობას მთავარი პერსონაჟის სახელი ჰქვია!

აქტივობა 4. კითხვებზე პასუხი, მსჯელობა და მუშაობა დაფასთან ახალი თეორიული მასალის ირგვლივ

- ვინ ჰყვება ამბავს „შვლის ნუკრის ნაამბობში“?
- რომელ პირობაში მიმდინარეობს თხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობში“?
- ნაწარმოებში ზოგჯერ მთხრობელი თავადაც არის ამბის მონაწილე. ასეთ დროს თხრობა პირველ პირობაში მიმდინარეობს და მთხრობელი იგივეა, რაც პერსონაჟი. „შვლის ნუკრის ნაამბობში“ მთხრობელი, ანუ შვლის ნუკრი, თავად გვიყვება ტრაგიკულ ამბავს, რაც მას თავს გადახდა. გადავშალოთ წიგნები ამ ნაწარმოებზე და ამოვიკითხოთ სამი წინადადება სხვადასხვა აბზაციდან, საიდანაც ჩანს, რომ შვლის ნუკრი ჰყვება ამბავს.

მოსწავლეებს მიეცემა 20-30 წამი ასეთი წინადადებების მოსაძებნად. 3 სხვადასხვა მოსწავლე კითხულობს თითო წინადადებას. მაგალითად, ასეთს:

„პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა: ცუდ დროს დავობლდი. ტანზე მაცვია პატარა, მოკლებენვიანი, თეთრი თვლებით მონინკლული თხელი ქათიბი...“

მასწავლებელი კიდევ ერთხელ იმეორებს:

- შვლის ნუკრი პერსონაჟიც არის და მთხრობელიც.

- სხვა ნაწარმოები ხომ არ გახსენდებათ, სადაც მთხრობელი და პერსონაჟი ერთი და იგივეა? (მოსწავლეები ჩამოთვლიან.)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გადაშალონ სახელმძღვანელოები 103-ე გვერდზე და წაიკითხონ პირველი სავარჯიშოს პირობა (მთავარი და არამთავარი პერსონაჟები ჩამოინერება დაფაზე).

- ამ ზღაპრის მთავარ გმირებს თუ აქვთ სახელი?

- ზღაპარს ხომ არ გაიხსენებდით, სადაც მოქმედ გმირს აქვს სახელი და გვარი?

- გავიხსენოთ ზღაპრები, სადაც მთავარ გმირს აქვს მეტსახელი. (დაფაზე ჩამოინერება: ნაცარქექია, ხუთკუნჭულა...)

- საინტერესოა, რომ ხალხური ზღაპრის მთავარ პერსონაჟებს არასოდეს აქვთ გვარი (მაგალითად: აბესალომი, ეთერი...); ან აქვთ მხოლოდ მეტსახელი: ნაცარქექია, წითელქუდა, ხუთკუნჭულა, ნახევარქათამა, ასფურცელა... მეორეხარისხოვან პერსონაჟებს კი ხალხურ ზღაპრებში არ აქვთ სახელები. ისინი პირდაპირ მოიხსენებიან როგორც: ვეზირი, მეფე, ქვრივი, გლეხი, კარისკაცი და ასე შემდეგ.

მეორე სავარჯიშოც კლასში შესრულდება.

საშინაო დავალება

მასწავლებელი კლასთან ერთად განიხილავს მესამე სავარჯიშოს პირობებს და სავარჯიშო მიეცემათ შინ შესასრულებლად.

თავი 8 – დიდი ნიბნები

თავის შეჯამება

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები შეძლებენ შეაფასონ შესწავლილი ტექსტი მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, ისაუბრონ ნაწარმოებზე გამოწვეული გრძნობებისა და ემოციების, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მოამზადონ პრეზენტაცია ჯგუფში, თანაკლასელებისთვის წარსადგენად.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- წინასწარ შედგენილი მოკლე გეგმის მიხედვით მოამზადებს და წარმოადგენს ზეპირ მოხსენებას/პრეზენტაციას სხვადასხვა ნაცნობ თემაზე, მოჰყავს სათანადო ინფორმაცია ლოგიკური თანამიმდევრულობის დაცვით, გამოკვეთს არსებით საკითხს/საკითხებს;
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;

ქართ.დანყ.(II).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ნაცნობი ტექსტების ინტერპრეტირება და შეფასება; მათ მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური შეფასება (საწყის დონეზე).

- ასახელებს მისთვის აზრობრივი და მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეპიზოდებს, გამოთქვამებს და ახდენს მათს ინტერპრეტირებას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ სახელმძღვანელოში მოცემული ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“, აქვთ თანამშრომლობითი უნარები.

რესურსები

სახელმძღვანელო, ფურცლები, ფერადი ფანქრები, ნებო, მაკრატელი, ფერადი ფურცლები, სტეპლერი.

გაკვეთილის მსვლელობა

შენიშვნა: უმჯობესია, მასწავლებელმა გამოიყენოს წყვილი გაკვეთილი ან აქტივობა „ალბომის შექმნა“ გადადოს მეორე დღისთვის.

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. შესწავლილი მასალის გააქტიურება, მონაკვეთების შერჩევა

მასწავლებელი თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ სთხოვს მოსწავლეებს, „ვეფხისტყაოსნიდან“ ამონერონ: ა) შინაარსობრივად ყველაზე საინტერესო მონაკვეთი; ბ) ყველაზე ემოციური ფრაზა ტექსტიდან; გ) მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით ყველაზე მიმზიდველი ადგილი ნაწარმოებიდან; დ) მოსაზრება, რომელიც ყველაზე დამაფიქრებელია, ბრძნულია; ე) გამონათქვამი, რომელსაც არ ვეთანხმები. ვ) დღეს ყველაზე აქტუალური ფრაზა ტექსტიდან.

შენიშვნა: მასწავლებელს შეუძლია ჩამოთვლილთაგან აირჩიოს რამდენიმე დავალება, ან შეცვალოს საჭიროებისამებრ.

აქტივობა 2. პრეზენტაცია

მასწავლებელი რამდენიმე მოსწავლეს სთხოვს, წაიკითხონ თავიანთი ნაშრომები და ისაუბრონ არგუმენტირებულად, რატომ შეარჩიეს ესა თუ ის მონაკვეთი.

აქტივობა 3. ალბომების დამზადება

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად და სთხოვს, ჯგუფის წევრებმა გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი ნაშრომები, გადაარჩიონ, გადაწერონ ლამაზად მათთვის წინასწარ დარიგებულ ფურცლებზე, შეკრან ალბომად და გააფორმონ თავიანთი შეხედულებისამებრ.

აქტივობა 4. ალბომების წარდგენა

ჯგუფები პრეზენტაციისას აუცილებლად საუბრობენ იმაზე, რამ მიიქცია მათი ყურადღება, როგორ, რა პრინციპით შეარჩიეს ალბომში ჩასანერი ტექსტები და რით არის მათი ალბომი საინტერესო სხვებისთვის.

აქტივობა 5. შეჯამება

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი ალბომი იყო უფრო შემოქმედებითად გაფორმებული, კალიგრაფია დახვეწილი, საინტერესო მონაკვეთები შერჩეული და სწორად ახსნილი პრეზენტაციისას.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად მოახერხეს შინაარსობრივი თუ ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებული მონაკვეთების შერჩევა და თავიანთი არჩევანის დასაბუთება. ლოგიკური და შემოქმედებითია მოსწავლეთა ნამუშევრები.

ჰომეროსის „ოდისეა“

ჰომეროსის „ოდისეა“ ძველბერძნულიდან თარგმნეს ზურაბ კიკნაძემ და თამაზ ჩხენკელმა.

შვიდი ქალაქი იჩემებდა ძველ საბერძნეთში ჰომეროსის მშობლიური ქალაქის სახელს – სმირნა, როდოსი, კოლოფონი, სალამინი, ქიოსი, არგოსი, ათენი. მაგრამ ჩვენს დროში აზრი დაკარგა ამ დავამ: დღეს ჰომეროსი თანაბრად ეკუთვნის არა მხოლოდ ამ ძველ ქალაქებსა და სრულიად საბერძნეთს, არამედ მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს.

არც მისი ამქვეყნიური ცხოვრების დროა ზუსტად განსაზღვრული. სწავლულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ იგი ცხოვრობდა ძვ. წ. IX ან VIII საუკუნეში. ზოგის აზრით, იგი მომსწრე იყო ტროას ომისა (XII ს.), რომელიც ღვთივშთაგონებული ძალით აღწერა „ილიადაში“. მაგრამ რომელ საუკუნეშიც არ უნდა ეცხოვრა ამ უსინათლო აედს*, მისი პოემების ბედმა დაადასტურა, რომ იგი თანაბრად და სავსებით ეკუთვნის ყოველ ხანას კაცობრიობის ცხოვრებისას. ჭაბუკ ალექსანდრეს თან ჰქონდა ეს ნიგნები შორეულ ლაშქრობაში და დღესაც, ტექნიკურ საოცრებათა საუკუნეში, ყოველი ასაკის კაცისათვის მოუწყინრად საკითხავია.

ორი გრანდიოზული პოემა, „ილიადა“ და „ოდისეა“, შთააგონა ჰომეროსს კალიოპემ – პოეზიის ეპიკურმა მუზამ. ჰომეროსის ეპოსი იმ ძველ დროში „საკითხავი ნიგნი“ არ ყოფილა. აედები ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე მღეროდნენ პოემას. „ილიადა“ და „ოდისეა“ ეპოსია, ხოლო ამ ჟანრს თანამედროვე მწერლობაში რომანი შეესატყვისება.

მთარგმნელები



ალექსანდრე
იგულისხმება
ალექსანდრე
მაკედონელი

უპასუხე შეკითხვებს

1. რამდენი ქალაქი იჩემებდა ძველ საბერძნეთში ჰომეროსის მშობლიური ქალაქის სახელს?
რა აზრია გამოთქმული ამასთან დაკავშირებით მთარგმნელთა წინასიტყვაობაში?
2. რა ინფორმაციას გვანდის წინასიტყვაობა ჰომეროსსა და მის პოემაზე?
ამონერე და შენი სიტყვებით მოამზადე საინფორმაციო ტექსტი.
3. რა სახით მოაღწია ჩვენამდე ჰომეროსის „ოდისეამ“? რა ეწოდება ჰომეროსის მეორე ნაწარმოებს?

ტროელმა უფლისწულმა პარისმა სპარტის მეფეს, მენელაოსს, მშვენიერი მეუღლე ელენე მოსტაცა. შეურაცხყოფილი ბერძნები ტროასკენ დაიძრნენ საომრად, მაგრამ 10 წელი მოუნდნენ ქალაქის აღებას, რომელსაც ღმერთების მიერ ნაგები გალავანი იცავდა.

ტროას ათწლიანი ომის დასრულების შემდეგ ძალიან დიდხანს არ ეღირსა ითაკის მეფეს, მრავალტანჯულ ოდისევსს, სამშობლოში დაბრუნება. სანამ ითაკაში დაბრუნდებოდა, კიდევ 10 წელიწადს იხეტიალა და მრავალი თავგადასავალი გადახდა თავს. ამასობაში მის მეუღლეს, პენელოპეს, საბერძნეთის საუკეთესო ვაჟკაცები სთხოვდნენ ხელს. ყველანი ოდისევსის სასახლეში ცხოვრობდნენ და მოთმინებით ელოდნენ ქალის გადაწყვეტილებას. ერთგული პენელოპე კი მეუღლეს ელოდა.

ოდისევსი და პენელოპე

1.

ქორედში ავიდა ევრიკლეა, რომ ძვირფასი მეუღლის ჩამოსვლა ეხარებოდა დედოფლისათვის. მკვირცხლად აირბინა დედაბერმა კიბე, თავით დაუდგა მძინარე პენელოპეს და შესძახა:

– გაიღვიძე, შვილო ჩემო! საკუთარი თვალით იხილე, რასაც ამდენ ხანს ელოდი. ჩამოგივიდა დიდი ხნის უნახავი ქმარი, შენი ოდისევსი! შემუსრა თავისი სახლის ამოხრებელნი და ტელემაქეს შემჭირვებელნი!

– ბედშავო! გონით გადაუგდისხარ ღმერთებს! – უპასუხა პენელოპემ, – აკი ხელენიფებათ უკვდავთ, გონი აღხადონ გონიერთ, ხოლო უგუნურნი სიბრძნეს აზიარონ! რატომ დამცინი ისედაც სვეგამწარებულს? რატომ დამიფრთხე ტკბილი ძილი?! მას შემდეგ, რაც იმ დანყველილ ილიონს გაემგზავრა ოდისევსი, ასე უშფოთველად არ მძინებია. ნულა მანუხებ! შენს ადგილზე მონათაგან სხვას რისხვით გავისტუმრებდი უკან. შენ კი სიბერეს შენსას უმადლოდე, რომ არას გეუბნები!

– არა, ჩემო საყვარელო, ჭეშმარიტი გაუნყე! როგორც წელან გითხარ, ჩამოვიდა ოდისევსი და ახლა ქვემოთ, დარბაზში გელოდება. ეს ის ყარობია, აბუჩად რომ იგდებდნენ სასიძოები. ტელემაქეს თავიდანვე სცოდნია ეს ამბავი, მაგრამ მამამისის ბრძნული რჩევით გულში დაუმარხავს საიდუმლო, რომ ხელი არ მოსცარვოდათ შურის მიგებისას.

ასე უთხრა ევრიკლეამ. წამსვე საწოლიდან წამოიჭრა პენელოპე და გულში ჩაეკრა მოხუც გადიას. სიხარულით ატირებულმა ესლა შესძახა დედაბერს:



ქორედი
(ძვ.) შენობის
ზემო
სართული



ბასილევსი
(ბერძნ.) მეფე



ქვეგამხედვარი
გაიძვერა,
მუხანათი,
ვერაგი



ილიონი
ტროას მეორე
სახელწოდება

– ჩქარა, ჩქარა მამცნე ყოველივე! თუ ის ყარიბი მართლა ოდისევსია, მითხარი ბარემ, როგორ შემუსრა ერთმა მრავალნი? ისინი ხომ დღემუდამ ჯგროდ ეყარნენ ჩვენს დარბაზში?

– არც მე და არც სხვა მონაქალებს არაფერი დაგვინახავს, – უპასუხა ევრიკლემ, – მაგრამ ოთახებში გამოკეტილებს მომაკვდავთა კვნესა და სასიძოთა ვაი-ვიში გვესმოდა. ყოველი რა მიწყნარდა, შენმა ძემ, ტელემაქემ, ოდისევსთან მიხმო. დარბაზში შესულმა ეს დავინახე: დახოცილ სასიძოთა შორის ლომივით იდგა სისხლით შესვრილი ჩვენი ბასილევისი. ნეტამც მაშინ შეგეხედა მისთვის! ახლა გვამები ეზოშია გატანილი. ოდისევსმა ახრჩოლებული გოგირდით განმინდა დარბაზი, მე კი შენს დასაძახებლად გამომგზავნა. გამომყევ, შვილო! ერთმანეთის ნახვით გული გაიხარეთ! წარხდა დღე ჭირისა და სიავისა! ცოცხალი დაგიბრუნდა სანატრელი ქმარი, ცოლიცა და შვილიც ცოცხალი დაუხვდით, ხოლო ქვეგამხედვარ სასიძოებს სამაგიერო მიეზღოთ!

კეთილგონიერმა პენელოპემ ასე მიუგო ევრიკლეს:

– ჩემო გადია, გულისთქმას ნუ ავყვებით. თავადაც იცი, როგორ გაუხარდება ყველას ოდისევსის დაბრუნება, ნამეტნავად კი მე და ჩვენს მხოლოდშობილ ძეს. მაგრამ, რა ექნა, არ მეჯერება შენი სიტყვა. ეგებ ვინმე უკვდავთაგანმა შემუსრა სასიძოები, მათი სიავითა და გულზვაობით განრისხებულმა? ისინი ხომ უკადრისად ექცეოდნენ ყველას, კეთილსა და უკეთურს, ამიტომაც მიეგოთ შური... ოდისევსის დაბრუნების იმედი კი გადანურული მაქვს. ითაკიდან შორს, მოირებმა დალუპეს იგი!

– ეს რა სიტყვა დასცდა შენს კბილთა ზღუდეს! – შეიცხადა ევრიკლემ, – აკი გეუბნები, დარბაზში დგას და შენ გელოდება-მეთქი კერიასთან! მუდამ ურწმუნო იყავ და არც ახლა გჯერა ჩემი ნათქვამი. კარგი, მაშ, ამასაც გეტყვი: ხომ გახსოვს, ნადირობისას ტახმა ეშვით რომ დაუშავა წვივი? ფეხს როცა ვბანდი, მენიშნა ის ნაჭრილობევი, მინდოდა შენთვის გამეცხადებინა ეს ამბავი. თავს გეფიცები, მართალს ვამბობ. თუ გატყუებდე, წამებით ამომხადე სული!

– გულისხმიერი ქალი ხარ, ჩემო გადია, მაგრამ ღმერთების განგებას რას შესწვდები! კარგი, კარგი, – დაჰყვა პენელოპე, – ჩავიდეთ ტელემაქესთან, რომ ჩემი თვალთ ვიხილო დახოცილნი და შურისმგებელი.

ასე თქვა და ქორედიდან დაბლა დაეშვა დედოფალი. გული ძალუმად უძგერდა, არ იცოდა, რა ექნა, შორიდან შეხმიანებოდა ძვირფას მეუღლეს თუ გადაჰხვეოდა და პირი და მხრები დაეკოცნა მისთვის. ამ ფიქრში ქვის დირეს გადააბიჯა და კერიასთან, ოდისევსის პირის-პირ ცეცხლს მიუჯდა. მაღალ სვეტთან ჩამომჯდარ ოდისევსს თვალეები



მოირები

ბედისწერის
ქალღმერთები



ყარიბი

1. უთვისტომო, უცხოობაში მყოფი;
2. უპატრონო, ღარიბი

დაეხარა და ელოდა, რას ეტყოდა ოცი წლის უნახავი მეუღლე. მდუმარედ იჯდა გაოგნებული პენელოპე, დაკვირვებით უცქეროდა, თითქოს ცნობდაო ჯვალოთი მოსილ ოდისევსს.

ტელემაქემ ყვედრებით მიმართა დედამისს:

– გულქვა ქალი ხარ, დედაჩემო! ცალკე დამჯდარხარ და არაფერს ეკითხები მამას. არც ერთი ქალი არ შეხვდებოდა ასე გულცივად ოცი წლის უნახავ თავის მრავალტანჯულ მეუღლეს!

– ჯერაც გონს ვერ მოვსულვარ, შვილო! – მიუგო პენელოპემ, – ენადაბმულს ძალი არა მაქვს, რამე ვკითხო და მისი შეხედვაც კი მიმძიმს. თუ ეს კაცი, მართლაც, შინ დაბრუნებული ოდისევსია, ჩვენ თავად გამოვემცნაურებით ერთურთს. აკი მარტო ჩვენ ორმა ვუნყით სხვებისაგან დაფარული ჩვენი საიდუმლო!

ჩაელიმა ამის გამგონე ოდისევსს, ტელემაქეს მიუბრუნდა და ფრთიანი სიტყვა უთხრა:

– დედაშენს დაეხსენ, ტელემაქე! თავად უკეთ იცის, როგორ გამომცადოს. მაშინ კი უეჭველად მიცნობს. რა გასამტყუნია, რომ ოდისევსად ვერ ვუცნივარ ძონძებში გახვეული ყარბი? ჩვენს საქმეს მივხედოთ ახლა, გავბრჭოთ, რა აჯობებს, როგორ მოვიქცეთ. მოკლულს ერთი შურისმაძიებელიც რომ დარჩეს გვარში, მკვლელს მამაპაპეული მიწიდან გადახვენა მართებს. ჩვენ კი ითაკის წარჩინებული და სახელოვანი მოყმენი დავხოცეთ. ამაზე იფიქრე ახლა. აი, რას გირჩევ!

– გამჭრიახი და გონებით სწორუპოვარი ხარ კაცთა შორის. ასე გვსმენია, არასოდეს გაცუდებულაო ოდისევსის თათბირი, ამიტომაც თავად შენ იფიქრე ამაზე, – სიტყვა შეუბრუნა ტელემაქემ, – ჩვენ კი უსიტყვოდ ამოგიდგებით მხარში და ჩვენი ძალისაებრ შეგენევით.

მაშინ ოდისევსმა ასეთი რჩევა მისცა შინაურთ:

– უმჯობესად ეს მიმიჩნევია: უწინარეს ტანი განვიბანოთ და ახალთახალი ქიტონები ჩავიცვათ; მონაქალები საზეიმოდ გამოენყონ; ღვთაებრივმა მომღერალმა საროკველი ჰანგი დაუკრას წკრიალა ფორმინგზე, რომ მეზობლებსა და გამვლელ-გამომვლელს ეგონოს, ქორწილს იხდიანო ოდისევსის სახლში. სანამ სასიძოთა ამბავი მისწვდებათ, მანამდე სოფლად, ჩვენს ბალ-ვენახებში უნდა გავასწროთ, რომ იქ გულდინჯად ავწონ-დავწონოთ ყოველივე, ვინძლო ზევსი შეგვენოს ამ საქმეში!



ჯვალო
უხეში ქსოვილი, რომელსაც თხის ბენვი ურევია.

ქიტონი
ძველ საბერძნეთში: მატყლის ან სელის გრძელი პერანგი

ფორმინგი
სიმებიანი საკრავი

ზევსი
მთავარი ღმერთი

ტექსტის შინაარსი

1. რატომ გააღვიძა ევრიკლემ დედოფალი? რა უნდა ეხარებინა მისთვის?
2. ვის უწოდებს ევრიკლეა „სახლის ამოხრებლებს“? რატომ?
3. როგორც მე-20 სტრიქონში ირკვევა, სახლში დაბრუნებულ ოდისევსს, ერთი კაცის გარდა, არავისთვის გაუმხელია თავისი ვინაობა. რატომ? ვინ იყო ის კაცი?
4. როგორ იცნო ევრიკლემ ოდისევსი?
5. როგორ იძია შური სასიძოვებზე ოდისევსმა?
6. როგორ შეხვდა ოცი წლის უნახავი ცოლ-ქმარი ერთმანეთს? როგორ ფიქრობ, რა იყო მათი ასეთი შეხვედრის მიზეზი? მოძებნე ტექსტში სტრიქონი, საიდანაც ირკვევა, რომ პენელოპე ოდისევსის გამოცდას აპირებდა.
7. შენი სიტყვებით მოკლედ გადმოეცი ოდისევსის თათბირის შინაარსი სამომავლო გეგმაზე.

იმსჯელე

8. მოძებნე ეპითეტები, რომლებითაც ტელემაქე ამკობს მამამისს.
 - იმსჯელე, რა თვისებების მქონე უნდა ყოფილიყო კაცი, რომელიც ასეთ ეპითეტებს იმსახურებს?

ლექსიკა

9. 1-ლ-85-ე სტრიქონებში მოიძიე შემდეგი სიტყვების სინონიმები: **სწრაფად, გაანადგურა, მშვიდად**. ამოიწერე და შეადგინე წინადადებები.
10. ამოიწერე იდიომატური გამოთქმები, განმარტე და მათი გამოყენებით შეადგინე წინადადებები.
11. ჩამოთვლილი სიტყვები გადაინერე რვეულში, განმარტე და შეადგინე წინადადებები: **უკადრისად, შეიცხადა, გამეცხადებინა, ძალუმად, დირე, მღუმარედ, გაოგნებული, ვუნყით, გადია**.
12. გადაინერე რვეულში და შენი სიტყვებით გადმოეცი:
 - წარხდა დღე ქირისა და სიავისა.
 - დაბრუნების იმედი გადანურული მაქვს.
 - ეს რა სიტყვა დასცდა შენს კბილთა ზღუდეს!
13. პენელოპე თავს სვეგამწარებულს უწოდებს. რას ნიშნავს ეს სიტყვა? გაიხსენე, რომელ ნაწარმოებში შეგხვდა სიტყვა „სვე“. რომელი პერსონაჟის ეპითეტია „სვიანი“?
14. მოძებნე ტექსტში ეპითეტები: **კეთილგონიერი, მრავალტანჯული, ქვეგამხედვარი, სვეგამწარებული...** როგორ არის შედგენილი ეს ზედსართავი სახელები? გამოყავი ორ-ორი ფუძე.



სანთიობო
ცოლ-ქმრის
საძინებელი
ოთახი



ძირკვი
იგივეა, რაც
კუნძი



2.

აგრეც მოიქცნენ: ტანი განიბანეს და ახალთახალი ქიტონები ჩაიცვეს. მონაქალებიც მოიკაზმნენ, ღვთაებრივმა აედმა ხმატკბილი ფორმინგი მომართა და ცეკვა-თამაშიც გაჩაღდა. მროკველ ქალ-ვაჟთა ფეხების დგრიალი აყრუებდა დარბაზს. ასე ამბობდა ოდისევსის ბჭემალალ სახლ-თან ჩავლილი მავანი:

– ალბათ, ქორნილს იხდის ჩვენი დედოფალი. სასიძოთაგან თუ მის-თხოვდა ვისმე, არ დაელოდა ქმრის დაბრუნებას, უპატრონოდ ტოვებს სახლსა და საბადებელს!

ასე ამბობდნენ, რადგან არ უწყოდნენ, რა ამბავი დატრიალდა ამ დარბაზში. ამასობაში ევრიკლემ დაბანა ოდისევსი, სურნელოვანი ნელსაცხებლით დაუზილა ტანი, ქიტონი ჩააცვა და ძვირფასი მოსასხამი მოასხა მხრებზე. ათენამ ღვთაებრივი მშვენებით განუმშვენა პირისახე, ახოვანება და ფერხორცი შეჰმატა. ხშირი, ოქროსფერი კულულებით შეუმკო თავი და, როგორც ჰეფესტოსებრ დახელოვნებული ოქრომ-ჭედელი მოავარაყებს ხოლმე ოქროთი ვერცხლს, ისე განამშვენა ათენამ თხემიდან ტერფამდე მრავალტანჯული გმირი.

აბაზანიდან ღვთივგანმშვენებული გამოვიდა ოდისევსი. კვლავ პე-ნელოპეს პირისპირ, იმავე ადგილზე, დაჯდა და ასე შეესიტყვა თავის მეუღლეს:

– დედაკაცო, ულმო გული ჩაუდგამთ შენტვის ოლიმპოელებს! გულმეუვალი სხვა ქალიც კი უფრო ღმობიერად შეხვდებოდა ოცი წლის

უნახავ მრავალტანჯულ მეუღლეს. მაშ, შენ გამიშალე, ჩემო გადია, სანოლი. მარტო დავნვები. რკინის გული ჰქონია ამ დიაცს!

– არც გულქვა ვარ და არც არაფერს გაყვედრი, კაცო! – მიუგო პენელოპემ, – ოღონდ არ მჯერა, ის ოდისევესი იყო, შეკაზმული ხომალდით რომ გავისტუმრე ითაკიდან. ნადი, ევრიკლეა, ოდისევესის ნახელავ სანოლზე გაუშალე ქვეშაგები, სანთიობოდან კარში რომ არის გატანილი!

ამ სიტყვით უნდოდა გამოეცადა პენელოპეს ოდისევესი. გამწყრალმა ოდისევესმა ფიცხლად შესძახა ცბიერ მეუღლეს:

– ეს რა თქვი, დედაკაცო! გული მომიკლა შენმა ნათქვამმა! ვის უნდა გაედგა გარეთ ჩემი სანოლი? ღმერთს თუ ხელენიფებოდა მისი ადგილიდან დაძვრა. ხორციელთაგან, რა ვაჟკაციც უნდა ყოფილიყო, ძვრას ვერავინ უზამდა ჩვენს სანოლს! ჩვენ გარდა აკი არავინ უწყოდა მისი საიდუმლო! მე თავად გავაკეთე იგი ზეთისხილის რტომრავალი და ტანასვეტილი, მაგარი ხისაგან. ჩვენს ეზოში იზრდებოდა ის ხე. გარშემო ნმინდად გათლილი ლოდებით სანთიობო შემოვუშენე, გადავხურე და კარიც ჩავუდგი. მერე ხეს ტოტები მოვკაფე და ცულით შუაზე გადავჭერი. ძირკვი გავრანდე, ამოვგულე და ზედ ხარის ძონისფერი ტყავები გადავჭიმე, ხოლო გვერდები ოქრო-ვერცხლითა და სპილენძით მოვუპირკეთე. აჰა, ნიშანი საიდუმლოსი, რომელიც ჩვენ გარდა არავინ უწყოდა! ან აღარ ვიცი, რა ვიფიქრო: ისევ იქა დგას ჩვენი სანოლი თუ ფუძიანად მოჭრა ვინმემ და სხვაგან გაიტანა?



ათენა
სიბრძნის
ქალღმერთი

ჰეფესტო
მჭედლობის
ღმერთი



არგოსი
ადგილი ძველ
საბერძნეთში

ოდისევესის პირით გამხელილი საიდუმლო რა ესმა, მუხლი მოუდუნდა პენელოპეს, ცრემლების ფრქვევით მიეჭრა საყვარელ მეუღლეს და ყელზე შემოეჭდო. სიხარულით ატირებული პირისახეს უკოცნიდა ქმარს და თან გულამოსკვნით ეუბნებოდა:

– ნუ, ნუ გამინყრები, ჩემო ოდისევეს! მამრთა შორის უგონიერესი იყავი მუდამ. ღმერთებს შეშურდათ ჩვენი ტკბილი ცოლქმრობა და ჭირისდღე დაგვატეხეს თავზე, რომ ერთმანეთის სიყვარულში უზრუნველ სიბერემდე ვერ მიგველნია! ნუ გამინყრები და ნუ გამკიცხავ, პირველი ნახვისთანავე რომ არ გაგიხსენი წარბი. სულ იმის შიშში ვიყავ, ვინმე მოკვდავთაგანმა ტკბილი სიტყვით არ მომაცდუნოს-მეთქი! ვინ მიხვდება, ვის რა უდევს გულში? განა გაჰყვებოდა უცხო კაცს ზევსის ასული არგოსელი ელენე და გაიზიარებდა მის სარეცელს, რომ სცოდნოდა, რა სისხლის ფასად დაუჯდებოდათ აქაველ გმირებს მისი სამშობლოში დაბრუნება? ქალღმერთმა მოაცდუნა იგი და ჩაადენინა ეს უმსგავსი საქციელი. გვიანდა მიხვდა, თუ რა უბედურება დაგვატეხა ამით აქაველებს. ახლა, რაკი ჩვენი სანოლის საიდუმლო ახსენე, იჭვის ნატამალიც

გამიქრა გულში! ეგ საიდუმლო ხომ ჩვენ გარდა მხოლოდ ერთმა მესანოლე ქალმა, აქტორისმა, იცოდა, რომელიც მამაჩემმა გამომაყოლა გამოთხოვებისას. ის მუდამ ფხიზლად დარაჯობდა ხოლმე ჩვენი სანთიობოს კარს.

პენელოპეს ნათქვამმა აატირა ოდისევსი. ტიროდა იგი და გულში იკრავდა თავის ჭკვიანსა და ღვთივმშვენიერ მეუღლეს.

როგორც მძვინვარე პოსეიდონის რისხვით ხომალდდალენილი მეზღვაურები თავს დააღწევენ ბობოქარ ზღვას და, სამშვიდობოს გასულნი, შეჭხარიან ხმელეთს, ასე სასოებით შესცქეროდა თავის მეუღლეს პენელოპე და აღარ უნდოდა, ყელიდან ჩამოხსნოდა. ამ ყოფაში მოუსწრებდა ცოლ-ქმარს ვარდისფერთი თება ეოსი, რომ თვალსხივოსან ათენას სხვაგვარად არ განესაჯა: მან გაახანგრძლივა ღამე, ოქროსტახტიან ეოსს უბრძანა, ოკეანის უფსკრულებში დაყოვნებულიყო და ჯერხნობით ეტლში არ შეება ფრთამალი რამები – ლამპოსი და ფაეთონი, რომელთაც ცარგვალზე ამოჰყავდათ ხოლმე შუქთამფენელი რიჟრაჟი.



პოსეიდონი

ზღვებისა და ოკეანეების ღმერთი

ეოსი

გარიჟრაჟის ქალღმერთი

ტექსტის შინაარსი

1. ამოინერე რვეულში გეოგრაფიული და ადამიანთა სახელები და სახელმძღვანელოს ლექსიკონის დახმარებით განმარტე.
2. რას ამბობდნენ მოქალაქენი, ოდისევსის სახლიდან მუსიკისა და ცეკვის ხმა რომ შემოესმათ?
3. რა უსაყვედურა ოდისევსმა პენელოპეს? რა ხრიკი მოუმზადა პენელოპემ ოდისევსს?
4. როგორ იყო მონყობილი ოდისევსისა და პენელოპეს სანთიობო?
5. რა აშინებდა პენელოპეს? რატომ არ გაუხსნა მან ოდისევსს წარბი დანახვისთანავე? ვისი ამბავი გაიხსენა მან თავისი ეჭვის დასადასტურებლად?
6. მათ გარდა, ვინ იცოდა ცოლ-ქმრის საიდუმლო?

ლექსიკა

7. მოძებნე ტექსტში ჩამოთვლილი სიტყვების სინონიმები და შეადგინე წინადადებები: მოცეკვავე, მოახურა, მოკვდავთაგან, მაღალი, შემოეხვია, უბედურება, გამიბრაზდები, მომატყუოს.
8. გამოყოფილი ლექსიკური ერთეულები შეცვალე მსგავსი შინაარსის მქონე ერთი სიტყვით:
 - რკინის გული ჰქონდა.
 - იჭვის ნატამალიც გამიქრა გულში.
9. მოძებნე შედგენილი ზედსართავი სახელები: გულშეუვალი...
10. ტექსტის ბოლო აბზაცში რასთან არის შედარებული პენელოპეს სიხარული?

იმსჯელე

11. რა თვისებებით იყო შემკული პენელოპე? დაახასიათე ის. აღწერე მისი გარეგნობა, თვისებები. მოძებნე შესაბამისი სტრიქონები ტექსტში.
12. იმსჯელე ძველთაგანვე ცნობილ გამონათქვამზე:
„ჰომეროსი იმდენს აძლევს ბავშვს, ჭარმაგ კაცსა თუ მოხუცებულს, რამდენის მიღებაც თითოეულ მათგანს შეუძლია“.
13. ოდისევსს ხშირად უწოდებს ავტორი მრავალტანჯულს, ეოსს კი – ვარდისფერთითებას.

შენი აზრით, რატომ?

შემაჯამებელი სამუშაო

- 14.** ამოინერე ტექსტიდან ძველი ბერძნული ყოფიერებისათვის დამახასიათებელი ნივთებისა თუ სამოსის სახელები.
- 15.** შემდეგი გეგმის მიხედვით დაწერე ორივე ნაწილის მოკლე შინაარსი:
ოდისევსის ვინაობა; ტროას ათწლიანი ომი; ათი წლის ხეტიალის შემდეგ; სასიძოვები; პენელოპეს ეჭვი; პენელოპე ოდისევსს ცდის; მეუღლემ შეიცნო ოდისევსი.

თავი 9 – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან

მეოცე საუკუნეში შექმნილი ქართული ტერმინები და გიორგი ნიკოლაძე

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს წაიკითხოს ტექსტი ნიშანთა სისტემის გამოყენებით, გაიაქტიუროს/გაიმდიდროს ლექსიკური მარაგი.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).9.მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- სვამს კითხვებს წაკითხული ტექსტის უკეთ გააზრების მიზნით;
- კითხვისას წამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებმა იციან კითხვის სტრატეგიები, შეუძლიათ სიტყვათა მნიშვნელობის ახსნა.

გაკვეთილის მსვლელობა:

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს თემასა და მიზანს და ეკითხება: თქვენი აზრით, რომელი ტერმინები არ იარსებებდა მეოცე საუკუნემდე? რატომ? მოსწავლეები დაასახელებენ საკუთარ ვარიანტებს და ეცდებიან დაასაბუთონ პასუხი (მაგალითად, არ იარსებებდა სიტყვა კომპიუტერი, იმიტომ რომ ეს ნივთი არ არსებობდა მანამდე...). მასწავლებელი ეკითხება: თქვენი აზრით, როგორ იქმნება ეს სიტყვები?

აქტივობა 2. თეორიული მასალის გაცნობა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გადაშალონ სახელმძღვანელოები 125-ე გვერდზე, წაიკითხონ და დაამუშაონ მოცემული მასალა შემდეგი ნიშანთა სისტემის გამოყენებით: + - ჩემთვის ახალია; ? - მაქვს შეკითხვები; - - ვერ გავიგე; √ - უკვე ვიცოდი.

აქტივობა 3. დაჯალბების შემონახვა

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: ვინ რა მონიშნა? (ჯერ ასახელებს ერთ ნიშანს, შემდეგ - მეორეს და ა.შ.). რამდენიმე მოსწავლე პასუხობს თითოეული მიმართულებით მონიშნულ საკუთარ ვარიანტს, დანარჩენები ავსებენ. მასწავლებელი თითოეული საკითხიდან გამომდინარე აძლევს განმარტებას.

აქტივობა 4. კითხვების დასმა

ტექსტის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი სვამს კითხვებს ტექსტის ირგვლივ (შეუძლია გამოიყენოს კითხვები სახელმძღვანელოდან).

აქტივობა 5. მუშაობა ტერმინებზე

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს ურიგებს თემას (მაგალითად, მხატვრობა, ლიტერატურა, კინო, მუსიკა, ტელევიზია, ინტერნეტი...). სთხოვს მოიფიქრონ ამ სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და შეძლებისდაგვარად განმარტონ (მაგალითად: მხატვრობა - ტილო, პასტელი, პალიტრა, ფერწერა, გრაფიკა, ნატურმორტი, პორტრეტი...).

აქტივობა 6. პრეზენტაცია

აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციას. შეიძლება მოსწავლეებმა დასახელებული ტერმინი ვერ განმარტონ ან განმარტონ არასწორად. მასწავლებელს შეუძლია იქვე მოაძებნინოს ლექსიკონში ან სახლში მისცეს დავალება.

საშინაო დავალება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ან მოიძიონ და განმარტონ ის სიტყვები, რომლებიც ვერ განმარტეს გაკვეთილზე, ან შეასრულონ სახელმძღვანელოში მოცემული №5 სავარჯიშო (მოსწ. წიგნი, გვ. 127).

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად შეუძლიათ კითხვის სტრატეგიის გამოყენება და რამდენად სწორად შეასრულეს მიცემული დავალება ჯგუფებში.

თავი 10 – ჩემი თხილისი

მუშაიდი

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები:

თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ საინფორმაციო-შემეცნებითი ტიპის ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრებას, ტექსტის გაგება-გააზრებას; სხვადასხვა ფორმით მიწოდებული ინფორმაციის ერთმანეთთან დაკავშირებას.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას

ქართ.დანყ.(II).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, გაგება და გაანალიზება არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების/დეტალების გათვალისწინებით.

ბამჭოლი კომპეტენცია:

ნიგნიერება, მედიანიგნიერება.

მედიაინფორმაციის მიზნები:

მედიაარესურსის კრიტიკული ანალიზი; მედიის მიერ სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

ბაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1. წინარე ცოდნის გააქტიურება

მოსწავლეები ეკითხება მოსწავლეებს: ყოფილხართ მუშაიდის ბაღში? სად მდებარეობს ის? რა იცით ამ ბაღის შესახებ?

თქვენი აზრით, რატომ შეიძლებოდა დაერქმიათ ამ ბაღისათვის ასეთი სახელი? (დრო: 3 წთ.)

აქტივობა 2. ტექსტის კითხვა

მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ისინი იხსენებენ გამოთქმულ ვარაუდებს ბაღის სახელთან დაკავშირებით და ადარებენ, დამთხვა (მიახლოებული იყო) თუ არა რომელიმე ვარაუდი ტექსტში მოცემულ ინფორმაციას. (დრო: 5 წთ.)

აქტივობა 3. კითხვები ტექსტის შინაარსის გაგების დასადგენად.

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს (შეიძლება ზეპირადაც) შეკითხვებს:

1. რომელ წელს შეიქმნა მუშთაიდის ბალი?
2. ვის სახელს უკავშირდება მისი შექმნა?
3. საიდან მოდის სახელი „მუშთაიდი“?
4. რომელი ინფორმაცია მიგაჩნიათ ტექსტში საეჭვოდ? რატომ?

(დრო: 5 წთ.)

აქტივობა 4. დოკუმენტური ფილმი მუშთაიდზე.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს: რა შეიძლება გავაკეთოთ იმისათვის, რომ დავადგინოთ ტექსტში მოცემული საეჭვო ინფორმაციის მართებულობა? (სავარაუდოდ, ერთ-ერთი პასუხი იქნება ინტერნეტში მოძიება). როგორ მოვიძიოთ ინფორმაცია ინტერნეტში? მასწავლებელი ირჩევს ერთ-ერთ გზას, ხსნის [youtube.com](https://www.youtube.com/watch?v=p0JwiKBZ7ko)-ს და აჩვენებს ფილმს მუშთაიდის ბალის ისტორიაზე <https://www.youtube.com/watch?v=p0JwiKBZ7ko> (დრო: 12 წთ.)

აქტივობა 5. ნაკითხულისა და ფილმის შედარება (მუშაობა ჯგუფებში)

შეკითხვა	ტექსტი სახელმძღვანელოში	ფილმი
რა გავიგეთ?		
რა მიზანს ისახავს?		
ვისთვისაა ეს ინფორმაცია განკუთვნილი?		
რამდენად სანდოა ინფორმაცია?		

(დრო: 15 წთ.)

ერთი ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას. სხვები ყურადღებით უსმენენ და იმ შემთხვევაში ერთვებიან, თუ სხვაგვარი პასუხი აქვთ ან პრეზენტატორს რამე გამოორჩა. (დრო: 5 წთ.)

შეფასება:

შეფასდება:

- ნაკითხული ტექსტის გაგება-გააზრება (კითხვებზე პასუხით);
- ტექსტისა და მედიაინფორმაციის შედარება (ცხრილის შევსებით);
- თანამშრომლობა (ჯგუფების მუშაობაზე დაკვირვებით). (დრო: 3 წთ.)

*(ნიმუში ამოღებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული ტრენინგ მოდულის
„სამოდულო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება“ სატრენინგო მასალიდან,
გვერდის ავტორები მაია ინასარიძე და თამარ თაბუაშვილი)*

თავი 11 – თარგმნის ხელოვნება

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი (მოსასმენი ტექსტი)

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს ტექსტის მოსმენას, გაგებას, გააზრებას, საკუთარი თუ ჯგუფის პოზიციის ნათლად ჩამოყალიბებას კლასის წინაშე.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას;
- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- ჯგუფთან წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას.
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს შეუძლიათ მოსმენით აღიქვან და გაიგონ ტექსტის შინაარსი, აქეთ თანამშრომლობითი და პრეზენტაციის უნარები.

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. მითითებების მიცემა

შენიშვნა: მასწავლებელს წინასწარ ან დაფაზე აქვს ჩამონერილი, ან ფორმატის ფურცელზე, მოსწავლეთათვის საორიენტაციო დავალებები:

1. ჩემი ყურადღება მიიქცია...
2. საინტერესო ან ბუნდოვანი სიტყვა/ფრაზა
3. რაში ვეთანხმები?
4. რაში არ ვეთანხმები?

თემისა და მიზნის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ყურადღებით მოუსმინონ და ყოველი მონაკვეთის დასრულების შემდეგ (მასწავლებელი ტექსტს კითხულობს აბზაცებად) გააკეთონ ჩანიშვნები ზემოთ მოცემული კონკრეტული მითითებების მიხედვით.

აქტივობა 2. ტექსტის ნაკითხვა

მასწავლებელი კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით, ყოველი აბზაცის ნაკითხვის შემდეგ ჩერდება და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას იფიქრონ დავალებაზე ინდივიდუალურად.

აქტივობა 3. მოსაზრებების შეჯერება

ტექსტის ნაკითხვის შემდეგ მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს, სთხოვს გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები და მოამზადონ საპრეზენტაციოდ თემა „ჰეკლბერი ფინი და ჩვენ“, სადაც წარმოადგენენ ჯგუფის საერთო პოზიციას დაფაზე ჩამონერილ საკითხებთან დაკავშირებით. მასწავლებელი აძლევს მითითებას ჯგუფებს, წინასწარ შეარჩიონ პრეზენტატორი, რომელიც შეძლებს მათი საერთო პოზიციის წარმოდგენას.

აქტივობა 4. პრეზენტაცია

ჯგუფები წარადგენენ პრეზენტაციებს და მოსწავლეები ერთმანეთს აფასებენ იმის მიხედვით, თუ რამდენად დამაჯერებელი იყო არგუმენტები და რამდენად საინტერესოდ მოახერხა პრეზენტატორმა ჯგუფის საერთო პოზიციის წარმოდგენა.

რესურსები

მოსამენი ტექსტი, ფორმატის ფურცელი, მარკერი.

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად ადეკვატურად გაიგეს მოსმენილი ტექსტი, და საკუთარი თუ ჯგუფის მოსაზრებები წარმოადგინეს კლასის წინაშე.

ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი

თავი მესამე

დილით მის უოტსონისაგან ლაზათიანად მომხვდა გათხუპნილი ტან-ისამოსის გამო. მაგრამ ქვრივს არ დაუფუტუქსივარ; ისეთი დაღონებულ-ლი ჩანდა, როდესაც ქონსა და თიხას აშორებდა ჩემს ტანისამოსს, რომ ვიფიქრე, მოდი, რამდენიმე ხანს კარგად მოვიქცევი, თუ შევძელი-მეთქი. მის უოტსონმა პატარა ოთახში გამიყვანა და კარგა ხანს ილოცა. ასე მითხრა, ყოველდღე ილოცე და რასაც ინატრებ, ყველაფერი შეგისრულდებაო. მაგრამ ასე არ მოხდა, თუმცა კი ვცადე. ერთხელ ანკესი ვიშოვე, ნემსკავი არ მქონდა; უნემსკავოდ კი ანკესი აბა რის მაქნისია! სამჯერ თუ ოთხჯერ ვილოცე: ღმერთო, მაშოვნინე-მეთქი, მაგრამ სულ ამაოდ. მერე მის უოტსონს ვთხოვე, ჩემ მაგიერ ელოცა, მაგრამ იმან სულელი მინოდა, ხოლო რა მიზეზით – არ მითხრა, მე თვითონ კი ვერაფრით ვერ მივხვდი.

ერთხელ ტყეში ვიჯექი და დიდხანს ვფიქრობდი ამის შესახებ; ჩემს თავს ვეკითხებოდი, თუკი ადამიანს შეუძლია, ლოცვით მიიღოს რაც უნდა, რატომ არ დაუბრუნდა დიაკვან უინს ის ფული, ღორის ხორცზე რომ იზარალა-მეთქი? რატომ არ უბრუნდება ქვრივს ვერცხლის სათუთუნე, რომელიც მოჰპარეს? რატომ ვერ სუქდება მის უოტსონი? არა, ვთქვი ჩემთვის, ეს სულ ტყუილია. ნავედი და ყველაფერი ქვრივს ვუთხარი. იმან მიპასუხა, ლოცვით ადამიანი „სულიერ ჯილდოს“ იღებსო. ეს ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო, მაგრამ ქვრივმა ამიხსნა, რასაც გულისხმობდა: რითაც კი შეგიძლია, ყველაფრით უნდა დაეხმარო ხალხს, მთელი დრო მათზე ზრუნვაში გაატარო და შენს თავზე სულ არ იფიქრო. როგორც გავიგე, მათ შორის მის უოტსონიც იგულისხმებოდა. ნავედი ტყეში და კიდევ ბევრი ვიფიქრე. ჩემი აზრით, ეს მხოლოდ სხვებისთვის უნდა ყოფილიყო სახიერო. ბოლოს გადავწყვიტე, ამაზე თავის შენუხება არ ღირს, დავივინყებ-მეთქი. ზოგჯერ ქვრივი განზე გამიყვანდა და ისე დამინყებდა ღმერთზე ლაპარაკს, რომ ნერწყვი მომივიდოდა, მაგრამ მეორე დღეს მის უოტსონი ჩამიგდებდა ხელში და სულ სხვას ჩამჩინებდა. ისე რომ, ბოლოს დავასკვენი, ორი ღმერთი ყოფილა-მეთქი. საბრალო ცოდვილი ქვრივის ღმერთს როგორმე გაუძლებს კაცი, მაგრამ თუ მის უოტსონისას ჩავუვარდი ხელში, საშველი აღარ მექნება-მეთქი. ეს ყველაფერი რომ ავნონ-დავნონე, დავასკვენი, ისევ ქვრივის განგებას მივკედლებოდი, თუ მინდომებდა. თუმცა რატომ

მოვეწონებოდი, მე ხომ უმეცარი, მდაბიო და საძაგელი ბიჭი ვიყავი.

ჩემდა საბედნიეროდ, მამაჩემი აგერ წელიწადზე მეტი იყო, აღარ ჩანდა; აღარც მინდოდა მისი ნახვა. თუ ფხიზელი იყო და ხელში ჩამიგდება, სულ მცემდა; როდესაც იგი ახლომახლო მეგულებოდა, მეტწილად ტყეში გავრბოდი. ჰოდა, დაახლოებით ამ დროს, მდინარეში, ქალაქიდან თორმეტი მილის დაშორებით, ვიღაც დამხრჩვალ კაცი ეპოვათ და ეთქვათ, თითქოს მამაჩემი იყო. მისი ტანისა ყოფილა, იმნაირივე ძონძე-ბი სცმია და მასავით არაჩვეულებრივად გრძელი თმა ჰქონია. მაგრამ წყალში იმდენ ხანს გდებულებოდა, რომ სახეზე ვერ ეცნოთ. წყალს გვამი თურმე გულადმა მოჰქონდა. ხალხმა ამოიტანა და ნაპირზე დამარხა. მაგრამ ჩემმა სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა, რადგანაც ერთი რამ გამახსენდა: დამხრჩვალ კაცი წყალს, ჩვეულებრივ, გულადმა მოაქვს. მაშინ მივხვდი, რომ ის მამაჩემი კი არა, ვიღაც ქალი უნდა ყოფილიყო კაცის ტანსაცმელში გამოწყობილი. ისევ ავფორიაქდი. ვშიშობდი, მოხუცი კიდევ გამოჩნდებოდა. ამის სურვილი კი სულ არ მქონდა.

ერთი თვის განმავლობაში ხანდახან ყაჩაღობანას ვთამაშობდით. მერე მე თავი დავანებე. დანარჩენმა ბიჭებმაც მიანებეს თავი. არც არავინ გაგვიძარცვავს და არც არავინ მოგვიკლავს. თვალთმაქცობა იყო, მეტი არაფერი; გამოვცვივდებოდით ტყიდან და თავს ვესხმოდით მელორეებსა და დედაკაცებს, რომლებსაც ურმებით ბოსტნეული მიჰქონდათ ბაზარში გასაყიდად. მაგრამ არასოდეს არავის არაფერს ვავნებდით. ტომ სოიერი ღორებს „ოქროს ზოდებს“ ეძახდა, თაღამსა და ბოსტნეულს კი „ძვირფას ნივთებს“. მივაშურებდით გამოქვაბულს და თავს ვიქებდით, ეს რა მოვიმოქმედეთ, რამდენი ხალხი დავხოცეთ, ან რამდენი დავჭერიით... მე ამაში არავითარ ხეირს არ ვხედავდი. ერთხელ ტომმა ბიჭი გაგზავნა, ანთებული მაშხალით ქალაქი დაირბინეო. ამას საბრძოლო ძახილს ეძახდა, რაზმის შესაკრები ნიშანი იყო, და მერე გამოაცხადა: ჯაშუშების საიდუმლო ცნობებით ხვალ ესპანელი ვაჭრებისა და მდიდარი არაბების მთელი ქარავანი აპირებს გამოქვაბულთან, ხევში დაბანაკებას თვალ-მარგალიტით დატვირთული ორასი სპილოთი, ექვსასი აქლემით და ათასზე მეტი ჯორით; მათ ოთხასიოდე ჯარისკაცი ეყოლებათ ბადრაგად, ასე რომ, ჩვენ ჩავუსაფრდებით (ასე ამბობდა ტომი), ამოვჟღეფთ ყველას და გავიტაცებთ ნივთეულობასო. ტომმა გვიბრძანა: დალესეთ ხმლები, გაასუფთავეთ თოფები და მოემზადეთო. თაღამით სავსე ურმებსაც კი არ დაედევნებოდა ისე, რომ ხმლები და თოფები ყველას დაკრიალებული არა გვექონოდა, მიუხედავად იმისა, რომ თამასებისა და ცოცხის ტარების მეტი ხელში არაფერი გვეჭირა და,

რამდენიც უნდა გვეკრიალებინა ისინი, მაინც არაფერი შეეცდებოდა. მე არ მჯეროდა, რომ ესპანელებისა და არაბების ასეთ ბრბოს ვაჯობებდით, მაგრამ მინდოდა მენახა აქლემები და სპილოები, და მეორე დღეს, შაბათს, სხვებთან ერთად მეც ჩავუსაფრდი მონინაალმდეგეს. მივიღეთ თუ არა ბრძანება, ტყიდან გამოვცვივდით და ფერდობზე დავეშვიტ, მაგრამ არც ესპანელები გვინახავს, არც არაბები, არც აქლემები და სპილოები. ეს იყო საკვირაო სკოლის პიკნიკი, რომელშიაც მხოლოდ პირველი კლასი მონაწილეობდა. ჩვენ ბავშვებს დავერიეთ, მაგრამ მურაბისა და ცოტაოდენი ნამცხვრის მეტი არა გვრგებია რა, თუმცა, არა, ბენ როჯერსს ნაჭრის ტიკინა შეხვდა, ჯო ჰარპერს კი – საგალობლების წიგნი და კიდევ ერთი პატარა წიგნი; ამ დროს მათი მასწავლებელი გამოგვეკიდა და ყველაფერი ხელიდან გაგვაცურევინა. არავითარი თვალ-მარგალიტი მე არ მინახავს. ასეც ვუთხარი ტომ სოიერს. ტომმა მომიგო: რაც გინდა, ისა თქვი, აქ აუარებელი ბრილიანტიც იყო, არაბებიც, სპილოებიც და სხვა რამეებიცო. მაშინ მე შევეკითხე, აბა რა მიზეზი იყო, რომ ჩვენ ვერაფერი ვნახეთ-მეთქი. ასეთი უვიცი რომ არ იყო და „დონ-კიხოტი“ ნაკითხული გქონდეს, გეცოდინებოდაო. ტომი ამბობდა, რომ ყველაფერი ჯადოსნობის გამო მოხდა. ასობით ჯარისკაციც იყო, სპილოც, განძეულიც და სხვა. მაგრამ ჩვენმა მტრებმა გრძნეულებმა ეს ყველაფერი საკვირაო სკოლის ბავშვებად აქციესო.

– კარგი, – ვუთხარი მე, – ახლა აღარაფერი დაგვრჩენია, გრძნეულებზე უნდა ნავიდეთ-მეთქი იერიშით.

ამაზე ტომმა მითხრა, სულელი ხარო.

– რას ამბობ! გრძნეულს ხომ უამრავი სულის გამონწვევა შეუძლია, რომლებიც ისე აგკუნავენ, რომ სიტყვის თქმასაც ვერ მოასწრებ. ისინი ხეებზე მალალები არიან, სიმსხოთი კი ეკლესიას არ ჩამოუფარდებიან.

– კეთილი, – ვუთხარი მე, – ჩვენს დასახმარებლად რომ ზოგი სული გამოვინვიოთ, ვერც მაშინ ვაჯობებთ იმ რაზმს?

– მერედა, როგორ გამოინვევ?

– რა ვიცი, ისინი როგორღა ინვევენ?

– ძველი თუნუქის ლამპას ან რკინის ბეჭედს ხეხვას დაუნყებენ თუ არა, სულები მაშინვე მოცვივდებიან ჭექითა და ქუხილით, კვამლის ბურუსით არიან მოცული და რაც უნდა უბრძანონ, დაუყოვნებლივ შეასრულებენ. იმათთვის არაფერია, კოშკი ძირიანად ამოაგდონ და თავში ჩაჰკრან საკვირაო სკოლის ზედამხედველს, ან, გინდაც სხვა ვინმეს.

– მერედა, ვისთვის აკეთებენ ამას?

– ვისთვის და იმისთვის, ვინც ლამპას ან ბეჭედს გახეხავს. სულელებიც იმას ეკუთვნიან და ყველაფერს უსრულებენ: თუ უბრძანებ, თვალ-მარ-გალიტიდან ორმოცი მილის სიგრძე სასახლე ამიშენეთ და საღეჭი რეზინით ან კიდევ სხვა რამით ამივსეთო, ან კიდევ ჩინეთის იმპერატორის ქალი მოიტაცეთ და საცოლედ მომგვარეთო, ისინი ვალდებულნი არიან, ეს მეორე დილით, მზის ამოსვლამდე შეასრულონ. ეს კიდევ არაფერია; ვალდებულნი არიან, ამ სასახლით მთელი ქვეყანა შემოიარონ, თუკი ასე უბრძანებენ, გესმის?

– ჩემი აზრით, – ვთქვი მე, – ისინი სულელები ყოფილან. არ ურჩევნიათ ის სასახლე თავისთვის დაიტოვონ, ვიდრე ასე სულელურად დათმონ-მეთქი. კიდევ მეტიც, იმათ ადგილას რომ ვყოფილიყავი, უმალ ჯანდაბაში გავისტუმრებდი მათ, ვიდრე ჩემს საქმეს თავს დავანებებდი; ძველი თუნუქის ლამპის გახეხვისთვის არავის ვეახლებოდი.

– რაებს ლაპარაკობ, ჰეკ ფინ. გინდა, თუ არ გინდა, შენი ვალია – მიხვიდე, თუკი ლამპას გახეხავენ.

– რაო! ისიც მე, ხესავით მაღალი და ეკლესიასავით განიერი არსება? კარგი, მივიდოდი, მაგრამ იმ კაცს ვაიძულებდი, ასულიყო ყველაზე მაღალ ხეზე, რომელიც კი იმ მხარეში იდგა.

– რა აზრი აქვს შენთან ლაპარაკს, ჰეკ ფინ, ჩანს, არაფერი იცი, ნამდვილი სულელი ხარ.

ორი-სამი დღე სულ ამ ფიქრში ვიყავი, მერე კი გადავწყვიტე შემემონებინა, მართლა ასე იყო თუ არა. ავიღე ერთი ძველი თუნუქის ლამპა და რკინის ბეჭედი, ტყეში გავედი, იმდენი ვხეხე, სანამ ოფლში არ გავინუნე, ვიფიქრე, სასახლეს ავიშენებ და ფულად ვაქცევ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, არავითარი სულელები არ გამოჩენილან. მაშინ-ღა მივხვდი, რომ მთელი ეს ამბავი ტომ სოიერის მორიგი ტყუილი იყო. შეიძლება თვითონ კიდევ სჯეროდა არაბებისა და სპილოების, მაგრამ მე სულ სხვა აზრისა ვარ. ყველაფრით აშკარაა, რომ ის საკვირაო სკოლა იყო.

თავი 12 – ერთი კაცის თავგადასავალი

იოთამ ზედგინიძის თავდადება

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლე შეძლებს იმუშაოს ჯგუფში და საკუთარი თუ ჯგუფის თვალსაზრისი წარადგინოს კლასის წინაშე. განუვითარდება ჯგუფური მუშაობისა და საპრეზენტაციო უნარ-ჩვევები.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სამეტყველო ქცევის წარმართვა საკომუნიკაციო მიზნისა და კონტექსტის შესაბამისად.

- ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს სხვადასხვა სახის და განსხვავებული ფორმით მოწოდებულ ზეპირ ინფორმაციას;
- თანატოლებთან ერთად მსჯელობს და კამათობს მოსმენილი/წაკითხული ინფორმაციის შესახებ;
- ჯგუფთან წარმოადგენს და სათანადო არგუმენტებით იცავს საერთო პოზიციას.
- საუბრობს ნათლად და გარკვევით, გააზრებულად იყენებს შესაბამის არავერბალურ საშუალებებს;
- მეტყველების პროცესში თავისუფლად გადმოსცემს სხვის ნათქვამს.

წინარე ცოდნა

მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ „იოთამ ზედგინიძის თავდადება“, შეუძლიათ მსჯელობა კონკრეტული საკითხის ირგვლივ.

რესურსები

სახელმძღვანელო, ინტერნეტრესურსი ან ენციკლოპედია

გაკვეთილის მსვლელობა

ორგანიზების ფორმები: საერთო-საკლასო, ინდივიდუალური, ჯგუფური.

აქტივობა 1. მოტივაცია

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს აცნობს თემასა და მიზანს, შეახსენებს შესწავლილი ტექსტის („იოთამ ზედგინიძის თავდადება“) მთავარ საკითხებს და სთხოვს დაფიქრდნენ: თქვენი აზრით, რამდენად არის შესაძლებელი, ერთმა ადამიანმა შეცვალოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები? მასწავლებელი სთხოვს დაასახელონ შესაბამისი მაგალითები და საკუთარი მოსაზრებები დაასაბუთონ. მოსწავლეთა მიერ დასახელებულ პიროვნებებს მასწავლებელი ჩამოწერს დაფაზე.

აქტივობა 2. პეპლის ეფექტი

დაფაზე ჩამონერილი პირებიდან შეირჩევა რამდენიმე (5-6). მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს, და სთხოვს იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე: ა) რით არის ეს მოღვაწე გამორჩეული? ბ) რა იქნებოდა, ის რომ არ ყოფილიყო? (ჯგუფები სურვილის მიხედვით ირჩევენ პიროვნებას. შეიძლება, ორმა ჯგუფმა ერთი და იგივე პიროვნება აირჩიოს, რაც საინტერესო იქნება პრეზენტაციის თვალსაზრისით).

შენიშვნა: კარგი იქნება, მოსწავლეებს მიეცეთ ისტ-ის ან ენციკლოპედიის გამოყენების საშუალება, რათა მათ მოიძიონ ინფორმაცია.

აქტივობა 3. პრეზენტაცია

აქტივობის დასრულების შემდეგ ჯგუფები აკეთებენ პრეზენტაციებს. მოსწავლეები ერთმანეთს აფასებენ, რამდენად საინტერესოდ და დამაჯერებლად იყო წარმოდგენილი პრეზენტაცია.

აქტივობა 4. შეჯამება

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს 1-2 სიტყვით ყველამ გასცეს პასუხი კითხვას: რა შეიძლება შეცვალოს ერთი კაცის თავგადასავალმა?

შეფასება

მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით, რამდენად გამართულად, ნათლად და არგუმენტების მოხმობით შეუძლიათ მსჯელობა, ჯგუფის თვალსაზრისის წარმოდგენა კლასის წინაშე.

ქართული ენა (ბრამატიკა)

ფონეტიკური მოვლენები

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

ძირითადი ფონეტიკური მოვლენების გაცნობიერება; შეძენილი ცოდნის გამოყენება მართლწერაში

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:

ქართ.დანყ.(II).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება.

- სამეტყველო ვითარებაში მოიძიებს და იყენებს აზრის გამოთქმისთვის აუცილებელ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებებს;
- ერკვევა ზმნის ძირითადი კატეგორიების (პირის, რიცხვის, პირიანობის, დროის, კილოს) არსში და საჭიროებისამებრ იყენებს მათ: სწორად უთანხმებს სახელთა ბრუნვის ფორმებს ზმნას დროისა და პირის გათვალისწინებით (მაგ., აშენებს ის მას, ააშენა მან ის, აუშენებია მას ის...);
- განარჩევს სიტყვის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და სათანადოდ იყენებს მას მეტყველების დროს;
- ამოიცნობს ადრეული პერიოდის ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ენობრივ თავისებურებებს (სახელთა ბრუნვისას, მრავლობითის ფორმების წარმოებისას);
- ამოიცნობს სხვადასხვა ჟანრისა და სტილისათვის დამახასიათებელ ენობრივ ფორმებს.

ბაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. წინა გაკვეთილზე შესწავლილის გამოორება

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ სამეტყველო ბგერის შესახებ შეძენილი ცოდნა და განეცხონ თქვენს შეკითხვებზე საპასუხოდ;

გამოიყენეთ ე. წ. გონებრივი იერიშის სტრატეგია, დასვით შემდეგი შეკითხვები:

1. **ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის სამეტყველო ბგერებს?**
(ფონეტიკა);
2. **რატომ აღნიშნავენ ენათმეცნიერები, რომ ყველა ხმოვანი ბგერა მჟღერია?**
(იმიტომ, რომ მათი წარმოთქმისას ადამიანის სახმო სიმები პერიოდულად ირხევა და ჟღერს);
3. **რა განსხვავებაა მჟღერსა და ყრუ თანხმოვნებს შორის?**
(ყრუ თანხმოვნების წარმოთქმის დროს სახმო სიმები არ ირხევა, ამიტომ ბგერა ყრუდ მოისმის);
4. **ამათგან რომელია მჟღერი და რომელი – ყრუ? სამეულებად ჩამოთვალეთ და დაფაზეც დანერ-
ეთ:**

ბ პ ფ; გ კ ქ; დ ტ თ; ძ წ ც; ჯ ჭ ჩ.

5. **რა განასხვავებს ერთმანეთისაგან ყრუ თანხმოვანთა ორ ჯგუფს: მკვეთრსა და ფშვინვი-**

ერს?

(ყრუ მკვეთრი თანხმობების წარმოსათქმელად საკმარისია ჰაერის ის მარაგი, რომელიც ადამიანის პირის ღრუშია დაგროვებული. ყრუ ფშვინვიერ თანხმობანთა წარმოთქმისას კი ფილტვებიდან ამოდის ჰაერის დიდი ნაკადი);

6. **ამათგან რომელია მკვეთრი და რომელი – ფშვინვიერი?** წყვილად ჩამოთვალეთ და დაფაზეც დაწერეთ:

ყრუ ბგერები: პ ფ; ქ კ; თ ტ; ნ ც; ჩ ჭ.

როგორც ამჯერად, ისე შემდგომ ეტაპებზე აღნიშნეთ თქვენ მიერ შერჩეულ მოსწავლეთა პასუხების შეფასება (თქვენთვის მისაღები ფორმით: სიტყვიერად თუ ქულის სახით).

აქტივობა 2. ახალი საკითხის დასმა.

ა) განმარტებითი შესავლის შემდეგ დასვით შეკითხვა:

თქვენ იცით, რომ ქართული ენა, მისი ხანგრძლივი ისტორიიდან გამომდინარე, ეტაპებად იყოფა; მაგალითად, ჩვენ არაერთხელ გვიხსენებია: ძველი ქართული ენა, თანამედროვე ქართული ენა. მკვლევართა მიერ, ასევე, გამოყოფილია საშუალო ქართულის ეტაპიც. ცხადია, ათასხუთასწლიანი ქართული სამწერლობო ენა სხვადასხვა ეტაპზე ცვლილებას განიცდიდა; იცვლებოდა ხოლმე მისი გრამატიკის, მართლწერის ნორმებიც; ცვლილება ზოგიერთ სიტყვათა შინაარსმაც განიცადა; მაგალითად: თქვენ იცით, რომ სიტყვას „ნიგნი“ წერილის მნიშვნელობაც ჰქონდა ძველ ქართულში... ძველისა და თანამედროვე ენის გრამატიკულ ნორმებს შორის განსხვავების მაგალითია სახელებში ნარ ბოლოსართიანი და ებ ბოლოსართიანი მრავლობითის წარმოება: თუ ძველად ვარსკვლავნი ნორმა იყო, დღეს ის ძველ ფორმად არის მიჩნეული...

თქვენი აზრით, ენაში მომხდარ როგორ ცვლილებას შეიძლება ეწოდოს ფონეტიკური მოვლენა, რა განიცდის ცვლილებას ამგვარ შემთხვევებში? (მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს).

ბ) დასვით შეკითხვა და მაგალითი დაფაზე დაწერეთ:

რა განსხვავებაა ძველი ქართულისა და თანამედროვე ენის ამ ფორმებს შორის?

ტრედი → მტრედი

(მოსწავლეები შენიშნავენ, რომ სიტყვის ძველ ფორმას ბგერა დაემატა).

მიუბრუნდით მთავარ საკითხს და განმარტება დააზუსტეთ:

სიტყვაში ბგერით ცვლილებას ფონეტიკური მოვლენა ეწოდება.

გ) დაიმონმეთ ფონეტიკური მოვლენის სხვა მაგალითებიც; დაფაზე დაწერეთ:

ხე – ხეის ჩურჩული	წყალი – წყლის რაკრაკი
თუთა – თუთაის ხე	პეპელა – პეპელაის ფრთა

დასვით შეკითხვა:

რა შეგიძლიათ მითხრათ ამ ფონეტიკური მოვლენების შესახებ?

მოსწავლეები ამოიცნობენ კვეცისა და კუმშვის შემთხვევებს და დაასკვნიან, რომ არსებითი სახელების კვეცა და კუმშვა ფონეტიკური მოვლენის ნიმუშებია.

აქტივობა 3. გამოკვეთილი საკითხის გაღრმავება

ვიყენებთ ე. წ. **აღმოჩენის** (ანუ ევრისტიკულ) მეთოდს.

დაფაზე დანერეთ შესასწავლი საკითხი:

ფონეტიკური მოვლენები:

შემდეგ კი ჩამოწერეთ მაგალითები:

1. **ცისარტყელა** → **ცისარტყელა**; **დედა-მამა** → **დედ-მამა**

დასვით შეკითხვა:

– დააკვირდით ბგერის დაკარგვის ამ მაგალითებს. ამათგან რომელში დაიკარგა თანხმოვანი და რომელში – ხმოვანი?

დაფაზე დანერეთ შემდეგი მაგალითი:

2. **მინდორი** – **მინდვრის ყვავილი...**

დასვით შეკითხვა:

– აქ რა ცვლილება მომხდარა? რა ცვლილება განიცადა ხმოვანმა ბგერამ?

განმარტეთ:

ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებას ხმოვნის დასუსტება ეწოდება.

3. დანერეთ მესამე მაგალითი:

რვა → **თვრამეტი**

დასვით შეკითხვა:

– დააკვირდით, რა ცვლილება განუცდია რთული სიტყვის შედგენის დროს სიტყვას – რვა?

განმარტეთ:

– ამ ფონეტიკურ ცვლილებას **ბგერათა გადასმა** ეწოდება.

დაფაზე დანერეთ:

4. **ბედშავი** → **ბეჩავი**

დასვით შეკითხვა:

– აქ რა ცვლილება მომხდარა რთული სიტყვის შედგენის შემდეგ?

განმარტეთ:

– ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებას **ბგერათა შერწყმა** ეწოდება.

დანერეთ დაფაზე მესხეთე მაგალითი კომენტარით:

5. ძველად: **ტრედი, ვეცხლი, წმიდა**

ახლა: **მტრედი, ვერცხლი, წმინდა**

დასვით შეკითხვა:

– რა ცვლილება განუცდია ძველი სიტყვების ფორმებს თანამედროვე ენაში?

განმარტეთ:

– ეს ხომ ბგერის დაკარგვის საპირისპირო ფონეტიკური მოვლენაა; შესაბამისად, მას **ბგერის გაჩენა** ეწოდება.

დანერეთ დაფაზე მეექვსე მაგალითი კომენტარით:

6. ძველად: **სიმშილი, ლელწამი**

ახლა: **შიმშილი, ლერწამი**

დასვით შეკითხვა:

– რა ცვლილება განუცდია ძველი სიტყვების ფორმებს თანამედროვე ენაში? რა არსებითი განსხვავებაა ამ ორ მაგალითს შორის?

განმარტეთ:

– პირველ შემთხვევაში გვაქვს ბგერის დამსგავსება: სიტყვის ფუძეში მდებარე შინ თანხმოვან-მა დაიმსგავსა სიტყვის პირველი ბგერა – სანი; მეორე შემთხვევაში კი პირიქით მომხდარა – ბგერა-თა განმსგავსება: სიტყვის პირველმა ბგერამ – ლასმა განიმსგავსა ფუძისეული ლასი, მის ნაცვლად რაე გვაქვს.

ბოლოს ჩამოთვალეთ ფონეტიკური მოვლენები და სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაინერონ:

– ფონეტიკური მოვლენებია: 1) ბგერის დაკარგვა, 2) ხმოვნის დასუსტება, 3) ბგერათა გადასმა, 4) ბგერათა შერწყმა, 5) ბგერის გაჩენა, 6) ბგერის დამსგავსება ან განმსგავსება.

შეამონმეთ, მიუსადაგებენ თუ არა სწორად მოსწავლეები ამ დეფინიციებს დაფაზე ჩამონეროლ მაგალითებს.

აქტივობა 4. ახლად შეძენილი ცოდნის გამოყენება

სანამ მოსწავლეები თქვენ მიერ მიცემულ დავალებას ასრულებენ, დაფაზე ჩამონერეთ:

ათერთმეტი	–	თერთმეტი
ათორმეტი	–	თორმეტი
ათსამმეტი	–	ცამეტი
ათოთხმეტი	–	თოთხმეტი
ათხუთმეტი	–	თხუთმეტი
ათექვსმეტი	–	თექვსმეტი
ათშვიდმეტი	–	ჩვიდმეტი
ათრვამეტი	–	თვრამეტი
ათცხრამეტი	–	ცხრამეტი

შეამონმეთ წინა დავალება და განაწყვეთ მოსწავლეები ახლის შესასრულებლად:

– შევადაროთ ერთმანეთს ძველისა და თანამედროვე ენის ფორმები, გავაანალიზოთ, რა ფონეტიკური მოვლენები მომხდარა რიცხვით სახელებში:

დასვით შეკითხვები:

1. შენარჩუნებულია თუ არა ათის ნაწილი, საწყისი 5 ხმოვანი? (ყველგან დაკარგულია);
2. დააკვირდით, რომელი ფონეტიკური მოვლენის მაგალითია – ცამეტი? (ბგერათა შერწყმის: თს → ც)
3. კიდევ რომელ რიცხვით სახელში შეერწყა ერთმანეთს თანხმოვნები და ერთ სამეტყველო ბგერად გარდაიქმნა? (ჩვიდმეტი: თშ → ჩ)
4. რომელ რიცხვით სახელში გვაქვს ბგერათა გადასმის მაგალითი? (თვრამეტი)
5. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ბგერის, კერძოდ, ა ხმოვნის დაკარგვის შესახებ, მაგრამ დააკვირდით, რომელმა სახელმა დაკარგა ხმოვანთან ერთად თანხმოვანიც? (ცხრამეტი)

აქტივობა 5. შესწავლილი საკითხისა და შეძენილი ცოდნის გაღრმავება.

მოსწავლეებს აუხსენით, განუმარტეთ, რომ:

– ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, შესაძლებელია, ნორმად იყოს მიჩნეული ორი მართებული ფორმა – ენაში გაჩნდეს ე.წ. პარალელური ფორმები. ახლა გაგაცნობთ ამგვარ ნიმუშებს ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონიდან:

გადაშალეთ ლექსიკონი და დაწერეთ დაფაზე:

ცდომილება (// ცთომილება)

ცდუნება (// ცთუნება)

განაგრძეთ საუბარი:

– ნიგნიერი, განათლებული ადამიანი ენაში დადგენილ ნორმებს იცავს. ჩვენი მიზანია, რომ თქვენ, წერისას თუ მეტყველებისას, გამოიყენოთ სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით მარ-
თებული ფორმები;

მაგალითად, თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით: (დაფაზე ჩამოწერეთ)

<i>მართებულია:</i>	<i>მცდარია:</i>
კარგი	კარქი
ტკბილი	ტკპილი
ფრჩხილი	ბრჩხილი
ფრთხილი	ბრთხილი
ღვთის ნება	ხვთის ნება
მშვიდად	მშვიდათ

ერთად ვეძიოთ შეცდომის მიზეზები:

დასვით შეკითხვები:

1. ჩამოთვლილთაგან რომელ მცდარ ფორმებში ყრუვდება მართებული ფორმების მჟღერი თანხმოვანი? იპოვეთ და დაასახელეთ ამგვარი შეცდომის ოთხი მაგალითი. (კარგი, ტკბილი, ღვთის, მშვიდად)
2. რომელ მცდარ ფორმებში შეცვლილა მართებულ ფორმათა ყრუ თანხმოვანი მჟღერით? (ფრჩხილი, ფრთხილი)

აქტივობა 6. შეფასება და საშინაო დავალების ჩანიშვნა.

გააცანით კლასს, როგორ შეაფასებთ გაკვეთილის მსვლელობის დროს თქვენ მიერ შერჩეულ მოს-
წავლეთა მონაწილეობას;

შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაინიშნონ მოსწავლის წიგნში გვერდი 9 და ცოდნის განმტკიცების მიზნით, სახლში ყურადღებით გაეცნონ აქ წარმოდგენილ მასალას; შეასრულონ მოცემული დავალებე-
ბი:

1. **განმარტე:** რომელი ფონეტიკური მიზეზით აიხსნება შეცდომა ქვემოთ მოცემულ მაგალითებში?

<i>მართებული:</i>	<i>მცდარი:</i>
ბრტყელი	პრტყელი
საფრთხე	საბრთხე
აღშფოთდა	ახშფოთდა

2. შეადგინე წინადადებები, რომლებშიც მართებულ ფორმებს გამოიყენებ:

მშვიდად, ფრთხილად, სიბრტყე, სიტკბო, საფრთხე, აღშფოთდა.

ლექსიკოლოგია

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვა

მისაღწევი მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

სიტყვის მრავალმნიშვნელობიანობის – პოლისემიის – არსის გაგება.

შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

ქართ.დანყ.(II).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება მიზნის შესაბამისად.

- კითხვისას ნამოჭრილი სირთულეების დასაძლევად მიმართავს სხვადასხვა საშუალებას: თავიდან გადაიკითხავს რთულ ან მნიშვნელოვან ნაწილებს, აკეთებს ჩანაწერებს, კომენტარებს უკეთებს ტექსტის ცალკეულ ნაწილებს; კონტექსტზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით ან ლექსიკონის დახმარებით აზუსტებს უცხო სიტყვების მნიშვნელობას;
- მიზნობრივად იყენებს ბეჭდურ და ელექტრონულ ორთოგრაფიულ, განმარტებით და სხვა ლექსიკონებს.

ხერხი

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის არსის გამოკვეთა ომონიმებთან შეპირისპირებაში.

სწავლების ეფექტურობის მიზნით, შეგახსენებთ ე. წ. კონსტრუქტივისტული გაკვეთილის მოდელს:

ამ მოდელის მიხედვით, მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს: ან სადისკუსიო ზოგადი შეკითხვის დასმით; ან პრობლემის გამოკვეთით; ან მოულოდნელი სიტუაციის შექმნით. გაკვეთილის ამ საწყის ფაზას მოსდევს ე. წ. ძიებისა და რეფლექსიის ფაზები, ბოლო კი განხილვა-შეჯამების ფაზაა.

განვიხილოთ კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ლექსიკოლოგიის თემაზე:

1. პირველი (საწყისი) ფაზა:

ა) ვარიანტი – გაკვეთილის დაწყება ზოგადი კითხვის დასმით:

– როგორ ნიგნს ჰქვია ლექსიკონი?

სადისკუსიო შეკითხვა: აქვს თუ არა ერთი და იგივე დანიშნულება ნიგნებს, რომლებსაც ლექსიკონს უწოდებენ?

ბ) ვარიანტი – გაკვეთილის დაწყება პრობლემით:

– წარმოიდგინეთ, რომ ჟურნალი გადაშალეთ და ერთი ტექსტის სათაურმა ძალიან დაგაინტერესათ. დაიწყეთ კითხვა. ტექსტში შეგხვდათ თქვენთვის უცნობი სიტყვები, რომელთა არცოდნა ხელს გიშლით შინაარსის გაგებაში. როგორ მოიქცევით?

გ) ვარიანტი – მოულოდნელი სიტუაციის შექმნა:

მასწავლებელი მაგიდაზე აწყობს: ორთოგრაფიულ ლექსიკონს, განმარტებით ლექსიკონს, სინონიმთა ლექსიკონს.

შემდეგ დაფაზე წერს წინადადებას – „წინარმოვებში მწერალმა თავისი ეპოქის ნამდვილი სახე გადმოგვცა“. – და სთხოვს მოსწავლეებს, მოიძიონ ამ წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის მნიშვნელობა. მიეყვებთ გ ვარიანტს:

2. ძიების ფაზა

ძიებისას მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ორთოგრაფიული ლექსიკონი ვერ შესძენს მათ ცოდნას ამ კონკრეტულ სიტუაციაში; სინონიმთა ლექსიკონი მხოლოდ ნაწილობრივ დაეხმარება; **განმარტებითი ლექსიკონით** კი დასახულ ამოცანას შეასრულებენ.

3. რეფლექსიის ფაზა

მასწავლებელი იყენებს ე.წ. „ხარაჩოს“ მეთოდს: დასმული შეკითხვებით მან ამ სამ ლექსიკონს შორის არსებითი განსხვავება უნდა აღმოაჩინოს მოსწავლეებს და თითოეულის ფუნქცია მათვე განასაზღვრინოს.

მაგალითად, მასწავლებელს შეუძლია დასვას შეკითხვა:

– **ხშირად რომ არ გავიმეოროთ სიტყვა ეპოქა, სად მოვიძიებთ, რომელი სიტყვა ჩაენაცვლება მას?** (მოსწავლეები სინონიმთა ლექსიკონში მოიძიებენ: ეპოქა//ხანა).

ისევე შეკითხვა:

– **როგორ უნდა გავიგოთ, რას ნიშნავს სიტყვები: ორთოგრაფიული და სინონიმთა?** (ამჯერად მოსწავლეები განმარტებით ლექსიკონს შეარჩევენ).

შემდეგი შეკითხვა:

– **რომელი ლექსიკონის დახმარებით უნდა გავარკვიოთ, რა არის მართებული – სინონიმური თუ სინონიმური?** (მოსწავლეები გამოიყენებენ ორთოგრაფიულ ლექსიკონს).

– **სად მოვიძიებთ თავისი მნიშვნელობით ორთოგრაფიის მსგავს სიტყვას?** (ამჯერად მოსწავლეები სინონიმთა ლექსიკონში იპოვიან სიტყვას – მართლწერა).

4. განხილვა-შეჯამების ფაზა

მოსწავლეები აჯამებენ ძირითად საკითხებს:

ლექსიკონი სხვადასხვაგვარია. ადამიანი მათ თავისი მიზნის მიხედვით შეარჩევს: სიტყვის მართლწერას აზუსტებს ორთოგრაფიულ ლექსიკონში, სიტყვის მნიშვნელობას – განმარტებითში, ხოლო მსგავსი სიტყვის მოსაძებნად სინონიმთა ლექსიკონს იყენებს.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ეს ცოდნა **გამოცდილებით** მიიღეს.

(ნიმუში ამოღებულია გამოცდების ეროვნული ცენტრის პროფესიული უნარების ჯგუფის მიერ მომზადებული კრებულიდან)

ბაკვეთილის ეტაპები

აქტივობა 1. ახალი საკითხის გასააზრებლად პრობლემის გამოკვეთა

სთხოვეთ მოსწავლეებს, გადაშალონ ქართული ენის სახელმძღვანელო მე-19 გვერდზე და განეწყონ ერთი ლექსიკური ხასიათის პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად;

მიუთითეთ რუბრიკა დააკვირდი:

1. „ნიგოზთა ძირსა დაეძინა“ (სულხან-საბას იგავიდან);
2. „ჭინჭრის ძირზე ჭინჭარი ამოვარ“ (ანდაზა);
3. „ველზე იდგა ორი-სამი ძირი ბალი“ (ვაჟა-ფშაველას პროზიდან);
4. ა) „გოდრის ძირში თავი რაღაცას ხრავს, აკნატუნებს“ (თ. რაზიკაშვილის პროზიდან);
ბ) „წყაროს ძირზე კენჭებს სათითაოდ დათვლიდი“ (ი. გოგებაშვილის პროზიდან);
5. „ფეხსაცმლის ძირი რამდენიმე ალაგას იყო გახეული“ (კ. ბაქრაძის თარგმანიდან);
6. „დოქტორი სტრონგი მუდამ გართული იყო სიტყვათა ბერძნული ძირების ძიებაში“ (კ. ბაქრაძის თარგმანიდან);
7. „ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ (შოთა რუსთაველი).

როდესაც მოსწავლეები ამ მასალას გაეცნობიან, გამოკვეთეთ პრობლემა:

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია 7 წინადადება და თითოეულში ხაზგასმულია ერთი და იგივე სიტყვა – ძირი; აქვს თუ არა ამ სიტყვას ყველგან ერთი და იგივე მნიშვნელობა? როგორ უნდა განვმარტოთ სიტყვა „ძირი“?

აქტივობა 2. ძიების ფაზა გამოკვეთილი პრობლემის გასააზრებლად

ძიებისას მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ეს სიტყვა ყოველ ცალკეულ წინადადებაში განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ერთ რომელიმე წინადადებაზე დაყრდნობით მისი განმარტება არ იქნება სრულყოფილი. განმარტებისას აუცილებელი ხდება მისი რამდენიმე მნიშვნელობის აღნიშვნა.

სანამ მოსწავლეები ფიქრობენ, თქვენ დაფაზე ჩამოწერეთ:

- მცენარის თითოეული ცალი;
- ლანჩა;
- ფესვი;
- ფსკერი;
- ქვედა ნაწილი (ხისა);
- მოდგმა, შთამომავლობა;
- სიტყვის მარტივი ფუძე (ტერმინი ენათმეცნიერებაში).

მოისმინეთ მათი მსჯელობა და განმარტეთ:

– როგორც ამ მაგალითებიდან ვხედავთ, ენაში ზოგჯერ შესაძლებელია, რომ ერთი სიტყვის მეშვეობით სხვადასხვა აღსანიშნვე მიუთითოთ; ნიგში ჩამოთვლილ წინადადებებში სიტყვით „ძირი“ აღნიშნულია სხვადასხვა რამ.

გამოიყენეთ ჯგუფური მუშაობის მეთოდი და მიეცით კლასს დავალება:

– დაფაზე ჩამოწერილია ამ სიტყვის 7 შესაძლებელი მნიშვნელობა. შეუსაბამეთ ისინი წინადადებებს.

საბოლოოდ, მოსწავლეებმა განმარტებები ამგვარად უნდა დააღაგონ:

1. ქვედა ნაწილი (ხისა);
2. ფესვი;
3. მცენარის თითოეული ცალი;
4. ფსკერი;
5. ლანჩა;
6. სიტყვის მარტივი ფუძე (ტერმინი ენათმეცნიერებაში).
7. მოდგმა, შთამომავლობა.

აქტივობა 3. რეფლექსიის ფაზა ანუ საკითხის განსჯა-ათვისება

განმარტეთ:

– ამგვარ სიტყვებს ენათმეცნიერებმა **მრავალმნიშვნელობიანი** სიტყვა უწოდეს; „ძირი“ **მრავალმნიშვნელობიანი** სიტყვის ნიმუშია.

შემდეგ გამოიყენეთ ე. წ. „ხარაჩოს“ მეთოდი – განსჯას თქვენ მიერ დასმული შეკითხვებით მიეცით გეზი – დასვით შეკითხვა:

– **გაიხსენეთ ომონიმები და შეეცადეთ, ახსნათ, რა განსხვავებაა მრავალმნიშვნელობიან სიტყვასა და ომონიმებს შორის?**

შესადარებლად დაფაზე დაწერეთ ომონიმური სიტყვების განმარტება:

ბალი – კურკოვანი ხილი;

ბალი – მეჯლისი;

ბალი – ციფრით გამოხატული შეფასება.

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები „ბალისა“ და „ძირის“ განმარტებათა შედარებისას შენიშნავენ არსებით განსხვავებას:

ომონიმური სიტყვების მნიშვნელობები ერთმანეთისაგან სრულიად დაშორებულია; მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობას კი მსგავსება მეტად მოეძებნება, ერთმანეთთან მეტი კავშირი აქვს.

დაფაზე დაწერეთ სხვა ომონიმური წყვილის ნიმუშიც:

ლამა – სამხრეთ ამერიკული შინაური ცხოველი;

ლამა – (ტიბეტური სიტყვა) ბუდისტ-ლამაისტთა ბერი.

სავარაუდოდ, ამჯერად უფრო თვალსაჩინო გახდება მოსწავლეებისათვის, რომ:

რამდენიმე მნიშვნელობის მქონე ერთი სიტყვისაგან განსხვავებით, ომონიმები სხვადასხვა სიტყვებია, წარმოშობით სხვადასხვა სიტყვათა წყვილია.

შეასრულებინეთ კლასს ჯგუფური სამუშაო: მოუსაზღვრეთ სახელმძღვანელოდან შესაბამისი მონაკვეთი და სთხოვეთ, გაარკვიონ:

– **აქ წარმოდგენილი სამი ნიმუშის სიტყვები ომონიმურია თუ მრავალმნიშვნელობიანი?**

1. კაკალი

ა) „მოფრინდა ყვავი, შემოჯდა ხეზე და კაკალი ძირს ჩამოაგდო“.

ბ) „ირემმა ცრემლში მოცურავე თვალის კაკლები თავის მკვლელს მიაპყრო“.

2. წვერი

ა) მეზობლის თხა ფეხების ბაკუნით და **წვერის** ცანცარით გარეთ გამოვიდა.

ბ) ბალი **წვერში** გამწარდებო (ანდაზა).

3. ლომი

ა) მელიის მფარველობასა, **ლომმა** შემჭამოს, ჯობიაო (ანდაზა);

ბ) „რკინის **ლმებში** შეანგრეეს ჭიშკარი“ (კ. გამსახურდიას პროზიდან).

ვარაუდების მოსმენის შემდეგ, დაწყვეთ ყოველი ჯგუფის მერხზე სასკოლო ბიბლიოთეკიდან წინასწარ გამოტანილი ლექსიკონები და მოსწავლეებს მიეცით დავალება, ვარაუდების შესამოწმებლად ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი დაიხმარონ.

დასვით შეკითხვა:

– შეინიშნება თუ არა განსხვავება ომონიმებისა და მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სალექსიკონო განმარტების მოდელებში?

როდესაც განსჯისათვის გამოყოფილი დრო დასრულდება, შეამოწმეთ, როგორ შეადარებენ ერთმანეთს განსხვავებულ ნიმუშებს ჯგუფის წარმომადგენლები;

მოსალოდნელია, რომ მოსწავლეები შეინიშნავენ:

განმარტებით ლექსიკონში ომონიმური წყვილის ცალები განმარტებულია ცალ-ცალკე, ხოლო მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა თავმოყრილია ამავე სიტყვის განმარტებაში.

ბოლოს თვალსაჩინო ნიმუშები თქვენ განიხილეთ:

ომონიმურია:

ლომი¹ – მოყვითალო ფერის დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი. გადატანითი მნიშვნელობით – ძლიერი, გულადი, უშიშარი.

ლომი² – [რუსული ЛОМ] ძალაყინი, წვერიანი რკინის კეტი.

მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა:

კაკალი – 1. მაღალი, ფართოფოთლებიანი ხე; 2. ამ ხის მაგარნაჭუჭიანი ნაყოფი; 3. პატარა და მრგვალი რამ, რისამე მარცვალი, ბურთულა; 4. გურულსა და იმერულ კილოებში **ცალი** („ორი კაკალი მუშტარი უშოვნიათ და გგონია, ხვალაც ეყოლება?“)

აქტივობა 4. გაკვეთილის ძირითადი საკითხის განხილვა-შეჯამების ფაზა

შეარჩიეთ ჯგუფებიდან წევრები და სთხოვეთ, შეაჯამონ გაკვეთილზე განხილული საკითხები.

მოსალოდნელია, რომ პასუხები ერთმანეთს შეავსებს და საკითხი გამოიკვეთება:

მრავალმნიშვნელობიანია სიტყვა, რომელსაც სხვადასხვა მნიშვნელობის შეძენა ახასიათებს იმის მიხედვით, თუ რის აღსანიშნად გამოვიყენებთ და როგორ წინადადებაში მოვაქცევთ მას.

რამდენიმე მნიშვნელობის მქონე ერთი სიტყვისაგან განსხვავებით, ომონიმები წარმოშობით სხვადასხვა სიტყვებია; განმარტებით ლექსიკონში ომონიმური წყვილის ცალები განმარტებულია ცალ-ცალკე, მრავალმნიშვნელობიანი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობა კი თავმოყრილია ამავე სიტყვის განმარტებაში.

აქტივობა 5. შეფასება და საშინაო დავალების ჩანიშვნა

გააცანით კლასს, როგორ შეაფასებთ გაკვეთილის მსვლელობის დროს ჯგუფების მუშაობასა და თქვენ მიერ შერჩეულ მოსწავლეთა მონაწილეობას.

შემდეგ სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩაინიშნონ მოსწავლის წიგნში 21-ე გვერდი ცოდნის განმტკიცების მიზნით, ერთხელ კიდევ გაეცნონ აქ წარმოდგენილ მასალას; შეასრულონ მოცემული დავალება:

დავალება: 1. განმარტებითი ლექსიკონის დახმარებით, დაასაბუთეთ, რომ მრავალმნიშვნელობიანი სიტყვებია: **გული, ბუდე, კარი**. 2. დაასაბუთეთ, რომ სიტყვას „**ბანი**“ ომონიმური ცალი მოეპოვება.

ეს დავალებები არის თავის შემაჯამებელი დავალებები და (რაკი თავების დალაგების პრინციპი მხოლოდ თემატურია და არა რომელიმე კონკრეტული უნარ-ჩვევის განმავითარებელი) რასაკვირველია, არ ისახავს მიზნად, მასწავლებელმა აუცილებლად გამოიყენოს შემაჯამებელი სამუშაოსთვის. ეს არის მხოლოდ სარეკომენდაციო შეთავაზება და მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეთა უნარებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, შეცვალოს ისინი და გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის აქტივობა: დაანერინოს ესე, რეზიუმე, დაამუშავებინოს პროექტი და ა. შ. შესაფასებლად კი შეგვიძლია გირჩიოთ რუბრიკა, რომელიც მოცემულია სოფიკო ლობჯანიძის სტატიაში „სასწავლო პროექტებზე მუშაობის სქემები“ (<http://mastsavlebeli.ge>).

თავი 1 – შეადგინე პატარა თხზულება მხატვრული ხერხების გამოყენებით.

თავი 2 – დაწერე მცირე ზომის თხზულება „ვინ ვარ მე?“. ეცადე, უკეთ გააცნო თანაკლასელებსა და მასწავლებელს შენი თავი.

თავი 3 – ა) შექმენი იგავი (შეგიძლიათ მორალად გამოიყენოთ რომელიმე ანდაზა) და გააცანი მეგობრებს;
ბ) კლასში შექმნილი იგავები გადაწერეთ ლამაზად, აკინძეთ, გააფორმეთ და მოაწყვეთ პრეზენტაცია სკოლაში.

თავი 4 – აირჩიე შენთვის საინტერესო რომელიმე ლეგენდა, გაუზიარე თანაკლასელებს და იმსჯელე მის ირგვლივ.

თავი 5 – მოჰყევი რაიმე ამბავს შენი თუ სხვისი ცხოვრებიდან (ან ეპიზოდს შენი საყვარელი ნაწარმოებიდან ან კინოფილმიდან) ისე, რომ შექმნა სახალისო განწყობა კლასში.

თავი 6 – ამ თავში ორი ზღაპარი შეისწავლეთ. ორივე ტექსტის ზღაპრული ელემენტები შეადარეთ ერთმანეთს; აღმოაჩინეთ მსგავსება და განსხვავება.

თავი 7 – დაწერეთ მოთხრობა ან ზღაპარი გასულიერების ხერხის გამოყენებით.

თავი 8 – შეასრულეთ მოსწავლის წიგნში, 134-ე გვერდზე მოცემული დავალება.

თავი 9 – აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო რომელიმე სფერო, მოიძიეთ მასთან დაკავშირებული საინტერესო ტერმინები და გააცანით თანაკლასელებს.

თავი 10 – მოამზადეთ თქვენი ქალაქის, სოფლის ან უბნის ისტორია საპრეზენტაციოდ. შეგიძლიათ დაურთოთ ნებისმიერი, თქვენი აზრით, საინტერესო და თვალსაჩინო მასალა.

თავი 11 – აირჩიეთ თქვენთვის საინტერესო რომელიმე თარგმნილი ნაწარმოები და დაწერეთ მისი ანოტაცია.

თავი 12 – შეასრულეთ მოსწავლის წიგნში, 184-ე გვერდზე მოცემული მე-9 დავალება.

ზმნა

- 1 შეუსაბამე ზმნის ფორმებს პირის ნაცვალსახელები:
– ვათბობ, – ათბობ, – ათბობს;
– ვათბობთ, – ათბობთ, – ათბობენ.

- 2 შეუსაბამე ზმნის მხოლობითის ფორმებს მრავლობითის ფორმები:
(მე) ვოცნებობ – (ჩვენ) ...
(შენ) მოხვალ – (თქვენ) ...
(ის) იღიმება – (ისინი) ...
(მან) გაიცინა – (მათ) ...

- 3 გამოყავი ზმნებში პირისა და რიცხვის ნიშნები:
(ისინი) წავიდნენ, მიდიან, მივლენ;
(მათ) გაასწრეს, გაასწრონ.
განმარტე, ზმნები რომელ პირსა და რიცხვშია.

- 4 იპოვე სამი ზმნა, რომლებიც მომავალ დროშია:
ვნერ, დავხატავ, ვიმღერებ, ვივარჯიშე, წავიკითხავ, ვუკრავ

- 5 იპოვე ზმნის ბრძანებითი კილოს ფორმა:

ა) ვერ წავიდა, ბ) არ წავიდა, გ) ნუ წახვალ.

- 6 იპოვე შეცდომა ერთ-ერთი ზმნის ფორმაში:
გააკეთებინა, გაასწორებინა, მოატანია, გაათბობინა

- 7 რომელ ზმნაში გამოიხატა სასხვისო მოქმედება?
იპოვა, მოიტანა, გადაშალა, წაუკითხა

- 8 იპოვე ზმნა, რომელშიც ირიბი ობიექტის ნიშანია:
სვამს, საუბრობს, სისინებს, სძულს

- 9 რომელ ზმნაშია ირიბი ობიექტის ნიშანი?
მოუტანა, მოჰგვარა, განკურნა, მოარჩინა

- 10 დაასრულე ზმნები:
გოგონას ძმამ წყალი დააღ..., თმა შეაკურ... და წიგნი გადააშლ...

ბალადა გატეხილ ცხვირზე

13 წლის ბარტი დედასთან ერთად საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მათ ძალიან უჭირთ, რადგან დედას მუდმივი სამსახური არა აქვს; ზოგჯერ მათ კომუნალური გადასახადების გადახდაც უგვიანდებათ, მაგრამ ბარტს თავისი მოხერხებით ხშირად დაუძვრენია ხოლმე თავი სიბნელეში დარჩენისაგან. მაგალითად, ერთხელ, როდესაც კონტროლიორმა მორიგჯერ გააფრთხილა, დენი უნდა გაგითიშოთო, ბარტმა მოიგონა, ვითომ უჭაერობა სჭირდა; ყელზე ისეთნაირად მოიჭირა ხელი, რომ ჩასუნთქვისას სტვენისმაგვარი ხმები გამოეცა, მერე კი კართან მომდგარ კაცს ამცნო, ჟანგბადის კარავში მიწვევს ძილი და დენს თუ გამომირთავთ, უსათუოდ მოგკვდებიო. გადასახადის ამკრეფს კი, რა თქმა უნდა, არ სურდა, მისი მიზეზით ვინმე მომკვდარიყო, მით უმეტეს, პატარა ბიჭი, რომელიც თითქმის ყოველთვის მარტო ხვდებოდა სახლში.

არ იფიქროთ, თითქოს ბარტი მატყუარაა: „ყოველდღე ნამდვილად არ მიწვევს ტყუილის თქმა... ხანდახან, უბრალოდ, იძულებული ხდები, რომ იცრუო, სამყარო ხომ სავსეა მსგავსი ტყუილებით“, - ამბობს ის.

მიუხედავად გაჭირვებული ცხოვრებისა, ბარტი მაინც ახერხებს, მუდამ ხალისიანი და ოპტიმიზმით სავსე იყოს. იგი კრივის წრეზე დადის და თავის ნონაში საკმაოდ წარმატებულიცაა, თუმცა ამქვეყნად სიმღერა მაინც ყველაფერს ურჩევნია. თუმცა მისი თანატოლებივით პოპმუსიკა კი არ მოსწონს, მას ისეთი ხმები ხიბლავს, „შუშას რომ ამსხვრევს და ყველა სასმენ არხს ერთიანად ავსებს“ - ბარტი საოპერო მუსიკითაა გატაცებული. ხანდახან ქუჩაშიც კი თავს ვერ იკავებს ხოლმე და საოპერო არიებს ხმამაღლა მღერის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუკი ახლომახლო არავინაა. ერთი უცნაურობა სჭირს: აუდიტორიის წინაშე სიმღერა არ გამოდის, შინაც ყოველთვის მაშინ მღერის, როცა მარტოა. თუ დედა შინაა, ან ბებიია მათთან სტუმრად, სააბაზანოში იკეტება.

ბარტს მამამისის შესახებ მხოლოდ ის სმენია, რომ მას ჯონ ჯოსი ჰქვია. დედამაც ამის მეტი არაფერი იცის. ამიტომ ბარტი გადანყვეტს, მამა მოძებნოს. მეილსაც კი უგზავნის ერთ-ერთ ჟურნალს, რომელშიც ერაყის ომში მებრძოლი ჯონ ჯონსის ფოტოა გამოქვეყნებული, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მამამისი არ აღმოჩნდება. ბოლოს მაინც შეხვდება ჯონ ჯონსს, მართალია, არც ის აღმოჩნდება ბარტის მამა, მაგრამ, მისი სახით უფროს მეგობარს შეიძენს და მართლაც მამაშვილური ურთიერთობა ექნებათ.

ბარტს ძალიან აწუხებს ის ამბავი, რომ საერთო საცხოვრებლის სადარბაზო ნაგვითაა სავსე, ამიტომ გადანყვეტს, შაბათობა მოაწყოს და კედელზე განცხადებას აკრავს, რომელშიც მეზობლებს მოუწოდებს, ერთად დაასუფთაონ სადარბაზო. ამ დროს გაიცნობს მეზობელს, შუახნის მამაკაცს, სახელად გაირს, რომელიც შემდგომ ბარტის საუკეთესო მეგობარი ხდება და ბიჭს დიდი ხნის ნანატრ ნივთს, ველოსიპედსაც კი აჩუქებს.

ერთხელ სამმა თანაკლასელმა ბიჭმა ავგუსტმა, იონმა და გაბრიელმა, რომლებიც ბარტის ფარული მეტოქეები იყვნენ, შეიტყვეს, რომ იგი ღარიბთა უბანში, საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა და რადგან ბიჭი ამ ამბავს მალავდა, გადანყვიტეს, ნიშნი მოეგოთ. ერთ დღესაც უბანში დახვდნენ. ბარტი თავიდან მოთმინებით იტანდა მათ დაცინვას, მაგრამ როცა ავგუსტმა დედამისი უდიერად მოიხსენია, ვეღარ მოითმინა და საცემრად გაიწია, თუმცა სამს ერთი რას მოერეოდა და ბარტს თანაკლასელებმა ცხვირის ძვალი გაუტეხეს.

ბარტი თავისი ჰობის, ოპერის შესახებ არავის უმხელს, თუმცა ერთხელ მისი თანაკლასელი გოგონა ადა სთხოვს, მოასმენინოს, რა მუსიკას უსმენს ყურსასმენით. ბიჭი უარს ვეღარ ეტყვის და ამგვარად შეიტყობს ადა მისი გატაცების შესახებ. მიუხედავად ბარტის თხოვნისა, ეს ამბავი ჩვენს შორის დარჩეს და არავის გაუმხილო, მალე უკვე მთელი კლასი იგებს, რომ ბარტი ოპერას მღერის.

ამის შემდეგ ბიჭს მასწავლებელი სთხოვს, საკოლო ღონისძიებაში მიიღოს მონაწილეობა. ბარტი ძალიან ნერვიულობს, ეშინია, რომ ხალხის წინაშე სიმღერა არ გამოუვა, ის და ადა ერთ ცნობილ მომღერალსაც კი შეხვდებიან პროფესიული რჩევების მისაღებად. საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება, ბარტს სიმღერა გამოუვა და მხურვალე ოვაციასაც დაიმსახურებს.

ხოჭო ბიჭი

ერთ ჩვეულებრივ დღეს, 13 წლის დარკუს ქათლი სრულიად მარტო დარჩა. მას დედა 7 წლისას გარდაეცვალა, ახლა კი მამამაც მიატოვა.

48 წლის ქვრივმა ბართოლომე ქათლმა შვილი დარკუსი 27 სექტემბერს სკოლაში წაიყვანა, იქიდან კი ბუნების ისტორიის მუზეუმში წავიდა, სადაც სამეცნიერო დირექტორად მუშაობდა. მამა სალამოს შინ არ დაბრუნებულა. დარკუსმა მეზობლებს დაუძახა, მეზობლებმა კი პოლიციაში დარეკეს. პოლიცია მუზეუმში რომ მივიდა, დოქტორ ქათლის სამუშაო ოთახი - ხეშემფრთიანთა ნიმუშების საცავი - შიგნიდან ჩაკეტილი დაუხვდა. შეეშინდათ, გულის შეტევა ან უბედური შემთხვევა ხომ არ მოუვიდაო, კარი რკინის ტარანით შეანგრიეს და ოთახი ცარიელი დახვდათ.

მაგიდაზე ყინულივით ცივი ყავა, ფურცლები და მიკროსკოპი ენყო. ხეშემფრთიანების ნიმუშების უჯრები ღიად იყო დატოვებული, დოქტორი ბართოლომე ქათლი კი არსად ჩანდა.

საცავს ფანჯრები არ ჰქონდა, კარი - მხოლოდ ის, რომლიდანაც ქათლი ოთახში შევიდა. მდგრადი ატმოსფეროს შესანარჩუნებლად ოთახი ჰერმეტიკულად იყო დახურული.

გაუჩინარებული მეცნიერის ამბავი გაზეთების პირველ გვერდზე დაიბეჭდა. ჟურნალისტები საგონებელში ჩაცვივდნენ. ვერაფრით ამოეხსნათ, როგორ გააღწია დოქტორმა ქათლმა საცავიდან. ისინი დარკუსს ქუჩაში აჩერებდნენ, ფოტოებს უღებდნენ და ათას კითხვას უსვამდნენ.

ბართოლომე ქათლი ცოცხალი დაბნეული კაცი გახლდათ - გასაღებს მუდამ კარგავდა, წვიმიან დღეებში კი ქოლგა ავინწყებოდა. სკოლაში ხუთი წუთი აგვიანდებოდა, თუმცა ყოველთვის მოდიოდა... ასეა თუ ისე, დარკუსს ერთ რამეში ეჭვი არ ეპარებოდა: მამამისი ის ადამიანი არ იყო, ცამეტი წლის შვილი რომ მიეტოვებინა.

ჰოდა, დარკუსმა გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, მამას გაუჩინარების ამბავი გამეძიებინა.

ბართოლომეს დაკარგვა სასწრაფოდ შეატყობინეს მის ძმას, დოქტორ მაქსიმილიან ქათლს და ისიც მაშინვე ჩამოვიდა ლონდონში ობლად დარჩენილი ძმიშვილის საპატრონოდ.

დარკუსმა ახალ სკოლაში დაიწყო სიარული. რამდენიმე აბეზარმა თანასკოლელმა აღმაცერად დაუნყო ცქერა ახალმისულს, მამის დაკარგვის ამბავზე უხეშად ეხუმრებოდნენ და ისე ამცირებდნენ, რომ ბიჭს გულზე ბრაზის ცეცხლი ეკიდებოდა. ერთხელ ისიც დააპირა, სასტიკად გასწორებოდა ამ თავხედ ბიჭებს, მაგრამ ერთმა გამბედავმა, თამამმა გოგონამ შეაჩერა. ამ გოგონას ვირჯინია ერქვა. დარკუსმა სწორედ ამ დღეს გაიცნო მორცხვი, მაგრამ ძალიან კეთილი ბიჭი ბერტოლტი. ამის შემდეგ ვირჯინია და ბერტოლტი დარკუსის განუყრელი მეგობრები გახდნენ და მამამისის ძებნის საქმეში ისინიც ჩაერთვნენ.

ერთ დღეს სკოლიდან დაბრუნებულმა დარკუსმა გადაწყვიტა, ბიძია მაქსს გარეთ დალოდებოდა. სწორედ ამ დროს იპოვა თავისი ყველაზე დიდი მეგობარი - ხოჭო ბაქსტერი. აი, როგორ მოხდა ეს ამბავი: ბიძის ლოდინში დარკუსი ავტობუსის გაჩერებასთან რომ იჯდა, უცებ ჩხუბის ხმა შემოესმა. ბიძაშვილები ჩხუბობდნენ: ჰამფრი და პიკერინგი. ბიძია მაქსმა ერთხელ გააფრთხილა: მათგან ყოველთვის შორს დაიჭირე თავიო. ჰამფრისა და პიკერინგს მემკვიდრეობით ერთი შენობა რგებიათ. ორივე მათგანს იქ საკუთარი მაღაზიის გახსნა სდომებია და ამის გამო გამუდმებით ჩხუბობდნენ. ჰამფრი პიკერინგს ჩხუბში აძახებდა, ფეთხუმი ხარ და შენი ოთახი ხოჭოებითაა სავსეო. ლანძღვა-გინება ხელჩართულ ბრძოლაში გადაიზარდა და როდესაც ჰამფრი პიკერინგისგან თავის დასახსნელად ფეხებს იქნევდა, მისი შავრლის ტოტიდან უცბად უშველებელი შავი ხოჭო გადმოვარდა და გზაზე დაებერტყა.

დარკუსი თავიდან კი შეშინდა, მაგრამ მერე თანდათან მოეწონა გიგანტური ხოჭო, თანაც ის ბიჭისადმი აშკარად კეთილგანწყობილი ჩანდა. სწორედ ამ დროს დარკუსს ჩხუბისთავი რობი და მისი ბანდა წამოადგა თავს. ბაქსტერმა დარკუსი მეტოქისგან დაიცვა: თავისი ბასრი რქით დაეტაკა რობის. შეშინებულმა ბიჭებმა ისლა მოახერხეს, შეშლილი ხოჭო ბიჭი ხარო, მიაძახეს უკანმოუხედავად გაიქცნენ.

იმ დღიდან ბაქსტერი დარკუსის მეგობარი და თანამებრძოლი გახდა.

როგორც გავიკვამ, დოქტორი ბართოლომე ქათლი წლების განმავლობაში იკვლევდა ხოჭოებს, მათ შესახებ უამრავი შრომაც ჰქონდა დაწერილი და დარკუსს სწორედ მისგან გადმოეცა მემკვიდრეობით ხოჭოებისადმი სიყვარული.

დარკუსის მამას უნიკალური კოლექცია - იშვიათი ხოჭების ასობით ნიმუში ჰქონდა და ალბათ მისი გაუჩინარებაც სწორედ ამ ამბავს უკავშირდებოდა.

როგორც აღმოჩნდა, ეს კოლექციაც, ბართოლომე ქათლის შრომებიც და სხვა კიდევ ბევრი რამ, რაც დოქტორს ეკუთვნოდა, მის ყოფილ ჯგუფელს, გავლენიან და ამავე დროს ძალიან საშიშ ქალს, ლუკრეცია კატერს მიუთვისებია და როგორც ვარაუდობდნენ, დარკუსის მამაც მას ჰყავდა დატყვევებული.

მაშ, ასე: დარკუსი, ბიძია მაქსი, ბერტოლტი, ვირჯინია და ბაქსტერი ბართოლომე ქათლის გამოსახსნელად იბრძვიან. მათ შეუერთდება ლუკრეცია კატერის ქალიშვილი ნოვაკი, რომელსაც დედა სასტიკად ეპყრობა.

ბოლოს და ბოლოს, ყველა მათგანის ძალისხმევით ბართოლომე ქათლს ლუკრეცია კატერის საპყრობილეში მიაგნებენ და გამოიხსნიან. მასთან ერთად ხეშეშფრთიანთა უნიკალურ კოლექციასაც გადაარჩენენ.

11

დამატებითი რეკომენდაციები

**წერის სტრატეგია:
სქემა პერსონაჟის დახასიათებისათვის**

ნაწარმოების სათაური	
პერსონაჟი	
ფიქრობს	
აკეთებს	
ამბობს	
შედეგი	
გმირის მიზანი	

ამ სააზროვნო სქემის შევსებით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ, ღრმად ჩასწვდნენ პერსონაჟის ხასიათს, თვისებებს და დაფიქრდნენ ნაწარმოების დედააზრზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გმირის მიზანზე ჩამოაყალიბებენ თავიანთ მოსაზრებებს. ეს სქემა მხოლოდ მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ანალიზისათვის როდია გამოსადეგი, იგივე სქემა ისტორიული პირისა და მისი საქმიანობის განხილვისათვის შეიძლება გამოვიყენოთ.

რედაქტირება

მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წერიტი დავალების მონახაზს შექმნიან, შეძლება ჩაითვალოს, რომ ისინი უკვე მზად არიან თავიანთი ნაშრომის პირველი რედაქციის დასაწერად. წერიტი მეტყველების პროცესზე ორიენტირებული სწავლება ეწინააღმდეგება წერიტი მეტყველების სწავლების იმ ტიპის მიდგომას, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს რაიმე თემას მისცემს დასაწერად და მეორე დღეს ნაწერებს ჩაიბარებს მათი გასწორების, ნიშნის დაწერის და ნიშნების მომენტალურად ჟურნალში შეტანის მიზნით.

პროცესზე ორიენტირებული წერიტი მეტყველების სწავლება მოსწავლეთათვის ნაწერის ჩამოყალიბებისა და დახვეწისათვის დროისა და შესაძლებლობების მიცემაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, ეს მიდგომა გულისხმობს ე.წ. მონახაზის მთელ ეტაპს, თავისი სტრატეგიითა და აქტივობებით და რედაქციების ჩამოყალიბებისათვის გამიზნულ გარკვეულ სამუშაოებს. მეტი მკაფიოობისათვის უმჯობესია, განვმარტოთ ტერმინი რედაქცია. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დეფინიციით, რედაქცია: „ხელნაწერის გასწორებასა და ლიტერატურულ დამუშავებას“ ნიშნავს, რაც გულისხმობს: კონკრეტული იდეების ჩამოყალიბებასა და გავრცობას, მოსაზრებათა დაკონკრეტებას, მაგალითებისა და არგუმენტაციის გამხატვრულებასა და გამრავალფეროვნებას, დასკვნების შეჯამებას, ტექსტის სტილურად და გრამატიკულად გამართვას, კორექტურას და სხვა. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს რედაქტირების ერთზე მეტი შანსი ეძლევათ, რადგანაც მხოლოდ პირველი რედაქციის დაწერის შემდეგ იჩენს თავს რეალური სირთულეები და ერთი შეხედვით გადაუღალავი პრობლემები. მნიშვნელოვანია, რომ სარედაქციო სამუშაო მხოლოდ საშინაო დავალების ფორმატში არ სრულდებოდეს და მასწავ-

ლებელი საკლასო მუშაობის გარკვეულ ნაწილს უთმობდეს ჩასაბარებელი წერიტი დავალების რედაქტირების პროცესს. სწორედ ამ დროს ეძლევათ მოსწავლეებს კითხვების დასმის, ინფორმაციის დაზუსტების, ბუნდოვანი საკითხების ნათელყოფის შანსი, რაც სწავლის უმნიშვნელოვანესი ეტაპია და უშუალოდ განაპირობებს აკადემიური მოსწრების მაღალ დონეს.

ქეთევან თოფაძე,
ფრაგმენტი ნიგნების სერიიდან – სწავლების სტრატეგიები სკოლაში
„არტლაინსი“, თბილისი 2011

თხზულების შეფასება

მოსწავლის თხზულების შეფასებისას მასწავლებელი უნდა ხელმძღვანელობდეს იმ აზრით, რომ მისი კომენტარების მთავარი მიზანი მოსწავლესა და მას შორის **თანამშრომლობის** დამყარებაა და არა „დამწყები ლიტერატორის“ ნაშრომის ნაკლოვანებათა გამომჟღავნება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი თითოეული მოსწავლის პროგრესზე დაკვირვება და რეალურ შედეგსაც მხოლოდ ამ გზით უნდა ველოდეთ.

შეფასების გზა და საშუალება მრავალგვარია. ყველაზე გავრცელებული ტიპები შეფასებისას არის: **ანალიტიკური** და **ჰოლისტური** შენიშვნები.

ანალიტიკური შენიშვნები გულისხმობს მოცემული წერიტი დავალების მიზნის მიღწევისათვის მიძღვნილი მსჯელობის ანალიზს. სწორედ მსჯელობის სიღრმისეულობის ხარისხია დასახული ძირითად კრიტერიუმად, რომლითაც შეფასდება მოცემული ნამუშევარი. თუ შეფასებელი მკაცრად მისდევს ამ კრიტერიუმებს და თითოეული პუნქტის მიხედვით აფასებს ნაშრომს, საბოლოო კომენტარში შესაბამისი ნიშნის განსაზღვრა არც შეფასებლის ყოყმანისა და არც შეფასებულის ეჭვის მიზეზი არ იქნება. მოსწავლის ნაშრომის შესახებ ზოგადი მსჯელობა, შესაძლოა, დამაბნეველი და არაფრის მთქმელი იყოს თვით წარჩინებული მოსწავლისთვისაც (განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ვერ ახერხებს იმის გაკეთებას, რაც საჭიროა, ან რაც მოეთხოვება), რამეთუ იგი ვერ გაარკვევს, რატომ იყო მისი ნაწერი კარგი, ან როგორ გაიუმჯობესოს წერის უნარ-ჩვევები. ანალიტიკური კომენტარები მიუთითებს მოსწავლეს მისი ნაწერის ძლიერსა და სუსტ მხარეებზე და ურჩევს, რაზე გაამახვილოს ყურადღება.

ანალიტიკური შეფასება მნიშვნელოვანია სასწავლო წლის მანძილზე მოსწავლის პროგრესისა და მიღწევების დასაფიქსირებლად. პროგრესის ფიქსირების მარჯვე ხერხია შესაფასებელი ნაშრომის პუნქტობრივი შედარება ამავე ავტორის ადრინდელ ნამუშევრებთან. ახლადმიღწეული და ჯერ მკვიდრად შეუთვისებული შედეგის შეფასებისათვის კი შესაძლოა იდეალური შედეგის ნიმუშის ჩვენება. ცხადია, ორივე შემთხვევაში მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ფასდება მისი ნაშრომი.

ჰოლისტური შეფასება გულისხმობს მოცემული ნაშრომის შესახებ შემაჯამებელ, ამომწურავ მსჯელობას. შეფასების ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა მოსწავლის პროგრესის შესაფასებლად. ჰოლისტური შეფასება გაცილებით ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე ანალიტიკური შეფასება და, უმეტეს შემთხვევაში, ზუსტად იმავე შედეგს უჩვენებს, ანუ მოსწავლე ორივე მეთოდით შეფასებისას ერთსა და იმავე ნიშანს იღებს. ამიტომ, ვფიქრობ, ამ მეთოდით შეფასებაზე დიდი დროის დაკარგვა არ ღირს და ეს დრო შეიძლება მიეძღვნას ან ამ მოსწავლის საუკეთესო მხარეების შესახებ მსჯელობას, რომელთა განვითარება მასწავლებელს განსაკუთრებით ღი-

რებულად მიაჩნია, ან იმ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილებას, რომელთა დასაძლევად მას სჭირდება მუშაობა სამომავლოდ.

ნიშნებით შეფასება. ზოგიერთ მასწავლებელს უფრო ემარჯვება თითოეული მოსწავლის ყოველი ნაშრომის ნიშნით შეფასება, სხვები კი თვლიან, რომ მოსწავლის შესაძლებლობების შეფასებისას გაცილებით მკაფიო სურათს იძლევა მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთად შერჩეული ნამუშევრების შეფასება.

მოსწავლის თხზულების კომენტირება. როდესაც მოსწავლე მასწავლებლის მიერ წითელი პასტით აჭრელებულ თავის ნაშრომს დახედავს, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მოუნდეს მის დახვეწაზე შემდგომი გარჯა. უფრო მეტიც, მოსწავლეების თხზულებების შესწორება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს და მასწავლებელსაც გული უცრუვდება წერიტი დავალებების ხშირად მიცემაზე. გაცილებით უფრო სახალისოა ნაწერში რამდენიმე ყველაზე რეგულარულად დაშვებული შეცდომის გასწორება და, ამასთანავე, ზოგი დადებითი მხარის აღნიშვნაც. კიდევ უფრო უკეთესია, თუ ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეები წყვილებად იმუშავებენ და მასწავლებელთან პერიოდულ საკონსულტაციო შეხვედრებზე თავად აღნიშნავენ საკუთარ სუსტსა და ძლიერ მხარეებს. ამგვარი შეფასებების მეთოდი გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეები გაეცნობიან და შეითვისებენ შეფასების კრიტერიუმებს და ანალიტიკური კომენტარის ფორმას.

ნინო ლამბაშიძე,
*ფრაგმენტი წიგნების სერიიდან – სწავლების სტრატეგიები სკოლაში,
„არტლანსი“, თბილისი, 2011 წელი*

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადებების) შედგენა

იმისათვის, რომ წერა სახალისო პროცესად იქცეს, საწერად მოსწავლეთათვის საინტერესო თემა უნდა შეირჩეს. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შეათანხმოს კლასთან, რა თემაზე სურთ მათ წერა.

წერის პროცესის პირველი ეტაპი საკმაოდ ადრეულ ასაკში იწყება. საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს გამოცდილებას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს სკოლაში მისვლამდე. ამიტომ მასწავლებელმა, პირველ რიგში, მოსწავლის წინარე ცოდნა უნდა გაააქტიუროს.

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ტექსტის (წინადადების) შედგენის მეთოდი ეხმარება მოსწავლეს კონტექსტისათვის ადეკვატური ერთეულების შერჩევისა და გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაში; სპეციფიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-გამოყენებაში; ლექსიკური მარაგის გამდიდრებაში.

ტექსტის შედგენაში იგულისხმება წინადადების შედგენაც.

ამ მეთოდს შეგვიძლია მივმართოთ პირველი კლასის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწავლეს წერა-კითხვა დამოუკიდებლად შეეძლება. მეთოდი ორი სხვადასხვა მიზნით გამოიყენება:

1. ლექსიკური ერთეულების კონტექსტის ადეკვატურად გამოყენება;
2. კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნისას.

მეთოდს სამი ვარიანტი აქვს.

ამ მეთოდის სამივე ვარიანტის გამოყენებით მოსწავლეები შეძლებენ:

- წერის პროცესში სათანადოდ გამოიყენონ საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედებების გამომხატველი სიტყვები;
- ააგონ მარტივი წინადადებები მასწავლებლის მიერ მიცემული სიტყვებით;
- დაახასიათონ მათთვის ნაცნობი ადამიანები და მოვლენები;
- დააკვირდნენ სიტყვების მნიშვნელობას და გამოიყენონ კონტექსტის გათვალისწინებით;
- ტექსტის შედგენისას გამოიყენონ ახლად შესწავლილი სიტყვები და ფრაზები;

- თანმიმდევრულად გადმოსცენ ფაქტები და მოვლენები;
- შესაფერისი ლექსიკის გამოყენებით შეადგინონ მარტივი დარგობრივი ტექსტები (კლიმატის აღწერა, გეოგრაფიული გარემოს აღწერა, მათემატიკური ამოცანა და სხვ.);
- ინფორმაციული ტექსტის შედგენისას გამოიყენონ სპეციალური ტერმინოლოგია;
- ამა თუ იმ ჟანრის ტექსტის შექმნისას გამოიყენონ სხვადასხვა მხატვრული ხერხი (ეპითეტი, შედარება და სხვ.);
- სხვადასხვა საგანში შექმნილი ცოდნის საფუძველზე შექმნან მცირე ზომის თხზულება (მაგ., „შემოდგომა“, „შინაური ცხოველები“ და სხვ.).

I ვარიანტი

ლექსიკური ერთეულების გამოყენება კონტექსტის ადეკვატურად

მეთოდის ეს ვარიანტი გულისხმობს, რომ მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები უკვე ნასწავლი და დამუშავებული სიტყვებით, სიტყვათშეთანხმებებით, ფრაზეოლოგიზმებით.

მსვლელობა:

1. მასწავლებელი დაფაზე წერს მოსწავლეებისათვის უკვე ახსნილ, ნასწავლ ლექსიკურ ერთეულებს;
2. მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ წინადადებები დამოუკიდებლად, რისთვისაც ეძლევათ გარკვეული დრო;
3. წერის დასრულების შემდეგ მასწავლებელი წააკითხებს მოსწავლეებს მათ მიერ შედგენილ წინადადებებს;
4. მასწავლებელი გააკეთებს კომენტარებს მოსწავლეების მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

ამ მეთოდით მუშაობა მიზანშეწონილია პირველკლასელებთანაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დამოუკიდებლად წერა-კითხვას შეძლებენ. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი შესაძლებლობები: დავინყოთ მარტივი დავალებებით (მაგ., შევადგენინოთ ერთი-ორი წინადადება) და თანდათან გავართულოთ.

II პარიანტი

კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიტყვებით მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის შექმნა

მსვლელობა:

1. წერის დაწყებამდე მოსწავლეები შეარჩევენ თემას და მასწავლებლის დახმარებით ჩამოწერენ დაფაზე ამ თემასთან დაკავშირებულ სიტყვებს (მაგ., მზე – მცხუნვარე, ცხრათვალა, ოქროსფერი...);
2. მოსწავლეები ამ სიტყვების გამოყენებით წერენ მხატვრულ ან ინფორმაციულ ტექსტს.
3. ინფორმაციული ტექსტის შესაქმნელად მასწავლებელი სთხოვს, გაიხსენონ სხვა საგნებში მიღებული ცოდნაც (მაგ. ბუნებისმეტყველება).
4. მხატვრული ტექსტის შექმნისას კი უთითებს მათ, რა ტიპის ტექსტი უნდა შექმნან: თხრობითი, მონოლოგური თუ დიალოგური.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ექნებათ პირველი ვარიანტით მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, ნასწავლი ექნებათ სხვადასხვა ტიპის ტექსტები; შეეძლებათ ერთმანეთისგან განასხვავონ მხატვრული და არამხატვრული ტექსტები.

III პარიატი

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა

ლექსიკურ ერთეულებზე დაყრდნობით ამბის შედგენა მოსწავლეებს უფითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა: ფანტაზია, მოცემულ „საკვანძო“ სიტყვებს შორის კავშირების დამყარება და ახალი სიუჟეტის შექმნა, სიტყვებისთვის გრამატიკული ფორმის შეცვლა, სათქმელის გასაგებად და თანმიმდევრულად გადმოცემა, კორექტირება, სხვისი აზრის მოსმენა, ტექსტების შედარება.

მსვლელობა

1. წინასწარ შერჩეული, მოსწავლისათვის უცნობი ტექსტიდან მასწავლებელი დაფაზე წერს 4-5 „საკვანძო“ სიტყვას (მათ შორის შეიძლება იყოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და სხვა);
2. მოსწავლეები ამ სიტყვებით შეადგენენ საკუთარ მოთხრობას;
3. აუცილებელია გამოიყენონ „საკვანძო“ სიტყვები. თუმცა, ტექსტის საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სიტყვების დამატება;
4. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად;
5. მოსწავლეები წყვილდებიან და უზიარებენ მენყვილეს „ნაწარმოების“ საკუთარ ვარიანტს;
6. შემდეგ მასწავლებელი კითხულობს თავდაპირველ ტექსტს, საიდანაც არის ამოკრებილი „საკვანძო“ სიტყვები;
7. მოსწავლეები ადარებენ თავიანთ ვარიანტებს უკვე არსებულ მხატვრულ ტექსტს (პოულობენ მსგავსება-განსხვავებას მათ შორის).

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის დაწყებითი საფეხურის საწყის ეტაპზე (I-II კლასში);

მასწავლებელმა ყურადღებით უნდა შეარჩიოს საკვანძო სიტყვები, რათა უზრუნველყოს ამბის ერთი ქარგით განვითარება. მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვის, მოსმენის, მსჯელობის უნარებს.

წერა მამიღის ირბვლიპ

მეთოდის მიზანია, განუვითაროს მოსწავლეს კრიტიკულად აზროვნების, საკუთარი აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერილობით გადმოცემის, ასევე თვითშეფასებისა და სხვათა შეფასების უნარი.

მეთოდის მოსალოდნელი შედეგია, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად შეადგინოს მცირე მოცულობის ტექსტი ნაცნობი ლექსიკით და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი; შეეჩვიოს ჯგუფში მუშაობას, აუდიტორიის წინაშე გამოსვლასა და დროის განაწილებას; სხვათა ნააზრევის გაზიარებასა და პატივისცემას.

მსვლელობა:

1. დააჯგუფეთ მოსწავლეები (4-5 მოსწავლე) და გააცანით სანერი თემა. (თემა, სასურველია, შერჩეული იყოს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე).
2. თითოეულ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს თავისი სანერი ფურცელი.
3. წინასწარ განსაზღვრულ დროში (3-5 წუთი) მოსწავლეებმა უნდა მოასწრონ თავინთი მოსაზრებების დაწერა თემის გარშემო.
4. დროის ამოწურვისთანავე მოსწავლეები ფურცელს, რომელზეც მათი ნააზრევია დაწერილი, გადაანოდებენ მარჯვნივ მჯდომს და თვითონ, შესაბამისად, მიიღებენ ფურცელს მარცხნივ მჯდომისაგან.
5. მოსწავლეები ნაიკითხავენ და გააგრძელებენ თანაკლასელის ნააზრევს.
6. ფურცლები წრეში მანამ იტრიალებს, სანამ ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი არ დაუბრუნდება.
7. ნაწერები კლასში განიხილება, საუკეთესო ნაშრომს მასწავლებელი შეარჩევს და სათანადოდ შეაფასებს.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მესამე კლასიდან. გასათვალისწინებელია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. მეთოდის გამოყენება განსაკუთრებით ეფექტურია 15-20 ბავშვიან კლასში. ეს მეთოდი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დაწყებითი საფეხურის ნებისმიერ საგანში.

პირამიდული ისტორია

„პირამიდული ისტორიის“ მეთოდით მუშაობისას მოსწავლეები პატარა მწერლების როლში აღმოჩნდებიან: შექმნიან მცირე მასშტაბის მოთხრობას, შემდეგ კი ერთობლივად შეაგებენ წინასწარ მოცემულ სქემას.

მოსწავლეები ამ სტრატეგიის გამოყენებისას სწავლობენ: სიუჟეტის შედგენას; საკუთარი აზრის გადმოცემას; პრობლემების დანახვასა და გადაჭრის გზების ძიებას; სხვისი აზრის მოსმენასა და პატივისცემას.

„პირამიდული ისტორია“ სამი ეტაპისაგან შედგება:

- პირველი ეტაპი – „პირამიდის“ ჯგუფური შევსება; მონაწილეობს მთელი კლასი;
- მეორე ეტაპი – მოსწავლის ნაზრების გამოხატვა ინდივიდუალურად;
- მესამე ეტაპი – შედგენილი ტექსტის ერთობლივი განხილვა.

გაკვეთილის დაწყებამდე დაფაზე ან ქაღალდზე მომზადებულია შემდეგი სქემა:

1. -----
2. -----
3. -----
4. -----
5. -----
6. -----
7. -----
8. -----

მსვლელობა:

1. პირველ ხაზზე იწერება მოთხრობის მთავარი გმირის სახელი. მეორე ხაზზე ვწერთ ორ სიტყვას, რომელიც მთავარ გმირის ხასიათს ან გარეგნობას გამოხატავს.
2. მესამე ხაზზე იწერება სამი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება (ქვეყანა, ადგილი, მოქმედების გარემო);

3. მეოთხე ხაზზე – ოთხი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის მთავარ პრობლემას (ვთქვათ სიღარიბე, გზის დაკარგვა, შეხვედრა და ა. შ);
4. მეხუთე ხაზზე – ხუთი სიტყვა, რომლებიც აღწერს მოთხრობის იმ ეპიზოდს, საიდანაც იწყება პრობლემის გაშლა-განვითარება;
5. მეექვსეზე – ექვსი სიტყვა, რომლებიც ასახავს მოვლენების შემდგომ განვითარებას მოთხრობაში;
6. მეშვიდეზე – შვიდი სიტყვა, რომლებიც აღწერს ახალ მოვლენას, ამბავს, რომელიც სიუჟეტში ნამოჭრილი პრობლემის მოგვარებას ემსახურება;
7. მერვე ხაზზე – რვა სიტყვა, რომლებიც გვიჩვენებს პრობლემის საბოლოო გადაჭრას;
8. მოსწავლეები ქმნიან პირამიდის საკუთარ ვარიანტებს;
9. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებელი ირჩევს მოსწავლეთა ნამუშევრებიდან ერთ-ერთ ვარიანტს და გადააქვს დაფაზე (ან დიდი ფორმატის ქაღალდზე);
10. პირამიდის შევსების შემდეგ მოსწავლეებს ვთავაზობთ, ამ სიტყვების გამოყენებით ინდივიდუალურად შეადგინონ მოთხრობის საკუთარი ვარიანტი (აუცილებელია ამ სიტყვების გამოყენება, მაგრამ მოსწავლეებს შეუძლიათ სიტყვების გრამატიკული ფორმის შეცვლა და სხვა სიტყვების დამატება);
11. მოსწავლეები თხზულებაზე 10-15 წუთი მუშაობენ;
12. მსურველები (ავტორები) გააცნობენ საკუთარ თხზულებას აუდიტორიას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელი პირობები:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებული არ არის I-II კლასებში; სასურველია, რომ „პირამიდული ისტორიის“ წერას წინ უძღოდეს სათანადო ლიტერატურული გამოცდილება, ანუ მოსწავლეებს შესწავლილი ჰქონდეთ ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ნათლად იქნება გამოკვეთილი სიუჟეტური ხაზი: პრობლემის გაჩენა – პრობლემის კულმინაცია – პრობლემის გადაჭრა.

„როლი, აუდიტორია, ფორმა, თემა“

წერა კომუნიკაციის საშუალებაა. ნაწერით ადამიანი სხვებს უზიარებს თავის აზრს, აცნობს ინფორმაციას და ა. შ. ამიტომ ნაწერის ხასიათი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ წერს, ვისთვის წერს, რა მიზნით წერს. მოსწავლეს ყოველთვის წინასწარ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს რაზე წერს და ვისთვის წერს. იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ წერითი უნარ-ჩვევები, შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპები უნდა გაითვალისწინოთ:

- მოსწავლეებს ნაწერში თამამად და თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა ჰქონდეთ;
- თავად უნდა აირჩიონ თემა, ფორმა, აუდიტორია;
- უნდა ჰქონდეთ საშუალება თანატოლებთან ერთად განიხილონ საკუთარი ნაწერი;

ამ მეთოდის მიზანია მოსწავლეებმა ისწავლონ სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების შექმნა (წერილი, მოხსენება, განცხადება, მისალოცი ბარათი, დღიური, რეფერატი, საკონფერენციო თემა, მოთხრობა, სცენარი, ჩანახატი, ინტერვიუ და სხვა).

მსვლელობა:

1. თავდაპირველად მოსწავლეებთან ერთად განსაზღვრეთ საწერი თემა და დაწერეთ დაფაზე;
2. სთხოვეთ მოსწავლეებს აირჩიონ როლი – ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას? ე. ი. ვინ იქნება წერილის ადრესანტი (ეს შეიძლება იყოს: მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, მეგობარი, დირექტორი, მინისტრი, პრეზიდენტი, მწერალი, ჟურნალისტი, რედაქტორი ან რომელიმე უსულო საგანი ან სულიერი არსება და სხვა);
3. ჩამოწერეთ მათ მიერ არჩეული როლები დაფაზე;
4. სთხოვეთ შეარჩიონ შესაფერისი აუდიტორია – ვისთვის უნდათ რომ დაწერონ? ე. ი. ვინ იქნება ტექსტის ადრესატი (ეს შეიძლება იყოს: მასწავლებელი, მეგობარი, საკუთარი თავი, ოჯახის წევრები, კლასელები, დირექტორი, პრეზიდენტი, პოპულარული ადამიანი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, ნაწარმოების გამომცემი, ავტორი და ა.შ.)

5. დანერეთ მათი პასუხები დაფაზე;
6. სთხოვეთ მოსწავლეებს შეარჩიონ ფორმა – რა ფორმით ისურვებენ წერას? (წერილი, მონოლოგი, პირადი დღიური, მოხსენება, თემა, რეფერატი, კედლის გაზეთი, ჟურნალი, წიგნი, მოთხრობა, ზღაპარი, სცენარი, ლექსი, ჩანახატი, წერილი მომავალში, ინტერვიუ, განცხადება, ღია ბარათი, შეტყობინება, პრეზენტაცია და სხვა);
7. ყოველივე ამის შემდეგ მიეცით მოსწავლეებს დრო, წერონ თავისუფლად;
8. სურვილის მიხედვით გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი ნაშრომები;
9. ნაშრომის ნაკითხვამდე დაასახელონ: **თემა, როლი, აუდიტორია, ფორმა;**
10. თავი შეიკავეთ უარყოფითი კომენტარებისაგან;
11. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია ნაშრომი კლასის კედელზე გამოაკრას.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მეორე კლასიდან (მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით).

მეთოდი კომპლექსურია; იგი ავითარებს წერის, კითხვისა და ზეპირმეტყველების უნარებს.

თავდაპირველად თავად შეურჩიეთ მოსწავლეებს როლი, აუდიტორია, ფორმა და თემა. შემდეგ, როცა გაინაფებიან, მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ შერჩევას.

ნერა „ფანტაზია“

მეთოდის მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეებს წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებაში, შთაბეჭდილებების გადმოცემაში.

მსვლელობა:

1. წინასწარ მოამზადეთ საკლასო ოთახი ისე, რომ მოსწავლეებს დამოუკიდებლად მუშაობაში, სამუშაოზე კონცენტრაციაში ხელი არ შეეშალოს.
2. იმ თემის ირგვლივ, რაზეც მოსწავლეებმა უნდა წერონ, რამდენიმე მინიშნება გააკეთეთ. ეს შეიძლება იყოს დაფაზე დანერგილი რამდენიმე სიტყვა, თვალსაჩინოება, მუსიკა ან სხვა.
3. სთხოვეთ მოსწავლეებს, მიცემული მინიშნებებიდან გამომდინარე, ჩაიწერონ თავიანთი აზრები, ემოციები და წარმოდგენები.
4. წერისათვის გამოყავით 15-20 წუთი.
5. მოსწავლეებს მიეცით დრო, რომ თავიანთი ფანტაზიის ნაყოფი შეგობრებსაც გაუზიარონ.
6. შეაგროვეთ მოსწავლეთა ნაწერები.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

ამ მეთოდის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თემის ირგვლივ მინიშნებების სწორად შერჩევა. დაწყებითი საფეხურის მაღალ კლასებში მინიშნებების გამოყენება შესაძლებელია არც იყოს აუცილებელი და მოსწავლეებს პირდაპირ გარკვეულ თემატიკაზე „თავისუფალი თემის“ დაწერა დაავალთ. დაწყებითი საფეხურის უფრო დაბალ კლასებში კი მოსწავლის ფანტაზიის გასააქტიურებლად დამატებითი სტიმულატორების გამოყენება ხელს უწყობს მისი მოტივაციის გაზრდას წერიითი სამუშაოსადმი.

სწავლა შეცდომების გასწორებით

ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში; ხელს უწყობს შეცდომების გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, ზრდის მოტივაციას და ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს. უყალიბებს შეცდომებისადმი ადეკვატურ დამოკიდებულებას (შეცდომის დაშვება და მისი შესწორება სასწავლო პროცესის თანმდევი ნაწილია). ამ მეთოდის მეშვეობით მოსწავლე სწავლობს აქტიურად, „კეთებით“. ამავე დროს, მოსწავლეებს უვითარდებათ სოციალურ-კომუნიკაციური უნარები: ზეპირი და წერილი მეტყველება, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, თანამშრომლობა.

შეცდომების გასწორება ნებისმიერი წერილი სამუშაოს შემდეგ შეიძლება ჩატარდეს. მთავარია, ზუსტად განსაზღვროთ, რა ტიპის შეცდომებს გაასწორებენ მოსწავლეები.

მსვლელობა:

1. მიეცით ინსტრუქცია მოსწავლეებს: ნაიკითხონ მათ მიერ შესრულებული წერილი დავალება; მიაქციონ ყურადღება სასვენი ნიშნებსა და ორთოგრაფიას;
2. წინასწარ განუსაზღვრეთ დრო;
3. ნააკითხეთ ხმამაღლა ერთ მოსწავლეს; მოსწავლემ უნდა თქვას, რა შეასწორა და რატომ;
4. იკითხეთ, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი შეცდომა;
5. ჩართეთ მსჯელობაში მთელი კლასი.

მეთოდის განხორციელებისას გასათვალისწინებელია:

მეთოდი მოითხოვს დიდ დროს; შესაძლებელი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მოსწავლის ნამუშევრის განხილვა.

ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში.

ამ მეთოდს შეიძლება მთელი გაკვეთილი დასჭირდეს, ამიტომ სასურველია წერა და შეცდომების გასწორება დაწყვილებული გაკვეთილების დროს ჩატარდეს (თუ წერილი სამუშაო მცირე დროს მოითხოვს, შესაძლებელია, შეცდომების გასწორება იმავე გაკვეთილზე მოესწროს).

მოსწავლეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ, რისი გასწორება ევალებათ და როგორ.

მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელი კარგად იცნობდეს ბლუმის ტაქსონომიას.

ბლუმის მოდელში აზროვნების უნარის ექვსი იერარქიული საფეხურია გამოყოფილი. ამ კონცეფციის უკეთ ახსნისთვის მეცნიერები ხშირად კიბის ანალოგიასაც მიმართავენ, რომლის ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია და რომელზე ასვლაშიც მასწავლებელი უნდა ეხმარებოდეს ბავშვებს. ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისად, აზროვნების ყველაზე დაბალი სამი საფეხურია: ცოდნა, გაგება, გამოყენება; მაღალ საფეხურებზე კი წარმოდგენილია: ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ამ საფეხურების იერარქიულობა გულისხმობს არა მხოლოდ იმას, რომ ყოველი მომდევნო საფეხური წინაზე უფრო რთულია, არამედ იმასაც, რომ იერარქიის ქვედა საფეხურები შენარჩუნებულია ზედა დონეებზეც. მასწავლებლის მიზანია ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც ხელი შეეწყობა ბლუმის ტაქსონომიით გათვალისწინებული ყველა საფეხურის განვითარებას. ამაში კი ქვემოთ მოცემული ინფორმაცია დაგეხმარებათ.

- I. **ცოდნის დონე** – ამ დონის შესაბამისად შემუშავებული სასწავლო აქტივობები მოსწავლეებისგან, ძირითადად, ფაქტების დამახსოვრებას მოითხოვს. მოსწავლეთა ყურადღება ახალი ინფორმაციის აღქმაზე, მის ხშირ გამეორებასა და დამახსოვრებაზეა მიმართული.
- II. **გაგების დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობები მოსწავლეებისაგან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას, მის ახსნას და სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. გრაფიკების, ცხრილებისა თუ დიაგრამების ინტერპრეტირება, მათში მოცემული ინფორმაციის წვდომა ასეთი აქტივობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ილუსტრაციაა. ისევე, როგორც ცოდნის, გაგების დონეც მარტივ დონედ არის მიჩნეული იმიტომ, რომ მოსწავლეებს არ ევალებათ ახალი ინფორმაციის გენერირება, არსებულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით რაიმე ახლის შექმნა. ისინი მხოლოდ უკვე არსებული, მოცემული ინფორმაციის ახსნა-განმარტებას ახერხებენ.
- III. **გამოყენების დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან საკუთარი ცოდნის ტრანსფერს (გადატანას), პრაქტიკულ ვითარებაში მის გამოყენებას მოითხოვს. მოსწავლეებს ევალებათ მიღებული ცოდნის კონკრეტულ ვითარებაში პრაქტიკულად გამოყენებისათვის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების მოფიქრება და რეალიზება.
- IV. **ანალიზის დონე** – ამ დონის შესაბამისად მომზადებული სასწავლო აქტივობა მოსწავლეებისაგან ერთი მთლიანის, კომპლექსური კონცეფციის შემადგენელ კომპონენტებად დაშლას; მთელსა და მის ნაწილებს შორის არსებული მიმართებების დანახვას, წვდომას; მათ შორის არსებული მსგავსება/განსხვავებულობის წვდომით მთლიანის უკეთ გაგებას; რთული კონცეფციების მიღმა მდგარი ძირითადი იდეისა და სტრუქტურის ამოკითხვას, გაგებას მოითხოვს.
- V. **სინთეზის დონე** – ამ დონეზე მომზადებული დავალება, საკლასო აქტივობა მოსწავლეებისაგან ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას მოითხოვს მათთვის უცნობი, სრულიად ახალი პროდუქტის შექმნისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ახალი პროდუქტი არსებითად ახალი, აქამდე არარსებული ელემენტებისაგან შედგებოდეს. სინთეზის დონე ითვალისწინებს კარგად ნაცნობი ელემენტების (მოვლენების, ფაქტების, საგნების და ა. შ.) ახლებურად გაანალიზებასაც, მათ შორის ახლებური კავშირების, მიმართებების დამყარებას.
- VI. **შეფასების დონე** – ამ დონის დავალებები მოსწავლეებისაგან მოვლენების ან ფაქტებ-

ის შეფასებას, მათზე დასკვნების გამოტანას მოითხოვს ისეთი მახასიათებლების მიხედვით, როგორებიცაა: ხარისხი, სანდოობა, ღირებულება, პრაქტიკული მნიშვნელობა და ა. შ. მოსწავლეებს ევალუბთ საკუთარი პოზიციის მხარდამჭერი მტკიცებულებების წარმოდგენა, მათი პოზიციის გამყარება ღირებულებებითი მსჯელობებით.

კრიტიკული აზროვნების უნარი ყველაზე მჭიდროდ ბლუმის ტაქსონომიის ყველაზე მაღალ – მე-5 და მე-6 – საფეხურებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია მათი დახმარება, მხარდამჭერა ბლუმის ტაქსონომიის „კიბეზე ასვლის“ თვალსაზრისით.

პრაქტიკული სტრატეგიები

ჩვენი მიზანია თქვენთვის რამდენიმე კონკრეტული სტრატეგიის გაცნობა, რომელთა გამოყენებაც დაგეხმარებათ კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის სასურველი გარემოს შექმნაში:

- *აღკვეთთ მოსწავლეთა იმპულსურობა.* იმპულსურობაში იგულისხმება მოსწავლეების მიერ ნაჩქარევი, გაუაზრებელი პასუხების გაცემის ჩვევა. ალბათ, თქვენთვის საკმაოდ კარგად არის ნაცნობი სიტუაცია, როდესაც მოსწავლე თქვენ მიერ კითხვის დასრულებასაც კი არ ელოდება და ადგილიდან, თუნდაც თქვენი ნებართვის გარეშე წამოიყვრება, მისი აზრით, სწორ პასუხს. გახსოვდეთ, რომ ასეთი ქცევა არ უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების განვითარებას. იმპულსური პასუხის შემთხვევაში ბავშვი ყოველგვარი ანალიზის გარეშე იძლევა სტერეოტიპულ პასუხს ან ვარაუდს, რაც ავტომატურად „ხურავს“ მის გონებას შესაძლო ალტერნატივებისაგან.
- *წაახალისეთ მოსწავლეთა დამოუკიდებლობა.* არცთუ ისე იშვიათად გვხვდებიან მოსწავლეები, რომლებიც ძალიან მიჯაჭვულები არიან მასწავლებლებზე. შეცდომის დაშვების შიშის, თუ საკუთარ თავში დაურწმუნებლობის გამო, ასეთი ბავშვები თითქმის ყველა საკითხთან დაკავშირებით მიმართავენ მასწავლებელს; აზუსტებენ დავალების პირობას, მასწავლებლის მოლოდინს, ეკითხებიან მას დავალებაზე მუშაობის ყველაზე ეფექტური სტრატეგიების თაობაზე და ა.შ., ანუ ფაქტობრივად ყველანაირად გაურბიან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას და სწავლის პროცესის საკუთარი ძალებით მართვას. კრიტიკული აზროვნება ვერ განვითარდება ასეთ პირობებში, ამიტომ მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის მასწავლებელზე მიჯაჭვულობის მიზეზის დადგენა და მისი დამოუკიდებლობის ხელშეწყობა.
- *იზრუნეთ ხარისხზე და არა დროის სიმცირეზე.* საკლასო აქტივობების დაგეგმვისას მოსწავლეთა მუშაობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხშირად დავალების შესრულებაზე მათ მიერ დახარჯული დრო ხდება. სავარაუდოდ, მოსწავლეთა გარკვეული დროის ფარგლებში მოქცევას აქვს გამამყარებელი არგუმენტები, თუმცა, კრიტიკული აზროვნების განვითარების კონტექსტში ეს სრულიად შეუსაბამო პრაქტიკაა. მოსწავლეთა დაჩქარება არ იძლევა კრიტიკული აზროვნებისა და ზოგადად, ღრმა აზროვნების პროცესში ჩართვის შესაძლებლობას; ახალისებს ზედაპირულ მიდგომას და უბიძგებს დაუსაბუთებელი, გადაუმომხმებელი ვარაუდების გამოყენებისკენ.
- *იყავით ღია კრიტიკისათვის.* ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ მასწავლებლის მზაობას და ღიაობას მოსწავლეთა მხრიდან მისი პოზიციის შეფასების, გაანალიზებისა და შესწავლისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ კრიტიკულად მოაზროვნე მასწავლებლისთვის არის შესაძლებელი მოსწავლეებში ამ უნარის განვითარება. შესაბამისად, ამ კონტექსტში სრულიად დაუშვებელი და არათანმიმდევრული იქნება მასწავლებლის მხრიდან საკუთარი პოზიციის ან ვარაუდების უზენაესობის, მათი სიზუსტის მტკიცება მოსწავლეებისათვის.
- *წაახალისეთ მოსწავლეები, იზრუნეთ მათი თვითშეფასების ამაღლებაზე.* მნიშვნელოვან-

ნია, ბავშვი გრძნობდეს, რომ მასწავლებელი მას აფასებს, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე პიროვნებას, პატივს სცემს მის აზრს და აინტერესებს მასთან ურთიერთობა. როგორც უკვე ვნახეთ, კრიტიკული აზროვნება გულისხმობს უკვე ათვისებული, გამჯდარი ღირებულებების, შეხედულებების, წესებისა და ნორმების გადასინჯვა/გადაფასებას. აღნიშნული ბევრად უფრო უმტკივნეულოდ წარიმართება, თუკი მოსწავლე დარწმუნებული იქნება საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში. მხოლოდ თავდაჯერებულ მოსწავლეს არ შეეძინდება იმ „უხერხული კითხვების“ დასმის, რომლებსაც კრიტიკული აზროვნების პროცესი მოითხოვს. კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობის მიზნით გამოყენებული მაპროვოცირებელი შეკითხვები ისე ფრთხილად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ არ გამოიწვიოს მოსწავლეთა ღირსების, მათი თვითშეფასების შელახვა.

- *ყურადღებით უსმინეთ თქვენს მოსწავლეებს.* იმისათვის, რომ ბავშვებისთვის დისკომფორტული არ იყოს საკუთარ ღირებულებებსა და შეხედულებებზე საუბარი, მნიშვნელოვანია, მასწავლებელში ისინი სანდო მსმენელს ხედავდნენ. ამ მხრივ მასწავლებლის ქცევა პროფესიონალი ფსიქოთერაპევტის საქმესაც ჰგავს. კარგი თერაპევტი ყოველთვის აქტიურად უსმენს პაციენტს, ყურადღებიანია მის მიმართ და შეფასებებისაგან სრულიად თავისუფალ ატმოსფეროს სთავაზობს მას. მოსწავლეში სათანადო ნდობის მოპოვების მიზნით, მასწავლებელიც უნდა ახერხებდეს, რომ ბავშვის სიტყვები, მისი შინაგანი სამყარო არ გახდება მისი ან კლასის სხვა მოსწავლეების შეფასების საგანი; პედაგოგი მხოლოდ ეხმარება საკუთარ თავში უკეთ გარკვევაში, საკუთარი ღირებულებების შეფასებაში, კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.
- *მოსმენა არ არის პასიური პროცესი.* ის მსმენელისაგან აქტიურ ჩართვას, ყურადღების კონცენტრაციას და მოსმენილის ინტელექტუალურ ანალიზს მოითხოვს.
- *შეუქმენით მოსწავლეებს კრიტიკულად აზროვნების მოტივაცია.* აჩვენეთ, თუ რაოდენ სასარგებლო შეიძლება იყოს მათთვის ამ უნარის განვითარება. მასწავლებელმა უნდა გაადვილოს მოსწავლეთა ინტერესი ამ უნარის მიმართ შესაბამისი საუბრების თუ სასწავლო აქტივობების დაგეგმვით. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მცდელობების და არა მხოლოდ საბოლოო შედეგების დაფასება, აღნიშვნა და ნახალისება. მოტივაციის შექმნის პროცესში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა რეალისტური, მისაღწევი მიზნები დაუსახოს მოსწავლეებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მალევე დაკარგავენ ინტერესსა და ენთუზიაზმს.
- *მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ თვითშეფასების, საკუთარი აზროვნების პროცესის ანალიზის მნიშვნელობა.* ამისათვის, გარდა შესაბამისი საუბრებისა, სასარგებლოა პერიოდულად საკლასო აქტივობების შეჩერება და მოსწავლეთა ჩართვა მიმდინარე აზროვნების პროცესის ანალიზში.

მოკლე შეჯამება

- კრიტიკული აზროვნება აზროვნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს: ფრთხილ დამოკიდებულებას ყოველივე იმის მიმართ, რასაც აბსოლუტური ჭეშმარიტების პრეტენზია აქვს; გონების გახსნილობას იმ მრავალფეროვნების აღქმისათვის, რომლის შემოთავაზებაც შეუძლია სამყაროს.
- კრიტიკული აზროვნება არ არის თანდაყოლილი ან ადამიანის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე დამოკიდებული. მისი განვითარება შესაძლებელია ნებისმიერ ადამიანში.
- კრიტიკული აზროვნება უწყვეტად და უსასრულოდ მიმდინარე პროცესია, რომელიც ადამიანისაგან აქტიურ, ცნობიერ ჩართვასა და ძალისხმევას მოითხოვს.
- კრიტიკული აზროვნება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავს – არსებული ვარაუდების

იდენტიფიცირება-გადამონმებას და შესაძლო ალტერნატივების ძიება/შეფასებას.

- მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი თავად იყოს კრიტიკულად მოაზროვნე; ის ერთგვარი მისაბაძი მოდელი უნდა იყოს მოსწავლეებისათვის ამ უნარის გამოყენების თვალსაზრისით.
- კრიტიკული აზროვნების სწავლებისას, მასწავლებელი უნდა ეყრდნობოდეს ბლუმის ტაქსონომიას.
- შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნით, მასწავლებელი უნდა ზრუნავდეს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების მიმართ ინტერესის გაღვივებაზე.
- დაუშვებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს თავს მოახვიოს საკუთარი იდეები და ვარაუდები; მასწავლებლის ვალდებულებაა, დაეხმაროს თითოეულ მოსწავლეს დამოუკიდებელ პიროვნებად, კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მასალა ამოკრებილია გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის მიერ მომზადებული კრებულიდან „ეფექტიანი სწავლება“. (შეადგინა მარიამ გაბაშვილმა, რედაქტორი ია კუტალაძე)

11.3

შეფასების რუბრიკების ნიმუში

ნებისმიერი განმსაზღვრელი შეფასების სქემა მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს განმავითარებელი შეფასების მექანიზმად და პირიქით

მსჯელობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	სრულად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
მოსწავლეს შეუძლია დავალების ადეკვატურად გაგება და პრობლემის სწორად განსაზღვრა			
მსჯელობა გასაგები და თანმიმდევრულია			
მოსწავლე საკუთარ მოსაზრებას ამყარებს დამაჯერებელი არგუმენტებითა და კონკრეტული მაგალითებით			
მეტყველება გამართულია, ლექსიკა შესაბამისია, თითქმის არ არღვევს ენობრივ ნორმებს			

ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების სქემის ნიმუში

ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადღებით	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
დაკისრებულ ფუნქციას ვასრულებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცავ დროის ლიმიტს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს

დისკუსიის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	სრულად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს	2	1	0
მსჯელობს არგუმენტირებულად	2	1	0
აკეთებს დასკვნებს	2	1	0
იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს (თვალთ, ჟესტებით, ხმით)	2	1	0
კორექტულია ოპონენტის მიმართ, ისმენს და კონსტრუქციულად პასუხობს განსხვავებულ აზრს	2	1	0

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	კი	არა	განმავითარებელი კომენტარი
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია			
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს			
ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები)			
ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეთებს დასკვნებს			
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს			
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს			

პრეზენტაცია

კრიტერიუმი	დიახ	არა	ნაწილობრივ	რეკომენდაცია
პასუხობს დავალების პირობას				
მეტყველება გამართულია, საუბრობს მკაფიოდ, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას				
მსჯელობა თანამიმდევრულია, იცავს იცავს პრეზენტაციის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)				
საკუთარი მოსაზრების საილუსტრაციოდ მოჰყავს შესაბამისი მაგალითები				
ფლობს აუდიტორიას, იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს				
იცავს დროის ლიმიტს				

წერა

წერთი დავალების შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

შინაარსობრივი გამართულობა	
დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებულნი.	2
დავალების პირობა ნაწილობრივ ადეკვატურადაა გაგებულნი.	1
დავალების პირობა არაადეკვატურადაა გაგებულნი.	0

II კრიტერიუმი

ნაწერის აგება	
ნაწერი თანამიმდევრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
ნაწერი არათანმიმდევრულია და/ან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

III კრიტერიუმი

მსჯელობის დასაბუთება	
მოსწავლეს შეუძლია საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, არგუმენტების მოხმობა და შესაბამისი მაგალითებით გამყარება	3
მოსწავლე ზოგან გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, მოიხმობს შესაბამის არგუმენტებს, მაგრამ ყოველთვის ვერ ამყარებს შესაბამისი მაგალითებით.	2
მსჯელობა ყოველთვის არაა არგუმენტირებული და/ან მოხმობილი მაგალითები არაადეკვატურია.	1
მსჯელობა ზოგადია, მაგალითები არაა მოხმობილი.	0

IV კრიტერიუმი

ლექსიკა და სტილი	
ლექსიკა ადეკვატურია, წინადადებები სტილისტურად გამართულია	2
ზარი გასაგებია, თუმცა ლექსიკა მწირია, არის რამდენიმე სტილური ხარვეზი.	1
ლექსიკა მწირია, აზრი – ბუნდოვანი.	0

V კრიტერიუმი

სინტაქსი, მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	
ნაშრომში არ არის დაშვებული..... მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
ნაშრომში არ არის დაშვებული მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
ნაშრომში დაშვებულია მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

**მცირე ზომის მხატვრული ტექსტის შედგენა საყრდენების
გათვალისწინებით**

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	განმავითარებელი კომენტარი
საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს				
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
ყურადღება გამახვილებულია არსებით დეტალებზე				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				
კითხულობს საკუთარ ნაწერს და ასწორებს შემჩნეულ შეცდომებს				

წერილის დანერა

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
ადეკვატურად იყენებს წერილის სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვა- მისალმება, ძირითადი ნაწილი, დამშვიდობება)				
სათქმელს აყალიბებს გასაგებად და თანმიმდევრულად				
გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს, დამოკიდებულებას				
იცავს ამ ტიპის ნაწერისთვის დამახასიათებელ ენობრივ სტილს				
იცავს მართლწერის საბაზისო ნორმებს				

თხზულების შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმები	შეესაბამება	ნაკლებად შეესაბამება	არ შეესაბამება	რეკომენდაცია
შინაარსი შეესაბამება დავალების პირობას				
აზრები თანმიმდევრულად არის გადმოცემული				
აბზაცები სწორადაა გამოყოფილი				
ყურადღება გამახვილებულია მნიშვნელოვან დეტალებზე				
საკუთარი თვალსაზრისის საილუსტრაციოდ მოსწავლეს მოჰყავს ადეკვატური მაგალითები ტექსტიდან...				
იყენებს შესაბამის ლექსიკას				
იცავს მართლწერის ელემენტარულ ნორმებს				

წერიტი დავალების შეფასების კრიტერიუმები შინაარსისთვის
(გამოყენებულია შეფასების რუბრიკა სტატიიდან „წერის შეფასება“, ავტორი
მაია ინასარიძე, <http://mastsavlebeli.ge/?p=3990>)

I კრიტერიუმი

შინაარსობრივი გამართულობა	
შინაარსს გადმოსცემს თანამიმდევრობით, არ ტოვებს არც ერთ მნიშვნელოვან მომენტს/ფაქტს.	3
შინაარსის გადმოსცემისას იცავს თანამიმდევრობას, მაგრამ გამოტოვებულია ერთი მნიშვნელოვანი მომენტი/ფაქტი ან შინაარსს გადმოსცემს, მაგრამ ერთ შემთხვევაში დარღვეულია თანამიმდევრობა.	2
თანამიმდევრობა დარღვეულია/ტოვებს მნიშვნელოვან მომენტებს/ფაქტებს, შინაარსი არასრულყოფილია.	1
დარღვეული თანამიმდევრობის გამო შინაარსის გაგება ჭირს/არ არის სწორად გაგებული შინაარსი, ამახინჯებს ფაქტებსა და მოვლენებს.	0

II კრიტერიუმი

ნაწერის აგება	
ნაშრომი შეკრულია, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი, წერს სუფთად და გარკვევით.	2
ნაშრომი შეკრულია, თუმცა აბზაცები ზოგ შემთხვევაში არასწორადაა გამოყოფილი, ნაწერის გარეგნული სახე გასაუმჯობესებელია.	1
ნაშრომი არ არის შეკრული, აბზაცები არასწორადაა/საერთოდ არ არის გამოყოფილი, ნაწერის ამოკითხვა ჭირს.	0

III კრიტერიუმი

სტილი და ლექსიკური გამართულობა	
ლექსიკა მდიდარია, ადეკვატურად იყენებს ახალშესწავლილ ლექსიკურ ერთეულებს, ფრაზეოლოგიზმებს.	3
ლექსიკა შინაარსის ადეკვატურია, თუმცა ნაკლებად იყენებს ახალშესწავლილ ლექსიკას და ფრაზეოლოგიზმებს. დაშვებულია ორიოდ სტილური ხარვეზი.	2
ლექსიკა ღარიბია, თუმცა აზრი გასაგები. არ იყენებს ახლადშესწავლილ სიტყვებსა და ფრაზებს. დაშვებულია რამდენიმე სტილური ხარვეზი.	1
ლექსიკა მწირია, შეზღუდული. ხშირ შემთხვევაში აზრის გაგება ჭირს.	0

IV კრიტერიუმი

ენობრივი გამართულობა	
ნაშრომში არ არის დაშვებული-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	2
ნაშრომში არ არის დაშვებული-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	1
ნაშრომში დაშვებულია-ზე მეტი ისეთი ორთოგრაფიულ-მორფოლოგიური, სინტაქსური და პუნქტუაციური შეცდომა, რომელთა შესახებ წესები ნასწავლი აქვს.	0

**მოცემული შეფასების სქემების ადაპტირება მასწავლებლებს
შეფასების მიზნისა და მოსწავლეთა საჭიროების შესაბამისად შეუძლიათ.**

კრიტერიუმები	გასაუმჯობესებელი	დამაკმაყოფილებელი	საუკეთესო
უშეცდომოდ კითხულობს ყველა სიტყვას			
ხშირად ცვლის ხმის ტონალობას. იყენებს მახვილებსა და პაუზებს.			
ადეკვატურად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ელემენტებს			

ინკლუზიური განათლება

ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება ყველა ბავშვს ყოველგვარი დისკრიმინაციული გამოწვევის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში. ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით. სწავლის პროცესში სირთულეები შეიძლება

შექმნათ ნიჭიერ ბავშვებსაც, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლებს. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებაა, ყველა ბავშვისთვის მოძებნოს წარმატებით სწავლების გზები.

ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მისცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად სწავლისა და ხარისხიანი განათლების მიღებისა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

ინკლუზიური განათლება არ გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საკლასო ოთახში ყოფნას და თანატოლებთან ერთად გარკვეული დროის გატარებას. ინკლუზიური განათლება მოითხოვს მთლიანად სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გააძლიეროს და განავითაროს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გააუმჯობესოს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და კლასის სრულუფლებიანი წევრია. ის სრულად უნდა მონაწილეობდეს სასკოლო და საკლასო აქტივობებში; სკოლაში მიმდინარე აკადემიურ (მაგ. წერა, კითხვა) და არაკადემიურ (მაგ. დასვენებებზე თანატოლებთან თამაში) პროცესებში.

ინკლუზიური განათლება აღიარებს მრავალფეროვნებას და განსხვავებულობის აუცილებლობას მოსწავლეების სწავლების პროცესში. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის და საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლება, რასაკვირველია, სწავლების განსხვავებული მიდგომების, სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ყველას მიმართ სწავლებისა და ქცევის მართვის ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება უარყოფს ბავშვებს შორის განსხვავებულობას და მათ ინდივიდუალობას. განსხვავებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან სწავლების ერთნაირი სტრატეგიების გამოყენება, (მსგავსი ინსტრუქციები მასალის ახსნისას, იდენტური საშინაო დავალებები, თანაბარი დრო დავალების შესასრულებლად) ერთი მხრივ, არაპროფესიონალური მიდგომაა, ხოლო მეორე მხრივ, არ უზრუნველყოფს ერთნაირ

სასწავლო შედეგს ყველა მოსწავლისთვის. შესაბამისად, განათლების სისტემაში სკოლა წარმატებულად ითვლება, თუ მას შესწევს უნარი, შესაბამისი განათლებით უზრუნველყოს განურჩევლად ყველა მოსწავლე. სწორად დაგეგმილი ინკლუზიური განათლების პირობებში, ყველა მოსწავლეს ეძლევა საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზების შესაძლებლობა.

ინკლუზიური განათლების დანერგვა სკოლისგან გარკვეული ამოცანების გადაჭრას მოითხოვს:

- სკოლაში ჩართულმა ყველა ადამიანმა უნდა მიმართოს ერთობლივ ძალისხმევას ინკლუზიური განათლების დასამკვიდრებლად სკოლის სივრცეში, ინკლუზიური განათლების იდეას უნდა იზიარებდეს ყველა სკოლა;
- ინკლუზიურმა გარემომ უნდა აღიაროს და გაითვალისწინოს მოსწავლის მრავალფეროვანი საჭიროებები; სკოლამ უნდა შეძლოს სწავლის განსხვავებული სტილით და შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებით სწავლების უზრუნველყოფა;
- სკოლის გარემომ უნდა შეძლოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შესაბამისი მხარდაჭერა; საჭიროების შემთხვევაში, დაახმაროს მოსწავლეებს სპეციალისტები;
- სკოლა დაინტერესებული უნდა იყოს პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და მომზადებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის შესაბამისი მხარდაჭერის აღმოსაჩენად;
- სკოლას უნდა ჰყავდეს მოტივირებული პედაგოგები, რომლებსაც უწყვეტი ურთიერთობა ექნებათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებთან; სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს მშობლებს, აქტიურად ჩაერთონ შვილების სწავლის პროცესში.
- სკოლამ უნდა შექმნას მისანვდომი ფიზიკური გარემო და საჭიროების შემთხვევაში (კომუნიკაციისთვის, მობილობისთვის), გამოიყენოს შესაბამისი ტექნოლოგიები. ინკლუზიური განათლების მიდგომის თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და მის სასწავლო პროცესში ჩართვა უმთავრესი პრიორიტეტია. მოსწავლეები სპეციალიზებულ სკოლებსა და კლასებში უნდა ნაწილდებოდნენ გამონაკლის შემთხვევებში და რეკომენდებულია მხოლოდ მაშინ, როცა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში ჩართულობა ვერ უზრუნველყოფს ბავშვის საგანმანათლებლო თუ სოციალურ საჭიროებებს ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში მშობლებს აქვთ უფლება, მიიღონ კვალიფიციური და ამომწურავი კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, რათა სწორი არჩევანი გააკეთონ.

სკოლები, რომლებიც იზიარებენ ინკლუზიური განათლების მიდგომებს, დისკრიმინაციული დამოკიდებულების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ინკლუზიური განათლება ინკლუზიური საზოგადოების ფორმირების აუცილებელი წინაპირობაა. სწორედ ინკლუზიური განათლების კონტექსტში ხდება შესაძლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებმა მიაღწიონ პროგრესს განათლებაში და სოციალურ ინტეგრაციას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება

ტერმინი – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - გულისხმობს სწავლის სირთულეებს ან შეზღუდულ შესაძლებლობას, რომელსაც აწყდება მოსწავლე სწავლის პროცესში და რომლის დაძლევაც მას სპეციალური დახმარების გარეშე უჭირს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ექმნება სირთულეები და სჭირდება დახმარება შემდეგ სფეროებში:

- კითხვა, წერა, ანგარიში
- ინფორმაციის გადამუშავება
- საკუთარი აზრის და შეხედულებების გამოხატვა, სხვების აზრის გაგება
- საშინაო და საკლასო დავალებების შესრულება
- ქცევა
- ურთიერთობა თანატოლებთან და პედაგოგებთან
- მონესრიგებულობა
- სხვადასხვა სახის სენსორული და ფიზიკური დეფიციტი, რომელიც ზეგავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე
- გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება
- ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა
- სოციალური დაუცველობა
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების გამო საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვის საშიშროება

ტერმინის – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება – დამკვიდრება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც სპეციალისტებმა აღიარეს, რომ სირთულეები სწავლის პროცესში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ახასიათებთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მოსწავლეს არ აღენიშნება თვალსაჩინო დაზიანება თუ განვითარების დარღვევა, ისინი მაინც წარუმატებელნი არიან სკოლაში. შესაბამისად, განსაზღვრა იმისა, აქვს თუ არა მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, დამოკიდებული უნდა იყოს არა მის სამედიცინო დიაგნოზზე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსზე, არამედ სირთულეებზე სწავლის პროცესში.

2004 წლამდე საქართველოს განათლების სისტემა არ იცნობდა ინკლუზიური განათლების პრინციპებს და შესაბამისად, ნებისმიერი შეზღუდული შესაძლებლობის თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლების ერთადერთ ალტერნატივას სპეციალიზებული სკოლა წარმოადგენდა. ბავშვებს, რომელთაც აღენიშნებათ უყურადღებობისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომები, დისლექსია, კითხვის, წერისა თუ მეტყველების სპეციფიკური დარღვევები, შეზღუდული შესაძლებლობის პირის სტატუსი არა აქვთ, თუმცა განათლების მხრივ სერიოზული საჭიროებები უდგებათ. სამედიცინო დიაგნოზის თუ შეზღუდული შესაძლებლობის არარსებობის გამო კი, მათი სწავლისა და ქცევის თავისებურებები არასწორადაა ინტერპრეტირებული. ხშირად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის შეუსაბამო ქცევა სიზარმაცედ ფასდება. ეს კი, თავის მხრივ, სასწავლო პროცესის არასწორ დაგეგმვას, ჩარევის მცდარი სტრატეგიებისა და არაეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. შესაბამისად, ნათელია, რომ სკოლაში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გამოვლენას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რათა თავიდან ავიცილოთ როგორც მოსწავლის ქცევის თავისებურების არასწორი ინტერპრეტაცია, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის არასწორად მინიჭება იქ, სადაც ამის საჭიროება არ არსებობს.

ინკლუზიური განათლების ხელშემწყობი გარემო

სკოლაში ინკლუზიური განათლების წარმატებით განხორციელებისთვის რამდენიმე აუცილებელი პირობის დაცვაა საჭირო. ესენია: სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; მოსწავლეების ინდივიდუალური განსხვავებებისა და საგანმანათლებლო საჭიროების მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულება; ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი, სწავლისა

და განათლების თანაბარი პირობების უზრუნველყოფა და თანამონაწილეობა მთლიან სასკოლო საქმიანობაში.

სწავლისა და მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, უმთავრესი ამოცანაა. როდესაც ყველა მოსწავლის აკადემიური და სოციალური წარმატებები სკოლისთვის მთავარი ღირებულებაა, მაშინ ყველა, ვინც სასწავლო პროცესშია ჩართული - მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაცია და მშობლები, ყურადღებას ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართავს და შესაბამისად, სკოლაში თანამშრომლობის, ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის გარემო იქმნება. ინკლუზიური განათლება თავისი არსით სწორედ ასეთ დამოკიდებულებას გულისხმობს ყველა მოსწავლის მიმართ და აღიარებს, რომ მიუხედავად ინდივიდუალური განსხვავებებისა სწავლისა და მოსწავლის მიმართ, კეთილგანწყობილი გარემო განათლების აუცილებელი პირობაა.

ყველა მასწავლებლის მიზანი და ამოცანა მოსწავლის მიღწევებსა და წარმატებებზე ორიენტირებაა, მაგრამ მოლოდინი და მოსწავლისთვის დასახული მიზნები აუცილებლად რეალისტური და განხორციელებადი უნდა იყოს. შესაბამისად, ნებისმიერი დავალება, რომელსაც მოსწავლეს ვაძლევთ, მის შესაძლებლობებს, უნარებს და ცოდნის დონეს უნდა შეესაბამებოდეს.

მოსწავლეებს შორის ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, არსებობს მათი მხარდაჭერის და სწავლის სტიმულირების რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ერთნაირად მნიშვნელოვანია ყველასთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მოსწავლის თვითშეფასების ამაღლება, ქცევის პოზიტიური მართვა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება და სწავლის მოტივაციის ამაღლება.

ინკლუზიური განათლება სკოლაში დანერგვისთანავე ამ სკოლის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება. სკოლაში მიმდინარე ყველა პროცესი გავლენას ახდენს ინკლუზიურ განათლებაზე და პირიქით. შესაბამისად, სკოლის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო და ინკლუზიური განათლების პროცესები სკოლის მართვის ერთიან კონტექსტში განიხილება. კარგად დაგეგმილი მართვის პროცესში სკოლა ქმნის ყველა აუცილებელ პირობას იმისთვის, რომ თითოეული მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროება მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული და ყველა მოსწავლეს სწავლისა და განვითარების ყველა აუცილებელი პირობა ჰქონდეს შექმნილი. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც სკოლა ერთი მიზნის გარშემო გაერთიანებული და ყველა - სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები - ამ საერთო მიზნის მიღწევაშია ჩართული. ინკლუზიური განათლებისთვის საერთო მიზანი და თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რაც კარგ ორგანიზებულობასა და მართვას მოითხოვს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვაში არის რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელთა დაცვაც უზრუნველყოფს მთლიანად სკოლის და ინკლუზიური განათლების ეფექტიან მართვას. აღნიშნული პრინციპებია:

- სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ზოგადი განათლების მიღების უფლებას. მოსწავლეების მიღებისას სკოლა არ უშვებს რაიმე სახის დისკრიმინაციას და არ ამბობს უარს სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის სკოლაში მიღებაზე.
- თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის სკოლის ადმინისტრაცია და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ადეკვატურ და ხარისხიან განათლებას მისი საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. ამისათვის სკოლის ადმინისტრაციამ სამინისტროს მიერ დადგენილი წესით¹ უნდა განახორციელოს: ა) კვალიფიციური სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის

¹ იმ შემთხვევაში, თუ სკოლას არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განვითარების შეფასებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, სკოლა ვალდებულია, მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამების დეპარტემენტის ინკლუზიური განათლების მიმართულებას და/ან საგანმანათლებლო რესურს-ცენტრს დახმარებისთვის.

ფსიქიკური, ფიზიკური და სოციალური უნარების განვითარების შეფასება; ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოკვეთა და გ) შეფასების შედეგებსა და საგანმანათლებლო საჭიროებებზე დაყრდნობით, ბავშვის მშობელთან და მასწავლებლებთან ერთად მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავება.

- სკოლის ადმინისტრაცია გამოყოფს სკოლისთვის ინკლუზიური განათლების კოორდინატორს. კოორდინატორი შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მასწავლებელი ან მშობელი. სასურველია, ინკლუზიური განათლების არჩეული კოორდინატორი სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრიც იყოს. სკოლის ინკლუზიური განათლების კოორდინატორის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს ინკლუზიური განათლების პროცესს, მოსწავლეთა დასწრებას, სასწავლო პროცესსა და მთლიან სასკოლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს. კოორდინატორმა საბჭოს წინაშე უნდა დააყენოს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი და საბჭოს წევრებთან ერთად პრობლემების მოგვარების ეფექტური გზები ეძიოს. მათ შორის, საბჭოს წევრებთან ერთად დაგეგმოს ინკლუზიური განათლებისთვის აუცილებელი დამატებითი სახსრების მოძიების ღონისძიებები. კვირის განმავლობაში კოორდინატორთან შეხვედრის დღეები წინასწარ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებმა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებმა და ამ მოსწავლეთა მეგობრებმა შეძლონ მასთან გასაუბრება გარკვეულ ინიციატივებზე, შესაძლო პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.
- სკოლა, რომელსაც ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ვალდებულია, ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებზე დაყრდნობით, სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოადგინოს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშემწყობი მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოდიფიცირებული ან ადაპტირებული სასწავლო გეგმები, განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი, დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის მაქსიმალურად ხელშემწყობი და ნაკლებად შემზღუდველი სასწავლო გარემოს შექმნა (მაგალითად, მეცადინეობა და/ ან დასვენება რესურსოთახში, შემეცნებითი ექსკურსიები, დამოუკიდებელი ცხოვრების გაკვეთილები და სხვა); სკოლამ სისტემატურად უნდა შეაფასოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები. ასეთი შეფასების პრინციპებია: 1. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მიყვება სასკოლო სასწავლო გეგმას ყველა საგანში და დამაკმაყოფილებელ დონეს აღწევს, მაშინ იგი ყველა დანარჩენი მოსწავლის მსგავსად ფასდება; 2. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, კლასიდან კლასში გადასასვლელად მან უნდა მიაღწიოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს და ამოცანებს. ამ ამოცანების ფარგლებში კი შეფასება ჩვეულებრივი ათქულიანი სისტემით მოხდება. მაგალითად, VI კლასის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს მათემატიკის გაკვეთილზე დავალებად ჰქონდა, ენარმოებინა მარტივი გამოთვლები ასის ფარგლებში. მან წარმატებით გაართვა თავი დავალებას. შესაბამისად, მას მასწავლებელი უმაღლეს შეფასებას (10 ქულას) უწერს. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დავალებებს თავს არიდებს და არ ასრულებს, ის დაბალ ქულას იღებს. უცილებელია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე თითოეული ბავშვი ქულებთან (ნიშნებთან) ერთად იღებდეს კომენტარს ტექსტის სახით, სადაც აღწერილია მისი ძლიერი და სუსტი მხარეები დავალების შესრულებისას და მოცემულია კონკრეტუ-

ლი რეკომენდაციები, თუ როგორ შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოვლენა. 3. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ვერ აღწევს დამაკმაყოფილებელ დონეს რომელიმე კონკრეტულ საგანში, მისთვის უნდა შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ამ საგანში. მაგ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სტანდარტულად სძლევს ქართულს და ისტორიას, ხოლო მათემატიკას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ეუფლება. შესაბამისად, ქართულსა და ისტორიაში მას სტანდარტული ნიშნები ეწერება, ხოლო მათემატიკაში – ნიშანი და შესაბამისი კომენტარი.

- მოსწავლის სკოლაში მიიღება და მისთვის შესაფერისი სწავლის საფეხური (კლასის) ირჩევა მისი აკადემიური და სოციალური უნარების, ასაკის და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით. მოსწავლეთა საგანმანათლებლო და სოციალური ინტეგრაციის ინტერესების დასაცავად, სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ბავშვის ასაკსა და მისთვის შერჩეულ სწავლის საფეხურს (კლასს) შორის შესაბამისობას. დაუშვებელია, ათი წლის მოსწავლე სწავლობდეს I ან II კლასელებთან ერთად ან 14-15 წლის მოსწავლე - III ან IV კლასელებთან ერთად. დასაშვებია განსხვავება მაქსიმუმ სამი წელია.
- სკოლა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებული შესაძლო სადავო საკითხების, საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ეფექტიან მექანიზმს ქმნის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის განათლებასთან დაკავშირებული საჩივრების განხილვისას, სკოლა უფლებამოსილია, მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვოს მულტიდისციპლინური გუნდის მომსახურება/დახმარება სადავო საკითხების მიუკერძოებლად განსახილველად.
- სკოლა ადგილობრივ თემთან ერთად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, რათა ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების საზოგადოებაში ინტეგრაციას. მაგ. მოაწილოს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; საქველმოქმედო კონცერტები, რომელთა შემოსავლებითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მეგობრებთან ერთად დაეხმარება მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს და სხვა.

ყველა ამ პრინციპის დაცვის შემთხვევაში, ინკლუზიური განათლება კარგად ორგანიზებული ხდება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში, იღებენ ხარისხიან და მათი შესაძლებლობების შესაბამის განათლებას, მოსწავლეთა მშობლები მასწავლებლებთან ერთად ჩართული არიან მათი განათლების პროცესში და სკოლაში ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო სუფევს. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ყველას, ვინც სკოლის ცხოვრებაშია ჩართული, გარკვეული უფლება-მოვალეობები აქვს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში

რამდენადაც ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის ძირითად საშუალებას ეროვნული სასწავლო გეგმა წარმოადგენს, ხოლო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლება იგივე მიზნების მიღწევას ემსახურება, აუცილებელია მათი სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით ხორციელდებოდეს და ამით საგანმანათლებლო

საჭიროების მქონე პირებსაც თვითრეალიზაციის თუ წარმატების ისეთივე პირობები მიეცეთ, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს.

ეროვნული სასწავლო გეგმის გამოყენებით საგანმანათლებლო სისტემა შეძლებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ხარისხიანი განათლების მიღების უზრუნველყოფას, იმ ცოდნის გადაცემას და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც მათ საკუთარი პოტენციალის სრულ რეალიზებაში დაეხმარება და ცხოვრების მაღალი ხარისხის განცდას მიანიჭებს.

ერთიანი სასწავლო გეგმა არის საუკეთესო საშუალება ჭეშმარიტად ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფისთვის. ამ მიდგომის თანახმად, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისთვის უნდა არსებობდეს ერთი განსაზღვრული (მიზანდასახული, დოკუმენტირებული) სასწავლო გეგმა, რომლითაც იხელმძღვანელებს პედაგოგი განურჩევლად ყველა მოსწავლესთან. შესაბამისად, მიუხედავად მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებისა, პედაგოგის უპირველესი სურვილი უნდა იყოს, განავითაროს და გააძლიეროს მოსწავლე იმ ძირითად და პრიორიტეტულ საკითხებში, რომლებიც ეროვნული საგანმანათლებლო მიზნებით არის განსაზღვრული. ის უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტად მიუახლოვოს მოსწავლე გათვალისწინებულ სასწავლო შედეგებს, რადგან სჯერა, რომ დადგენილი სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის ყველა მნიშვნელოვან სასწავლო ასპექტს მოიცავს. შესაბამისად, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლებისას, მათი სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა იყოს დატვირთული იმგვარივე შინაარსით, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის გათვალისწინებული.

არსებული თანამედროვე მიდგომით, ეროვნული სასწავლო გეგმით სწავლებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობები, გაუწიოს ანგარიში მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლებისას ეროვნული სასწავლო გეგმიდან მათთვის ყველაზე აქტუალურ სასწავლო მიზნებზე გააკეთოს აქცენტი. მასწავლებელმა თავისი მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაანალიზოს, რა სასწავლო შედეგების მიღწევაა პირველადი მნიშვნელობის

მოსწავლეთა სრულად რეალიზების, დამოუკიდებელი მაქსიმალური ცხოვრების დონის მისაღწევად. ამავდროულად, დასაშვებია, მოსწავლეთა სწავლების პროცესში მასწავლებელმა გადახედოს სასწავლო გეგმას და მოსწავლისთვის და/ან მოსწავლეთა გუნდის თავისებურებების გათვალისწინებით ხელახლა დაგეგმოს ის. მთავარია, მასწავლებელმა სწორად განსაზღვროს, რა სასწავლო მიზანია ამ კონკრეტული მოსწავლისთვის მისი პიროვნული ფაქტორების და სამომავლო ცხოვრებისეული მიზნების გათვალისწინებით პრიორიტეტული.

ეროვნული სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას, მასწავლებელმა თავად განსაზღვროს პირველადი, მეორეული, მესამეული მნიშვნელობის სასწავლო შედეგები კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის და დააზუსტოს მიზნების თანმიმდევრობა სასწავლო გეგმის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, თუ რა იქნება მოსწავლისთვის ყველაზე შესაფერისი სასწავლო პროგრამა. მასწავლებელი მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით აზუსტებს და ეროვნული სასწავლო გეგმიდან ირჩევს მათთვის აქტუალურ მისაღწევ შედეგებს და განსაზღვრავს მიზნის მიღწევის (ცოდნის გადაცემის, უნარის გავარჯიშების) გზებს. დაზუსტებული სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად იგეგმება მასწავლებლის სწავლების სტრატეგიები და სასწავლო აქტივობები (საკლასო და საშინაო), გამოყენებული მასალა, სახელმძღვანელოები. ამავდროულად, ზუსტდება დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს შერჩეულ მიზანს, აქტივობას თუ მასალას. მასწავლებელი ცდილობს, უფრო სპეციფიკური გახადოს სასწავლო გეგმა მოსწავლისთვის და მასში ასახოს ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო მიზანი. თუკი მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი ამ პერსპექტივიდან დაიგეგმება, ეს დისკრეტული და იზოლირებული მიზნების დასახვისგან დაიცავს პედაგოგს და მის მოსწავლეს. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლისთვის

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გაითვალისწინოს ეროვნული სასწავლო გეგმა, რადგან შეუძლებელია იზოლირებულად დასახული მიზნებით ინკლუზიური საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა. ხშირად მოსწავლის პიროვნული ფაქტორები აუცილებელს ხდის მისთვის, სასწავლო პროგრამაში არსებობდეს დამატებითი მიზნები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნაკლებად არის ხაზგასმული, მაგრამ მნიშვნელოვანია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის. ხშირ შემთხვევაში, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ასეთი მიზნები ყოველდღიური უნარების გაუმჯობესებით განისაზღვრება.

მასალა ამოღებულია მასწავლებელთა გაზამკვლევიდან „ინკლუზიური განათლება“, 2011, © ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი